

8(05)

80

၁၃၈၄

ତୁମେହାନ୍ତିରେ କୁଣ୍ଡଳାଙ୍ଗ

နှစ်မြောက်မြတ် ပွဲများရတမ္မခြား

N. VII

0-33060, 1904



୭୩

198111 105-300-1898 311-2529 ПРИВАТНОЕ ГРУЗОВОЕ ТОРГОВЛЕ

1904

უ ი ნ ა ა რ ს ი

I.— ცოჩენებაზი.	83.
— დრამა სამ მოქმედებად ჭერის აბსე- ნისა, თარგმანი ია ეკალაძისა .	1
II.— უსიცათლო მემუსიკი.	38.
— თავი მეექვერ' და მეშვიდე ვდად. ქოროლენჯ სას. — თარგმანი ინ-ანისა (დასასრული).	
III.— გლეხი ქაცი.	67
— წიგნი მესამე, თავი I—III. რომანი გილტელმ ფონ ბოლენცისა. — თარგმანი იგ. პოლუმორ- ღიხოვგასა	
IV.— სამშობლო.	97
— თას მოქმედებაზი დრამა მესამე მოქმე- დება თარგმანი ოსმალურიდან სანქად ბეგისშვილის აბაშიძისა	
V.— ლალაზი.	1
— დრამა ა. სუმბათაშვილისა, — ა. ხატია- შვილისა .	
VI.— ცხოვრება და ლვაზლი თ-დის გრიგოლ ორბე- ლიანისა. — თავი XVI. ა. მეუნარგაძისა	37
VII.— შინაური მიმოხილვა.	50.
— ნაცელებრ სავალდებულო გამოსყიდვა. — ხალხ ს განათლება და სახალხო წიგნთ-საცავ- სამკითხველოები. — ქართველი, ვითარება თავის დედა-ენის. მო- ყვარე და ჭირისუფალი. — ქართული თეატრი. — ფ. გოგიჩა- იშვილისა	
VIII.— უცხოეთის მიმოხილვა.	71
— 1. საფრანგეთი და ვა- პა. — 2. გალდევ რუსო. — 3. ყვითელი საფრანგე.	

g m s a o o

8 (05)
~~8-80~~
J -80

ତୃତୀୟ ପ୍ରକାଶନ

ଶ୍ରୀଲଙ୍କାନାଥ ମେତ୍ରୋପିଟନାନ୍ଦ୍ରାଜା

No. VII

088060, 1904



Дозволено цензурою. 13 августа, 1903 г. Тифлисъ.

ମନ୍ଦୀରମଣି

I	— მოჩვენებანი. — დრამა სამ-მოქმედებად ჭერის იბსენია, თარგმანი და ეკადამისა	1
II	— უსინათლო მემუსიკე. — თავი მეექვსე და მეშვიდე ყლად. კურთფლუნტისი. — თარგმანი ინ-ანისა (დასასრული).	38
III	— გლეხი კაცი. — წიგნი მესამე, თავი I—III. რომანი გილტელტ ფოს პოლენცისა. — თარგმანი იგ. პოლუმორ-დგინდვისა.	67
IV	— სამუღბლო. — ოთხ-მოქმედებიანი დრამა მესამე მოქმე-დება თარგმანი თსმალურიდან. სანჯად ბეგის შვილის აპაშიძისა	97
V	— ლალატი. — დრამა ა. სუმბათაშვილისა, — ა. ხატია-შვილისა	1
VI	— ცხოვრება და ღვაწლი თ-დის გრიგოლ ორბე-ლიანისა. — თავი XVI. ი. მეუნარგიასი	37
VII	— შინაური მიმოსილვა. — ნაჟელების სავალ-დებულ-გამოსყიდვა. — ხალხ ს განათლება და სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველოები. — ქართველი, ვითარცა თავის დედა-ენის მე-უკარე და ჭირისუფალი. — ქართული თეატრი. — ფ. გოგიან-იშვილისა	50
VIII	— უცხოეთის მიმოსილვა. — 1. საფრანგეთი და პა-ზი. — 2. ვალდე რუსსო. — 3. ყვითული საფრანგე,	71

მოჩვენიგანი

დრამა სამ. მოქმედებად

ჭერის იბსენისა

(თარგმანი)

მომქმედნი შირნი:

ელენე ალვინგისა — კაპიტნისა და კამერპენის ალფ ნგი' ქარულ
ოს ვალდ ალვინგი — შეილი ელენეს, მჩატვარი.
ვასტორი მანდერსი.
ენგსტრანდი — ხურო.
რეგინა ენგსტრანდი — ქ-ნ ალვინგის მიახლე.

(მაქმედება სწარმოებს ქ-ნ ალვინგის შამულში, დასავლეთ
ხორგების ერთ დიდ სრუტესთან).

მოქმედება პირველი

(ფართო სასტუმრო თახი, რომელიც ბაღს გადაჭურებს.
თთახს საში კარი აქვს: ერთი შარცხნივ და ორი მარჯვნივ.
ოთახის შესაძლებელი მაგიდა სტამებით შემორიგებული,
მაგიდაზე აწევა წიგნები და უუნიალ-გაზეთები. ავანსტუ-
ნაზე, მარცხნივ ფანჯარა, ფანჯრის წინა სდეს მომცრო სა-
ვარძელი (დავანი), სავარძლის წინ — შატრან მაგიდა საკერავი-
სათვის. სცენის სიღრმეში, სასტუმრო თახის კასწვრივ, —
მოსხანს უვარებით სავსე თავდა შეშანა განკრძლა თახა-

ხისა და თანზე ცოტა მომცროვა. შეშაბანდის შარჯვენა კედელს ერთი კარი აქვს, რომელიც ბაღში გადის. შეშაბანდის მანის კედელებში გამოსხინს მოჰირქუშებული ბუნება, რომელიც უფრო ჩამოუსწოდებია გამუდმებულ წვიმას. ბაღში გასასვლელ კარებში სდგას ხერთ ენგსტრანდი, მარცხენა ფეხით ცოტათ მოპარებულებს. წალის ძირზე ხის დიდი ქუსლი აქვს მიკრელი. ჟეკინა, რომელსაც ხელში ცარიელი ლულებინა უჭირავს, წინ გადაელობება და კარი ბჭეს იქით არ უშევებს.

რეგინა (ხმადაბლა). რა გნებავს?.. ფეხი არ მოიცვალო! ვე-
რა ხელავ, გაწუწული ხარ?

ენგსტრანდი. წვიმა, შვილო, ღვთისაა!

ჟეკინა. მე კი მოგახსენებ, რომ წვიმა ეშმაკების გამოგზავ-
ნილია.

ენგსტრანდი. ღმერთო ჩემო, რაებსა ყმედობ, რეგინა! (ჟაშ-
დენიშე ნაბიჯს კოჭლობით წინ წამოსდგაშს) იცი რა უნ-
და გითხრა...

ჟეგ. ფეხს აგრე ნუ აბაკუნებ! ზევით ახალგაზდა ბატონ-
სა სძინავს, და გამოეღვიძება.

ენგს. რაო? ბატონს გამოეღვიძებარ? მერე აქამდის სძი-
ნავს, დღისით მზისით?

ჟეგ. ეგ შენი ჭკუის საქმე არ არის!

ენგს. მე-კი წუხელის თუმცა ცოტა გადავხუხე, მაგრამ...

ჟეგ. არ დაგიჯერებ თუ?

ენგს. დიახ, უნდა დამიჯერო, შვილო, რადგანაც ჩვენ,
ადამიანები, ცოდვის შვილები ვართ.

ჟეგ. ოლონდაც!..

ენგს. მაცლურებანი კი ძალიან ბევრია ქვეყანაზე... მაგ-
რამ ასე თუ ისე, მუშაობა მაინც დილის ექვსის ნა-
ხევარზე დავიწყე, ღმერთმანი...

ჟეგ. კარგი, კარგი! ოლონც კი თავიდან მომშორდი და
შენი სხვა არა მინდა. რა. სრულიადაც არა მსურს
შენთან ყოფნა... პაემანი ხომ არ დამინიშნავს!..

- ენგს. რა არა გსურს?
- რეგს. არა მსურს, რომ აქ ვინმემა გნახოს, წალი, გასწი
შენ გზაზე.
- ენგს. (ერთის ნაბაჯით უახლოვდება). ღმერთმანი, არ მოგ-
შორდები, ვიღრე არ მოგელაპარაკები. ნაშუადლევს
სამუშაოს დავასრულებ და დღეს საღამოთვე გემით
ქალაქისკენ გავწევ. ბინისკენ...
- რეგ. (ბუტბუტით). გზა მშვიდობისაცა გქონია!
- ენგს. გმადლობ, შვილო ჩემო!.. მაგრამ იცი დღესვე რათ
უფრო მინდა წასვლა? იმიტომ, რომ ხვალ თავშესა-
ფარი უნდა აკურთხონ, და რადგანაც სხვა-და-სხვა
სასმელები თავზე სასხმელი აქვთ, კურთხევას ქეი-
ფიც მოჰყვება, მე კი არა მსურს, რომ ვინმემ ჩემ-
ზე სთქვას „რა ოხერია“ იაკობ ენგსტრანდი, მაც-
დურებას ვერ გაექცაო.
- რეგ. ოჳო, ვერ უყურებთ?
- ენგს. დიახ, ხვალ აქ ბევრი სტუმარი მოიყრის თავს-
პასტორ მანდერსაც კი მოელიან ქალაქიდან.
- რეგ. იგი დღესვე მოვა.
- ენგს. ფუი ეშვაკა! სწორეთ იმისი უფრო მერიდებოდა...
არ მინდა ჩემზე ცუდის აზრისა იყოს.
- რეგ. ეჰ! აი, თურმე რა ჭვლები გდგომია.
- ენგს. რა ჭვლები?
- რეგ. ისა, რომ გინდა მამა მანდერსი კიდევ მოატყუო-
სსუ! ხომ არ გადაირი! განა გავტედავ პასტორ მან-
დერსის მოტყუებას? განა გულში კი გავივლებ იმ
კაცის ღალატს, რომელიც ყოველთვის გულ თბილათ
მეკიდებოდა? მაგრამ ამას თავი დავანებოთ... გაიგო
ნე? დღეს შინისკენ მივემგზავრები მეთქი!
- რეგ. რაც ადრე მომშორდები, ჩემთვის ისა სჯობია.
- ენგს. კი, მაგრამ შენც ჩემთან უნდა წამოხვიდე, რეგინა!
- რეგინა (გაკვირვებული შინს დაადებს). გინდა რომ მე... რა
სთქვი?

- ენგს.** თან უნდა წაგიყვანო-მეთქი.
რეგინა. (შესმიანათ). მანამ ნურასა სჭამ, ვიდრე მე თან არ
წამიყვანო!..
- ენგს.** აი, ვნახავთ!
- რეგინა.** შავეცასა ნახავ! მთელი ჩემი სიყმაწვილე აქ გავატა-
რე, ქნ ალვინგის ხელში აღვიზარდე—ყველა ისე
მეპყრობოდა, როგორც საკუთარ შვილს და ახლა
შენთან უნდა წამოვიდე? შენთან და მერე იმისთანა
სახლში?.. ფუი!
- ენგს.** ნეტა არა თვალ-თმაქუობდე! როგორა ჰპედავ მშობ-
ლის წინააღმდეგობას, სულელო გომბიო?!
- რეგინა** (ბუტბუტებს, ხურის თვალს არიდებს). მე განა შენთვის-
უცხო არა ვარ? ერთხელ გითქვამს თუ ორჯელ!
ენგს. სისულელეს ამბობ... ან კი რა სათქმელია?
- რეგ.** განა ასჯერ და ათასჯერ არ გაგილანძლივარ და წი-
მოგიძახნია, აი შე ნაბუშაროვო!
- ენგს.** სტყუი! ვფიტავ მამა ზეციერს, რომ მაგისთანა უკმერი-
სიტყვა ჩემს სიცოცხლეში არ წარმომითქვაშს.
- რეგინა.** როგორ არა, ძრიელ კარგათ მახსოვეს.
- ენგს.** შეიძლება მაშინ ვროშავდი, როდესაც ცოტა გადა-
კრულში ვიყავი, დიახ! ქვეყნათ ბევრი მაცდურებაა,
ჩემო რეგინა!
- რეგ.** უფ!
- ენგსტრ.** ან იქნება დედიშენის გამოსაჯავრებლად, რადგანაც
მეტის მეტად მაბრაზებდა ხოლმე, მეც სამაგიერო
უნდა გადამეხადნა თუ არა? ოხ რა საშინელი მედი-
დური და მიუკარებელი იყო ის ცხონებული! (აჯაშ-
რებს) „თავი დამანებე, ენგსტრანდ, მომასვენე. სამი
წელიწადი კამერჰერ ალვინგს ვემსახურებოდი როზენ-
ველდშიო“ (იცინის) რა ამბავი მომხდარა და! საკო-
დავს ძალიან უკვირდა, რომ იმის მოახლეობის დროს
კაპიტანმა კამერჰერობა მიიღო.
- რეგ.** საბრალო დედა ჩემი! შენ იგი უდროვოდ ამოიჭამე.

- ენგს. (თავდაჭერით). საკვირველია! ყველგან და ყველასფერ-
ში მე ვარ ხოლმე დამნაშავე!
- რეპ. (მოტრიალდება და ხმა დაბლა). ან კი რა ხეირი და-
ეყრებოდა მაგ ფეხის მომზირალს!
- ენგს. რას ამბობ, შვილო?
- რეპ. Pied de mouton!
- ენგს. ინგლისურად ლაპარაკობ?
- რეპ. ღიახ!
- ენგს. კარგია, სასიამოვნოა, კარგია! შენ, ჩემო რეგინა,
ბევრი რამ ისწავლე ამ სახლში... და ცოდნა ახლა
დიდ სარგებლობას მოგიტანს.
- რეპ. (მცირეთდენი სისუმის შემდეგ). ქალაქში რისთვის მი-
გყევარ?
- ენგს. ეგ რა საკითხია! მამას სურს, რომ თავისი ერთად-
ერთი ქალიშვილი გვერდითა ჰყავდეს. მე ხომ ყვე-
ლასაგან დავიწყებული, მარტოხელა და ქვრივი ვარ!
თუ ლმერთი გწამს, სისულელის როშვას თავი და-
ანებე, პირდაპირ მითხარ: შე რას გიშველი?
- ენგს. მაშ კარგი, ყველაფერს გეტყვი, მე გადავწყვიტო-
რომ...
- რეპ. (უშტოვენს). ბევრჯელ გიფიქრნია და გადაგიშყვეტნია
რალაც რალაცები, მაგრამ შენის ფიქრიდან არა გა-
მოსულა-რა.
- ენგს. ახლა კი გამოვა, ჩემო რეგინა, ეშმაკებმა წაილონ
ჩემი სული და ხორცი, თუ რომ...
- რეპ. (ფეხს თატაჭე დაჭკრავს). ლანძღვასა და წყევლა-
კრულვას თავი დაანებე!
- ენგს. სსუ, ნუ ცხარობ, შვილიკო! ჰო, ის უნდა მეოქვა,
აქ ყოფნაში კარგა ძალი ფული შევაგროვე.
- რეპ. ნუ თუ? ეგ კარგი საქმეა!
- ენგს. ან კი ამ ბიყრუებულ სოფლათ ნამუშევარი რაში
დამეხარჯებოდა?
- რეპ. მერე, რას აპირებ?

ენგს.

ამ ფულით მინდა რაიმე სასარგებლო საქმეს დავადგე, მაგალითად, მინდა მეზღვაურთათვის სასტუმრო გავხსნა.

ჰეგ.

ენგს.

ფური!
ეს სასტუმრო, ქოხი კი არა, მშვენივრათ შოწყობილი სახლი იქნება. ეშმაკი დამეპატრონოს, თუ ეს სასტუმრო კაპატნებისა, შტურმანებისა და საზოგადოთ რიგიან ხალხის ბინა არ შეიქნეს..

ჰეგ.

ენგს.

და მერე გინდა, რომ მე?..
დიახ, შენ უნდა მომეშველო, ხელი შემიწყო, ნუ გეშინიან, მძიმე სამუშაოს არავინ გაკადრებს... ტარტაროზის კერძი გავხდე, თუ ვსტუურდე. ისე იცხოვრებ, შვილო, როგორც გენებება.

ჰეგ.

ენგს.

აბა-რა, შენგან არ მიკვირს!
უქალოთ რომ საქმე არ გაკეთდება, ეს ხომ ცხადზე უკხადესია. როცა ქალები მეყოლება, გავმართავთ ხოლმე ლხინსა და ქეიფს, ცეკვა-თამაშს, სიმღერებს და სხვა და სხვა. უნდა იცოდე, რომ იქ ზღვის პირათ, ბევრი მეზღვაურის მოხიბლვა შეიძლება! (მიუასლოვდება) ჰო, გეთაყვა, რეგინა, სისულელეს თავი დაანებე და სიყმაწვილეს ფუჭად ნუ გაიტარებ. აბა რას უნდა ეწიო აკ ამ სოფლათ, ან რა სარგებლობა უნდა მოგიტანოს იმ სიბრძნემ, რომლითაც შენმა ქალბატონმა თავი გამოგიტენა? მე მითხრეს, ახალ თავშესაფარში ბავშვების მომვლელათა გნიშნავენ. ეს შენი შესაფერი საქმეა? ნუ თუ მართლა გესიამოვნება, რომ შენი ჯანმრთელობა ჭუჭყიანსა და წილიან ჩაღნების მოვლას შეალიო? მართლა დიდი სურვილი კი არა მაქვს, მაგრამ შემდეგში საქმე გამოკეთდება, დიახ გამოკეთდება.

ჰეგ.

ენგს.

რა გამოკეთდება?

ნუღარ მკითხავ... ფული-რამდენი გადაანარჩუნე? მგონი, შვიდას-რვაას კრონამდე იქნება.

- რეგ. ბლომათა გქონია!
- ენგს. ამ ფულით, აკი ვამბობ, კარგი საქმის დაწყება შეიძლება მეთქი.
- რეგ. რა არის, რომ ცოტა ფული მეც მიწილო?
- ენგს. ჯერ ისე არ გავსულელებულვარ.
- რეგ. ერთ ხელს კახტა ტანისამოსს მაინც არ მიყიდი?
- ენგს. წამოდი ჩემთან ქალაქში და იმდენ ტანისამოსს შეგიკერავ, რომ სულ არ მინდა იძახო.
- რეგ. თუ სულელი არა ვარ, პირს რაზე ვირცხვენ! განა აქ კი ვერ ვიშვენი კარგ ტანისამოსს!..
- ენგს. მამის დახმარებით უფრო აღვილად არ შეიძენ, ჩემმა რეგინა! აი, მცირე ნავთსაღვურს რომ ეძახიან, ვიყიდოთ, იქ პატარა იაფ-ფასიანი, მაგრამ კოპტია, სახლი გავხსნათ სასტუმრო მეზღვაურთათვის და დავიწყოთ ბეღნიერი ცხოვრება...
- რეგ. სრულებითაც არა მსურს შენთან ცხოვრება და არც მინდა შენ საქმეში გავერიო. გამეცალე აქედან!
- ენგს. თუ კარგათა და მოხერხებულად წაიყვან საქმეს, დიდ ხანსაც არ მოგიხდებოდა ჩემთან ყოფნა. ისეთი ლამაზი, ახლათ შელერებული და ქორფა ქალიშვილი, როგორიც შენა ხარ...
- რეგ. მერე?
- ენგს. მერე ისა, რომ... გაიცნობ რომელიმე შტურმანს, შეიძლება თვით კაპიტანსაც და.. .
- რეგ. უკაცრავად, მეზღვეურის საცოლე არ გახლავარ!
- ენგს. რას აკაკუნებ?
- რეგ. ძლიერ კარგად ვიცნობ-მეთქი მეზღვეურთ. იმათ რიგიანი ქალი როგორ მისთხოვდება?
- ენგს. ნუ მისთხოვდება. რა! განა ჯვარ-დაუწერლად არ შეიძლება რიგიანად მოეწყო (მაუსჯავება და უჩურჩულებელ) იმან — ინგლისელმა — გახსოვს, გემით რომ მოვიდა სამასი ცეციედალერა გაილო და დედა შენი კი შენი ნარცხიც არ იყო.

- რებ.** (მავარდება). დამეკარგე მეთქი აქელან!
- ენგს.** ეჰე! ცემასაც მიპირებ?
- რებ.** თუ დედაჩემის შესახებ კიდევ გიოქვამს რამე, სულ
თავ-პირს დაგამტვრევ. დაიღუბე მეთქი აქედან. (ხელსა
ჭრას და ბაზის კარებში გააგდებს) ნელა, კარები არ
დაარახუნო, თორემ შავ დღეს დაგაყენებ. ბატონი
ალვინგი არ გამოალვიძო.
- ენგს.** საკვირველია, რომ აგრე ბევრსა ზრუნავ ახალგაზღა
ალვინგისათვის. (ხმა დაბლა) ეჰეი! იქნება... (ოვალს
ეშმაკურად ჩაუკრავს).
- რებ.** დაიკარგე, დაიკარგე აქედან, შე დამთხვეულო. აქეთ
ნუ მოშავდები, აი, იქით დაიხაფრე... უკანა კარები-
დანაც კარგათ გეკადრება წათრევა. საცაა პასტორი
მანდერსიც მოვა.
- ენგს.** (მიღის მარჯვნით). დიახ, დიახ, მე მივდივარ. ხოლო
შენ კი პასტორს მოელაპარაკე, ის აკიხსნის რა მო-
ვალეობაცა აქვს ქალს მამის წინაშე. რაც უნდა
სთქვან, შენ მაინც ჩემი შვილი ხარ, გესმის თუ არა!
ეს შემიძლიან საეკლესიო წიგნიდანაც დავამტკიცო.
(გადის შეორე კარებში, რომელსაც რეგინა გაუდებს და
მერე ისევ დაჭვეტავს).
- რებ.** (საჩქართ სარებში ჩაიხედავს. ცხვირსახოცის ქედით სა-
ხეს გაიგრილებს სეუელურს გაისწორებს და შემდეგ უვა-
ვილებიდან მტრის გადმოწმენდას შეუდგება).
- პასტორი** (შემდის შეშაბანდში ბაზის კარებიდან, ხელშა საწევიში
ქოლგა უჭირავს, მსარზე პირანა, საგრძალ აბგა აქეს გა-
დაგდებული).
- პასტ.** მანდერსი. დილა მშვიდობისა M-ele ენგსტრანდ!
- რებ.** (მობრუნდება და აღტაციაბით). ახ! დილა-შვიდობისა
ბ-ნო პასტორო. გემი უკვე მოვიდა?
- მანდ.** ეს არის ეხლა მოვიდა! (შემოდის სასტუმრო თათახში).
უჰ, რა საძაგელი ამინდია.
- რებ.** (უკან მისდევეს). სამაგიეროო ასეთი ამინდი, ბ-ნო პას-
ტორო, მხენელ-მთესველთათვისათ სასარგებლო.

- შასტ.** ეგ კი დამავიწყდა, ჩვენ, ქალაქელნი მხენელ-მთე-სველებზე ძლიერ ნაკლებათა ვფიქრობთ ხოლმე. (პასტორის იხდის).
- რეპ.** ნება მიბოძეთ, მოგეშველოთ! აი ასე... ოს, როგორ დასველებულა თქვენი პაოტო. აი ქოლგაც. ამას კი გავშლი, რომ მალე გაშრეს. პალტოსაც დერე-ფანში გადავთენ. (მიღის ნივთებით. მარჯვნივ მეორე კარებში პასტორი მთიხსნის აბგას და ქუდთან ერთად სკაშზე იდებს. რეგინა შემთბრუნვება).
- შასტ.** ძლივს არ მოვალწიე .. სხვა, ყველანი ხომ მშვიდო-ბითა ხართ?
- რეპ.** გმადლობთ, ჩემო ბატონო.
- შასტ.** ხვალისათვის კიდევ ბევრი გაქვთ საქმე?
- რეპ.** დიახ, ბატონო, ჯერ სამზადისი არ გაგვითავებია... ჯერ კიდევ ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი.
- შასტ.** ქ-ნი ალვინგისა ხომ შინა ბრძანდება?
- რეპ.** შინ გახლავთ, ზევით, ახალგაზდა ბატონს შოკოლადს უმზადებს.
- შასტ.** მართლა, ნავთ-სადგურზედ მითხრეს, რომ ასვალდი დაბრუნებულა.
- რეპ.** ჩვენ დღეისათვის მოველოდით და ის კი გუშინ-წინ გიახლათ.
- შასტ.** ხომ კარგათ არის, ჯან-სალათ?
- რეპ.** ჯან-სალობა და მხიარულება არ აკლია, მაგრამ გზა-ში კი ძლიერ დაღალულა. ან კი რა გასაკვირვე-ლია, პარიუიდგან აქამდე განა ცოტა გზაა!.. კარგი კი იქნება, ბ-ნო პასტორო, ცოტა ხმა-დაბლათ ვილა-პარაკოთ, რადგანაც ბატონსა სძინავს.
- შასტ.** ძალიან კარგი, ხმა დაბლა ვილაპარაკოთ.
- რეპ.** (საერთო მიზანისთან მთაგორებს). ამ, აქ დაბრძანდით, ბ-ნო პასტორო, მარჯვეთ და მოსვენებით იქნებით. (პასტორი ჯდება, რეგინა ფეხებში ჰაწია სკამს შეუდგამს) აი აგრე, ხომ მოსვენებითა ხართ, ბატონო პას-ტორო?

- პასტ.** გმადლობთ. ჩინებულათ მოვეწყე (რეგინას უშზეცს) რამოდენა ქალი გამხდარხართ მას შემდეგ, რაც მე უკანასკნელათ გნახეთ.
- რეგ.** მართლა, ბ-ნო პასტორო? დავსრულდი კიდეცა, არა? ქალბატონი კი მეუბნება და...
- პასტ.** დიახ, მართალი ხართ, ცოტა გასუკებულხართ კი-დეც... (მცირე პაუზა)
- რეგ.** თუ მიბრძანებო, ქალბატონს მოვახსენებ თქვენს მოსვლის ამბავს.
- პასტ.** გმადლობ, გმადლობ! რას ეჩქარები, შვილო, ერთი ეს მითხარი, ჩემო კეთილო რევინა, მამაშენი ხომ კარგათ არის.
- რეგ.** გმადლობთ, ბ-ნო პასტორო, შედს ვერ დაუმდურება.
- პასტ.** ამ ბოლო დროს რომ ქალაქში იყო, მნახა.
- რეგ.** გნახა? თუ კი შემთხვევა ეძლევა, ის ყოველთვის მოხარულია ხოლმე თქვენის ნახვისა,
- პასტ.** შენ კი არა ნახულობ მამაშენს? არ ეწვევი ხოლმე?
- რეგ.** ხანდისხან, როცა კი დრო მაქვს.
- პასტ.** მამაშენი, M-elli ენგსტრანდ, სუსტი ხასიათის კაცია და ყოველთვის ხელმძღვანელი სჭირია.
- რეგ.** დიახ, მართალსა ბრძანებოთ.
- პასტ.** უკანასკნელათ ქალაქში ყოფნის დროს გულ-წრფე-ლათ გამომიტყდა და მეცა მგონია, რომ მას ესა-კიროება სიახლოვე ისეთის ადამიანისა, რომელსაც დაშსახურებული აქვს მისი ნდობა და სიყვარული.
- რეგ.** მეც კი გადმომიკრა სიტყვა, მაგრამ, როგორ შე-მელევა ქ-ნი ალვინგისა, მერე ისიც ახლა, როდე-საც ახალის თავშესაფარის მმართვა-გამგეობა მოგვე-ლის? თითონ მეც ვერ მოვშორდები ქ-ნ ალვინგი-სას, რადგანაც იგი ჩემი დიდი კეთილის მყოფელია.
- პასტ.** მამისაღმი მოვალეობასაც ნუ დაივიწყებ... შვილო ჩემო, თუმცა ქალბატონის დაკითხვაც არ გავნებს.

- რეგ.** ან კი, ჩვენთვის რომა ვსთქვათ, ჩემი ხნის ქალს მარტო-ხელა კაცის სახლში როგორ ედგომინება.
- პასტ.** რას ამბობთ M-elle ენგსტრანდ! ჩვენ ხომ მიმიშენის შესახებ ვლაპარაკობთ...
- რეგ.** ეგ სულ ერთია! მაგრამ თუ კი ჩავვარდი პატიოსან სახლში, ნამდვილ ბატონის ხელში, რომლის ნდობა-და სიყვარულიც შეიძლებოდეს... მაგრამ... და რომელიც შვილივით მომექუეოდეს, მაშინ კი დიდის სიამოვნებით გადავსახლხებოდი ქალაქად, ვინაიდგან აქ საშინელ მარტოობასა ვგრძნობ. მარტოობა კი, როგორც თქვენც მოგეხსენებათ, აუტანელი: მდგო-მარეობაა... კვეხნით არ ვიტყვიდა, როგორც შრო-მის მოყვარეს, ყველაფერის მოხერხება მაქვს, ყო-ველგვარ სამუშაოს ვიკისრებ. ხომ არ გეგულებათ ჩემთვის, ბ-ნო პასტორო, რიგიანი ადგილი?
- პასტ.** არა... და მგონი ვერც ვიშოვი ისეთ ადგილს.
- რეგ.** საყვარელო, ძვირფასო პასტორო, ნუ დამივიწყებთ, თუ ვინიცობაა.
- პასტ.** (წამოდგება). ვნახოთ, M-elle ენგსტრანდ.
- რეგ.** მით უფრო გთხოვთ, რომ თუ მე.
- პასტ.** ნუ დაიზარებთ, გეთაყვა, და თქვენი ქალბატონი მო-მიხმე.
- რეგ.** ახლავე გიახლებათ, ბ-ნო პასტორო. (გადის მარცნივ) (თახში ბოლოის ცემას მოჭევება. სცენის სიღრმეში რამდენიმე წუთს შექრდება, ხელებ ზურგზე დაწუთბილი და ბადს გაჭერებს. შერე მადის მაგიდასთან, აიღებს ხელში წიგნს და გაეგირვებით ათვალიერებს მისს სათა-ურს, ასევე გაკაირვებით ათვალიერებს სხვა წიგნებსაც).
- პასტ.** ჰმ! აი რეები ყოფილა!
- ბ-ნი აღვინგისა** (შემოდის მარცხნივ კარებიდან, უკან მოსდექს რე-გინა, რომელიც მაშინვე გადის, მარჯვნივ, პარველ კა-რებში).
- აღვინგ.** მშვიდობა თქვენ მობრძანებასა, ბ-ნო პასტორო!

- შასტ.** დილა მშვიდობისა... ნახეთ, რა პირნათლათ შევას-
რულე ჩემი დანაპირები?
- ალგინგ.** თქვენ ყოველთვის ოქვენი სიტყვის კაცი ყოფილ-
ხართ...
- შასტ.** მართალი. კი უნდა მოგახსენოთ, რომ დიდის ვაი-
ვაგლახით დავალწიე თავი ყველა იმ ბელუკულმართ
კომისიებსა და მმართველობებს, სადაც მეც ვიღებ
მონაწილიობას.
- ალგინგ.** მით უფრო გიმადლი, რომ ასე აღრე მოხვედით.
საღილობამდის ყველა ჩვენ საქმეს მოვაწესრიგებთ...
მაგრამ ეს მითხარით, სად არის ოქვენი ბარგი?
- შასტ.** (აჩქარებით). ჩემი ბარგი ქვევით, შეწვრილმანისას,
დავტოვე. ამ ლამეს იქ გავათვე.
- ალგინგ.** (დიმალი იმაკრებს). ნუ თუ ახლა მაინც არ შეგიძ-
ლიათ, რომ ერთი ლამე ჩემ ჭერ-ქვეშ გაატაროთ?
- შასტ.** არა, არა! გმადლობო... ჩვეულებისამებრ, დღესაც
ძეველ ბინაზე ჩამოვხტი... იქიდან ნავთსადგური უფრო
მარჯვეთაა.
- ალგინგ.** თქვენი ნებაა, მაგრამ მე კი მგონია, რომ ჩვენ თუ
ბებეს — მაცდურებისა აღარ უნდა გვეშინოდეს.
- შასტ.** ო! ლმერთმა დაგვიფაროს... თქვენ ძალიან მხიარულ
გუნებაზედა ხართ. არ გაგემტყუნებათ ასეთი ხუმ-
რობა. ჯერ ერთი, რომ ხვალ შესანიშნავი დღე
გვითენდება და მეორეც, ასვალდი, თქვენი შვილი,
დაგიბრუნდათ. უნდა იმხიარულოთ, მაშ!..
- ალგინგ.** წარმოიდგინეთ რა ბედნიერი გარ. ეს ორი წელი-
წადია თვალით არ მინახავს. და ახლა კი დამშირდა,
მთელ ზამთარს შენთან გავატარებო.
- შასტ.** მართლა? სწორედ სანაქებო საქმეს ჩაიდენს. სწო-
რედ კეთილი და მოსიყვარულე შვილი ყოფილა,
რომ პარიუისა და რომის მომხიბვლელ ცხოვრებას
თქვენის გულისათვის ივიწყებს.

ალგინგისა. სამაგიეროთ ამას სახლში ჰყავს დედა! ენაცვალოს
ჩემ ბიჭუნას ჩემი თავი, რომ ძლიერ უკვარს თავისი
დედა!

პასტ. სამწუხარო იქნებოდა, რომ შორს ყოფნასა და იმ
ხელოვნებას, რომელსაც იგი ემსახურება, ოსვალდის
გულიდან ამოეფხერათ ბუნებრივი გრძნობანი აღა-
მიანისა.

ალგინგ. ეგ შეუძლებელია, ვინაიდგან ჩემის შვილის გულში
საკმაოთ ღვივის ცეცხლი ჩემდამო სიკვარულისა.
ნეტა იცნობ თუ არა ჩემ დავაუკაცებულ ოსვალდს.
ენაცვალოს დედა, საცაა აქ მოვა, ჯერ პატარა
დაისვენოს! რატომ არ დაბრძანდებით, ბ-ნო პასტო-
რო, დაბრძანდით.

პატა. გმაღლობთ. როგორც ვატყობ, თავისუფალი დრო
ბევრი გქონიათ.

ალგინგ. დიახ, როგორ არა! (სტოლთან დაჯდება).

პასტ. ძლიერ სასიამოენოა! მაშ შევუდგეთ საქმეს. (მიდის
იმ მაგიდასთან, რომელზედაც მისი აბგა ღევს, იდებს
მოედ დასტა ქაღალდებს, მერე ქ-ნ ალგინგის პირდაპირ
დაჯდება და ქაღალდებისათვის :ლდგილს მოიმზადებს)
პირველათ ჯერ ეს გავშინჯოთ. (სიტყვასა სწეველს)
ერთი მითხარით, ბ-ნო; ამ წიგნებს აქ რა უნდათ?

ალგინგ. რა ძალიან გიყვირთ, ჩემი საკითხავი წიგნებია.

პასტ. განა თქვენ ამ გვარ წიგნებსაც კითხულობთ?

ალგინგ. რასაკვირველია, ვკითხულობ.

პასტ. მერე რა სარგებლობასა ხედავთ?

ალგინგ. ისა, რომ მათში ისეთი საგნები და საკითხავებია
განმარტებული, რომელზედაც მე ხშირად მიფიქრნია
და ყველაზედ უფრო ის მაკვირვებს, ბ-ნო პასტო-
რო, რომ შიგ ახალი არა ურის რა აწერილი, მხო-
ლოდ განმარტებულია განათლებულ ხალხთა უმრა-
ვლესობის გულისთქმა-მისწრაფებანი. რა ფუყოთ,

- რომ ბევრი ჩვენგანი თავის თავს ანგარიშს არ უწევს
და არც სურს, რომ გაუწიოს.
- პასტ.** ღმერთო ჩემო, ნუ თუ თქვენა გგონიათ, რომ ხალ-
ხთა უმრავლესობა —
- ალგინგ.** დიახ, არამც თუ მგონია, მრწამს კიდევც.
- პასტ.** მერე აქ, ჩვენ ქვეყანაში? ჩვენში მაგისთანა ხალხი არ
არის...
- ალგინგ.** ბევრია, ძალიან ბევრია, პ-ნო პასტორო.
- პასტ.** მაშ ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ
- ალგინგ.** არა, თქვენ ის მიბრძანეთ, რა გაქვთ ამ წიგნების
საწინააღმდეგო, რა საბუთის ძალითა ჰყოფთ უარს.
- პასტ.** რა საბუთით? იქნება თქვენა გგონიათ, რომ მე მაგ-
გარ ნაწარმოებს ვკითხულობდე?
- ალგინგ.** მაშასალამე თქვენ წარმოდგენაც კი არა გქონიათ
მათ შესახებ და ჰგმობთ იმას, რისაც არა გაგეგე-
ბათ-რა?
- პასტ.** მე ბევრი რამ წამიკითხავს მაგ წიგნების შესახებ და
ამიტომ სრული ნება მაქვს გავკიცხო კიდევც.
- ალგინგ.** ძალიან კარგი, მაგრამ თქვენ თქვენი საკუთარი აზ-
რი მიბრძანეთ.
- პასტ.** ცხოვრებაში ბევრია ისეთი მოვლენანი, რომლის
შესახებაც სხვის აზრითა და დაკვირვებით უნდა ვი-
ხელმძღვანელოთ, თორემ რა იქნებოდა ჩვენი სა-
ზოგადოება?
- ალგინგ.** შეიძლება თქვენ მართალიც იყოთ.
- პასტ.** მაინც და მაინც უარს არა ვყოფ, რომ ამ გვარი ნა-
წარმოებნი საყურადღებონი არიან და არც გისაყვე-
ლურებთ, რომ თქვენ მოგნებებიათ გაიცნოთ აზრის
ახალი მიმართულებანი, რომლებიც თურმე იქ ევ-
როპაში აღორძინდნენ, მით უმეტეს, რომ თქვენი
საყვარელი შვილი დიდიხანია სცხოვრობს თქვენ-
თვის სრულიად უცნობ მხარეში, მაგრამ...
- ალგინგ.** რა მაგრამ?

- პასტ.** (ჩმას დაუმდაბლებს). მაგარი ის არის, რომ ყველას არ უნდა შეატყობინოთ, რასაცა ჰფიქრობ და კითხულობ. ან კი რა საჭიროება მოითხოვს ყველას ხელი აფათურებინო შენ გულ-გონებაში, ყველას ანგარიში წარუდგინო შენგან ოთხ-კედელ შუა ნამოქმედარისა.
- ალგინგ.** რასა კვირველია, საჭირო არ არის.
- პასტ.** მე მონია, რომ ახლა სულ სხვა გვარის აზრისა უნდა იყოთ სასულიერო საგნებზე, ვიღრე მაშინ, როდესაც თავშესაფარის დარსება განიზრახეთ, და ამიტომ უფრო დიდი სიფრთხილე გმართებთ. ამ წიგნებში გამოთქმული არი პირ-და-პირ ეწინააღმდეგება მაშინდელ თქვენ გულის-თქმას!
- ალგინგ.** მართალი ხართ, მართალი... გეთანხმებით. ახლა კი თავშესაფარის შესახებ ვისაუბროთ.
- პასტ.** ძალიან კარგი იქნება... ასე და ამ გვარათ, ჩემო ბატონო, დიდი სიფრთხილე გმართებსთ... ახლა კი შევუდგეთ ჩენ საქმეს. (გახსნის ჰაკეტს და იღებს რამდენიმე ქაღალდს) ხედავთ ამასა?
- ალგინგ.** საბუთის ქაღალდებია?
- პასტ.** დიახ. და ძალიან გამიძნელდა კიდეც მათი თავის დროზედ მოპოება. ხომ იკით, მთავრობა ყოველთვის აგვიანებს და ინაზება ხოლმე, როდესაც რაიმე საქმეა გადასაწყვეტი. ახლა კი ყველა საბუთის ქაღალდი ხელში გვაქვს. (ქაღალდებსა სთვლის) აი ეს ნასყიდობის ქაღალდია, რომლის ძალითაც სოლვინგას მამული თავისის შენობით, სკოლით და სამლოცველოთი ახლა ჩვენ გვეკუთნის. ეს კიდევ დამტკიცებული სიგელი და თავშესაფარის წესდებაა. (კითხულობს) „წესდება კაპიტან ალვინგის სახელობზე ბავშვთათვის დარსებულ თავ-შესაფარისა.“
- ალგინგ.** (დიახსნის ათვაზიერებს ქაღალდებს). ძლივს არ მოვიგდეთ ხელში!

- ბასტ.** უნდა მოგახსენოთ, რომ საბუთის ქაღალდებში თქვენი ქმრის ხარისხის კაპიტანი განგებ დავაწერინე. კაპიტანი უფრო ლამაზი, მოხდენილი სიტყვაა და ადვილი წარმოათქმელიც, ვიდრე კამერპერი. სიტყვა „კამერპერი“ ძალიან დიდკაცურიცაა.
- ალგინგ.** ძლიერ კარგათ გინებებიათ.
- ბასტ.** ეს კიდევ წიგნაკია იმ შემნახველ კასსისა, სადაც თავშესაფარისათვის გადადებული ფული ინახება.
- ალგინგ.** გმადლობთ, რომ ყველაფერი კარგათ მოგიწყვიათ, ბარემ ერთი სიკეთეც მიყავით: თქვენვე შეინახეთ ეგ წიგნაკი, ასე ემჯობინება.
- ბასტ.** დიდის სიამოვნებით... ისიც კარგი იქნება, რომ ეს ფული ჯერ-ჯერობით ისევ შემნახველ კასსაში დავტოვოთ. სახელმწიფო რენტის სარგებელი ძალიან მცირეა, სულ რაღაც 4% ექვს. თვეში. ხოლო თუ შემდეგში ამ ფულით მოვახერხებთ კარგ შემოსავალიან აღგილის დაგირავებას, ისე კი რომ ყოველგვარი იურიდიული ფორმალიზმი დავიცვათ, უფრო კარგი იქმნება, მაგრამ ამაზე კიდევ მოვილაპარაკებთ.
- ალგინგ.** დიახ, დიახ ძვირფასო ჰასტორო, თქვენ უფრო ყველაფერი კარგათ გესმით.
- ბასტ.** ყოველ შემთხვევაში, თვალ-ყური მექირება. მაგრამ არის ერთი საქმე, რომლის შესახებაც უეჭველათ ეხლავე უნდა მოვილაპარაკოთ.
- ალგინგ.** რა საქმე?
- ბასტ.** თავ-შესაფარის შენობები უნდა დავაზღვიოთ, თუ არა?
- ალგინგ.** რასაკვირველია!
- ბასტ.** მომითმინეთ, ბატონო ელენე; ამას კარგი მოფიქრება ეჭირვება.
- ალგინგ.** ჩემ ავლა-დიდებას ყოველთვის ვაზღვევ ხოლმე.
- ბასტ.** საკვირველიც არ არის, რომ თქვენი საკუთრება

დააზღვიოთ. ეს ასეც უნდა იყოს, ახალი თავ-შესაფარი კი აგებულია სრულიათ სხვა მაღალის დანიშნულებისათვის.

ალგინგ. და ნუ თუ იმიტომ უნდა დავტოვოთ დაუზღვევლათ? ჩემის აზრით, ცული არაა, რომ თავს ვიზღვევდეთ ხოლმე სხვა-და-სხვა უძედურ შემთხვევათაგან მეც ასე მგონია.

პასტ. მაგრამ მეზობლების გულის თქმასაც კი უნდა ანგარიში გავუწიოთ ხოლმე. თქვენ, მგონი, ჩემზე კარგათ იცნობთ თქვენს მეზობლებს!

ალგინგ. მეზობლების გულის თქმას?

პასტ. დიახ, ერთი ეს მიბრძნეთ, თქვენ მდიდარ და გავლენიან მეზობლებ შორის მოიპოვება თუ არა ისეთი, რომელმაც ჩვენი მოქმედება—ახალი თავ-შესაფარის ცეცხლიდან დაზღვევა შეუსაბამოთ ჩასთვალოს?

ალგინგ. ვის ეძახით თქვენ გავლენიან მეზობლებს?

პასტ. იმათ, ვისაც თვალ-საჩინო ალაგი უჭირავთ და ვის აზრსაც უეჭველათ უნდა დავემორჩილოთ ხოლმე.

ალგინგ. დიახ, მყვანან ისეთი გავლენიანი მეზობლები, რომლებით ურიგობაში ჩამოგვართმევენ, თუ რომ ..

პასტ. ხედავთ! ჩვენ ქალაქშიაც ბევრია ამისთანა. წარმოიდგინეთ მარტო ჩემი თანამოსამსახურის მომხრეები! იმათ ადვილათ შეუძლიანთ გვისაყვედურონ, რომ ჩვენ, მეცა და შენც—ნაკლებათა გვწამს ღმერთი, მისი განგება და არცა ესასოებთ მას.

ალგინგ. მაგრამ თქვენ ხომ კარგათ გესმით, ძვირფასო პასტორო, რომ ყოველ შემთხვევაში დაზღვევა მაინც და მაინც საზარალო არ არის.

პასტ. მართალია ჩემო, მაგრამ ჩვენ უნდა ავლაგმოთ ის ათას გვარი მითქმა-მოთქმა, ის ჭორები და ლაყბობა, რომელიც ხელს შეუშლის თავშესაფარის საქმეს, თორებ, ხომ იცით, კორიკანობა მიჩნ გაუთხრის თავი შესაფარის წარმატების საქმეს.



- ალგინგ. თუ კი აგრეა!
- შასტ. არ შემიძლიან აგრეთვე თქვენი უურადღება არ მივაქციო იმ სიღუხჭირეს, უკეთ რომა ვსთქვათ, იმ უხერხულ და ჩემთვის არა სასიამოვნო მდგომარეობას, რომელშიც ჩავარდები, თუ კი გავლენიან პირთა წინააღმდეგ წავალთ. ჩვენის ქალაქის მაღალი წრის საზოგადოება ახლა სულ ჩვენ თავშესაფარზე ლაპარაკობს, რომელიც ქალაქის სასარგებლოთაც არის აგებული და რომელიც, ეჭვი არაა, შეამცირებს ღარიბთა კასსის სათემო გარდასახადს, და რადგანაც ქვეყანამ იცის, რომ მე ყოველთვის თქვენი ხელმძღვანელი ვიყავ, მეფიქრება, რომ ჩვენმა მოშურნებმა ნიშანური მე არ ამომიღონ.
- ალგინგ. ღმერთმა ნუ ქნას, ბ-ნო პასტორო!.. მაგ გვარ განსაცდელს უნდა მოერიდოთ.
- შასტ. გარდა ამისა, ვინდა გაუძლებს მოწინააღმდეგე უურნალ-გაზეთების კიცხვა-გმობასა!
- ალგინგ. კმარა, ძვირფასო პასტორო, თქვენ უიმისოდაც თვალმაჩინათ დამიმტკიცეთ, რომ თავშესაფარის დაზღვევა უხერხულია.
- შასტ. მაშასადამე თქვენ ის გინდათ, რომ თავშესაფარის შენობა დავაზღვიოთ?
- ალგინგ. არა! მოდი და თავი დავანებოთ მისს დაზღვევას. (სკამის ზურგს მიეუუდება). წარმოვიდგინოთ, რომ რაიმე უბედურება მოხდა, თავშესაფარს. ცეცხლი წაეკიდა და დაიწვა. გულობისნები ხომ არა მართ, რომ მომავალი გავითვალისწინოთ! შეგიძლიანთ ზარალი იკისროთ?
- ალგინგ. არა; გადაჭრით მოგახსენებთ, თავის დღეშიც არ ვიკისრებ ზარალს.
- შასტ. ძალიან დიდ პასუხის გებაში კი ვარდებით და?
- ალგინგ. მაშ იქნება თქვენ გინდათ, რომ დავაზღვიოთ?
- შასტ. არა. ჩვენ უნდა მივენდოთ ლვთის განგებას, უნდა

გვწამდეს, რომ ჩვენის თავშესაფარის მცველი იქნება უზენაესი მფარველი — ხოლო ჩვენი სხვა გვარი მოქმედება კი ბევრს მოწინააღმდეგეს შეგვძლვნის და საზოგადოებას გაახელებს...

- აღვინგ.** ასეთი გარემოება კი თქვენთვის, როგორც მღვდლისათვის, ხელ საყრელი არ იქნება.
- შასტ.** მივენდოთ ღმერთს და ვიმედოვნებდეთ.
- აღვინგ.** ოლონდაც!
- შასტ.** მაშ ამ საგანზე ლაპარაკს თავი დავანებოთ (უბის წიგნებში რადაცას ჩაიწერს). გადაწყვეტილია, რომ არ ვაზღვევთ.
- აღვინგ.** საშინლად მაკვირვებს, რომ სწორეთ დღეს ჩამოაგდეთ ამ დაზღვევაზე ლაპარაკი.
- შასტ.** მე დიდი ხანია მსურდა შეგკითხებოდით...
- აღვინგ.** შეიძლება შეატყეთ, რომ გუშინ კინალაშ ცეცხლი არ გაგვიჩნდა?
- შასტ.** რას ბრძანებთ?!
- აღვინგ.** საშიში კი არა მოხდარა. ხუროს ოთახში ბურბუშელას წაჰკიდებოდა.
- შასტ.** იმ ოთახში, საღაც ენგსტრანდი მუშაობს?
- აღვინგ.** დიახ! ამბობენ, რომ იგი დაუდევრად ისვრის. ანთებულ წუმწუმებსაო.
- შასტ.** ისე აქვს თავი გამოტენილი სხვა და სხვა ფიქრებით და იდეებით, რომ მისგან საკვირველი არა არის-რა. მადლობა ღმერთს, ახლა-კი გადაუშესვეტია შეუდგეს რიგიან ცხოვრებას.
- აღვინგ.** ნუ თუ? თქვენ ვინ გითხრათ?
- შასტ.** კარგი მუშა-კია!
- აღვინგ.** დიახ! თუ ფხიზელია ხოლმე.
- შასტ.** ოხ, რა უბედური სისუსტე სჭირს! როგორც თითონ მითხრა, ხანდანან კი ჯავრით ითრობა ხოლმე, კოჭლი ფეხი ძრიელ მაწუხებსო. უკანასკნელად რომ ქალაქში იყო, ისეთის გულწრფელობით აღიარა თვისი

შეცდომანი, რომ სწორედ შემებრალა! გარდა ამისა დიდი მაღლობა გადამიხადა, რომ აქ, თქვენთან, სამუშაო ვუშოვე და მით შეძლება მივეცი რეგინასთანაც ახლო ყოფილიყო.

ალგინგ. მაშ რეგინას იშვიათად რათ ნახულობდა ხოლმე?

პასტ. რათა, ბატონო. ის თურმე ყოველ დღე ნახულობდა თავისს ქალს. მე კი ასე მითხრა და!

ალგინგ. შეიძლება!

პასტ. ამ ახირებულ კაცს ესაჭიროება სიახლოვე ასეთის არსებისა, რომელსაც შეეძლოს დაიკავოს იგი მაცდურებისაგან. საბრალო სულ ცრემლით მოსორქვამდა თავისს უხასიათობას და შეცოდებათა... გარდა ამისა, სულითა და გულით სურს, რომ რეგინა თან წაიყვანოს.

ალგინგ. (საჩქართ წამოდგება). რეგინა?

პასტ. თქვენ არ უნდა ეწინააღმდეგოთ მის სურვილს.

ალგინგ. მე გადაწყვეტილი მაქვს წინა აღვუდგე. რეგინა თავ-შესაფარში უნდა გავამწესო.

პასტ. ნუ გავიწყდებათ, რომ ენგსტრანდი მამაა რეგინასი.

ალგინგ. მე ძრიელ კარგათ ვიცი, რა მამობასაც უწევდა! არა, მე ნებას არ მივსცემ, რომ იმას წაჰყეს.

პასტ. (წამოდგება). ნუ ცხარობთ, ძვირფასო ელენე. მე საშინლათა ვწუხვარ, რომ თქვენ აგრეთი ცუდი აზრისა ყოფილხართ რეგინას მამის შესახებ. თითქმის კიდეც შეგეშინდათ...

ალგინგ. (დამშვიდება). რეგინა მე ავიყვანე და ჩემთანაც დარჩება (უურს წაუგდებს). მაგრამ გავათავოთ ამაზე ლაპარაკი, ძვირფასო პასტორო; (სახეზე სიხარული დატეობა) გესმით ბატონო! ოსვალდი კიბეზე ამოდის! ახლა მარტო ოსვალდზე ვიფიქროთ. (სუბუქ ჰალტოთ და ქუდით ხელში შემოდის მარცხნივ თხვალდ ალგინგი, შირში გრძელ ტარიანი ეალირნი უჭირავს).

თსგალდი (კარებშივე შეწერდება). ახ, უკაცრავად, ასე მეგონა კანტორაში მეცალინობთ მეთქი (მიუახლოდება). გა-
მარჯობათ, ბ-ნო პასტორო!

პასტ. (უშზენს გაჭვირვებული) აი, საკვირველება!

ალგინგ. აბა, რასა ბრძანებთ, ბ-ნო მანდერსო, ხომ კაი ვაუ-
კაცია!

პასტ. უნდა მოგახსენოთ... უნდა მოგახსენოთ, რომ ნუ
თუ ეს მართლა ოსვალდია?

ალგინგ. დიახ, ის გახლავთ... ჩემი უძღები შვილი.

პასტ. ჩემი ძვირფასი, ახალგაზდა მეგობარი?

თსგალდი. დიახ... მე გახლავართ შან დაბრუნებული უძღები
შვილი.

ალგინგ. ოსვალდი ხშირად მოიგონებს ხოლმე იმ დროს, რო-
დესაც თქვენ ეწინააღმდეგებოდით მისს სურვილს —
მხატვრობის შესწავლისას.

პასტ. ადამიანის თვალი ხშირად სტყუვდება... (სეჭს ჩა-
მოართმევს თსგალდს). მშვიდობა თქვენი მობძანება,
ჩემო ძვირფასო ოსვალდ, მშვიდობა! იმედია ნებას
მომცემთ, რომ უბრალოდ, შინაურულად მარტო
ოსვალდი დაგიძახოთ ხოლმე.

თსგალდი. საკვირველია, ან სხვა რა უნდა დამიძახოთ!

პასტ. ძალიან კარგი!.. აი რა უნდა მეთქა თქვენთვის,
ჩემთ ძვირფასო ოსვალდ! თქვენ უნდა იცოდეთ,
რომ მე ჟველა მხატვარს არ ვაძაგებ. ბევრია იმათ-
ში ისეთი, რომელიც სულიერ, კაცურ ღირსებას
შეუბლალავათ ატარებს.

თსგალდი. რასა კვირველია, ბევრია.

ალგინგ. (სისარულით გაბრწყინვებულის სახათ). მე კი ვიცნობ
ერთ კაცს, რომელსაც როგორც თვისი სულიერი,
ისე ხორციელი თვისება შეუბლალავათ შეუნახავს.
აბა შეხედეთ, ბატონო მანდერს.

თსგალდი (ბთდთასა სცემს). ნუ აწუხებ, დედილო!

- შასტ.** თქვენ მართალსა ბრძანებთ, ქალბატონო, ოსვალდმა, მგონი, სახელიც კი მოიპოვა. გაზეთები ხშირათ ქებით იხსენებდნენ, ე. ი. მე წის უნდა მეთქვა, რომ აშ ბოლოს დროს, ცოტა არ იყოს, თქვენ შესახებ აღარასა სწერენ.
- ასგალდი** (უფავილებთან შეჩერდება). ამ ბოლოს დროს ბევრიც არა დამიხატნია-რა.
- ალგინგ.** განა მხატვარს კი არ ეჭირვება მოსვენება.
- შასტ.** მოსვენება ადამიანს ძალ-ლონეს ჰმატებს, რომ შემდეგში რაიმე დიადი შეჯჭმას.
- ასგალდი.** ძრიელ კარგი... მაგრამ როდის უნდა ვისადილოთ, დედი!
- ალგინგ.** ნახევარ საათის შემდეგ... მაღლობა ღმერთს, მადა კი მშვენიერი აქვს.
- შასტ.** თუთუნიც კი ძრიელ ჰყვარებია.
- ასგალდი.** წელან იქ, ზევით მამიჩემისეული ჩიბუხი ვიპოვნე.
- შასტ.** ეჟე! განა არა!
- ალგინგ.** რა გაგიკვირდათ, ბატონო პასტორო!
- შასტ.** წელან ოსვალდი ყალიონით პირში რომ შემოვიდა, ასე მეგონა მამა მისი გაცოცხლებულა მეთქი.
- ასგალდი.** მართლა?
- ალგინგ.** უკაცრავათ, ოსვალდი მე უფრო მგავს.
- შასტ.** პირის კილოები, ტუჩებთან ისეთის მოყვანილობისა აქვს, რომ საოცრად ემგზავსება მამა-შისკ, ნამეტნავად თუთუნის წევის დროს.
- ალგინგ.** სრულიადაც არა. თქვენ სცდებით. ოსვალდი სახით პასტორს უფრო ჰყავს.
- შასტ.** თქვენც მართალი ხართ. ბევრ ჩემ თანამოსამსახურესა აქვს ოსვალდის მინაგვარი სახის ნაკვთები.
- ალგინგ.** გადააგდე, ჩემო შეილო, ე ჩიბუხი. არა მსურს, რომ აქ შენ თუთუნსა სწევდე.
- ასგალდი** (ასრულებს დედის თხოვნას). ძრიელ კარგი... მაინც და მაინც თუთუნის დიდი მოტრფიალე არ გახლა-

ვართ, მინდოდა მხოლოდ ერთხელ კიდევ მეგერნა თუთუნი მამის ჩიბუხიდან... ჯერ ისევ პატარა ვიყავ, როდესაც ამ ჩიბუხით თუთუნს ვეწეოდი ხოლმე.

ალგინგ. შენა?

თსგალდი. დიახ! მე!... მაშინ სულ ქორფა. და მახსოვს, რომ ერთ საღამოს, როდესაც მამაჩემი ძრიელ მხიარულ გლეხაზე იყო...

ალგინგ. არა, ჩემო შვილო, შენ იმდროისა არა გეხსომებარა.

თსგალდი. ძრიელ მშვენივრათ მახსოვს. მახსოვს, მამაჩემმა და-მისვა მუხლზე, მომცა პირში ჩიბუხი და ალერსიანათ მითხრა: მოსწიე, შვილიკოო. მე დავუწყე თუთუნს წევა და ვწიე იქამდის, ვიღრე ჭირის ოფლა არ დამასხა და არ გავფიტრდი, არ დავრეტიანდი, მა-შინ კი მამაჩემმა ასტეხა ხარხარი.

ჰასტ. უცნაურია, უცნაური!

ალგინგ. ალბათ, თუ გესიჩრა, ასვალდ, ეგ ამბავი.

თსგალდი. მესიჩრა კი არა და! არ გახსოვს—რავენა... შენ თვითონ შემოხვედი მამასთან, დამავლე ხელი და ბავშვთა ოთახში გამიყვანე, აქ მე გული წამივიდა და შენ კი მორთე ტირილი... დედილო, ხშირად ხუმრობდა ხოლმე მიმაჩემი?

ჰასტ. ახალგაზღობისას მეტის-მეტი მხიარული კაცი იყო.

თსგალდი. და ამდენი კეთილისა და სასარგებლო საქმის გაკეთება მაინც მოასწრო ჭვეყნათ? ის ხომ ახალგაზდა გარდაცვლილა?

ჰასტ. დიახ, თქვენა ხართ მემკვიდრე ღირსეულისა და კეთილ მოქმედის კაცისა, რამაც თქვენც უნდა გა-გამხნევოთ. იმედია, რომ მამის კვალზე წახვალთ.

თსგალდი. ეს ასეც უნდა იყოს.

ჰასტ. ძალიან კარგი გინებებიათ, რომ სახლში დაბრუნდით ამ ღროს, როდესაც მამაშენის სასახელოთ აგებული თავშესაფარი უნდა ვაკურთხოთ.

თსგალდი. ეს ხომ სულ მცირე პატივისცემაა მამი·ჩემის სახსენებელისა?

ალგინგ. ყველაზე დიდი პატივისცემა კიდევ ის არის, რომ ჩემი შვილი ჩემთან დიდ-ხანსა რჩება..

შასტ. მართლა, მთელი ზამთარი აქ უნდა გაატაროთ?

თსგალდი. მყონი, გადაჭრით ვერას გეტყვით... ოხ! რა კარგია თავის სახლში ყოფნა.

ალგინგ. (ალტაცებული). ოღონდაც, შვილო, ოღონდაც...

შასტ. (თანაგრძნებათ უუურებს თსგალდს). როგორც ვხედავ, ცხოვრების მორევში აღრე შეგიტოპნიათ, ჩემო ძვირფასო ისვალდ!

თსგალდი. ერთათ მართალი ხართ, მაგრამ მე კი ხანდახან მგონია ხოლმე, რომ ძალიან აღრე არ არის.

ალგინგ. რასაკვირველია, აღრე არ არის. ჭიკვიან ჭაბუკს ცხოვრების ცოდნა სარგებლობას აძლევს. მერე თუ დედის ერთაცა ეს ჭაბუკი. დედის ერთა დედმამაზე მოშორებით უნდა იზრდებოდეს, თორემ მეტის ალერსით გაათამამებენ.

შასტ. ნება მიბოძეთ არ დაგეთანხმოთ, ქ-ნო ელენე. მშობლების სახლი ყოფილა და იქნება კიდეც ერთად ერთი სათანადო ბინა ბავშვისათვის.

თსგალდი. მე სავსებით ვეთანხმები ბ-ნ პასტორს.

შასტ. აბა შეხედეთ თქვენ საკუთარ შვილს.—პირში თქმა სჯობია—რა მისცა მას სახლზე დაშორებამ. კაცი ოცდა ხუთის, ოცდა ექვსის წლისადა მაგას კი ჯერ შემთხვევა არ ჰქონია განეცადა ოჯახური ცხოვრება.

თსგალდი. უკაცრავად კი ვარ, და თქვენ სასტიკადა სცდებით, ბ-ნო პასტორო.

შასტ. ნუ თუ? მე კი შეგონა, რომ აქამდე მარტო მხატვართა შორის ტრიალებდით.

თსგალდი. სრული ჭეშმარიტებაა!

შასტ. განსაკუთრებით მხატვართა წრეში, არა?

თსგალდი. დიახ, რასაკვირველია!

პასტ. და რაღგანაც მხატვართა უმრავლესობას შეძლება
არა აქვს ოჯახურ ცხოვრებას მოეკიდოს, კერა დაი-
არსოს.

ასგალდი. მართალთ ხართ. ბევრ მხატვარს გარემოება ნებას
არ აძლევს ცოლი შეიძროს.

პასტ. მეც მაგას მოგახსენებთ!

ასგალდი. მხოლოდ ის კი გავიწყდებათ, რომ მხატვრებს მა-
ინცა აქვთ თავიანთი ბინა და ბევრი მათგანი ბედ-
ნიერ ოჯახურ ცხოვრებას ატარებს.

ასგალდი. (გაფაციცებით უკრს უკდებთ, თავს აქნევს და კი არა-
ფერს ამბობს).

პასტ. მარტოხელურ, უცოლით ცხოვრებაზე როდი გე-
ლაპარაკებით. ბინას, სახლს მე იმას ვეძახი, რო-
დესაც მამაკაცი სცხოვრობს თავის კანონიერ ცოლ-
შვილში.

ასგალდი. ანუ როდესაც მამაკაცი სცხოვრობს თავისს შვი-
ლების დედასთან.

პასტ. (გაჩუმდება და მერე გავვირვებით გააქნევს ზედებს) უყურეთ ამას! ღმერთო მოწყალეო.

ასგალდი. რა იყო?

პასტ. როდესაც მამაკაცი სცხოვრობს თავისს შვილების
დედასთან?

ასგალდი. მაშ, თქვენის აზრით, კაცმა პანლური უნდა ჰქრას
თავის შვილების დედას?

პასტ. მაშ თქვენ მსჯელობთ უკანონო ურთიერთობაზე,
ეგრეთ წოდებულ სამოქალაქო ქორწინებაზე?

ასგალდი. უცნაური და არა ჩვეულებრივი ამ გვარ დამოკიდე-
ბულებაში მე არა შემინიშნავს რა!...

პასტ. განა შესაძლებელია, რომ... რომ ახალგაზდა კაცმა,
გინა ქალმა საზოგადოების წინაშე ასე თავისუფლათ
იცხოვროს?

ასგალდი. მაშ რა გნებავთ. წარმოიდგინეთ ახალგაზდა, ღარიბ-
ლატაკი მხატვარი და ღარიბ ღატაკივე გასათხოვარი

ქალი! ჯვრის წერა და სხვა ათასი დავიდარაბა ძვირათა ღირს. მაშ რა უნდა ქნან?

პასტ. (დედლეგებით). ის უნდა ქნან, ბატონო ალვინგო, ერთმანერთისაგან შორს იცხოვრონ, ერთმანერთს არა ხვდებოდნენ. აი რა უნდა ქნან!...

ასგალდი. ეგ სიტყვები გულს ვერ უპოვნის შეყვარებულ ახალგაზრდათ.

ალგინგ. შენ ხომ გიპოვნის?!

პასტ. (განაგრძობს თავის სიტყვას) არა, მე. ის მიკვირს მთავრობა როგორ აძლევს ნებას ასეთ ურთიერთობისას. როგორ შეიძლება ასეთი სამარცხვინო დამოკიდებულება. (მიუბრუნდება ქ.ნ ალგინგისას) განა მე ტყვილად მეფიქრებოდა თქვენი შეილისა! იმ საზოგადოებაში, სადაც უზნეობა დაუფარავათ სუფევს, სადაც ფეხი მაგრა მოუკიდნია უსირცხვილობას...

ასგალდი. ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა კიდევ. მოგახსენოთ. მე მყვანდა ორი ნაცნობი ოჯახი — თავისუფალ ურთიერთობაზე დამყარებული და ყოველკვირა დღეს ვინახულებდი ხოლმე.

პასტ. მერე ისიც კვირაობით, საუფლო დღეს, ინახულებდი ხოლმე.

ასგალდი. მაშ როდისა გვაქვს თავისუფალი დრო, თუ არა კვირაობით! და წარმოიდგინეთ ამ ოჯახებში ერთხელაც არ გამიგონია ურიგო, უწესო სიტყვა. ერთხელაც არ მინახავს ის, რასაც უწესოების სახელი დაერქმევა. თქვენ იცით უწესოება და უზნეობა როგორ მხატვართა ოჯახებში მინახავს?

პასტ. არ ვიცი და ლერთმა ნურც მაცოდინოს.

ასგალდი. მაშ მოგახსენებთ, უწესოება ჩაუდენიათ იმ ჩვენ ქებულ მეუღლეთ, რომლებიც გასართობათ, დროს გასატარებლათ, მოსულან სამზღვარ-გარეთ და ჩვენ სანახავათ მხატვართა გასართობ აღვილებში დაიარებოდენ. არ, ამ ჩინებულ მეუღლეთ ისეთი საქმე-

ები უაშტნიათ, ისეთი გარყვნილობა ჩაუდენიათ და ისეთი ადგილები უნახავთ, რომ კაცს თმა ყალყზე დაუდგება.

ბასტ. თქვენ ამტკიცებთ, რომ პატივსაცემი ჩვენ ებურები...

ასგალდი. დიახ, ჩვენ ებურები! თქვენ კი ვინ იცის როგორის ზიზღით გიამბობდენ ხოლმე სამზღვარ-გარეთ გავრცელებულ უზნეობაზე...

ბასტ. რასაკვირველია.

ალგინგ. ჩემთვისაც უაშტნიათ.

ასგალდი. მოდი და ახლა თქვენ იმათ დაუჯერეთ (თავზე ხელს იტაცებს). განა, როგორა ბედავენ აქაურ თავისუფალ მშვენიერ ცხოვრების კიცხვა-გმობას!

ალგინგ. ნუ ცხარობ, შვილო, ალელვება არ გარგებს.

ასგალდი. შენ მართალი ხარ, დედილო, გულქარობა მავნებს... ოხ, ეს დაწყევლილი დალლილობა, სულ ამისი ბრალია. ახლა კი წავალ და სადილობამდის ცოტას გავივლი. უკაცრავად, ბატონო პასტორო, ნურა გეწყინებათ-რა. მე ხანდისხან რაღაც მემართება ხოლმე (გადის მეორე კარებში მარჯვნივ).

ალგინგ. საბრალო ჩემი ბიჭუნია!

ბასტ. ოლონდაც! დახე რა მოსვლია!

ალგინგ. (პასტორის შეჭურვებს, სდემს).

ბასტ. (ბოლოთას სცემს თთახში). თავის თავს ტყუილად კი არ უწოდა უძღები შვილი... სამწუხაროა!

ალგინგ. (კიდევ უმშერს).

ბასტ. აბა, ახლა რასა ბრძანებთ.

ალგინგ. ოსვალდი ყველაფერს მართალს ამბობდა.

ბასტ. მართალს? მაგ აზრების პატრონი მართალია!..

ალგინგ. წარმოიდგინეთ, რომ ჩემმა მარტოობამ, მუდმივმა ფიქრმა, მეც იმ დასკვნამდის მიმიყვანა, როგორის აზრისაც ჩემი შვილია. მე ვერა ვბედავდა თქმას და ჩემ მაგიერათ ჩემმა შვილმა ალიარა.

- პსეტ.** თუ ეგრეა, სწორედ სიბრალულის ღირსი ყოფილნართ, ქ-ნო!, და ამიტომ მინდა უფრო გულდასმით მოგელაპარაკო ამ საგნის შესახებ. ამ უამად თქვენ წინა დგას არა თქვენი მოათბირე, არა თქვენი და თქვენის მეუღლის სიყრმის მეგობარი, არამედ მოძღვარი, რომელსაც თქვენის სასოწარკვეთილების ღროს არა ერთხელ და ორჯელ დაუმშვიდებიხართ.
- ალგინგ.** ნეტა რა უნდა მითხრათ ჩემმა მოძღვარმა.
- პასტ.** პირველ ყოვლისა მსურს აღვიძრათ მოგონებანი. ხვალ სწორეთ ათი წელიწადი შესრულდება, რაც თქვენი მეუღლე მიიცვალა, ხვალვე ვაკურთხებთ ძეგლს მისს სამარადისო სახსოვრათ აგებულს, ხვალვე საჯაროთაც ვაღიარებ მისს ქველობას, ახლა კი მსურს მარტო თქვენ მოგელაპარაკოთ.
- ალგინგ.** ყურს გიგდებთ, ბ-ნო პასტორო, აბა დაიწყეთ.
- პასტ.** გაიხსენეთ, ქ-ნო, რომ ჯერ ერთი წელიწადიც არ გასულიყო თქვენის შეუღლების დლიდან და დალუპვის ნაპრალზე მოექეცით. მიატოვეთ ქმრის კერა, თვით ქმარი და გაიქეცით, დაახ გაიქეცით და აღარც აპირებდით უკან დაბრუნებას, თუმცა ქმარი ძალზე გეხვეწებოდათ.
- ალგინგ.** ის კი დაგავიწყდათ, რა მდგომარეობაში ვიყავ აშ პირველ წელიწადს, რა უსამზღვრო უბედური ვიყავ?
- პასტ.** სული ბოროტებისა ამძრავებს კაცს, როდესაც იგი ცხოვრებისაგან ბედნიერებასა თხოულობს, თორებ რა ნება გვაქა ჩვენ ბედნიერებისა. არა, ქალბატონო, ჩვენ მარტო ჩვენი მოვალეობა უნდა ავასრულოთ. თქვენი მოვალეობა კი ის იყო, რომ ქმარს არ განშორებოდით, არ გაქცეოდი იმ კაცს, რომელიც შენ ამოირჩიე, და რომელთანაც შეგაერთა ეკკლესიაშ სამღვთო კავშირით.
- ალგინგ.** თქვენ კარგათ იცით, როგორს ცხოვრებასაც ატარებდა მაშინ ალვინგი, რა თავ-დაუჭერლობასაც ეძლეოდა.

- ბასტ.** დიახ, ვიცი რა ჭორებიც დადიოდა იმის შესახებ და არც ვამართლებ მისს საქციელს, თუ კი ეს ხმები მართალია, მაგრამ ცოლი ქმრის მსაჯული კაცი არ უნდა იყოს. თქვენ მოვალე იყავით მოთმინებით გეზიდნათ ის ჯვარი, რომელიც შემომქმედმა წილათ გარგუნათ, თქვენ კი მიატოვეთ იგი, უკუ აგდეთ ჯვარი თვისი და კინაღამ არ დაღუპეთ კეთილი სახელი თქვენის მეუღლისა, თქვენის ოჯახისა და სხვებისაც...
- აღვინგ.** სხვებისაც? მგონი, თქვენ „სხვისაც“ უნდა გეთქვათ. **ბასტ.** მეტის მეტი მოუფიქრებლობა იყო თქვენის მხრით, რომ თავშესაფარს ჩემთან ეძებდით.
- აღვინგ.** მერე რა საკვირველია. თქვენ იყავით ჩვენი მღვდელი და მეგობარი ჩვენის ოჯახისა.
- ბასტ.** სწორეთ იმიტომაც არ უნდა მოსულიყვავ ჩემთან. ჰმადლიდეთ ღმერთს, რომ იმდენი ხასიათის სიმტკიცე კიდევ შეგრჩა, რომ თქვენი სულელური გეგმები დავარღვიე და დაგაყენეთ მოვალეობის გზაზე, დაგაბრუნე თქვენ კანონიერ მეუღლესთან.
- აღვინგ.** დიახ, ბ-ნო პასტორო, ჩემი ქმართანავე დაბრუნება თქვენი ბრალი იყო.
- ბასტ.** მე მხოლოდ იარაღი ვიყავ ყოვლად ძლიერის ღვთის ხელში, ხოლო თუ მე შევძლე ჩამეგონებინა თქვენთვის თქვენი მოვალეობა და თუ ჩემის სიტყვით ხელ მეორეთ იკისრეთ ჯვარი თქვენი, განა ამითი და შავდა რამე? განა ჩემი დაპირებანი არ გამართლდენ? განა ალვინგმა ხელი არ აიღო უწესო ცხოვრებაზე, არ დაგიმეგობრდა და მთელი შემდეგი ცხოვრება პატიოსნურათ არ გაატარა? განა იგი მთელის ოლქის. კეთილ მყოფელი არ შეიქმნა? განა შენ არ შეიქენი მისი პირველი მრჩეველი და თანაშემწე და შერე თანაშემწეც თანაშემწესა ჰქვიან. ამ მხრივ ხომ კარგათ გიცნობ—მაგრამ ახლა მინდა მეორე შეცდომაც მოგაგონო.

- ალგინგ.** ვითომ კიდევ რის თქმას აპირებთ?
- შასტ.** იმისას, რომ, როგორც ერთხელ უარ ჰყავით მოვალეობანი ცოლისა, ისე შემდეგში გაექეცით მოვალეობათ დედისას.
- ალგინგ.** ოხ!
- შასტ.** თქვენ ყოველთვის თქვით-ნება და თავქეიფა იყავით, საკუთარის გულის თქმით გატაცებული, ივიწყებდით ხოლმე კანონის მოთხოვნილებათ, ვერ ურიგდებოდით ოჯახურ კალაპოტს და შევიწროვებათ. ყველის, რაც კი ცხოვრებაში გაწუხებდა, წინ დაუხედავათ იშორებდით თავიღან და იშორებდით ისე თამამათ, რომ თავის დღეში სინიდისის ქეჯნაც კი არ გიგრძენიათ. თქვენ არ მოგეწონათ ცოლობა და წიხლი დაჭკარით ცოლ-ქმრულ მოვალეობათ, არ მოგეწონათ დედობა, გემძიმათ იგი და თქვენი შვილი სხვას მიუდგეთ აღსაზრდელათ.
- ალგინგ.** დიახ, მართალია, მართალია!
- შასტ.** სამაგიეროთ, თქვენც თქვენი შვილისათვის უცხო შეიქენით.
- ალგინგ.** არა, არა... მე იმისთვის უცხო არა ვარ.
- შასტ.** ხართ, უცხო მეთქი და არც შეიძლება, რომ უცხო არ იყოთ. აბა შეხედეთ, როგორი შვილი დაგიბრუნდათ? დაუიქრდით კარგათ, ქ-ნო! თქვენ ბევრი შესცოდეთ ქმრის წინაშე—ამას თქვენვე კარგათ გრძნობთ, რომ სამარადისო ძეგლი აუგეთ თქვენ ქმარს, მის სახსენებელს, რომელიც ხვალ უნდა ვაკურთხოთ. გამოტყდით, რომ თქვენ შემცოდე ხართ შვილის წინაშეც. დროა, დრო შეაჩეროთ იგი და რისაც გასწორება კი შეიძლება, გამოასწოროთ, გამოაკეთოთ, მოაბრუნოთ იმ უკულმართ გზიღან, რომელზედაც თქვენი შვილი შემდგარა. იმიტომ რომ, (საჩვენებელ თითს მაღლა ასწევს) მართალი რომა ვსოდეა, თქვენ დიდი შემცოდე დედა ხართ! მოვა-

ლე ვიყავ, რომ მემხილებინე და აპა ყოველივე
გამხილე კიღეც (ჰაუზა).

აღგინგ. (ნელა და თავდაჭერით). თქვენ თქვენი სთქვით და
ხვალაც, ერის წინაშე, ქება დიდებით შეამკობთ
ჩემის ქმრის სახელს. რასაკვირველია, ხვალ მე არა
მეთქმის-რა, მაგრამ დღეს-კი მეც მინდა ყველაფერი
გულ ახდით მოგახსენოთ ისე, როგორც თქვენ მე-
ლაპარაკეთ მოურიდებლათ.

შასტ. თავის გაძართლება გნებავთ!

აღგინგ. არა, შე მსურს ცოტა რამ გიამბოთ.

შასტ. ბრძანეთ!

აღგინგ. ისა, რაც ახლა აქა სთქვით ჩემის ქმრისა, ჩვენის
დამოკიდებულებისა, ჩვენის ოჯახისა და აღდგენილ
მოვალეობის შესახებ—თქვენის დაკვირვების ნაყო-
ფი არ გახლავთ. თქვენ ყურ მოკრული ამბები მო-
მიყევით, რადგანაც მას შემდეგ, რაც მე, თქვენის
მეოხებით, ქმარს დავუძრუნდი, თქვენ—უკეთესი მე-
გობარი ჩვენის ოჯახისა და მისი მუდმივი სტუმარი—
ერთხელაც აღარ ყოფილხართ ჩვენსას.

შასტ. თქვენ ხომ მაშინვე ქალაქიდან სოფლად გადმოსა-
სახლდით?

აღგინგ. დიახ, და თქვენ კი ჩემი ქმრის სიცოცხლეში ფეხი
აღარ დაგიდგამთ აქ—ვიღრე საჭიროებისა გამო არ
დაგიბარეთ და თავ შესაფარის მოწმობა არ ჩაგაბარეთ.

შასტ. (ხმა დაბლა გაუბედავათ). ელენე, თუ მისაყველურებთ,
სჯობს დაფიქრდეთ.

აღგინგ. რასაკვირველია, თქვენ მდგომარეობა ნებას არ
გაძლევდათ მოსულიყავით ჩვენსას ხომ? ან კი რო-
გორლა გაბედავდით ნაცნობობას იმისთანა დედა-
კაცისას, რომელიც ქმარს გაექცა! თავ-დაუჭირელ
დედაკაცის მეგობრობას საზოგადოთ სთვლიან უხ-
ერხულად.

შასტ. ძვირფასო ელენე, მგონი, თქვენ ცოტათი აჭარბებთ.

- ალგინგ.** დევ, ისე იყოს, როგორც თქვენა გვონიათ, მაგრამ, მე კი მოგახსენებთ, რომ ის მსჯავრი, რომელიც თქვენ წარმოსთქვით ჩემისა და ჩემის ოჯახის შესახებ, დაფუძნებულია მარტო ჭორებზე.
- პასტ.** მერე?
- ალგინგ.** და ამიტომ მინდა სიმართლეს ფარდა აეხადო. მე აღთქმა მქონდა დადებული, რომ მელიარებინა სიმართლე მარტო თქვენ წინაშე და ყოველივე მეამბნა მარტო თქვენთვის....
- პასტ.** ნეტა რა სიმრთლეა?
- ალგინგ.** ის სიმართლე, რომ ჩემი ქმარი ისეთივე უზნეობაკვდა, როგორიც უზნეო მთელ თავისი სიცოცლეში იყო!
- პასტ.** (სკამს მოჰქიცება) რა სთქვით.
- ალგინგ.** ცხრამეტის წლის ოჯახურის ცხოვრების შემდეგ, ისეთივე გარყვნილი იყო, როგორც ჩვენ ქორწინებამდის.
- პასტ.** ყმაწვილურ გატაცებას, თუნდა ჭაბუკურ თავ დაუკერლობით გამოწვეულს შეცდომებს, თქვენ გარყვნილობას ეძახით?
- ალგინგ.** ასე უწოდა მის ცხოვრებას ჩვენმა სახლის ექიმმა.
- პასტ.** თქვენი არა გემეგება-რა...
- ალგინგ.** გასაგები ბევრიც არა არის-რა.
- პასტ.** სწორეთ ტვინი მერყევა... ნუ თუ თქვენი ოჯახური ცხოვრება, ხანგრძლივი ურთიერთობა ასეთი უძირო უფსკრული იყო, რომ გარეშე თვალმა ვერა შეამჩნია-რა?
- ალგინგ.** სწორეთ რომ უძირო უფსკრლი იყო. ახლა ხომ მიხვდით.
- პასტ.** მაინც არა მესმის-რა. ვერ წარმომიდგენია, აზრები ვერ მომიკრებია. როგორ მოხდა ყველა ეს? როგორ მოახერხეთ ამდენი წლის განმავლობაში სიმართლის დამალვა?

აღგინგ. მე დლითი დღე ვიბრძოდი, ვიტანჯებოდი სიმარ-რთლის დასაფარავად. როდესაც ოსვალდი დაიბადა, ალვინგი თითქოს გამოიცვალა საუკეთესოთ, მაგრამ ეს გამოცვლა დღე-მოკლე გაშოდგა. მაშინ კი ორ-კეცი ბრძოლა დამჭირდა. ვიბრძოდი სამკვდრო-სა-სიკოცხლოთ, არ მინდოდა სკოდნოდათ — რა კაციც იყო მამა ჩემის შვილისა. თქვენ ხო იცით რა მიმ-ზვიდველობისა იყო ოლვინგი. არავის არ სჯეროდა მისი ავკაცობა. იგი ეკუთნოდა ისეთთა გუნდს, რო-მელთა ბიწიერ ცხოვრებასაც აბრუს გატეხა არ შე-დევს. შემდეგ-კი თქვენ ესეც უნდა იკოდეთ — შემდეგ ისეთი რამ ჩაიდინა, რომ თავის საზიზლრო-ბით ყველაფერს გადააჭარბა.

პასტ. კიდევ ამაზე უარესი საზიზლრობა, რაც უკვე ჩაი-დინა?

აღგინგ. დიახ... ი იქ (უჩენებს მარჯვნივ ჰირველ კარებზე) მოხდა ყველაფერი. სასტუმრო ოთახში შევნიშნე... რაღაცასთვისაც დამჭირდა აქ შემოსვლა, კარები ნა-ხევრად იყო გაღებული და დავინახე ჩვენი მოახლე, რომელიც ყვავილების მოსარწყავად შემოსულიყო. მერე?

აღგინგ. ცოტა ხნის შემდეგ ალვინგიც შემოვიდა. გავიგონე, რომ ყურში რაღაც წასჩურჩულა, მერე კი მკაფიოდ მომესმა (მფელეთ იცინის). ოხ ის სიტყვები! ახლაც ყურში გამოწივიან, გულს მიღადრვენ და მეტის-მეტ სასაცილოდ მეჩვენება — მე მომესმა, რომ ჩემმა მოა-ხლემ უთხრა „თავი დამანებე ბ-ნო კამერჟერო, ჩამო-მეხსენითო!

პასტ. მეტის-მეტი შოუფიქრებელი ცელქობა მოსვლია, ქ-ნო ელენე, დამერწმუნეთ, სხვა სახელი არ დაერქ-მის მისს საქციელს.

აღგინგ. შემდეგ გავიგე, რომ კამერგერმა თავისი გაიტანა, დაუკავშირდა მოახლეს და ამ კავშირმა ნაყოფიც გა-მოიღო, ბატონო მანდერს!

- შასტ.** მერე ეს ყველაფერი ამ სახლში მოხდა, ამ სახლში? დიახ, ამ სახლში, სადაც ბევრი შავბნელი დღე გამიტარებია... ეს კიდევ ცოტაა! რადგანაც მინდოდა ხოლმე, რომ ლამე შინ დამეკავებინა ალვინგი — იძულებული ვიყავ მელოთნა მასთან ერთად, ჭიქა-ჭიქაზე შიმეხალებინა, ყური მეგდო მისი ლოთი-ფოთურის მსჯელობა-ყბედობისათვის და მთელი ლამები მეყარაულნა, რომ გალე შილი არსად გაპარულიყო...
- შასტ.** (შეწუხებული). ნეტავი თქვენს მოთმენას!
- აღვანგ.** დიახ! ყველაფერს ვითმენდი ჩემი შვილის გულისათვის. მაგრამ უკანასკნელი შეურაცყოფა — ჩემს მოახლეზე გაცვლა-კი ვეღარ ავიტანე და ჩემ თავს შევფიცე, რომ ბოლო უნდა მოუღო ასეთ ყოფნას მეთქი. მოვიგდე ხელში უფროსობა — დავიშონავე ქმარიც და სახლიც. მას წინააღმდეგობა აღარ შეეძლო, რადგანაც მისი გარყვნილების ნაყოფი ხელში მყავდა. მაშინ იყო, რომ ოსვალდი სახლს მოვაშორე. შვილი წლის ყმაწვილი უკვე გონებაში ჩავარდა და ყველაფერი ესმოდა, ყველაფერს გრძნობდა და, როგორც ბავშვებსა სჩვევიათ, ყველაფერს მეკითხევოდა. მე მეგონა, რომ ბავშვი მოიშხამება მეთქი ამ მყრალი ატმოსფერით და იმიტომ მოვაშორე იგი სახლიდან, იმიტომ მამის სიცოცხლეში შინ აღარ დამიბრუნებია. განა იცის ვინმემ რა ტანჯვა ავიტანე!?
- შასტ.** ახლა კი ვხედავ, რომ დიდ უბედურებაში ყოფილ-ხართ!
- აღვანგ.** მე ვერ ავიტანდი ამ ცხოვრებას სამუშაო რომ არ გამომჩენოდა. და მართალი უნდა გითხრა, ვმუშაობდი დღე და ღამ. ყველა ახალი ნასყიდობა, მამულების გაფართოვება, აღგილ-მამულის დამუშავება, ყველა ის საქმები, რამაც ალვინგს სახელი გაუთქვა, ჩემი ნამოქმედარია. იქნება თქვენა გგონიათ ალვინ-

გი რაიმე მონაწილეობას იღებდა? სრულიადაც არა, ის მთელი დღე გაუნძრევლად იღო სავარძელში და ძველ კალენდარს კითხულობდა. იყო ხოლმე დრო, როდესაც ფხიზლდებოდა, ნანობდა თავისს საქციელს და მაშინ მე ვამხნევებდი, იმიტომ რომ, როცა ისევ თავდავიწყებას ეძლეოდა, მარტო მე დავტანჯულვიყავ...

- პასტ.** მერე იმისთანა კაცს ძეგლს უდგამთ?
- ალგანგ.** დიახ, მისის უწმინდურის სინიდისის გასაწმენდათ.
- პასტ.** როგორ თუ უწმინდურ სინიდისის გასაწმენდაო, მე არ მესმის?
- ალგანგ.** მე მეგონა სიმართლე არ დაიმალებოდა, ერთხელაც იქნებოდა გაიგებდენ ყველაფერს და მითქმა-მოთქმის ასალაგმავათ თავ-შესაფარი გამოდგება.
- პასტ.** თქვენ კიდეც მიაღწიეთ თქვენს მიზანს, ქნო ალვინგ.
- ალგანგ.** გარდა ამისა მე სხვა საკუთარი მიზანიცა მქონდა. მე არ მსურს ოსვალდს მამისეული დარჩეს რამე.
- პასტ.** მაშასადამე, თავ-შესაფარი ალვინგის ფულებითაა აგებული?
- ალგანგ.** დიახ, ის ფულები, რომელთაც მე წლითი-წლობით ვსწირავდი ხოლმე თავ-შესაფარს—ახლა შეადგენს სწორეთ იმ ჯამს, რომლის მეოხებითაც კაპიტანი ალვინგი ბრწყინვალე საქმროთ ითვლებოდა.
- პასტ.** ახლა კი ყველაფერი მესმის...
- ალგანგ.** მე არ მსურდა ეს სავაჭროთ გამხდარი ფულები ოსვალდს დარჩენოდა. ოსვალდმა ყველაფერი ჩემგან, ჩემგან უნდა მიიღოს.
- თავალდი** (შემთდის მეორე კარებიდან შარჯვნივ. ქუდი და ჰალტო მეორე თთახში დაუტოვებია).
- ალგანგ.** (მიეგებება). ისევ დაბრუნდი, ჩემთ ძვირფასო, საყვარელო ბიჭუნია?

- ასგალდი.** ამ საძაგელი წვიმის გამოისობით კაცს ფეხი ვერსად გაუდგამს. მგონი მალე საღილიც მზათ იქნება. საღილი ყველაფერს სჯობია.
- რებ.** (დაბეჭდილი ჰაკეტი უჭირავს, სასადილო ათახიდან). ქალბატონო, წერილი გახლავთ თქვენ სახელობაზე (გაუწოდებს).
- ალგინგ.** (პასტონს შეხედავს). ეს უთუოდ ნოტებია ხვალისათვის.
- პასტ.** ოჟო!
- რებ.** საღილი მზათ გახლავთ.
- ალგინგ.** ძალიან კარგი, ახლავე მოვალთ, მე მხოლოდ მინდა გავიგო (ხსნის ჰაკეტს).
- რებ.** (ასგალდი). ბატონო, როგორი ღვინო მოგართვათ, თეთრი თუ წითელი?
- ასგალდი.** ერთიცა და მეორეც, M-elle ენგსტრანდ!
- რებ.** ძრიელ კარგი, ბ-ნო ალვინგ. (მიდის სასადილო ათახში).
- ასგალდი.** წავალ, ბოთლების გახსნას ვუშველი (გადის სასადილო ათახში. კარები ნახევრათ დია რჩება).
- ალგანგ.** (გახსნის ჰაკეტს) მართლა ნოტები ყოფილა, ბ-ნო მანდერს.
- პასტ.** (გულ-ხელ დაკრებილი). არა, ახლა ეს მიბრძანეთ, რა სინიდისით და უნდა ვსთქვა ხვალ სიტყვა?
- ალგანგ.** არაუშავს-რა... როგორც იყოს...
- პასტ.** (ხმა დაბლა, რომ სასადილო ათახში არ გაიგონონ). ასეა თუ ისე, ეჭვი არავის უნდა ალვუძრათ.
- ალგანგ.** რასაკვირველია, მაგრამ ხვალიდან კი ბოლო უნდა მოელოს ამ საზიტლარ კომედიას, ზეგიდან ისე უნდა დავიწყო ცხოვრება, თითქოს უბედური ჩემი ქმარი ქვეყნათ არც კი ყოფილიყოს. ამ სახლებში ჩემის შვილის და მის დედის მეტს ადგილი არა ვისა აქვს!... (სასტუმრო ათახიდან მთისმის გადაბრუნებული სკამის ასუნი და ხმა რეგინასი).
- რებ.** (მტკაცეთ, ჩურჩულით). ხომ არ გადაირიე, ლსვალდ. გამიშვი მეთქი!

- აღგინგ. (შეძრწუნებული შეკრთება). ააახ!.. (ჭკუა შეშლილივით
მისჩერება ნახევრათ გაღებულ კარებს. მთისმის ასვალ-
დის სვეტა და მერე დიდინი. ბუთლიკებიდან პრიზებს
იღებენ).
- პასტ. (შეშფრთებული). რა უბედურებაა ეს, ბ-ნო ელენე!
- აღგინგ. (ხმა ჩახლეწილათ). მოჩვენებაა, ჩემგან ოდესლაც ნა-
ხული სურათი გაცოცხლდა.
- პასტ. რა სთქვით? რეგინა? ნუ თუ ეგ არის ის ნაყოფი!
- აღგინგ. ღიახ! წავიდეთ. ხმა აღარ ამოილოთ; (პასტონს
მყლავს მყლავში გაუკრის და ბარბატით სასტუმრო დთა-
ხისკენ გასწევს).

და ებალაძე.

(ზარდა).

უსინათლოო მემუსიქე

გლად. ქორთლენჯოსი *)

(ეტიუდი)

თავი 800826.

I.

მეორე დღეს უსინათლოს აღრიანად გამოეღვიძა. ოთახში მყუდროება იყო, სახლშიაც ჯერ მოძრაობა არ დაწყებულიყო. ღია ფანჯრიდამ, რომელიც მთელი ღამე არ მიეხურა, დილის სიგრილე შემოდიოდა. ჯერ კიდევ მთლიანად არ აღედგინა წინა დღით მომხდარი ამბავი პეტრეს გონებაში, მაგრამ მთელი მისი უსება რაღაცა ახალის, ჯერედ უცადის შეგრძნებით იყო აღსავსე.

რამდენსამე წამს ასე იწვა ლოგინში და ბალში ნელად მოჭიკვიკე რომელსაღაც ჩიტსა და თავისს გულში აღძრულს უცნაურს გრძნობას ყურს უგდებდა.

„ეს რა მოხდა ჩემს თავსა?“ — გაითიქრა პეტრემა და იმავ წამს გუშინ საღამოსას ძველ წისქვილთან ნათქვამი ეველინას სიტყვები გაახსენდა: „ნუ-თუ ეს, მაშ, ფიქრად არსად არ მოგსვლია?... რა სულელი ხარ!..“

მართლაც რომ არსად ამაზე არ უფიქრია. სიახლოვე მისი ესიამოვნებოდა, მაგრამ გუშინდღამდე ეს არ უგრძვნია,

*) იხ. „მოამბე“ № V, 1904 წ.

როგორც არა ვგრძნობთ იმასა, რომ ჰაერითა ვსუნთქავთ. ისრევე მოპევდა ეს უბრალო სიტყვები გუშინ მისს გულს, როგორც შუშასავით მოელვარე წყლის ზედაპირს დაეცემა ხოლმე ზევიდგან ქვა და ერთის წამის წინად სრულიად წყნარსა და დამშვიდებულს, კაშკაშა მზე და ლაშვარდი ცა რომ შიგ ეხატებოდა... უცბად ღრმად შეარყევს ხოლმე ძირამდე.

ახლა მან სრულიად განახლებულის სულით გამოიღიძა და თავისი დიდი-ხნის მეგობარიც სულ სხვა, ახალ ადამიანად ეჩვენებოდა. იგონებდა იგი წინა დღის ყველა წვრიმალებსა და ეველინას „ახალის“ ხმის გასაკვირველს კილოს უგდებდა კურსა, რომელმაც ისე გამოუფხიზლა ოცნებობა. „რა სულელი ხარო!“...

წამოხტა უცბად, ჩაიცვა და ბაღის ნამიან ბილიკით ძველი წისქვილისაკენ გაექანა. ისევე გუშინდელებზე მოჩუხებუხებდა წყალი და ყრუახის ბუჩქებიც ისრევე ისე ჩურჩულებდნენ, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ გუშინ ბნელოდა და დღეს-კი კაშკაშა, მზიანი დილა იყო. არსად ისე ნათლად „არ უგრძენია“ დღისა სინათლე, როგორც ახლა. ჰერმანბდა თითქოს, რომ სუნნელოვან სიგრილესთანა და დილის სამურ სიახლესთან ერთად მხიარული დღის სხივებიც გულს ემსჭვალებოდა და ნერვებს უღიტინებდა.

II

მაგრამ ამ მხიარულ აღტაცებასთან ერთად მისს გულში იღვიძებდა რაღაც რამ სხვა გრძნობაც, რომელსაც გარკვეული სახე ჯერ არა ჰქონდა. პირველად თითქმის ვერც-კი ჰერმანბდა ცნობიერადა, მაგრამ პირველი დღიდგანვე აეკვიდა მისს სულიერს განწყობილებას, ისრევე როგორც მხიარულს სიმღერას შეეპარება ხოლმე ნაღვლიანი აკკორდი შეუნიშვნელად. იზრდებოდა იგი საიდგანლაც სულის სიღრმეში, ისრევე, როგორც მოკაშკაშებულს, გახურებულს ცაზედ უცბად იზრდება ხოლმე შავ ღრუბლად პაწია წერტილი და წვი-

მით ივსებია. მასავით იგიც ურემლებით იყსებოდა. ბოლოს და ბოლოს-კი იქამდის გაიზარდა ეს გრძნობა, რომ მთლად მისი სული შეიპყრო, ყოველივე დასჩრდილა.

ჯერ ისევ ყურში ჰქონდა ეველინას სიტყვები და მისი პირველი გამელავნება სიყვარულისა, ისევა ჰგრძნობდა ხელში მისს აბრეშუმივით თმებსა და თავისს მკერდთან მისს გულის ცემასა. და თვალ წინ ედგა ყველა ამისაგან შეზავებული სურათი, რომელიც გულს ტკბილად უხარებდა, უნეტარებდა. მაგრამ ჩაღაც რამ იმ აჩრდილებივით უსახურმა, რომლებიც მისს ბნელით მოცულს ოცნებობას წინად ერტყა გარს, შეახო თვისი მომაკვდინებელი ხელი ამ სურათსა და ტაჭშალა, სადღაც გააჭრო. ტყუილად-ლა იცდიდა ხოლმე მთელი საათობით წისქვილთანა და სცდილობდა ეველინას სიტყვები, ხმა და მოძრაობა კვლავ აღედგინა. ველარ მოეხერხებინა შეეხამებინა ყოველივე ეს იმ ჰარმონიულ, მთლიან გრძნობაზ, რომელმაც პირველად ისე აავსო მთლად მისი არსება. დასაწყისი ზგანვე ჰქონდა ამ გრძნობას ისეთი რამ „სხვა“ თესლი დაყოლილი, რომელსაც ახლა მთლად დაეჩრდილა იგი, ისრევე, როგორც ელვა-ქუხილის დროს გადაეფარება ხოლმე საშიშარი შავი ღრუბელი ცის დასავალსა. ხმა ეველინასი და იმ ბეღნიერ სალამოს შთაბეჭდილებანი მთლად გაპერნენ, მათ მაგიერად ახლა მხოლოდ-ლა ცალიერობა იყო პირდაღრენილი. და აი, ამ ცალიერობის შესაგებებლადა და შესავსებლად უსინათლოს სულის სილრმიდგან რაღაც რამ გრძნობა მძიმედ აპირებდა ზევით ამოცურებასა.

პეტრეს ევლინას ნახვა უნდოდა!

ნათელმა მოძრაობამ სულისამ, რომელმაც მისი დროებით მიყუჩებული ახალგაზრდობის ძალნი აღადგინა მყუდროებით. მოცულ, მშვიდობიან ძილისაგანა, აღადგინა მათთან ერთად ის ბეღითი ძალაც, რომელშიაც დაუშრეტელ ტანჯვის სათავე იყო დამალული.

შეუყვარდა პეტრეს ეველინა და უნდოდა უთუოდ ენახა იგი!

III

სტუმრები ისევ წიგიღნენ, პოპელსკებისასაც ყველაფერი ისევე ძველებურად მოეწყო, მაგრამ უსინათლოს შეეცვალა გუნება. როგორლაც ცვალებადობა, ნერვიანობა დასჩემდა. დრო და დრო, როცა თვითო წამობით ნაცადს ბედნიერებას შოიგონებდა ხოლმე, კიდევ არა უჭირდა-რა, გამოცოცხლდებოდა და სახე გაუბრწყინდებოდა. მაგრამ მხოლოდ ხანძოკლედ; ბოლოს-კი რაღაცა მოუსვენრობაც დაეტყო: ეშინოდა ოთქოს, რომ ეს ბედნიერების წამები სრულიად გაუქრებოდა და ალარასოდეს არ ეწვეოდნენ. ამიტომაც სულ ერთთავად ცვალებადობდა: ფიცხელს სინაზესა და ძლიერს ნერვების მღელვარებას შემდეგ რაღაცა უნუგეშმ მწუხარება და დალვრემილობა სცვლიდა. დასასრულ, ასრულდა დედის შიშიც: კვალად ეწვია უსინათლოს ბავშვობის მოუსვენარი, მშფოთარე სიზმრები..

ერთს დილას ანნა მიხაილოვნა შვილის ოთახში შევიდა. პეტრეს ჯერ ისევ ეძინა, მაგრამ როგორლაც მოუსვენრობა ეტყობოდა: ნახევრად ლია თვალები ოდნავ აწეულ წამწამებს ქვეშ მკრთალად გამოიყურებოდნენ, სახე გასცრეცოდა, მოუსვენრობა დასჩენეოდა.

შედგა დედა და შვილს ყურადღებით დაუწყო თვალიერება, რომ უცნაურ შეშფოთების მიზეზი გამოეკვლია. მაგრამ ატყობდა მხოლოდ, რომ მისს მძინარს სახეს მოუსვენრობა თან და-თან ემატებოდა, რაღაცა ძალდატანებითი ყურადღების გამომეტყველება ებეჭდებოდა.

უცბად ეჩვენა, რომ ლოგინის თავზე რაღაცა ოდნავ შეინძრა. ბალიშის ზემოდ კედელზე განრთხმული ნათელი სხივი თითქოს შეკრთა, ოდნავ ძირს ჩამოცურდა. კიდევ, კიდევ... ნათლისა ზოლი მძინარის ნახევრად ლია თვალებს თითქოს წყნარად ეპარებოდა და რამდენიც უახლოვდებოდა, იმდენი უფრო და უფრო ემატებოდა მოუსვენრობა უსინათლოსა.

ანია მიხაილოვნა იდგა, უძრავად, თავბრუ-დასხმული და შეშინებულს თვალი ვერ მოეშორებინა ამ ნათლის ზოლისა-თვის, რომელიც ნელ-ნელა, შეუმჩნეველად ეპარებოდა მის შვილის სახესა. და უსინათლოს სახეც თან-და-თან უფრო მკრთალდებოდა, წინ იწევდა, რაღაცა მძიმე რამ გრძნობა შეჰყინვოდა სახეზე. აგრძა, მოყვითანო სხივმა თმებზე შეითა-მაშა, ახალგაზრდის შუბლს დაკონა. დედა მთლად წინ გა-დიხარა, სცდილობდა ინსტინქტიურად შვილის დაფარვასა, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდნენ, თითქოს გაბრუვდათ. მძინარეს-კი წამწამები მთლად აეზიდა, თვალის უძრავს გუ-გოებში სხივმა ჩააშუქა, თავი ბალიშს მოჰშორდა, შუქს შეე-გება. ლიმილისა და ტირილის მინაგვარმა რამ გრძნობამ შე-უთამაშა ტუჩებზე და მთელი სახე ისევე უძრავ გულის თქმის გამომხატველად შეეყინა.

სძლია ბოლოს დედამ შემხუთველი უძრავობა, მიგიდა ლოგინთანა და შვილს თავზე ხელი დაადო. პეტრე შეკრთა, გაეღვიძა.

— შენა ხარ, დედი? — ჩაეკითხა იგი.

— ჰო, შვილო, მე ვარ.

წამოდგა. ეტყობოდა, მისს ცნობიერებას ჯერ ისევ მძი-მე რამ ბურუსი ეხვია. მაგრამ ერთის წამის შემდეგ, აი, რა უთხრა:

— კიდევა ვნახე სიზმარი... ახლა სიზმრებს ხშირადა ვხე-დავ ხოლმე, მაგრამ... ვერ ვიხსომებ...

IV

ასე განვლო ერთს წელ იწალზე მეტმა. უნუგეშო ნაღვ-ლიანობა სიბრაზეთა და ნერვებაშლილობათ ეცვლებოდა და მასთან ერთად შესანიშნავად უვითარდებოდა ნიჭი შემგრძნებ-ლობისა. ყურთა სმენაც მეტად გაუფაქიზდა; სინათლეს მთე-ლის თავისის ორგანიზმითა ჰერძნობდა, — რაიცა ეტყობოდა ღამითაც-კი: მთვარიანსა და უმთვარო ღამეს ერთმანერთში

კარგად არჩევდა, და ხშირად, როცა უკვე ყველას ეძინა ხოლმე, დიდხანს სჯდა ეზოში, უძრავად, ნაღვლით მოცული და მთვარის საოცნებო, ფანტასტიურ შუქის უცნაურ მოქმედებით იყო ხოლმე გატაცებული. მასთან მკრთალს სახეს მუდამ უკან აყოლებდა ლავარდს ცაზე მიმცურავს ცეცხლის ბუშტსა და თვალებიც მის ცივ სხივების გამონაკრთობ შუქითა ჰქონდა ხოლმე განათებული.

მერე როდესაც ეს ბუშტი თან-და-თან დედამიწას მოუახლოდებოდა, გაიზრდებოდა, წითლად შეიბურებოდა და ჰორიზონტს მოეფარებოდა, უსინათლოსაც სახე დაუმშვიდდებოდა, დაეწმინდებოდა. წამოდგებოდა ხოლმე მაშინ იგი და თავისს ოთახისაკენ გასწევდა.

ძნელია იმისი თქმა, რაზედა ჰფიქრობდა ხოლმე უსინათლო ამ ლამეებში. ვისაც-კი ცნობიერ არსებობის ტანჯვა და სიხარული უგემნია, ყველა უთუოდ გამოსცდიდა ერთ გვარს სულიერს კრიზისს, როდესაც მომქმედ ცხოვრების საზღვარზედ უნებურად შედგება ხოლმე ადამიანი და სკლილობს, ამ ქვეყნად თავისი ადგილი და დანიშნულება გამოარკვიოს. ეს არის თავისებური „მკვდარი წერტილი“ და ნეტავი იმას, ვისაც ცხოვრების ტალღა ამ საზღვარზე მშვიდობიანად გაატარებს. პეტრეს-კი ეს სულიერი კრიზისი ურთულდებოდა აი, რით: „რისთვისა ვცოცხლობთ ამ ქვეყნად?“—ს თავისას დამატებდა ხოლმე: „განსაკუთრებით, უსინათლო რისთვის სკოცხლობსო?“ გარდა ამისა, ამ გაუხარელ ფიქრის მუშაობას ახლა ფიზიკური, რაღაც რამ დაუშრეტელი მოთხოვნილება სხვა ემატებოდა ზედა და ეს მძიმე სულიერი მდგომარეობა მთელს მისს ხასიათს ასვამდა ბეჭდვას. მიეჩინა მეტად მარტობასა და აღარ იცოდა ხოლმე ეველინამ ზოგჯერ, დაჰლაპარაკებოდა ასეთ განმარტოებისა და მოწყენით ფიქრის დროსა, თუ არა.

— გვინია, მაშ, რომ მიყვარხარ ვითოშ? — დაეკითხა ერთხელ უკმეხად ეველინასა.

— ვიცი, ჩემო კარგო, რომ აგრეა სწორედ, — უპასუხა ქალმა.

— მე-კი არ ვიცი, — მიუგო დალვრემით უსინათლომა. — დიახ, არ ვიცი. წინად დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ქვეყნად შენზე მეტად არა მიყვარდა-რა, მაგრამ ახლა-კი აღარ ვიცი. თავი დამანებე და დაუჯერე იმათ, ვინც ცხოვრებისა-თვის გიწვევს, ვიღრე ჯერ კიდევ გვიან არ არის.

— რათ მტანჯავ, ნეტა? — ამოჰსკლა გულიდგან ჩუმი სა-კვედური ეველინასა.

— გტანჯავ? — ჩაეკითხა კვალად ახალგაზრდა და სახეზე ჯიუტ თავკერძოობისა და ტანჯვის უცნაური გამომეტყველება აღებეჭდა.

— დიახ, გტანჯავ ასე მთელი სიცოცხლე, სხვაფრივ არ შემიძლიან, შენ ეს კარგა უნდა იცოდე. თავი დამანებევი, დამანებეთ თავი კველამ, იმიტომ რომ სიყვარულისა ნაცვ-ლად მე მხოლოდ ტანჯვა შემიძლიან მოგანიჭოთ...

— მინდა ვხედავდეო, — იტყოდა ხოლმე მერე, როცა ეს განწყობილება სულისა ცოტათი მოულბებოდა. — მინდა ვხე-დავდე და ამ სურვილისათვის თავი ვერ დამიღწევია. ერთხე-ლაც არის რომ მენახა, თუნდაც სიზმარში, ცა-დედამიწა და კაშკაშა მზე... და მერე დამეხსომებინა ყოველივე ესა. რომ მენახა დედ-მამა... შენ და მაქსიმი, სრულიად კმაყოფილი ვიქმნებოდი... მეტს აღარ ვიტანჯებოდიო და შესანიშნავის ჯიუტობით უბრუნდებოდა ხოლმე ამავე აზრსა. დარჩებოდა თუ არა მარტო, აიღებდა ხელში სხვა-და-სხვა გვარს საგნებსა, რაღაცა შესანიშნავის ყურადღებით სინჯავდა ხელით, გა-დასდებდა იქით და მერე თვითონ შესწავლილს ფორმებს უფიქრდებოდა და აკვირდებოდა ხოლმე. ასრევე აკვირდებოდა და უფიქრდებოდა სხვა-და-სხვა ღია ფერად ზედაპირებს, რომ-ლებსაც გაფაქიზებული. ნერვები მისი საკმაოდ გარკვევით არჩევდნენ ხოლმე შეხებით. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ როგორც განსხვავება ურთიერთთ შორის დამოკიდებულებისა, ისე ებეჭდებოდა ცნობაში, გარკვეული, ნათელი გრძნობითი შინაარსი-კი არ ჰქონდათ ხოლმე. ახლა მზიანს დღესაც-კი არჩევდა ღამის სიბნელისაგან, იმიტომ მხოლოდ, რომ მისს

ცნობიერებაში საიდგანლაც შეპარული კაშკაშა სინათლის მოქმედება უფრო მეტად აჩოჩქოლებდა ხოლმე მისს მტანჯველ გულის თქმათა.

V

მაქსიმმა ერთხელ სასტუმრო ოთახში ეველინასა და პეტრეს ერთად მოატანა. ქალი როგორლაც შემკრთალი იყო, პეტრესაც სახე მოპლრუბლვოდა და შევნიშნა მოხუცმა უსინათლოსა, რომ ამ ბოლოს დროს შემოჩვეულ ბრაზიან ნაღვლიანობის კვალი ახლაც აჩნდა სახეზედა. ეტყობოდა თითქოს, რომ ახალის რამ სატანჯველ მიზეზის გამოძებნა, როგორც თავისს თავისა ისე მახლობელთათვის, რაღაცა მოთხოვნილებათ გარდაჰქცეულდა.

— აი, მეკითხება, „წითლად ზარისა რეკვა“ რასა ჰნიშნავსო, მაგრამ ვერ ამიხსნია,—მიჰმართა ეველინამ მაქსიმსა.

— როგორა? — ჩაეკითხა მაქსიმი პეტრეს წყნარადა.

უსინათლომ მხრები შეიშმუშნა.

— საიმისო არასფერია. მაგრამ თუ ხმებს ფერიცა აქვს და მე-კი ვერა ვხედავ იმათ, გამოდის, რომ ხმების სავსებით გავებაც არ შემძლებია.

— აბა, ეგ ხომ ბავშვობაა,—მიუგო მკაცრად მაქსიმმა.

— შენ თვითონ კარგად იცი, რომ ყველა ეგ ტყუილია. ჩვენ-ზედ ბევრად უკეთ და სავსებით ხმები შენ გესმის.

— რას ჰნიშნავს, მაშ, ეს სიტყვები?.. აზრი ხომ უთუოდ ეჭნება რამე?

მაქსიმი ჩაფიქრდა.

— ეს მხოლოდ უბრალო შედარებაა,—მიუგო მან: — რაკი ხმაც და სინათლეც მოძრაობაზეა დამყარებული, ამიტომ საერთო თავისებაც დიდი უნდა ჰქონდეთ.

— მერქ, რა თვისებები იგულისხმება ამ სიტყვებითა? — ეკითხებოდა ისევ დაუინებით უსინათლო. — „წითლად“ ზარისა რეკვა... რომელია?

მაქსიმი კვალად დაფიქრდა.

გაახსენდა მაქსიმს შედარებით რიცხვებზე დამყარებული განმარტება, მაგრამ იცოდა მასთან, რომ უსინათლოს ეს არ უნდოდა. და მეორეც, ვინც პირველად სინათლის ეპიტეტი იხმარა ხმასთან, მას უთუოდ ფიზიკა არ ეცოდინებოდა; ხოლო რაღაცა შზგავსება შეუნიშნავს მათ შორის. მაგრამ რაშია ეს შზგავსება, აი, საკითხი?

უცბად მოხუცს თავში რაღაცა წარმოდგენა აღეძრა.

— მოიცა, მოიცა,—უთხრა მაქსიმმა.—მაგრამ არ ვიცი, აგიხსნი თუ არა, როგორც რიგია... წითლად ზარისა რეკვა რასა ჰნიშნავს, ამის გაგება შენც ისრევე შეგიძლიან, როგორც მე: არა ერთხელ და ორჯერ გაგიგონია დიდ დღესას-წაულებში ქალაქად, მაგრამ ეგ არის, აქ არა ხმარობენ ამ სიტყვებსა...

— მართალია, მართალი, მოიცა, — შესძახა ჰეტრემ და პიანინოს სწრაფად თავი აჭხადა.

დაჭკრა გავარჯიშებული ხელი კლავიშებს და საღლესას-წაულო ზარის რეკვის შზგავსად ააყოლა. მართლაც-და, გე-გონებოდათ ზარებს უკვრენო. რამდენისამე საშუალო ტონის აკუმრდი ვითომ ღრმა ბანს წარმოადგენდა, სხვა, მაღალი ხმე-ბი კიდევ თავისუფლად ხტოდნენ, მხიარულად მოძრაობდნენ. საზოგადოდ-კი ეს იყო ის სამხიარულო, აღტაცებული გუ-გუნი ზარებისა, რომელიც დღესასწაულებში ჰაერს მთლად გააყრუებს ხოლმე.

— მართალია,—სთქვა მაქსიმმა,—ძაანა ჰგავს და ჩვენ, თვალ-ხილულნიც, შენზე უკეთ ვერ შევიგნებდით ამასა. აი, ხომ ნახე... როცა დიდს წითელს რამეს გავყურებ, ისრევე მოუსვენრობას აგრძნობინებს ჩემს თვალსა, როგორც ეს ზა-რების რეკვა. თითქოს სიწითლეც მისებრ იცვლება: ხან მე-ტად ნათლად ამოჩნდება ხოლმე აქა-იქ ადგილები, ხან-კი გა-მუქდება, თითქოს ჩაღრმავდაო, და თვალზე ძლიერად მოქმე-დებს ესა; ჩემს თვალზე მაინც.

— ეგ მართალია, მართალი, — შეპნიშნა ცოცხლად ეველინამა. — მეც მაგასვე ვგრძნობ, წითელი მოუდის სუფრის ღიდანს ყურება არ შემიძლიან...

— ისრევე, როგორც სხვები სადღესასწაულო ზარების რეკვას ვერ იტანენ. და, ვგონებ, ჩემი შედარება მართლაც სწორე უნდა იყოს, თორებ, აი, ახლა სხვა მაგალითიც გამახსენდა: არსებობს აგრეთვე „უოლის ფერი“ ზარების რეკვა, ისრევე, როგორც არსებობს თვითონ ფერი უოლისა. ორივენი წითელს ძან უახლოვდებიან, მხოლოდ უფრო მეტი სიღრმე, სისწორე და სირბილე აქვთ. როცა ზარი ღიდი ხანია ხმარებაშია, როგორც იტყვიან ხოლმე, ხმა ეწმინდება, აღარ გააქვს ყურისათვის უსიამოვნო ულრიალი. აი, ამაზე იტყვიან ხოლმე, „უოლის“ ხმა აქვსო. ამასვე ახერხებენ ხოლმე ხელოვნურად წვრილი ხმების შერჩევითაც.

პეტრემ ახლა ფოსტის ცხენების ზარების ხმა გამოაღებინა პიანინოს.

— არა, — უთხრა მაქსიმმა, — აგრეთ დაკვრის მე უფრო ძალიან „წითელს“ დავარქმევდი...

— ჰო, მახსოვე!

და პიანინოს თანაბრად ააყოლა ხმა ზარებივითა. დაიწყო მალლა, ცოცხლად და ნათლად და მერე თან-და-თან დაუდაბლა, მოარბილა: ასე უკრავს ხოლმე რუსული სამცხენა ეტლის ზარები, ღამე რომ შორს საღმე მიღის მტვრიანს გზაზედა, წყნარად, თანაბრად, არ შეტევით, თან-და-თან ნელ-ნელა, ვიდრე მყუდროებით მოცულს მინდორში მთლად მისწყდებოდეს უკანასკნელი ხმა.

— ჰო, აგრე! — დაუდასტურა მაქსიმმა. — განსხვავება კარგად გაიგე. ოდესლაც... ჯერ ისევ ბავშვი იყავი... დედა სცდილობდა ხმების საშუალებით აეხსნა შენთვის ფერადები.

— მართალია, მახსოვე. მერე, რათ აუკრძალევი? იქნება გამეგო რამე.

— არა, — მიუგო მოხუცმა ჩაფიქრებით, — არა გამოვიდოდა-რა. მაგრამ, ვგონებ მაინც, რომ სულის სიღრმეში. ერთს

ადგილას ფერადებისა და ხმების შთაბეჭდილებანი ერთგვარად იცნობებიან. ვამბობთ ხოლმე, მაგალითად: „ყოველისფერს ვარდის ფრადა ჰქედავსო. ეს ჰნიშნავს იმასა, რომ ადამიანი მხიარულად არის განწყობილი. ასეთივე განწყობილება შეიძლება ხმების შეხამებამაც გამოიწვიოს. საზოგადოდ ხმები და ფერადები ერთნაირ სულიერ მოძრაობათა სიმბოლოებათ არიან ცნობილნი.

მოხუცმა ჩიბუხს მოუკიდა და პეტრეს ყურადღებით გადაჰქედა. უსინათლო უძრავად იჯდა და ეტყობოდა, რომ მაქსიმის სიტყვებს გაუმაძლრად ისმენდა. „განვაგრძო თუ არა?“ — გაიფიქრა მოხუცმა, მაგრამ ერთის წამის შემდეგ როგორლაც დაფიქრებული ისევე თავისს აზრების უკნაურს მიმართულებას დაემორჩილა უნებურადა და დაიწყო:

— მართალია, მართალი! რაღაცა უკნაური რამ ფიქრები მომდის... არ ვიცი, შემთხვევითია ეს თუ არა, რომ სისხლი წითელი გვაქვს... აი ჰქედავ... როცა თავში რამ აზრი გებადება; როცა სიზმრებსა ჰქედავ და გამოგელვიძება, თრთი და სტირი; როდესაც რამ ვნება შეგიპყრობს,— ეს იმასა ჰნიშნავს მაშინ, რომ სისხლი უფრო ძლიერადა სცემს გულიდამა და წითელ ნაკადულებად ტვინისაკენ მისჩევთს.

— წითელი... თბილი... — წარმოსთქვა ახალგაზლამ ჩაფიქრებულმა.

— აი, სწორედ წითელი და თბილი: და აი, წითელი ფერი, როგორც „წითელი“ ხმებიც, სტოვებს ჩვენს სულში ნათელს კვალს ვნებისას, რომელსაც ამასთან „მხურვალესაც“ უწოდებენ. სხვა ფერებიც ასრევე მოქმედებენ... ასე, მაგალითად, ლაუვარდი და ლურჯი ფერი მყუდროებით მოცულ სინათლის წარმოდგენს შეიცავს.

მოსწია მაქსიმმა ჩიბუხი, მთლად ბოლში გაეხვია და განაგრძო:

— თავზე რომ წელი გადიქნიო, კრკალს შემოჰაზავ. წარმოიდგინე ახლა, რომ უზომოდ გრძელი მკლავი გაქვს. რომ შეგძლებოდა, მაშინაც აგრევე გადაგექნია ხელი, უსაზ-

ლვროდ შორს შემოავლებდი კრკალის მზგავსს წრესა..., ას-
რევე შორს ვხედავთ ჩვენ კრკალივიზ გადაჭიმულს ცის კამა-
ნისა. სწორეა იგი, უსაზღვრო და ფერად ლაქვარდი... რო-
დესაც ასე მოწმენდილსა ვხედავთ ზეცას, სულშიაც რაღაც დ
მყუდროებისა და ნათელმოსილობის შეგრძნება აღვევძრისა
ნოლმე. ხოლო როდესაც ღრუბლები განერთხმიან და შავალი
აირევიან, მაშინ ჩვენი სულიერი ნათელმოსილობაც როგორიც
ლაც გაურკვეველად ჰდელავს, იმღვრევა ხოლმე. აკი ჰგრძნობ
ნოლმე, ელვა-ქუხილი რო ახლოვდება... ამნ

-- მართალია, ვერძნობ, თითქოს სულს რამე მიშფოჭ
თებდეს... მცნ

— ეგ აგრეა, მაშ. და ვუცდით ხოლმე, ლაქვარდი ცა როგორ
დის გადიყრის ღრუბლებსა და ისრევე კაშკაშა, მოწმენდილობა
დაგვენახვება. ვიცით, რომ ასრუ იქმნება და ამიტომაც დაუწ
მშვიდებულნი ველით ელვა-ქუხილის გადაღებასა. მაშ, ასრუ, ან
ცა ლურჯია... ზღვაც ლურჯია, როცა არ ჰდელავს. დედა-
შენს ლურჯი თვალები აქვს, ეველინასაც.

— როგორც ცა, არა?... — ნაზად წარმოსთქვა უსინათ-
ლომა.

— დიახ. ლურჯი თვალები სულიერ ნათელმოსილობულ
ნიშანია. ახლა მწვანე ფერზედაც გეტუვი რასმე. აი, დრო
ესანი არ არის, გაზაფხული იდგა... ახლა ზაფხულია და მოვდინ
ლი დედამიწის ზედაპირი მწვანე ბალახით არის მოფენილული
თვითონ დედამიწა თავისს თავად შავია; შავივეა და ნოტრუა
სველი გაზაფხულობით ხის დეროები; მაგრამ როგორული
თბილი და ნათელი სხივები გაუთბობენ შავს ზედაპირს აუცილებელ
შინათვე მწვანე ბალახსა და ფოთოლს ამოიხეთქავს. ხორმმუნ
მწვანისათვის სითბო და სინათლეა საჭირო, მაგრამ მოკავშირუნ
ბული-კი არა. ამიტომაც სასიამოენოა თვალისათვის მწვანეებ
თითქოს იგივე სიგრილესთან შეერთებული სითბოა; იგრძელებ
სძრავს ხოლმე ჩვენში წარმოდგენას მყუდრო კმაყოფილებისა
და ჯანმრთელობისას, მაგრამ ვნებასა და იმას-კი, რასაც ჩვენ
ბეღნიერებას ვუწოდებთ, არასოდეს... მიჰვდი?

— ვერა... ნათლად ვერ გავარკვიევი... მაგრამ მაინც მიამბე, გეთაყვა.

— რა უყოთ, აბა!.. ყური დამიგდე. ზაფხულის სიცხე-პაპანაქებისაგან მწვანე თითქოს ითენთება, ალბად მოჭარბებულ სიცოცხლის ძალისაგან, ფოთლები ძირს ეშვებიან და თუ მზის სიცხეს წვიმა არ აგრილებს, შეიძლება მთლად გაყვითლდნენ. სამაგიეროდ შემოდგომის პირად მოღალულ-მოთენთილ ფოთლებს შუა ნაყოფი წითლდება. უფრო წითელია ნაყოფი იმ მხარეს, საითაც სინათლე მეტია; მასშია თითქოს მთლად სიცოცხლის ძალა მოთავსებული, მთელი ვნება მცენარეულ ბუნებისა. ჰედავ, წითელი ფერი აქაც ვნების ფერი ყოფილა, მისი სიმბოლო გამხდარა. იგია ფერი განცხრომა-ფუფუნებისა, გრძნობა-ტკბილობისა, ფერი ცოდვისა, რისხვისა და გულის წყრომისა, იგია ემბლემა დაუნდობელ შურისგებისა. ამიტომაც ვნება-აშლილი, მლელვარე ხალხის ბრძო თავისს საერთო გრძნობის გამოსახატავად მგზნებარე ალივით წითელს დროშას ათვრიალებს ხოლმე... მაგრამ ხომ არ გესმის კიდევა?

— სულ ერთია, გათავრდე!

— დადგება გვიან შემოდგომა და ნაყოფი მძიმდება, სწყლება, მიწაზე ვარდება.... კვდება იგი, მაგრამ თესლი ცოცხალი აქვს და ამ თესლშივეა „გასაცოცხლებლად“ შენახული მთელი მომავალი მცენარე, მისი მშვენიერი ფოთლის საბურველი, მისი ახალი ნაყოფი. თესლი ეცემა დედამიწაზე, მზე-კი ცივად, დაბლა-ლა ამოდის; ცივი ქარი ჰქრის, ცივივე ღრუბლები ეფინებიან ცასა... სიცოცხლე და ვნება წყნარად და შეუნიშვნელად იხოცებიან... მწვანისა ნაცვლად, დედამიწა შავია ახლა.... და აი, ერთს დღეს, ამ ჩაჩუმებულსა, მყუდროებით მოცულსა და დაობლებულს დედამიწას მილიონი თოვლის ფიფქი ეყრება და ხდება ერთფერი, სწორე, ცივი... თეთრი. თეთრი ფერი ცივის თოვლისა, მიუდგომელ ცის სიშორეში დაკარგულ უნაყოფო, დიდებულ მთის მწვერვალების ფერია... იგია ემბლემა ვნებათა დახშობისა და ცივის, მაღალის სიწმიდისა. ემბლემა მომავალის სულიერ ცხოვრებისა. რაც შეეხება შავს ფერს...

— ვიცი, — გააწყვეტინა უსინათლობ. — ეგ, როცა აღარც
ხმებია, აღარც მოძრაობა... დამეა...

— მართალია, ამიტომაც ემბლემა იგი სიკვდილისა...

პეტრე შეკრთა, ყრუდ შესძახა:

— შენვე სთქვი: სიკვდილისაო. და ჩემთვისაც ხომ ყვე-
ლაფერი ბნელია... ყველგან და ყოველთვის ბნელი!

— სტყუი, — უპასუხა ფიცხად მაქსიმმა, — შენთვის არსე-
ბობს ხმები, სითბო, მოძრაობა...

— მართალია, — მიუგო ახალგაზრდამ ჩაფიქრებით. —
მართალია, ვიცი თითქოს, რაც არის წითელი ხმები, ლურ-
ჯი და თეთრი, ამაყი თეთრი ფერი, იქ, სადღაც, მიუწდო-
მელ სიმაღლეში როა დაკიდული. მაგრამ ყველაზე მახლობ-
ლად ბნელით მოცული მწუხარე ხმები მეჩვენებიან, დედა-
მიწას რომ გაჰკრობიან. თორემ, ხომ იცი, რო ვუკრავ ხოლ-
მე, არ მიხარიან... ვსტირი მაშინა.

— გამიგონე, პეტრე, — მიუგო დინჯად მოხუცმა. და ად-
გილიდგან წამოიწია. — მიუწდომელის უკან დევნაში გავიწყდე-
ბა ის, რაც ხელთა გაქვს, რაც უძვირფასესია. მოიგონე, რომ
უყვარხარ ყველას, ვინც-კი გარს გახვევია... მაგრამ ვერ შე-
გინიშნავს ესა და იტანჯები იმიტომ, რომ მეტად თავკერ-
ძოდ ეპყრობი შენს მწუხარებასა...

— მართალია! — წამოიძახა პეტრემ ცოცხლად, — უნებუ-
რად მასთან ვარ მუდამ: მაგრამ სად გავექცე, რომ არა
შჟორდება?

— რომ იცოდე, რო ქვეყნად შენს უბედურებაზე ას-
წილად უარესი კიდევ სხვა არის, ისეთი, რომელთან შედარე-
ბითაც ზრუნვითა და თანაგრძნობით გამთბარი შენი სიცოცხლე
მხოლოდ ნეტარებათ შეიძლება იქმნეს ცნობილი, — მაშინ...

— არა, არა, ტყუილია! — გააწყვეტინა უსინათლობ ის-
რევე გაჯავრებულის, მღელვარე კილოთი. — უბრალო მათხოვ-
რობას ვირჩევდი იმიტომ, რომ ის ჩემზე ბედნიერია. და არც
რიჩან უსინათლონი იმათ, რომ მათვის პზრუნავდნენ, —
ეს შეცდომაა... ამას მე ხშირად ვფიქრობ ხოლმე. უსინათ-

ლო უნდა გაიყვანო შარა გზაზე და დასტოვო იქ,—დეე, მოწყალება ითხოვოს. მე რომ უბრალო მთხოვარა ვყოფილიყავი, ასე უბედური აღარ ვიქნებოდი. დილიდგანვე სულ იმის ზრუნვაში ვიქმნებოდი, რომ საღილი როგორმე მეშოვა, დავთვლიდი მიღებულს კაპიკებსა და მეშინებოდა, რომ ცოტა ვიშოვე-მეთქი. მერე გავიხარებდი, რომ ბლომად შევკრებდი; ახლა ღამის გასათევად მოვაგროვებდი. მაგრამ, თუ ამას ვერ მოვახერხებდი, შიმშილი და სიცივე დამტანჯავდა... და ყოველისავე ამის შემდეგ აღარც ერთი წამი არ მექმნებოდა თავისუფალი, რომ ყოველდღიურ წვრიმალებზე შეზრუნა; ნივთიერი ნაკლებულება-კი ბევრად ნაკლებ დამტანჯავდა, ვიდრე ახლა...

— აგრე გგონია? — შეეკითხა მაქსიმი ცივად და ეველინასაკენ გადიხედა. მოხუცს სახეზე სიბრალული და თანაგრძნობა აღებეჭდა. ჭალი მოკრძალებით იჯდა ჩაფიქრებული, მთლად ფერმიხილი.

— დარწმუნებული ვარ, — უპასუხა პეტრემ ისრევე ჯიუტადა და მკაცრად.

— არ აგიხირდები, — მიუგო ასრევე ცივად მოხუცშა. — იქნება მართალიც იყოს. ყოველს შემთხვევაში, თუ გაგიჭირდებოდა, იქმნება თვითონ შენ მაინც უკეთესი ყოფილიყავი. ახლა-კი მხოლოდ თავკერძო ხარ.

ერთხელ კიდევ გადაიხედა სიბრალულით მოხუცმა ეველინასკენა და ყავარჯნების კაკუნით ოთახიდამ გავიდა.

VII

სულიერი მდგომარეობა უსინათლოსი ამ ლაპარაკის შემდგომ უარესად გამწვავდა. მაქსიმის ნალაპარაკევი, რომელსაც თვითონ იგი თითქოს ყურადღებას არ აქცევდა, ღრმად შეეხო პეტრეს სულში რაღასაც და უფრო მეტად ჩააფიქრა, დაადარდიანა იგი.

ღრმად უკვირდებოდა ზოგჯერ უსინათლო თავისს თავსა და ჰპოვებდა მართლაც მაშინ ერთის წამით იმ შეგრძნებათ, რომელთა შესახებაც მაქსიმი ელაპარაკებოდა, და ისიც ამ შეგრძნებათ სიყრცის შესახებ შედგენილ თავისს წარმოდგენათ უერთებდა ხოლმე. ბნელი და ჭმუნვით მოცული დედამიწა შორს საღლაც წაუვიდოდა; ჰპომავდა იგი ამ დედამიწასა, მაგრამ ბოლოს მისას ვერა ჰპოვებდა. ზევიდამ-კი სულ სხვა რაღაცა ედგა ხოლმე... გაურბენდა ხსოვნაში მგრგვინავი ქუხილი და ზეცის უსაზღვრობა წარმოუდგებოდა. ქუხილი ისევ ჩავარდებოდა, მაგრამ იქ, მაღლა, მაინცა რჩებოდა ხოლმე დიდებისა და ნათელმოსილობის აღმძვრელი გრძნობა. ზოგჯერ ეს გრძნობა კიდევაც გამოირკვეოდა: შეუერთდებოდა მას ეველინასი და მისის დედის ხმა, „რომელთაც ზეცასავით ლურჯი თვალები ჰქონდათ“ და აი, მაშინ, ოცნებობის შორეულ სიღრმიდგან ამოცურებული და გარკვეული სურათი უცბად ჰქონდა, სხვა რამ მხარესა ჩნდებოდა ხოლმე.

ცველა ეს ბნელით მოცული წარმოდგენანი სტანჯავლნენ მხოლოდ, კმაყოფილებას-კი სრულიად არ აგრძნობინებდნენ-ებდნელებოდა დიდად და იყვნენ გაურკვეველნი იმ ზომამდე, რომ მხოლოდ უკმაყოფილებასა და ყრუ სულიერს ტკივილს აგრძნობინებდნენ მუდამ, როცა-კი მისი ავადმყოფი სული სცდილობდა ამაოდ თავისი გრძნობები სისრულით აღედგინა.

VII

პოპელსკებიდან ასე სამოცი ვერსის მოშორებით პატარა ქალაქში კათოლიკეთა სასწაულთ-მომქმედი ხატი იყო, რომლის სასწაულთ-მომქმედი ძალაც. საქმის მცოდნეთ სრულის სისწორითა ჰქონდათ გამორკვეული: ცველა, ვინც კი მის დღეობაში ფეხით მიეიღოდა სალოცავად, „ოცის დღით პატივეპას“ მიიღებდა, ე. ი. წაიშლებოდა საიქიოს ცველა მის შიერ. ოცის დღის განმავლობაში ჩადენილი ცოდვა და ბოროტება. ამიტომაც ყოველ-წლივ, შემოდგომით, დანიშნულს.

დღეს, ისე გამოცოცხლდებოდა ხოლმე ეს ქალაქი, რომ ვეღარ იცნობდით. ძველი სამლოცველო ნიში მთლად მწვანითა და ყვავილებით ირთვებოდა სადღეობოდ, ქალაქში ერთ-თავად მხიარული ზარის ხმა ისმოდა, გაჰქონდათ დრიგინ-დრიგინი პანების „ბრიჩკებსა“ და ქუჩები თუ გარშემო მინდორი მთლად მლოცველებით ივსებოდა ხოლმე. მოდიოდნენ არა მარტო კათოლიკენი, სხვანიც. №-ის ხატის სასწაულთ-მოქმედების სახელი შორს იყო გავარდნილი და მრავლად მისდიოდნენ აგრეთვე დაუძლურებული და გულ-ნატკენი მართლმადიდებელნიც, უფრო ქალაქის მცხოვრებთაგანნი.

თვითონ დღეობა დღეს ამ ქამად ხალხი ხატის ორთავ მხარეს ჩამწკრივებულიყო გზაზე, უთვალავ ქარავანივით წრე გაება. ვინც-კი ერთ-ერთ მახლობელ გორაკიდაშ გადმოჰედავდა მაშინ ამ სურათს, ეგონებოდა უზარ-მაზარი გველი გადაწოლილა გზაზედ ნიშის გვერდითა და ის არის, რომ უძრავად სდევსო. დროგამოშვებით მხოლოდ ჭრელს ჯაგარს აელვარებდა თითქოს. ხალხისაგან ორთავ მხარეს დაჭერილს გზაზედვე ჩარიგებულიყო აქეთ-იქით მთელი ხროვა მათხოვრებისა და ხელ-გაწვდილნი მოწყალებას ითხოვდნენ.

მაქსიმი თავის ყავარჯნებითა და მასთან პეტრე, რომელ-საც იოხიმესათვის ჩაეკიდა ხელი, წყნარად მიღიოდნენ ქუჩაზედ. იარმუკობისათვის ჩამოსულიყვნენ, ეყრდნათ, რაც რამ უნდოდათ და ახლა ბინისაკენ მიღიოდნენ. უცბად მაქსიმს სახემ გაუელვა, თითქოს მოულოდნელი რამ დაინახაო, და შეუხვიერ ქუჩისაკენ, რომელიც მინდვრად გადიოდა.

ზღვასავით მღელვარე, აღურიცხველ ბრბოს ლაპარაკი, ებრაელ-ვაჭრების ჭყვირილი, ეტლების რახუნი და მთელი ეს ღრიან ცელი ბუმბერაზ ტალღასავით უკან ჩამოჰქმათ თითქოს, გამაბრუებელად გუგუნებდა, ფუთფუთებდა. მაგრამ ფეხის ხმა თვლების ხრიალი, ხალხის ხმაურობა აქაც ისმოდა. ჩუმაკების მთელმა ქარავანმა მძიმედ შეუხვია ჭრიჭინით მინდვრიდან მახლობელ ქუჩისაკენა. დაბნეული უგდებდა ყურს პეტრე ამ ცოცხალს ხმაურობასა და მაქსიმს მისდევდა მორჩილებით

უკანა; თან ერთ-თავად პალტოს ისწორებდა გზა-გზა, რადგან ციოდა და მძიმე ფიქრებში იყო გართული.

მაგრამ ასე თავკერძოდ გულდაბყრობის ღროს უცხად რაღაცამ ისე ძლიერად მიიპყრო მისი ყურადღება, რომ თი-თქმის შეხტა, შესდგა მაშინვე.

ქალაქის უკანასკნელი შენობები აქ თავდებოდა და გა-ნიერი გზატკეცილი ღობეებსა და ცალიერ ადგილებს. შეა უხვევდა. სწორედ ქალაქის ყელში, ოდესლაც, ვილასაც ღვთის მოსავ ხელს ქვის სვეტი აეშენებინა, რომელზედაც ხატი და ფა-რანი ეკიდა; თუმცა, მართალია, ანთებით არასოდეს არ ინთებო-და და შხოლოდ ქარი აჭრიალებდა ხოლმე ფარანსა. ამ სვეტის ძი-რად შეგროვილიყო რამდენიმე უსინათლო მათხოვარი, რომლე-ბიც თავისს თვალხილულს მეტოქეებს გამოედევნათ უკეთეს ადგილებიდამა. ისხდნენ აქ, ეჭირათ პატარა თეფშები და ღრო-და-ღრო საცოდავად გააბამდა ხოლმე რომელიმე მათგანი:

-- უსინათლონი გაიკითხეთ... ქრისტეს გულისათვის..:

ცივი დღე იყო; ისხდნენ ასე დილიდგანვე და სუსტიანი, ცივი ქარი პირდაპირ უბერავდათ მინდვრიდანა. მაგრამ არ შე-ეძლოთ სხვებისავით ბრბოში ეარათ და გამობარიყვნენ. მაშინვე ეტყობოდათ ხმაზედ, რიგ-რიგით რომ გააბამდნენ ხოლმე თავიანთს. საბრალისს სიმღერასა, რომ ფიზიკურს ტანჯვასა და თავიანთს სრულს უშემწეობას უჩივოდნენ. პარველი ხმები კიდევ, არა უშავდა-რა, საკმაოდ გარკვევით ისმო-და ხოლმე, მაგრამ მერმე-კი შეხუთულ გულიდგან მხოლოდ-ლა რაღაც საბრალისი ღრტვინვა ამოჰდებოდათ ხოლმე, რომელიც ჩუმად, კანკალით მისწყდებოდა ხოლმე ცივად. მიუხედავად ამისა, ეს ოდნავი ხმებიც-კი ნათლად უჩვენებდნენ ყველას, რაოდენ დიდი და ღრმა იყო მათი ტანჯვა.

პეტრე როგორლაც უცებ-შესდგა, სახე მთლად დაეღმანჭა, თითქმის სმენის რამ აჩრდილი გამოეცხადაო. ამ მტანჯველ გოდების სახითა.

-- რას შეშინდი? — ჩაეკითხა მაქსიმი. — ეს ის ბეღნიერე-ბი არიან, შენ რომ ამ წინაზედ შევნატროდი, — უსინათლო

გლახაკები... მოწყალებასა თხოულობენ... რასაკვირველია, ცოტათი სცივათ, მაგრამ, შენის ფიქრით, ხომ მათვეის ეს უკეთესიც უნდა იყოს.

წავიდეთ,—შესძახა პეტრემ და მაქსიმს ხელი დაუჭირა—

— როგორ, გინდა წახვიდე! მეტს არაფერს გეუბნება, მაშ, ეგ შეი გული, სხვის ტანჯვას რო ჰედავ? შენც რომ სხვებსავით შაურიანი მაინც ჩაგეგდო, ისიც ხომ შველა იქნებოდა. მაგრამ არა, შენ მხოლოდ ყველრება და ლიზლობა შეგიძლიან, შურით შეჲურებსხვისა უბედურებასა და ნერვებმოშლილ ქალბატონივით შორს გაურბიხარ.

პეტრემ თავი ჩაჰეთ. ამოილო მერე ჯიბიდგან ქისა და უსინათლოსაკენ გასწია. მოძებნა ჯოხით, ვინც იმათგანი სულ წინ იჯდა, მერე ხელით თვითონ თეოზიც, რომელშიაც შავი ფული ეყარა და თავისიც ფრთხილად ჩასდო შიგაა რამდენმამე გამვლელმა განცვიფრებით დაუწყო ცქერა ამ მდიდრულად ჩატარებულს, ლამაზს უსინათლოსა, ხელშეხებით რომ მოწყალებას აძლევდა უსინათლოსა და ისიც ასრევე ხელშეხებით ართმევდა. მაქსიმი ჩუმად გაჲურებდა წარბებს ქვეშ, იოხიმესკი სახე მოჰქონდა, წამწაწევე ცრემლი ჩამოჰკიდვოდა.

— გეყოფათ, ბატონო, ბავშვის ამდენი წვალება, — ჩაიღუდლულა საყვედურით იოხიმემა. პეტრე მთლად გაცრეცილი და ფერ-მიმქრალი მივიდა მათთან მორჩილებითა.

— შემიძლიან ახლა მაინც არის წავიდე? — დაუწყო კითხვა. — ღვთის გულისათვეის!...

შემობრუნდა მაშინვე მაქსიმი და წავიდნენ. მაგრამ მოწავის უცნაურმა გამომეტყველებამ დიდად შეაშფოთა. გასცქეროდა ყურადღებით ქვეშ-ქვეშა და თავისს თავს ეკითხებოდა, მეტად სასტიკადა და მკაცრად ხომ არ მოვეპყარიო.

თავ-ჩალუნული მისდევდა უკან პეტრე და კანკალებდა. ცივს ქარს ქუჩებში მტვრის ბუქი დაეყენებინა.

VIII

გაციებისაგან მოუვიდა, თუ დიდი ხნის სულიერ კრძის შედეგი იყო, თუ ერთიც და მეორეც ერთად შეერთდა

ტბა ამისი ნაყოფი იყო, ამისი თქმა ძნელი იყო, მაგრამ მეორე დღესვე პეტრე ლოგინში იწვა, სიცხისაგან გავარვარებული. ბორგავდა ერთ-თავად სახე-დალმანჭილი, დრო-და-დრო თითქოს ყურს რაღასაც უგდებდა და გაქცევას ლამობდა. დაბიდგან მოყვანილმა ბებერმა ექიმმა ავადმყოფს მაჯა გაუსინჯა და შემოდგომის ციცს ჭარზე დაიწყო ლაპარაკი მაქ-სიმიც მძიმედ იღუშებოდა.

ავადმყოფობა საშიში და მძაფრი გამოდგა. კრიზისი რომ დაუდგა, რამდენსამე დღეს სულ არ განძრეულა ლოგინში. ბოლოს, როგორც იყო, ნორჩმა ორგანიზმა სძლია ისევ ხენსა.

შემოდგომის ერთს კაშკაშა დილას ფანჯარაში მზის სხივი შემოცურდა და ავადმყოფის თავით ათამაშდა. შეჰნიშნა თუ არა ანნა მიხაილოვნამ, მიკმართა მაშინვე ეველინას:

— ფარდა ჩამოსწი; გეთაყვა, მეშენიან მაგ სინათლისა...

ის იყო, წამოდგა ეველინა და უნდოდა ბრძანება შეესრულებინა, რომ უცბად უსინათლომ ხმა ამოილო, შეაყენა:

— ჯრა უშავს-რა. აგრე იყოს... გეთაყვათ...

ორთავემ მხიარულად გადაპედეს ავადმყოფს.

— გესმის, განა?... აქა ვარ!.. უთხრა დედამა.

— დიახ! — მიუგო ავადმყოფმა და გაჩუმდა, თითქოს რაღასიც მოგონებასა სცდილობსო.

— ჰო, მართლა!.. — დაიწყო წყნარად. — რა საზარლობაა. ეველინამ პირზე ხელი დააფარა.

— ჩუ, ჩუ! ნუ ლაპარაკობ; გაწყენს.

პეტრემ ხელი ტუჩებთან მიიკრა, დაპკოცნა. თვალებში ცრემლი მოსდგომოდა. დიდ-ხანს იტირა ასე და ცრემლმა თითქოს აშელავათა.

— დიახ, — სთქვა პეტრემა და ოთახში შემოსულს მაქსიმს მიკმართა, — შენი გაკვეთილი არასოდეს დამავიწყდება. გმადლობ... სხვისა უბედურების შეგნებასთან ერთად მაჩუქე შეგნება ჩემის საკუთარის ბელნიერებისა. ღმერთმა ჰქმნას, არც ერთი მათგანი არ დამვიწყებოდეს არასოდეს.

რაკი სძლია ნორჩმა სხეულმა სენი, ახლა სულ სწრაფად გამოკეთდა. ორის კვირის შემდეგ პეტრე უკვე ფეხზედ იდგა— ძალიან-კი გამოიცვალა. მბათრი ზნეობრივი შეძრწუნება გულჩათხრობილ, ჩუმ სევდათ გარდაექცა; სახის გამომეტყველებაც-კი გამოეცვალა: ძველებური, მწვავე შინაგანი ტანჯვა სულ აღარ ემჩნეოდა.

ეშინოდა მაქსიმის, რომ მხოლოდ დროებითი არ ყოფილიყო ეს ცვლილება, შედეგი ავადმყოფობის დროს ნერვების მოშვებისა, დასუსტებისა. მაგრამ გადიოდა თვეები და უსინათლოს სულიერი განწყობილება არ ეცვლებოდა.

საეჭვო აღარავისთვის იყო, რომ უსინათლოს საკეთილო ცვლილება დაეტყო: მბათრი, ეგოისტური შეგნება საკუთარის უბედურებისა, რომელიც მისს ბუნებითს ენერგიას სრულიად ჰქობდა და უმოქმედობას აჩვევდა, უეცრად სულ შეუცვალა და თვისი ადგილი სხვათა უბედურების შეგნებას დაუთმო. ეს შეგნება იყო, რომ ჰკურნავდა მისს ავადმყოფს სულსა, უღვიძებდა ენერგიასა და აზრსა და თანაგრძნობით ჰლამობდა სრულიად განთავისუფლებასა... ახლა ის უკვე სხვებზე ფიქრობდა, გარკვეულს მიზანსა და გეგმას ადგენდა; სიცოცხლე ძალას იკრებდა, უძლური სული, ჩამჭერა ხესავით,—გაზაფხულის გამაცოცხლებელი სიო რომ მიედინება,— გაფურჩნას ეპირებოდა.

თავი მეშვიდე

I

ეველინამ რო მოხუც იასკულსკებს თავისი გარდაწყვეტილება განუცხადა,— უსინათლოს უნდა გავყვე ცოლადაო, — მოხუცმა დედამ ბევრი იტირა, მამამ კიდევ ხატებ წინ ილოცა და განაცხადა რომ, მისის აზრით, ლვთის ნებაა ეს უთუოდა.

ქორწილი გადაიხადეს. პეტრესათვის ახალი, წყნარი ბედნიერება დაიწყო, მაგრამ ამ ბედნიერების დროს რაღაც რაშ მოუსვენრობა მუდამ ემჩნეოდა: თვით უმხიარულესს წამებშიაც-კი როგორდაც ნაღვლიანად ეღიმებოდა ხოლმე, თითქოს ეჭვი

აქვს, ეს ბედნიერება კანონიერი და საიმედო არ არისო. როდესაც შეატყობინეს, შეიძლება მალე მამა შეიქმნეო, შეეშინდა ამ ამბისა.

მაინც მოუსვენარი ცხოვრება და ფიქრი ცოლსა და მომავალს ბავშვზედ ნებას არ აძლევდა წინანდებურად უნაყოფოდ ედარდნა. დრო და დრო-კი ამ ზრუნვაში აგონდებოდა აგრეთვე უსინათლოთა საბრალისი გოდებაც და თანაგრძნობისაგან გული ეხუთებოდა, ფიქრი სხვა რიგ შეეცვლებოდა ხოლმე.

ამ რიგად სინათლის გარეშე შეგრძნებანი ისე აღარ ემწვავებოდნენ, წინანდებური ფიქრი და დარდიც თითქოს დაუცხრა. მშოოთარე, ორგანიულმა ძალამ თითქოს მიიძინა; აღარც სცდილობდა ცნობიერად მათსს თავისს ნებით გაღვიძებასა, სხვა-და-სხვა გვარ წეგრძნებათა ერთგვარადა და მთლიან გრძნობათ გარდაქმნასა. მაგრამ, ვინ იცის, ეს სულიერი მყუდროება უფროც უწყობდა ხელს ამ არაცნობიერს, ორგანიულს მუშაობასა და ეს ბინდით მოცული, განცალკევებული შეგრძნებანი უფრო ადვილადაც იკვლევდნენ მისს ტვინში გზასა, რომ ერთმანერთთან შეთანხმებულიყვნენ. ასე, მაგალითად, ძილში ხშირად სულ ადვილადა ჰქმნის ხოლმე ტვინი სხვა-და-სხვა იდეებსა და სურათებს, რომლებსაც ცხადლივ თავისის ნებით ვერასოდეს ვერ შეჰქმნიდა.

II

იმავ ოთახში, საღაც პეტრე დაიბადა ერთს დროს, მყუდროებას ახლა ბავშვის სხლიპ-სხლიპით ტირილი არღვევდა მხოლოდ. უკვე რამდენიმე დღე იყო გასული, რაც ბავშვი დაიბადა და ეველინაც სწრაფად გამოკეთდა; მაგრამ პეტრე ამ დღეებში რაღაცა უბედურების მოლოდინში იყო საშინლად გულჩაკლული, დადარდიანებული.

ექიმმა ბავშვი აიყვანა ხელში, გადიყვანა და ფანჯრის მახლობლად დააწვინა. მეტე ფარდას გადასწია საჩაროდ, ოთახში კამკამა სინათლის სხივი შემოუშვა და თავისის ხელ-

საწყობებით ბავშვს დაუწყო დაკვირვებით სინჯვა. პეტრეც იქვე იჯდა თავ-ჩალუნული, ისევ ისრე გულჩათხრობილ-დანა-ლვლიანებული და უმწეო. თითქოს წინადვე იცის, რაც იქმნება, ექიმის მოქმედებას არავითარს მნიშვნელობას არ აძლევდა.

— უსინათლოა უთუოდ, — იმეორებდა ბეჯითად. — უმჯობესი იყო არ დაბადებულიყო.

ახალგაზრდა ექიმი პასუხს არ აძლევდა, დაკვირვებას განაგრძობდა. გადასდო ბოლოს ოფთალმოსკოპი (თვალის სასინჯი იარაღი) და წყნარად გაისმა მისი რწმენითი ხმა:

— გუგა თვალისა ეკუმება. ბავშვი ჰედავს.

პეტრე შეხტა, სასწრაფოდ ფეხზე წამოდგა. მოძრაობაზე ეტყობოდა, რომ ექიმის სიტყვას ყური მოჰკრა, მაგრამ გამომეტყველება სახისა უმტკიცებდა, რომ აზრი ნათქვამისა თითქოს ვერ გაეგო. აცახცახებულის ხელით ფანჯრის ფიცარს დაჰკრდნობოდა და ფერმიხდილი; სახე-შემაღლებული თითქოს გაქვავებულიყო. აქნობამდე სულ რაღაცა უცნაურს მღელვარებაში იყო, თითქოს არასა ჰგრძნობდა, მაგრამ მთელი მისი არსება მოლოდინით იყო გატაცებული, თრთოდა.

ჰგრძნობდა შეგნებულად, რომ გარშემო ბნელი ეხვია. ჰედავდა, ჰგრძნობდა თავისს გარშემო მისს უსაზომობასა. წყვდიადი მთლად გარს ეხვეოდა, მიჰსეოდა, მისს ოცნებას ეტოლებოდა. და ჰა, იგიც აღმდეგარიყო მის წინააღმდეგ, რომ თავისი ბავშვი მის უსაზღვრო დელვისაგან როგორმე დაეცვა.

და ვიდრე ექიმი ჩუმად ამზადებდა თავისს იარაღს, უსინათლოს მდგომარეობა არ შეუცვლია. ეშინოდა წინადაც, მაგრამ იმედის ნიშნები მაინც შეჩერენოდა მისს სულსა. ახლაკი, ამ გულგადამლევსა და საზარელს შიშს უკიდურესობამდე მიედწია, მთლად მისი მღელვარე ნერვები დაეძაბა, იმედი-კი მიმქრალიყო, მისის გულის ღრმა სამალულებს ამოჰფარებოდა. და, აი, უცბად ორმა სიტყვამ: „ბავშვი ჰედავსო!“ მთლად შესცვალა მისი სულიერი განწყობილება. შიში უცბად გადევარა, იმედი რწმენათ შეეცვალა, ფხიზელი სულიერი განწყო-

ბილება მთლად გაუნატლდა. ეს იყო სრულიად უცხები ცვლილება, რომელმაც მისს ბნელით მოცულს სულში კაშკაშა სხივის მზგავსად შეაშუქა ელვასავით. ექიმის ორმა სიტყვამ ცეცხლის გზა, გაკვალე უსინათლოს ტვინისაკენ... ნაპერწკალმა გააკვესა თითქოს სადღაცა მისს სულში და მთელის მისის სხეულის სამალულები გააშუქა... აუთრთოლდა ყოველისფერი და თვითონაც მაგრა დაჭიმულ სიმივით თრთოლა დაიწყო, თითქოს ეს არის, მოულოდნელად ხელი ვისმე ჩამოუკრავსო.

და, ჰა, მისს დაბადებიდგანვე ჩამქრალს თვალებს ამ ელვარების შემდეგ უცბად უცნაური რამ ჩვენებანი წარმოუდგნენ. მაგრამ სხივებისაგან შესდგებოდნენ ეს ჩვენებანი, თუ ხმებისაგან, ანგარიში ამისი ვერ გაეწია. ეს იყო უფრო ხმები, რომლებსაც სული ჩაედგათ, გარკვეული სახე მიეღოთ და სხივებივით მოძრაობდნენ. ცის გუმბათივით გაშუქებულნი კაშკაშა მზესავით მისურავდნენ და მღელვარებდნენ, როგორც მწვანე მინდვრის ჩურჩული და შრიალი ჰლელავს ხოლმე, როგორც ჩაფიქრებულ წიფლების ტოტები ირხევიან ხოლმე.

ეს იყო მხოლოდ პირველ ხანადა და მხოლოდ ამ წამის გაურკვეველი შეგრძნებანი ჩაპრაბენ ხსოვნაში. დანარჩენი ყოველივე დაავიწყდა შემდგომში. ეგ იყო მხოლოდ, რომ დაუინებით ამტკიცებდა ხოლმე, ვითომ ამ რამდენისამე წამის განმავლობაში ჰქედავდა იგი.

მაგრამ, რა ნახა, სახელდობრ, როგორა ნახა, ან ნახა რამე მართლა თუ არა,—ყოველივე ეს გაუგებარი დარჩა. ბევრი ეუბნებოდა, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ უსინათლო თავისას გაიძახოდა და ირწმუნებოდა, რომ ვითომ ცადედამიწა, დედა, ცოლი და მაქსიმი ნამდვილად ნახა...

რამდენისამე წუთის განმავლობაში ასე მაღლა თავ-აღეზული და სახე-განათლებული იდგა. იქაშდის უცნაური იყო იგი იმ უამაღ, რომ ყველა გაჩუმდა, ყველა უნებურად მას შეჰყურებდა. ეგონა ყველას, რომ მათ შორის აწ მდგარი კარგად ნაცნობი ადამიანი ის აღარ იყო სრულიად, როგორსაც

წინადა სცნობდნენ, არამედ სულ სხვა, უცნობი ვინშე იყო. წინანდელი-კი, საიდუმლოებით უცებ გარემოცული, სადღაც გაჰქრა.

და აი, ამ რამდენისამე წუთის განმავლობაში სულ მარტოდ იყო იგი ამ საიდუმლოებით მოცული... შემდგომში მათგან მხოლოდ რაღაცა კმაყოფილების გრძნობა და უცნაური რწმენა-ლა შეჰქრა, ვითომ ამ რამდენსამე წამს ჰქედავდა იგი.

მაგრამ შეიძლებოდა, განა, მართლა ასე ყოფილიყო?

შესაძლებელი იყო, განა, ბინდით მოცული, გაურკვეველი სინათლის შეგრძნებანი, რომელნიც უცნობის გზით იმის ბნელ ტვინამდე აღწევდნენ, ახლა, როდესაც უსინათლო მთლადა თრთოდა და დღის სინათლის შეგებებას ესწრაფებოდა, უცების აღტაცებით მისს ტვინში ბუნდოვან ნეგატივივით გამომსჭვირალენი გამხდარიყვნენ?...

და მისს უსინათლო თვალებს ლურჯი ცა, კაშკაშა მზე და ანკარა მდინარე, ქედობითურთ, რომელზედაც ისე ბევრი რამ ეგრძნო და ხშირად ეტირა ჯერ ისევ ბავშვობისას, მართლა ენახა?..

ან მისს ტვინში ფანტასტიურ მოჩვენებათა სახით არეულიყვნენ უცნობი მთები და შორს გადაშლილიყვნენ უცნობივე მინდვრები; ან უცნობ მდინარეთა კამკამა ზედაპირზე მშვენიერი ხეები ყოფილიყვნენ რხევით ამართულნი და ამ სურათისათვის კაშკაშა ნათელი მოეფინა მზეს, რომელსაც მის წინაპართა ურიცხვნი მოდგმანი სჭვრეტდნენ მუდამა?...

ან იქნება ყოველივე ეს უსახო, გაურკვეველი შეგრძნებები იყო მისს ბნელით მოცულ ტვინის სიღრმეში აჩინჩხლილი, რომლის შესახებაც მაქსიმი იტყოდა ხოლმე და საღაც სხივები და ხმები ერთნაირად დაეჭდევა ხოლმე სიმხიარულეთ ან ნაღვლიანობათ, სიხარულათ ან მოწყენილობათ?..

და მხოლოდ-ლა იგონებდა ხოლმე შემდგომ ერთის წამით მისს სულში აღძრულს მწყობრს აკყორდს, რომელშიაც მთელის მისის სიცოცხლის შთაბეჭდილებანი, ბუნების შეგრძნება და მახლობელთა ცხოველი სიყვარული შეერთებულიყვნენ?...

ვინ იცის?..

ახსოვს მხოლოდ ის, როგორ მოევლინა ეს საიდუმლო და როგორ განშორდა. ამ უკანასკნელს წამს გახმოვან ებული სახეები ერთმანერთს ჩაეწვნენ, შეერივნენ, აწკრიალდნენ, შეი-ირჩნენ, ათრთოლდნენ და მისწყდნენ, როგორც თრთის ხოლ-მე და მერე შიჩუმდება მაგრა დაჭიმული სიმი: ჯერ სულ მაღლა-და-მაღლა, მერე-კი ნელა, მთლად ოდნავ ისმის... ეტყობოდა თითქოს, რომ თვალუწვდენს სიმაღლეს რაღაცა მოსწყდა და განუზომელს წყვდიადში გადაეშვა...

და მისწყდა, მიჩუმდა.

წყვდიადი და დუმილია... რაღაცა ბუნდოვანი აჩრდი-ლები კვლავად სცდილიბენ ღრმა წყვდიადიდან ზე ამოსვლასა, მაგრამ აღარც ფორმა, აღარც ტონი, აღარც ფერი მათ აღარა აქვთ... სადღაც გაისმა მხოლოდ ძირსა და შორს წკრიალა ხმა ჭრელი სიმღერისა, გასჭრა, გააპო წყვდიადი და ესეც უფსკრულში გადაეშვა.

გარეშე ხმებმა მაშინ უცბად მის სმენამდე მიაღწიეს თა-ვისის ჩეცულებრივის სახით, თითქოს გამოფეხიზღდაო, მაგრამ ჯერ ისევ ისე იდგა გაცისკროვნებულ-გახარებული და მაქსი-მისა და დედის ხელებს ხელში ჰსრესდა.

— რა დაგემართა? — ეკითხებოდა დედა აღტაცებულის კილოთი.

— არასფერი... მგონია, ვითომ... ყველანი დაგინახევით. მაგრამ... ხომ არა მძინავს?

— მერე, ახლა? — ჰკითხა აღელვებულმა დედამ. — გა-ხსოვს-და კიდევ, ან გეხსომება?

უსინათლომ ღრმად ამოიხრა.

— არა, — მიუგო ძალდატანებით. — მაგრამ არასფერია, იმიტომ, რომ... ყოველივე ეს მივეცი... მას... ბავშვსა.

წაბარბაცდა და ცნობა დაჭკარგა. სახე მთლად გაპფი-თრებოდა, მაგრამ მხიარულ კმაყოფილების ნაშუქი კიდევ უთამაშებდა ჯერ სახეზედ.

შკანასიტყვაობა

აღური(წველი საზოგადოება შეკრებილიყო „კონტრა-კტობის^{*)}) დროს კეცვში, რომ ორიგინალურ მემუსიკესათვის ყური დაეცილო. უსინათლო იყო მემუსიკე, მაგრამ ხმა და-ლიოდა, რომ სასწაულებრივი მუსიკალური ნიჭი აქვსო. იარ-მუკის დარბაზი ხალხით იყო მთლად გაჭედილი და შემოსა-ვალიც (საქველმოქმედო აზრით გადადებული), რომელსაც მემუსიკის ნათესავი კოჭლი მოხუცი განაგებდა, სრული იყო.

გამოვიდა თუ არა ესტრადაზე ლამაზ-თვალებიანი, ფერ-მიხდილი, მაღალი ახალგაზრდა, დარბაზში დუმილი ჩამოვარ-და. ვერავინ უსინათლოდ ვერ ჩასთვლიდა მას, რომ თვალები ისრე უძრავად არა სკეროდა და ხელი არ ჰკიდებოდა ახალ-გაზრდა ქერა ქალს, თვითონ ცოლს მემუსიკესას.

— საკვირველი სულაკ არ არის, თუ ასეთს ღრმად შე-მარყეველს შთაბეჭდილებას ახდენს, — ეუბნებოდა ბრბოში ვიღაცა მოუსვენარი თავის მეზობელსა. — შესანიშნავი დრა-მატიული გარეგნობა აქვს.

და მართლაც, მისი შიმკრთალებული, ოდნავ გულჩა-თხრობილი სახე, მისი უძრავი თვალები და მთლად მისი ფი-გურა რაღაცა განსაკუთრებულად და არაჩეულებრივ იზი-დავდნენ ყველას.

დაკვრაც ასრევე შეჰკეთილხმოვანებოდა შთაბეჭდილე-ბასა.

სამხრეთ-რუსეთის საზოგადოებას უყვარს საზოგადოდ და აფასებს თავისს სამშობლო მელოდიებს, მაგრამ „კონ-ტრაკტების“ ჭრელი საზოგადოებაც უცებ გაიტაცა მხურვა-ლე მუსიკალურმა ნაკადულმა. ცოცხალი გრძნო სამშობლო ბუნებისა და ფხიზელი ორიგინალური კავშირი აღხურ მე-ლოდიების პირდაპირ წყაროებთან ნათლად იხატებოდა სა-უცხოვო იმპროვიზაციაში, რომელსაც უსინათლო მემუსიკე

^{*)} მოვაკონება მკითხველი, რომ „კონტრაკტობა“ იარმუკობაა.

ათქმევინებდა საკრავსა. ფერადებით მდიდარი, მოქნილი და მგრძნობელი ხმები საკრავისა წკრიალა ნაკაღულივით მოს-ჩეფდნენ, ხან მაღლა-მაღლა იწევდნენ დიდებულ საგალო-ბელივითა, ხან-კი ნალვლიანად, გულითად კილოთ იბნეოდნენ დაბლა; გეგონებოდათ დრო-და-დრო ქარიშხალი ჰგმინავს ცაში და უსაზღვრო სივრცეს დაპქუხსო; ხან-კი, მინდვრის ქარივით უბერავს ბალახს, მიწაყრილს და წარსულის ბნელით მოცულს ოცნებებს დაპმდერისო.

შესწყვიტა თუ არა უსინათლომ დაკვრა, დარბაზში იმავ წამს აღტაცებულის ბრბოს გამაბრუებელი ტაშის ხმა გაი-სმა. იჯდა თავ-ჩაღუნული უსინათლო და ამ უცნობს გრიალს ტაშისას განცვიფრებული ყურს უგდებდა. მაგრამ, აგერა, ასწია კვალად ხელები და კლავიშებს დაპკრა. მრავალ-რიც-ხვოვანი დარბაზი იმავ წამს ისევ მიჩუმდა.

შემოვიდა ამ ღროს მაქსიმი და გადაპხედა ერთის გრძნო-ბით გატაცებულს ბრბოს, გაუმაძლრად რომ შეცყურებდა ცეცხლის მფრქვეველ თვალით უსინათლოსა.

უგდებდა ყურსა მოხუცი და ელოდა. ეგონა, ეს მძლავრი, უსინათლოს სულიდგან თავისუფლად მომჩერეფარე იმპროვი-ზაცია წინანდებურად უცებ სადმე გაწყდებოდა და მისის სულის ახალს იარას მტკიცნეულ კითხვათ ისარივით დაესო-ბოდა. მაგრამ, არა, ხმები სულ იზრდებოდნენ, მაგრდებო-დნენ, სრულდებოდნენ და გრძნობით გაერთებულ, სულ-გა-ნაბულს ბრბოს თან-და-თან მძლავრად იტაცებდნენ.

და რამდენიც უფრო ყურს უგდებდა მაქსიმი, იმდენი უფრო ნათლად მოსჩანდა რაღაც რამ ნაცნობი გრძნობა უსი-ნათლოს დაკვრაში.

დიახ, ის იყო სწორედ, — ღრიანცელით მოცული ქუჩა. ნათელი, სიცოცხლით სავსე, მგრგვინავი ტალღა მძიმედ მო-გორავს, ირლვევა, ელვარებს და ათას ხმათ იბნევა, ხან მაღლა მიდის, იზრდება, ზან-კი ისევ შორეულს, გაბმულს გუგუნს უერთდება, წყნარი, ლამაზი; უგრძნობელი და ციფი არის.

და უცბად მაქსიმს გული შეპხუთა. როგორც სხვა ღრო-საც მუდამ, კვლავად აღმოპხედა კვნესა უსინათლოსა.

აღმოჰქმდა, დაიწკრიალა და ჩაკვდა.

მაგრამ, არა, ეს აღარ იყო კვნესა პირადის მწუხარები-
სა, წინანდებური, თავკერძო ტანჯვა უსინათლოსი. მოხუცს
თვალზე ცრემლი მოადგა. იცრემლებოდნენ მეზობლებიცა.

სტიქიონსავით მღელვარე, თავისებურად ლამაზსა და
უგრძნობელს ქუჩის ხმაურობას მოსწყვეტოდა და დარბაზში
ისმოდა ახლა წყნარი, მაგრამ მძლავრი მომტირალე, გულის
მომწყვლელი ხმა.

იცნო მაქსიმმა იგი, ეს იყო მწარე სიმღერა უსინათ-
ლოთა:

— გაიკითხეთ უსინათლონი... ქრისტეს გულისათვის...

თავზარი დაეცა თითქოს მთელს ბრბოსა, ჩუმმა გოდე-
ბამა და მუდარამ ყველას გული აუტოკა. ხმა უკვე მისწყდა
კარგა ხანია, მაგრამ ცხოვრების საზარელ სინამდვილით ელ-
და-ნაკრავი ბრბო-კი ისევე სამარისებურად სდუმდა.

მოხუცს თავი ჩაეღუნა, ფიქრობდა:

„დიახ, თვალთ აეხილა... საკუთარ, წყურვილ-მოუკვ-
ლელ უსინათლონბის თავკერძო ტანჯვის მაგიერად მისი სული
ახლა სხვათა დარღსა და მწუხარებას ატარებს თანა, ჰერძნობს
და ჰერდავს მას და შესძლებს კიდევ, ბეღნიერებს ეს უბეღუ-
რება გაახსენოს ხოლმე“...

და ძველმა მეომარმა თავი თან-და-თან დაბლა დაჰ-
ხარა. თავისი საქმე ხომ შეასრულა, ქვეყანაზე ტყუილად
არ უკოცხლია; უმტკიცებდნენ ამას დარბაზში მდგომი გრძნო-
ბით სავსე მძლავრი ხმები, ბრბოს რომ თავს დასტრიალებ-
დნენ

ასე დასრულდა დებიუტი უსინათლო მემუსიკისა.

გლეხი პატი

ვალექლმ ფონ-ბოლგნცისა

შიგნი მესამე

I

გუსტავი და იმის მუშები საქსონიაში კიდევ ჩავიდნენ. ველცლებენიდან სადგურზედ ურმები და ცხენები გამოეგზა- გნათ, ისე რომ სოფელში ჩასვლას დიდი ზანი აღარ მოსდო- მიან. ჩასვლის უმაღლ მოურავმა მუშებისთვის დამზადებული შე- ნობა აჩვენა გუსტავსა და ყველას თავისი კუთხე აღმოუჩინა.

ნამდავრი მუშები მეორე დღესვე სამუშაოთ უნდა გა- სულიყვნენ მინდორზედ.

ჭარხალს ჯერ ეხლა ამოეყო თავი და ამიტომ ჯერჯე- რობით მოვლას არა თხოულობდა. გოგოებმა ანეულს დაუწყეს მარგვლა და ვაჟები ხვნას შეუდგნენ.

აღმოსავლეთიდან მოსული მუშები აქ, გერმანიის დასავ- ლეთ ნაწილში, სულ ახალ პირობებში ჩაცვიდნენ: სადამდი- ნაც კი კაცს თვალი გადუწვდებოდა, ვაკე ადგილზე მშვენივ- რად დამუშავებული, ჩინებული შარა გზებით დაჭრილ-დანა- წილებული მინდორი მოსჩანდა. უსარგებლოთ ერთი მტკავე- ლი მიწაც კი არსად იკარგებოდა. ცხადი იყო, რომ ადგილს აქ ძალიან უფრთხილდებოდნენ; რადგან მიჯნაზედაც კი არც ხესა და არც ბუჩქს არ აყენებდნენ. გამოუსადეგარი მიწა ერთი მტკაველიც არსად მოსჩანდა და მთელი მინდორი ისე-

იყო მოწმენდილ-მოსპეტსკებული, რომ პატარა კენჭსაც კი ვერსად წააწყდებოდა აღამიანი. მინდორ-ველების ირგვლივ არსად არ მოსჩანდა ის ფიჭვნარი, რომელიც აღმოსავლეთ გერმანიაში ყოველი მინდვრის ჩვეულებრივ ჩარჩოს შეადგენს ხოლმე. ვერც ტყეს; ვერც ბუქნარს და ვერც საძოვარ ადგილს მოჰკრავდა აღამიანი თვალსა. სათიბი მინდორი ძალიან ცოტა იყო; ირგვლივ სულ სახნავ-სათესი მიწები მოსჩანდნენ. აჭრელებულ მინდორ-ველების ნაცვლად, რომელსაც აღმოსავლეთიდან მოსულ მუშები დიდი ხანია რაც შეჩვეული იყვნენ, აქ მინდორი, ბაცი მწვანე ფერის ჭარხლის ბუქებით იყო სავსე.

მერე თვით დამუშავებაც სხვანაირი იყო! ნიჩბისა და ბარისა აქ არა იცოდნენ-რა; ჩვეულებრივი გუთნის ნაცვლად, ყველგან ორთქლით მოძრავი გუთნები იყო შემოლებული. პურის გალეწვა-გაცხავებაც ორთქლის მანქანებსა ჰქონდათ მინდობილი. საქონელს ჭარხლის ფოთლებით ჰკვებავდნენ მიუხედავათ იმისა, რომ საქონელი დიდ ძალი ჰყავდათ მერძევობას აგრე რიგად არ მისდევდნენ. საკლავ საქონელს ამ ქვეყანაში გასასუქებლათ მოერეკებოდნენ. ხბორებს არ აბამდნენ და, როგორც ეტყობოდა, საქონელს უფრო პატივისთვის ინახავდნენ.

სოფლები! აქაური სოფელი აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა: შენობები ახლო-ახლო იდგნენ ერთი მეორესთან და როგორც წყლის ორი წვეთი, ისე ჰგავდა ერთიმეორეს; ყოველი იმათგანი თეთრათ იყო შელებილი და ჰერი კრამიტით ჰქონდა დახურული. ხის შენობა ან ჩალის სახურავი არსად მოსჩანდა. აქა იქ შენობების წინ მცხოვრებლებს პატარს ბაღები ჰქონდათ გაშენებული. მაგრამ არც კორდი და არც ხეხილი არსად მოსჩანდა, რაც ღარიბ გლეხს ძალიან უყვარს აღმოსავლეთ გერმანიაში. კაცს ეგონებოდა, ამ ხალხს არც ძროხა, არც ღორი და არც შინაური ფრინველი არ გააჩნიათ არსადაო.

მაგრამ ამასთანავე სიღარიბეს აქ კაცი ვერსად ნახავდა. ხალხი უარს არაფერში ეუბნებოდა თავის თავსა. გლე-

ხებს მოქალაქეებსავით ეცვათ; რაღა თქმა უნდა, რომ ფეხთ აქ ყველას ეცვა და ბავშვებიც კი არ დარბოდნენ აქ ფეხში-შველა.

გლეხები ცოტანი იყვნენ, მაგრამ ვინც იყო, ყველა ბატონსა ჰგავდა. ზოგი ცხენებით დაიარებოდა, ზოგი ეტლითა. ვეებერთელა და ჩინებულ სახლებში სცხოვრობდნენ და შვილებს ქალაქებში ჰგზავნიდნენ სასწავლებლად. ერთმანეთს თქვენობით ელაპარაკებოდნენ და არც ერთი იმათგანი არ იკადრებდა და თავის მუშებთან ერთად ერთ ლუკმა პურსაც არ შესჭამდა.

რაკი ადგილი მთიანი არ იყო, ხეებს იშვიათათ შეხვდებოდით, და რადგან არც სამრეკლოები ჰქონდათ დიდრონი, ადამიანს არა უვარდებოდა-რა თვალში და არა იზიდავდა-რა იმის ყურადღებას, გარდა ქარხნების მაღალი საბოლეებისა, რომელნიც ამპარტავნულად ამართულიყვნენ და გარემო მიდამოს ცნობის მოყვარეობით თუ ამაყობით სახსენი გადმოჰყურებდნენ. აქ შაქრის ქარხნის საბოლეს ჰნახავდი, იქ აგურხანისას ან არყის სახდელ ქარხნისას.

საცა გუსტავსა და იმის მუშებს უნდა ემუშავნათ, იმ მამულშიც იყო ერთი ამისთანა საბოლე, რომელიც არყის სახდელ ქარხანას ეკუთვნოდა. ეზოში ცალ სართულიანი შენობები იყო აგებული. მთელი ეს მამული, თითქოს პატარა მოწკრიალებულ ლამბაქზეა გაშენებულიო, ისე მოსჩანდა, თვისი თეთრი, ბამბის ფერ კედლებით, წითელ კრამიტებით და ქარხლით დათესილ მინდვრებით, რომელნიც ამ ერთფეროვან შენობებს საყვარლებსავით. ამოკპროდნენ მკერდში. მამულის ამ ნაწილიდან უმთავრეს მამულ ველულებენისკენ დიდი შარა გზა მიღიოდა. მეორე გზას, რომელიც ქარხლით დათესილ მინდვრებს უვლიდა გარშემო, შაქრის ქარხანისკენ მიჰყავდა. ეს ქარხანა მეზობელ მემამულებს დაეარსებინათ აქციონერულის წესით.

ცოტა მოშორებით მუშებისთვის შენობა იყო ამართული, რომელსაც სიტყვის შესამოკლებლათ „ყაზარმებს“ უწოდებ-

ლნენ. ეს შენობა ერთ სართულიანი იყო, მაგრამ კაი მოზრდილი და, როგორც მოურავმა გამოუცხადა გუსტავს, „პოლიციის წესების თანახმათ“ იყო აგებული. ქვეითა მიწურ სართულში ორი დიდი დარბაზი იყო, რომელთაგან ერთი გოგოების სასადილოს წარმოადგენდა და მეორე ვაჟებისას, დარბაზის იქით სამზარეულო იყო და მერე თეთრეულობის სარეცხი ოთახი; დასაძინებელი ოთახები ზეითა სართულში იყო მოწყობილი და გუსტავის ოთახი, რომელსაც ეხლა „ზედამხედველს“ უწოდებდნენ, ორათ იყო გაყოფილი, ერთი ნაწილი ქალებს ეკუთვნოდა და მეორე—ვაჟებს.

მოურავი ჯერ ისევ ახალგაზღა კაცი იყო და როგორც ულვაშებსა და ხმა მაღალ ლაპარაკზედ ეტყობოდა, უსათუოთ ნააფიცრალი უნდა ყოფილიყო. მოურავმა ყველა ოთახში დაატარა გუსტავი და გამოუცხადა—ყოველ „სიბრიუვისა და სიბინძურის პასუხს მთავარი მმართველობა თქვენ მოგთხოვთო“.

გუსტავს საცხოვრებელი სახლი ასე კარგი არც კი ეგულებოდა, ყაზარმული მოწყობილება ახალი არ იყო მისთვის, რადგან ამგვარ ცხოვრებას სალდათობაშივე იყო შეჩვეული. პაულინას, რასაკვირველია, უფრო უკეთესად მოწყობილი ოთახი ენატრებოდა—ეხლა კი საწოლისა, მაგიდისა, სკამებისა და შკაფის მეტი არა ედგა-რა ოთახში, მაგრამ ამისთვისაც მაღლობა უნდა შეეწირათ ღვთისთვის. ისიც კარგია, რომ ფეხევეშ იატაკი ექნებათ და თავზედ ჭერი ეხურებათ.

სამზარეულოს ფეხი ხომ ძალიან მოსწონდა პაულინას, საბედნიეროთ, ამგვარ ფეხს ჯერ ისევ მებატონის სახლშივე იყო შეჩვეული. მოურავმა პაულინას სამზარეულოს ჩააბარა, რადგან იმის ასპარეზათ ეს იყო დანიშნული, ყოველ კვირა ყველას სამყოფი კართოფილი ეძლეოდა პაულინას და განაწილება კი იმის საქმე იყო.

— ეს ჩვენი საქმე არ არის,—ჩვენ ისედაც ბევრი საფრინებელი გვაქვს.—მოკლეთ მოუჭრა მოურავმა.

ვაჟებს ბევრ ვერაფრათ ეჭაშნიკათ ეს წესი და რიგი.

პოლონელი როგოლლა ხმა მაღლა ილანძლებოდა, მაგრამ რაკი პოლონური ენა აქ ერთ აღამიანსაც არ ესმოდა, იმის ლანძლვა-გინება გაუგებარი რჩებოდა. უველაზედ ძლიერ კი ის არ მოსწონდა როგოლლას, რომ საერთო ოთახში უნდა სძინებოდა. გეშკე ამბობდა პოლონელს ალბათ თავისი ჩვეულებრივი აბანოს ჭიებიანი კუთხე რომ არა აქვს, იმას თუ სწუხსო. გუსტავი გერმანულად მოელაპარაკა პოლონელს და თუმცა ამ მოლაპარაკების შემდეგ როგალლა საერთო დასაძინებელ ოთახში გავიდა დამე მაინც სადღაც წასულიყო — ალბად შესაფერისი ადგილი თუ იპოვნა სადმე.

როგორც აღმოჩნდა ზოგიერთა გოგოებიც იყვნენ ერთ ოთახში ძილის წინააღმდეგნი. უველაზედ ძრიელ კი ორნი დანი, გელფნერის ქალები გაჯიუტდნენ. ორთავენი ღარიბთა თავშასაფარიდან იყვნენ გამოსულნი და იმათ ოჯახედ ცუდი ხმები დადიოდა გალბენაუში. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ გუსტავი დიდი ხანი ყოყმანობდა და არ იცოდა წაეყვანა გელფნერის ქალები თუ არა, მაგრამ დები ძალიან შეეხვეწნენ და შეჰვიცეს კარგათ მოვიქცევითო. ეხლა კი აღარაფერი მოსწონდათ, არც სახლ-კარი, არც სასმელ-საჭმელი და არც სამუშაო. გუსტავმა რომ გალანძლა და დაუყირა, ორთავენი ოთახში შეცვივდნენ და კარები შიგნიდან ჩაიკეტეს. ასე, კარ-ჩაკეტილ ოთახში, მთელი დღე ისხდნენ და სამუშაოდაც არ წასულან. გუსტავმა არ იცოდა რა ექნა. ვაჟკაცების ბრძანებლობას უნტერაფიცრობის დროს ვე შეჩვეული, მაგრამ ჯიუტ გომბიოებთან რას გააწყობდა? ამ საჭმეში ვერც პაულინა გაუწევდა დახმარებას, რადგან გულჩვილი ადამიანი იყო და ბრძანებლობას და სასტიკობას ვერ მოახერხებდა.

მაგრამ დახმარება მოულოდნელად ერნესტინამ აღმოუჩინა. ამ უკანასკნელს გზაშივე ეტყობოდა, რომ გოგოებში პირველ ადგილს ის დაიჭერდა, მიუხედავათ იმისა, რომ უველაზედ ახალგაზდა ის იყო. დანარჩენები, თუმცა ბევრი იმათ-განი ჯანსაღი, დადედაჭაცებული, ქალიც იყო, მაინც ამ პატა-

რა გოგოს ჭკუისა და ენერგიის წინ თავს იხრიდნენ და პირ-ველობას იმას უთმობდნენ. ეხლა მარტო ერნესტინამ მოახერ-ხა გელფნერების ოთახში შესვლა და ისევ ერნესტინამ დაა-წყობინა მუშაობა.

გეშკეც ღიღდ დახმარებას უწევდა ზედამხედველს. რა არ გამოველო ამ კაცსა და რა არ ენახა! იმაზედ გამოცდილი და ცხრა ჩალა გამოვლილი აქ არავინ ერია. აქ სწორედ ამი-სთანა კაცი იყო საჭირო. მით უმეტეს რომ გეშკე გულკეთი ლი და დაუზარელი კაციც იყო. მაგრამ როცა თავისზედ უფ-როს ელაპარაკებოდა ეს გულკეთილობა ბოროტებათ და უნდობლობათ გადაექცეოდა ხოლმე.

გეშკემ მოურავი პირველ დღიდანვე შეიძულა. გუსტავს სულ იმას ჩასჩინებდა: ამ „მაიმუნს“ მე არას მოვუთმენ და იცოდე თავს მასხარათ არ ავაგდებინებო.

სანაცვლოთ, ველცლებენში მომუშავე მუშებში, ბევრი კარგი მეგობარი გაიჩინა. იმათგან ცოტა ახალ ამბავს არ გაიგებდა ხოლმე გეშკე; ველცლებენის პატრონს გალშტედს ერთი და ორი მილიონი თურმე არა ჰქონდა. ეს ამოდენი შეძლება ჭარხლითა და შაქრის წარმოებით მოეგო. თითონ მოხუცი ძუნწია, მაგრამ იმისი შვილები აფიცრები არიან და სცდილობენ ამ ფულს რაც შეიძლება მალე უგალონ თავი:

გეშკემ მოურავზედაც ბევრი ახალი ამბავი უამბო თავის მეგობრებს. კაცებს მხეცსავით ექცევა, მაგრამ გოგოებს კი როგორც ფარვანა, ისე თურმე ევლება თავსაო. შარშან კი სხვანაირ ბიჭს შეჰქირია. ერთი მუშათაგანი, რომელსაც ხუმრობა არ უყვარდა, მოწმების დაუსწრებლივ საჯინიბოს გვერდით თურმე მოელაპარაკა. ამ ლაპარაკის შემ-დეგ ჭ. მოურავი მთელი კვირა თურმე სახლიდან აღარ გა-მოდიოდა და მუშა კი სადღაც გადაკარგულიყო. ის დედაკა-ცი, რომელიც მოურავს უვლიდა, საშინელ რამეებს ლაპარა-კობდა მოურავის დალურჯებულ სხეულზედ.

მაგრამ ღვთის წინაშე, ჩამოსულ მუშებს მოურავთან არაფერი საქმე არა ჰქონდათ, გარდა გუსტავისა, რომელიც

ყოველ დღე დაიარებოდა ხოლმე მასთან სხვა და სხვა განკარგულების მოსასმენათ. რადგან სასყიდელი ნამუშავრის აწონ-დაწონით ეძლეოდათ, ზარმაცებიც კი კარგათ მუშაობდნენ, ყველაზედ მეტს გოგოები ირჯებოდნენ, გელფნერის ქალებიც კი აღარ ჩამორჩნენ თავის მეგობრებს, რადგან არ უნდოდათ თავიანთ სიზარმაცის წყალობით. სხვებზედ ნაკლები სასყიდელი მიეღოთ. ვაჟკაცებში ყველაზედ ძრიელ პოლონელი როგოლლა არიდებდა ხოლმე სამუშაოს თავსა.

ერთხელ როგორლაც იმ მამულში, საღაც გუსტავი და იმის მუშები მუშაობდნენ, ეტლი გაჩერდა; ხმა გავარდა თითონ ბ. გალშტედტი მოვიდაო. სწორედ ამ დროს გუსტავი თავის მუშებით მინდორზედ იყო და ახლათ ამოსულ ჭარხალს უვლიდა. ბ. გალშტედტმა მეეტლეს უბრძანა გაჩერებულიყო და მუშებს გადახედა. რამდენადაც კი გაარჩევდა კაცი შორიდან, ბ. გალშტედტი ხნიერი კაცი იყო, ჭალარა წვერი ორათა ჰქონდა გაყოფილი და ცხვირზედ სათვალეები ეწყო. აგრ თურმე როგორი ყოფილა ბ. გალშტედტ-ველცლებენი!

გუსტავს იმედი ჰქონდა, ან თითონ მოვა და გამომელაპარაკება ან დამიძახებს და მკითხავს რამესაო. ლუკა პურს ეს აძლევს ამოდენა ხალხსა და ეს მუშებიც ხომ სხვის მამულს არ აღვრიან ოფლსა და სისხლსა, ეს მამულიც ამისი არ არის! ამის ბრძანებით არიან ყველანი ჩამოსულნი და ამის სურვილით დაანება ამოდენა ხალხმა თავის სამშობლოსა და სახლკარს თავი.

მაგრამ გალშტედტ-ველცლებენს აზრათაც არ მოსვლია მუშებთან გამოლაპარაკება. იმან სალამის ლირსათაც კი არავინ გახადა და მეეტლეს წინ წასვლა უბრძანა.

გეშკემ ზიზლით გადააფურთხა. იმისი აზრი, რომ ყველგან და ყველა ქვეყანაში მდიდარი ხალხი გროშადაც არა ღირსო, როგორცა სჩანდა, აქაც გამართლდა; გუსტავს ნება უნებურათ ციტვიცის სიტყვები მოაგონდა: „ერთი ფულებს იძლევა და მეორე ამის სანაცვლოთ შრომას უთმობს. ყველა ფულით იწყება და ფულითვე თავდება“. ციტვიცი დაახლო-

ვებით ამას ამბობდა და, როგორც ეტყობოდა, არცა სცდებოდა.

ყოველ შაბათს გუსტავი შრომის ფასს იღებდა. თუ ვინ-მე ვადის გასვლამდის სამუშაოს თავს დაანებებდა, ამის სანა-ზღაუროთ ფულს უჭერდნენ, რასაკვირველია. არც თუ ჯარი-მები იყო დავიწყებული, ხელშეკრულობის ერთი მუხლი იმა-საც კი ამბობდა, რომ ის მუშა, რომელიც სამუშაოს მომცემს და იმის მსახურს არ დაემორჩილება ყველაფერში, დაუყოვ-ნებლივ დათხოვნილ იქნება და არც თავისი ჯამაგირი მიეცე-მაო. ერთი სიტყვით, როგორც გეშე ამბობდა: „მუშები ცოცხლად იყვნენ გაყიდულნი და ბატონები რასაც მოისურ-ვებდნენ, იმას უზამდნენ.“

პირველათ ჭამა-სმამაც ცოტა არ შეაწუხა მუშები. შეშა და კართოფილი მუქთათ ეძლეოდათ მამულიდან, დანარ-ჩენი კი რაც დასჭირდებოდათ მუშებს თითონ. უნდა ეშო-ვნათ და ყველაფრისთვის თითონ უნდა ეზრუნათ. მამულში ერთი მოსამსახურე იყო, რომელიც რაგინდარებით ვაჭრობ-და. უცხო ქვეყნიდან გადმოხვეწილი მუშები ამისგან ჰყიდუ-ლობდნენ რაც დასჭირდებოდათ, ამ მეწვრილმანეს საქონელი თუმცა ცუდი ჰქონდა, მაინც დიდ ფასებში ჰყიდდა, რადგან კარგათ იცოდა; რომ შემცილებელი არავინ ჰყავდა და რასაც მოინდომებდა, იმას სხადიოდა. ასე ამ გვარათ, ის ფული, რო-მელსაც გალბენაუელი გლეხები სხვა პირობებში კარგათ შეი-ნახავდნენ, ეხლა ჭამა-სმაში ეხარჯებოდათ. გუსტავს ბრაზი მოსდიოდა, მაგრამ რას იზამდა!

მაგრამ აქაც გეშე მ. მოიგონა ხერხი. ერთხელ სადიოლს უკან რამდენიმე საათით დაეთხოვა, გუსტავს ცოტაოდენ ფულს დაესესხა და მიდამოების დასათვალიერებლად წავიდა. შინ გვიანობისას დაბრუნდა და ზურგით სხვა და სხვა საქონლით გაჭუკული ტომარა მოიტანა.

რაები არ ეყიდნა? საქონელი ერთ ოთახში დაწყო და რაც დასჭირდებოდათ ამხანაგებს იმ ფასებში მიჰყიდდა ხოლ-მე, რა ფასადაც თითონა ჰქონდა შეძენილი. იმას მოგება

სრულიადაც არ უნდოდა; მე ჩემ სასყიდლათ ჩსიც მეყოფა, რომ ის გაიძვერა ჯავრობს და მოთმინებიდან გამოდისო.

სადილს პაულინა ხარშავდა, რადგან მინდვრის სამუშაო-ებისგან სამუდამოთ იყო განთავისუფლებული. მაგრამ, ღვთის წინაშე, არც თუ ამას ჰქონდა მოსვენება. თავის ბიჭუნას, თუმცა სამი წლისა გაუხდა და დარბოდა კიდეც, მაინც გვერდიდან არ იშორებდა, რადგან ამ ბავშვს ბევრის მაგიერობა უნდა გაეწია.

დღენი მხიარულად ვერ მიმდინარეობდნენ. ახალგაზდა ქალისთვის. იმას აკლდა ოჯახი თავისი საკუთარი კერა. თუმცა საქმე გამოულეველი ჰქონდა, ამას მაინც არ უჩიოდა პაულინა, რადგან მუშაობას შინვე იყო შეჩვეული; სხვებთან საერთოთ ცხოვრება ხელს უშლიდა ახალგაზდა ცოლქმარის ბედნიერებას. დღე ისე გადიოდა, რომ გუსტავს თთქმის არც კი ჰქონდავდა. გუსტავი დილის სისხამზედ — თხს საათზედ ადგებოდა და ხალხს სამუშაოზედ მიერეკებოდა ხოლმე. მთელი დღე ცოლ-ქმარნი განშორებულნი იყვნენ. გუსტავი მინდორში იყო, პაულინა „ყაზარმაში“. ხშირათ მუშები სადილადაც კი არ მოდიოდნენ ხოლმე შინა, ამისთანა შემთხვევებში სადილი იქ, მინდორში, მიჰქონდათ. საღამოთი გუსტავი დალლილ-დაქანცული და მწარედ დალვრემილი დაბრუნდებოდა, ცოლ-სა და შვილს ერთს არც კი გადახედავდა, გაიძრობდა ტანთ-საცმელს, და როგორც მკვდარი, ცოლ-ქმარი ისე დაიძინებდა. ხშირად ისე გაივლიდა დღე, რომ ერთსაც არ გამოელაპარაკებოდნენ ხოლმე ერთმანეთს.

პაულინას სულ სხვანაირათ ჰქონდა გუსტავის ცოლობა წარმოდგენალი. გუსტავი და პაულინა, მართალია, არც თუ უწინ იყვნენ ერთმანეთისთვის უცხონი, მაგრამ პაულინა, როგორც სოფლისა და ბუნების ნამდვილი შვილი, გვირგვინსა და ეკლესიის წესს დიდ მნიშვნელობის აძლევდა. იმას ეგონა საკურთხევლის წინ მიცემული ფიცი ჩემ შეცდომასაც გაა-სწორებს, ჩვენ კავშირსაც გაამაგრებს და ღვთის კურთხევის და ბედნიერების საწინდარიც ის იქნებაო, ეხლა წრფელის

გულით და სუფთა სინიდისით შეეძლოთ. ერთმანეთის სიყვარული, მაშინ როდესაც უწინდელი სიამოვნება რაც უნდა-დამათრობელი და ტკბილი ყოფილიყო, მანც რაღასაც სტო-ვებდა თავის შემდეგ, რაც სინიდისს უქნენჯნიდა და მუდამ აწუხებდა ხოლმე ქალსა.

ეხლა კი, როგორც გამოჩნდა, ეს კეთილი სული შესუდა და იმედები გაუცრუვდა, ეხლა უფრო დაშორდა კიდეც გუსტავი და! განა უწინ შეიძლებოდა პაულინა ალერსიანის სიტყვებით მიჰგებებოდა და გუსტავი კი უგემურათ და ცი-ვათ გამოჰქასუხებოდა?

სშირათ გუსტავი რომ დაიძინებდა და მისი სახე ძილშიც კი თავის სასტიკ გამომეტყველებას არ ჰყარგავდა, პაულინა სტიროდა და ჩუმად ცრემლებს ჰყლაპავდა. გალვიძებას რო-გორ გაუბედავდა? თავის ნაღვლით და ვარმით ხომ უფრო შეაწუხებდა ქმარსა! არც თუ გუსტავი იყო ბედნიერი. თუ ცოლს ცუდათ ექცეოდა, ამის მიზეზი სწორედ ის იყო, რომ ნაღველი და დარღი ბევრი ჰქონდა. პაულინა მზათ იყო ქმ-რის სიყვარულისთვის ყველაფერი აეტანა და მოეთმინა.

პაულინამ თავისი დარღი გულში ჩაიმარხა, მუდმივ ცრემ-ლებსა და ოხვრას უმალავდა ქმარსა და სცდილობდა სახე ყოველთვის მოღიმარი და მხიარული ეჩვენებინა მისთვის. მა-გრამ იმ ეგოიზმის წყალობით, რომელიც დიდი საფიქრებე-ლით უფრო მეტად იჩენს ხოლმე თავსა, გუსტავი ვერც აჭ-ლიმილს ამჩნევდა და ვერც იმ ცრემლებსა, რომელნიც ასე ფრთხილათ იმალებოდნენ ხოლმე ღიმილის ქვეშ.

ცოლი სცდილობდა ლოგინი, ტანთსაცმელი თუ საჭმელი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც კი გააკეთებდა პაულინა, გუსტავს მოსწონებოდა. ქალის დიდი სიყვარული, რომელიც ამ უამად უარყოფილი იყო გუსტავისაგან, პაულინამ იმ საგ-ნებს გიუზიარა, რომელნიც გუსტავს ეხვივნენ გარსა და რაი-მე დამოკიდულება ჰქონდათ მასთან.

ამ გვარს ცხოვრებაში რამდენიმე კვირამ გაირბინა. ერ-თხელ ისეთი უსიამოვნება მოუხდათ, რომელსაც გუსტავი

არასგზით არ მოელოდა; პოლონელი როგალლა სადღაც გადაიკარგა. იმასთან ერთად იმის ამხანაგებს რაღაც ტანთ-საცმელი დაეკარგათ და გეშკეს საწყობსაც ერთი ძეხვი და ქონის რამდენიმე ნაჟერი დაკლდა.

სად უნდა გაფრენილიყო ეს ჩიტი? ხმა დადიოდა სხვა მამულში დაიწყო მუშაობა, საღაც მარტო პოლონელები არიან მუშებათაო. ძებნაც კი არ დაუწყეს, რაღგან როგალლა აბეზარი, ზარმაცი და საძაგელი კაცი იყო. დაე, თავისებურ ხალხში დარჩეს ბარებ!

II

იმ დღის შემდეგ, რაც ბიუტნერიანთ მამული საჯაროთ გაისყიდა, აგერ ორმა თვემ გაიარა კიდეც. ეხლა სამუილი იყო აქ სრული ბატონი და ბრძანებელი. მოხუცი გლეხი კი ჯერ-ჯერობით, ისევ მამულში დასტოვა და რაღგან სულს იქით აღარაფერი მოქმოვებოდა მოხუცს, გარჩასსოვიცმა სახლის ჭირა აღარა გამოართვა-რა. გარდა ამისა ბიუტნერები ისეთი „კაი ხალხიც“ იყვნენ, რომელთაც დიდის სიამოვნებით გაიკითხავდა. მოხუცს მინდორში გაუჩინა სამუშაო, რომ ჭერით და კედლებით მუქთათ არ ესარგებლნა.

მოხუცი კი დასტოვა, მაგრამ სხვაფრივ ცოტა რამ არ გამოსცვალა ოჯახში. უპირველესად ყოვლისა, მამულიდან ხარები სადღაც წაიყვანა. რაღგან, იმის აზრით, ხარები სხვაგან უფრო საჭირონი იყვნენ.

— თქვენ ძროხებზედაც კარგათ გადივლით, ჩემო ბიუტნერო, არა? — პატიოსანი და მართალი კაცის სახით მიუბრუნდა მოხუცს სამუილო:

ბიუტნერმა წინააღმდეგობა არ გაუწია. პატრონის ყოველ ბრძანებას ხმა ჩაკმენდილი ისმენდა მოხუცი და ვერც სახეზედ შეატყობდა კაცი, რას პფიქრობდა და რას გრძნობდა გულ ჩათუთქული ბიუტნერი.

აგერ იმ დღესაც მოესწრო, რომ მებოსტნესავით ძროხებით უნდა გამოსულიყო სახნავათ. ის ეხლა სხვა, უცხოკაცის, მუშა იყო და იმ მიწას ჰქნავდა, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინ იმის საკუთრებას შეადგენდა. რომ თავის ბრაზი, გესლი და ტანჯვა დაათესა მოხუცს, ნეტა რა მოვიდოდა ამ მინდორზედ?

ხილის ბაღში სამუილის ბრძანებით ბევრი ხეხილი ამოჭკაფეს. ეს მახინჯი ვაშლები მეტის მეტ დიდ ჩრდილს იძლევიან და, გარდა ამისა, იმის მაუალო ვაშლი არც თუ საღმე გასაღდება. ეს ხეხილები საუკუნის დასაწყისში ბიუტნურის პაპის ხელით იყვნენ დარგულნი. ის მებაღე იყო და იმის შრომის ნაყოფით შემდეგი თაობანი სარგებლობდნენ. ეს „მახინჯი ხეები“ ყოველ წელიწადს ქვესავით მაგარ მაუალო ვაშლებს იძლეოდნენ. დედაბერი ბიუტნერი ჩვეულებრივ ცეცხლში სწვავდა და ისე მისთავაზებდა ხოლმე ოჯახის წევრებს; საშობაოთ ყოველთვის ჰქონდათ ხოლმე ვაშლი და ის კი, რაც უფრო გვიან მწიფდებოდა, გაზაფხულამდის შერჩებოდათ ხოლმე და ყოველ დღე საღილის შეიღებ პირს იმითი იტკბანურებდნენ.

აი, ამ ერთგული ხეების ალსასრულის დღე დადგა დღეს. თითონ მოხუცსა და კარლს უნდა გადაეხერხათ და მერე ძირიანათაც ამოეგდოთ მიწიდან. ეს საქმეც ხმა ამოულებლივ გააკეთა ბიუტნურმა. მაგრამ ნახევრათ დამპალ ვაშლის ხეს ჩაესო თუ არა ხერხი გულში, კაცს ეგონებოდა ხერხიც კი კბილებს აკრაჭუნებს ბრაზისაგანაო.

ამასობაში ტონი სახლიდან უნდა წასულიყო, რადგან სამუილმა გამოაცხადა, ამდენ მშეირ მუცელს მე ვერ გავაძღლობო. ამის გარდა ძიძის ადგილიც გამოუჩნდა. სამუილის ასულმა, ქალბ. ახენგეიმ აიყვანა მოსამსახურეთ. ტონის სამუილის შვილის-შვილისთვის უნდა ეწოვებინა ძუძუ და ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს ბერლინში გამგზავრდა. ეხლა გუსტავიც არ იყო შინა, რომ დას გამოჲკომაგებოდა. ტონის ბავშვი ტერეზას მიაბარეს, რომელსაც ბევრ ვერაფრათ ეჭაშნიკა ეს ახალი შემა-

ტება. რასაც კი გაარიგებდა სამუილი, ყველაფერს ჭიუით აკეთებდა და ყველაფერს დაფიქრება და დაკვირვება ეტუბოდა.

სამუილმა არც კარლი დასტოვა უთავისზრუნვოთ. პირველად ამ ჯანსაღ და ახალგაზღა კაცს მამულში დარჩენის ნება მისცა, რადგან გაზაფხულზე მიწის ხვნაში დაეხმარებოდა თავის მამას. მაგრამ გადახნეს თუ არა მინდორი, კარლს იმ საათში გზა და კარი უჩვენა ვაჭარმა. მაშასადამე, კარლს მამა-პაპეულ სახლიდან აგდებდნენ!

სად უნდა წარსულიყო და რა გაეკეთებინა? კარლი სრული უსახსრო იყო და თითონაც არ იცოდა, რა უნდა და-მართოდა. ხელობა არა იცოდა-რა და ქვეყანას არ იცნობდა; მთელ თავის სიცოცხლეში ერთხელ დაენებებინა გალბე-ნაუსთვის თავი, ისიც ჯარში რომ გაიწვიეს მაშინ.—ასეთი კაცი რა უნარს გამოიჩნდა? როგორც უფროს შვილს, კარლს ეგონა მთელ ჩემ სიცოცხლეს მეურნეობაში დავალამებო.

უბედური იყო კარლი! მან დაჲკარგა მამის სამკვიდ-რო, მაგრამ როგორ,—ეს თითონაც არ იცოდა! გალატაკების შემდეგ ცოლიც გაუბოროტდა. ამ დღე სულ მოტყუილებას უჩიოდა. ქმარი რომ „სულელი და რეგვენი“ ჰყავდა, ეს უწი-ნაც კარგად იცოდა ტერეზამ, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ იმის წყალობით როდისმე დიასახლისი გახდებოდა. ეხლა კი რაკი იმდები გაუცრუვდა, პასუხი ამ უბედურს უნდა ეგო.

რამდენიმე ხანი კარლი ადგილს დაეძებდა, თუმცა ეს ძებნა იმაში მდგომარეობდა, რომ გიფსავით დარბოდა და ყველას იმას ეკითხებოდა, საღმე მეეტლის ადგილი ხომ არ გეგულებათ ჩემთვისაო. მაგრამ ყველგან უარს ეუბნებოდ-ნენ, უმთავრესად იმ მიზეზით, რომ ოჯახი დიდი ჰყავდა, თუმცა არც იმისი უხეშობა და უკმეხობა რჩებოდათ შეუმჩნე-ველი. ამ ძებნასაც მალე დაანება კარლმა თავი და ვითომ გაზეთებში განცხადების წაკითხვის მიზეზით ხან ერთ სამი-კიტნოში ეგდო, ხან მეორეში. ტერეზამ ჟეამჩნია, რასაკვირვე-ლია, რომ იმისი ქმარი ლულსა და არაყს ჰყლაპავდა ჩუმ-

ჩუმათა და ამ აღმოჩენის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, უფრო სასტიკად ეპყრობოდა. ამ გაჭირებაშიც ისევ სამუილი დაეხმარა. იმან ვერსმბახის მამულის იჯარით აღება ურჩია კარლსა.

კარლი ვერმსბახში წავიდა მამულის დასათვალიერებლად. ეს, ვითომ და მამული, ნამდვილად ერთი გლეხის მამულის საბრალო ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც გამჭრიას ვაჭარს სხვა ნაწილების გაყიდვის შემდეგ დარჩენოდა. შენობები ისე დახავსებულ-დაძველებულიყვნენ, რომ მათი დანგრევა ყოველ წუთს შესაძლებელი იყო. გაჯით გალესილი კედლები-ლა იდგნენ, მაგრამ ისინიც ცხრილსავით იყვნენ დახვრეტილი. თუ ოდესმე რამე ავეჯი და ოჯახის საჭირო ნივთები იყო ამ სახლში, ეხლა ყველაფერი დატაცებულ-დარბეული იყო. სახნავ-სათესის უმეტესი ნაწილი ჯაგით იყო ავსილი და, როგორც ეტყობოდა, კაი ხანი იყო, რაც სახნის-საკვეთი არ მოხვედროდა.

— ახალგაზდა მეურნისთვის ქს მამული დაუფასებელი რამ არის — ეუბნებოდა სამუილი. — რასაკვირველია, ყველაფერს გააუმჯობესებთ, ამ მამულისთვის თქვენ სწორედ ზედ გამოჭრილი კაცი ხართ!

იჯარის ფულს არამც თუ ეხლავე არ გადაგახდევინებთ, პირ-იქით, პირველად ხელის გასამართად ფულსაც კი გასესხებო. — კარლ ბიუტნერის დაუოლიება ძნელი არ იყო, მით უმეტეს, გარჩასსოვიცისთვის, რომელიც იმაზედ ჭიშიან ხალხსაც ძალიან ადვილად გააკეთებინებდა ხოლმე იმას, რასაც თითონ მოისურვებდა.

ასე ან გვარად კარლი ცოლითა და ბავშვით ვერსმბახში გადასახლდნენ და თუ რამე ებადათ, რასაკვირველია, ისიც თან წაიღეს. ტერეზა თუმცა გულჩილი ადამიანი არ იყო, მაინც დაინახა თუ არა ეს გავერანებული მამული, აცრემლდა. გვერდზედ გადალრეცილი ქოხი, ადგილ-ადგილ ქალალდებ აკრული ფანჯრები და ჩრჩილ შეჭმულ ტყავის მსგავსი სახურავი; შიგნით ხავს-მოკიდებული კედლები, დამპალი იატაკი და აგურებ გამოცლილი, დაცხავებული ფეჩი.

ასეთი იყო შენობა, სადაც დღეიდან ტერეზას უნდა ეცხოვონა.

* *

ერთხელ სოფ. გალბენაუს ვიღაც პატარა კაცი და ბიჭი ეწვივნენ. ახლათ ჩამოსულმა თან გრძელი ჯაჭვი და კი-
დევ რაღაცეები ჩამოიტანა. სტუმარმა ჩასვლის უმაღლ ბიუტ-
ნერისეული მამული იყითხა და, მიიყვანეს თუ არა სოფლე-
ლებმა, უცნობმა მინდვრებს შემოუარა, ბიჭი პალოებს არ-
ჭობდა მიწაში და მიწის მზომლის ჯაჭვსა ზიდავდა. ასე, ამ
გვარად, სამი დღის განმავლობაში. დილიდან საღამომდის მუ-
შაობდნენ. პალოებს ციფრებს აწერდნენ და მერმე რუქაზედ
რაღაცეებსა სწერდნენ. სამი დღის შემდეგ უცნობი კაცი წა-
ვიდა, მაგრამ პალოები კი მაინც მიწაში დასტოვა.

შემდეგ კვირას „ბიუტნერიანთ“ მამულისაკენ ყველა
შტრიდან მიდიოდნენ გლეხები. გალბენაუელი გლეხები დანა-
წილებულ მიწის ნახვას ეჩქარებოდნენ. ზოგი აღმა მიდიოდა,
ზოგი დაღმა.

მოხუცი ბიუტნერი ამ ამბავს ეზოდამ უყურებდა და ბრა-
ზისაგან შუბლის ძარღვები სისხლით ეტენებოდა. რას მოხე-
ტებულან, რა უნდათ? მოხუცი გამოვიდა ეზოდან და პირველ
შეხვედრილსვე დაულრიალა: რა დაგიკარგავს რომ რაღაცას
დაეძებო?

— მინდა ხვალ ორიოდე მორგენი მიწა ვიყიდო! — მიუგო
შეზობელმა გლეხმა და თავის გზას გაუდგა.

— აქ სასოფლო გზა კი არ არის! — მიაძახა მოხუცმა.

— გეყოფა, ტრაუგოტტ, სისულელე! — გამოეპასუხა მო-
ხუცს მეორე მეზობელი. — ხვალ შენი მამული ნაწილ-ნაწი-
ლად უნდა დაიყიდოს, დღეს გაზეთებში იყო გამოცხადებული
და შენ კი აქ ხიარულსაც გვიშლი!

აგერ თურმე, რაში ყოფილა საქმე: იმისი მამული ნა-
წილ-ნაწილად დაიყიდება! მოხუცი რამდენსამე წუთს გაშე-
6

ბული იდგა. მერე ნელ-ნელა გატორლიალდა, მაგრამ ფეხებს ისე მიათრევდა, რომ კაცს ეგონებოდა, რაღაც, სხვებისთვის უხილავ სიმძიმეს თუ მიათრევს ეს კაციო.

მინდვრიდან გლეხების ერთი ჯგუფი ხმა მაღალი ლაპარაკით ბიუტნერისაკენ გაემართა, როგორცა სჩანდა, მომავალ საჯარო ვაჭრობაზედ ჰქონდათ მასლაათი. მაგრამ მოპკრეს თუ არა მოხუცს თვალი, ყველამ ხმა გაპკმინდა და ფეხი აუჩქარა, რომ, რაც შეიძლებოდა, მალე აექციათ მამულის უწინდელ პატრონისთვის გვერდი.

იმათ ორი კაცი სხვა მოსდევდა, ხნიერი და ახალგაზდა: ერთი იმათგანი კაშელერნსტი იყო და მეორე რიხარდი.

— გაუსწორდა თუ არა ცოლის ძმას, მიკიტანი გაჩერდა.

— გამარჯობა, ტრაუგოტტ! — მიესალმა კაშელერნსტი, მაგრამ სალამის პასუხი არ გაისმა.

— არ გესმის, ტრაუგოტტ! — თითქოს აქ არაფერიაო, განაგრძო ლაპარაკი მიკიტანმა. — რა ჭვავი მოგვსლია წელსა! დაგწყევლოს ღმერთმა! სულ ცოტა-ცოტა თითო მორგენზედ ოცი ძნმა მაინც დაიდგმის, არა?

პასუხათ ბიუტნერმა თუმცა არა მიუგორა, ისეთი თვალით კი გადახედა, რომ მიკიტანი იძულებული იყო მოხუცს გზიდან ჩამოსცლოდა. მაგრამ ზურგს უკან კი მაინც მიაძახა მიმავალ მოხუცს:

— ტრაუგოტტ, თუ ღმერთი გწამს, ჭვავის მკაში დამეხმარე. მარტო მე ხომ, სულ ერთია, ვერ აუვალ დაფასი გინდა შენთვის მომიცია, გინდა სხვისთვის! მოხვალ თუ არა საშველად, ტრაუგოტტ?

მაგრამ ბიუტნერი ხმა ამოულებლივ მიღიოდა და უკანაც არ იხედებოდა.

— ყური დამიგდე, რას გეუბნები, ტრაუგოტტ! შენ იქნება არც კი იცი, რომ აის მინდორი კაი ხანია რაც მე ვიჟიდე გარჩასსოვიცისაგან. ათი შეფფელი*) მარცვლეული მაინც

*) შეფფელი მარცვლეულობის სარწყავია გერმანიაში, მაგრამ ყველა პროვინციაში ერთი ზომისა არ არის.

გამოვა. დიალ, მე ვიყიდე! ვიფიქრე, რახან იყიდება ბიუტნე-რის მამული, მე რატომ არ უნდა შევიძინო ერთი ნაწილი შეთქი. ხომ გაგიგონია — ლუკა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო, უცხოს ხელში ჩავარდნას, ბარემ ისევ მე შევიძინო, — მეთქი.

ამ სიტყვებზედ მოხუცი გაქვავებულსავით ზედ შუა გზა-ზედ გაჩერდა. კაშელერნსტის უყიდნია ის მინდორი! მაში იმის მამულის საუკეთესო ნაწილის პატრონი დღეიდან კაშე-ლერნსტი შეიქმნება!

— დიალ, ტრაუგოტტ, ჭვავი ეხლა ჩემია! — ეუბნებოდა მიკიტანი და თან უახლოვდებოდა მოხუცი. — დიდი მადლო-ბელი ვარ, რომ ასრე მღვივლია ნათესისათვის!

რიხარდს, მიუხედავათ იმისა, რომ ამ წუთამდის პირზედ ხელი ჰქონდა მიფარებული, საშინელი სიცილი წასკდა.

გლეხი მაინც ხესავით იდგა გაუნძრევლად. კაშელი ყო-ფილა ამ მინდვრის პატრონი! ამაზედ საშინელი და საზარე-ლი არა სწვევია-რა მოხუცის დღევანდლამდის. სახის გამო-შეტყველებაც კი შეეცვალა. თვალები ცეცხლით აღეგზნო წესტოები დაებერა და ტუჩები იმ გარეულ მხეცსავით დაეჭიმა, რომელიც ის ის არის მტრის განადგურებას აპირებს. მოხუცის ბაგეთაგან სიტყვების ნაცვლად რაღაც ღმუილი-ლა ისმოდა: „ძალლები! ძალლები“!

რიხარდმა, მოკურა თუ არა მუშტებ მოკუმშულ მოხუცის თვალი, სიცილს თავი დაანება.

— ძალ-ლებო!.. კბილებს დაგამტვრევთ, ჩემის ხელებით დაგახრჩობთ!..

შვილი ფიჭხლავ მამას ამოეფარა. რაკი თითონ მიკი-ტანიც იმ აზრისა იყო, რომ ისევ სჯობია მეც მოვერილო გააღმასებულ ტრაუგოტტსაო. მალე კაშელების და ბიუტნე-რების შუა დიდი მანძილი გაჩნდა. მაგრამ ცოტას რომ მო-შორდნენ, ფულადმა ბიჭებმა ერთი კიდევ გაპბედეს გაჩერება.

ბიუტნერიც გაჩერდა და მიუხედავათ იმისა, რომ დალლი-ჯლობისაგან ძლიერ-ლა სუნიქავდა, მაინც მუშტს უდერებდა თავის ნათესავებს.

— თუ საღმე შემეხეჩე, კაშელ, მე ვიცი როგორც და-
გამტრვევ ძვლებსა. შე უსინიდისო ძალლო, შენა!

მიკიტანმა ამაზედ რაღაცა მიუგო სასაცილო. მოხუცი
კვლავ გამოედევნა, მაგრამ გულადმა მამა-შვილმა ისევ მოჰ-
ფურცხლეს, მაშინ კი დაიზნიქა მოხუცი, ადგილიდან ქვები
აჭირიბა, კიდევ გამოუდგა და ქვები დააზილა, მაგრამ ისე
იყო მოხუცი აღელვებული, რომ ნიშანში ამოღებას, რახ-
კვირველია, ვერ მოახერხებდა. კაშელი და რიხარდი თავ-
პირის მტვრევით გაიქცნენ და მალე სოფლის შენობებს ამო-
ეფარნენ.

ამასობაში ყველა მხრიდან ხალხი შეიკრიბა, რადგან ნა-
თესავების ჩხუბი ყველას აინტერესებდა. მოხუცს ყველა
მხრიდან ხალხი მოეხვია.

ტრაუგოტტ ბიუნერი, წამოჭარხლებული სახით, უქუდო
და თმა აწეწილი ისევ იმ ადგილს იდგა და სიბრაზისაგან თუ
დაღლილობით მთელის სხეულით ცახცახებდა. ის ჯერ ისევ
შუშტებს უღერებდა იმ მხარეს, საღაც მამა-შვილი მიიმაღნენ.
ბოლოს როგორც იყო სული მოითქვა და ხმა ამოილო. ხან ქრი-
ტინით, ხან ღმუილით საშინელ წყევლა-კრულვას უგზავნიდა
კაშელებს. ახალგაზდებს ბიუტნერის მასხარათ აგდება უნდო-
დათ, მაგრამ მოხუცებულები იმდენად პატიოსნები გამო-
დგნენ რომ ამის ნება არ მისცეს ახალგაზდებსა. ისინი ყოველ
ღონესა ხმარობდნენ, რომ როგორმე დაემშვიდებინათ მოხუცი,
რომელსაც მეტის მეტი ლრიალით ხმაც კი ჩაეხრინწა და
აღელვებული რომ არა ყოფილიყო სისუსტით მუხლი ჩაეკე-
ცებოდა. ბიუტნერი ჯიუტად ერთ და იმავე წყევლა-კრულ-
ვას უგზავნიდა ნათესავებს და, როგორც ეტყობოდა, თითო-
ნაც ალარ ესმოდა რას ამბობდა. ისევ იმის ხნის გლეხებმა
იზრუნეს მოხუცისთვის და როგორც იყო შინ წაიყვანეს.

დედაბერმა, რომელიც ჯერ ისევ ლოგინად იყო ჩავარდ-
ნილი, მალე შენიშნა, რომ მოხუცი უფრო დაღვრემილი და
დაძმარებული დაბრუნდა, მაგრამ ბოლოს დროს იმდენი უბე-
ღურება ეწვიათ და ბედმა ისე გათრგუნა უბედურნი, რომ დე-
დაბერი აღარაფერს ეკითხებოდა ხოლმე:

ოჯახის უბედურებამ სულ მთლათ მოუღო მას ბოლო. ქმარს კიდევ საქმე ჰქონდა; ის კიდე მინდორზედ მიწაში ჩაჰვლავდა ხოლმე თავის ნაღველს. დედაბერი კი მეორე სართულში, მარტოთ-მარტო იწვა და სხეულის ვერც ერთ ნაწილს ვეღარ ანძრევდა. შვილები უცხო ქვეყნებში გადიხვეწნენ და დედაბერს მომვლელიც არა ჰყავდა. ათასში ერთხელ გულკეთილი მეზობელი თუ დაპხედავდა. ეს-ლა იყო ამ ბოლოს ღრმოს იმის მანუგეშებელი, რა ექნა, დარღს ხომ მაინც შესტირებდა, რაც უნდა ყოფილიყო, აღამიანურ სიტყვას გაიგონებდა. ქარების გარდა დედაბერს ეხლა წყალ-მანკიც დაერთო, რის გამო მოძრაობა სულ მთლად დაპკარგა და სიკვდილზედ ძლიერ ეხლა აღარა ენატრებოდა-რა.

დედაბერმა, რომელსაც მთელი ღამე ძილი არ ეკარებოდა ხოლმე, თავის თვალებს არ დაუჯერა, როცა დაინახა, რომ ზემოთ აღწერილ კვირა დღის შემდეგ, მოხუცი შუა ღამისას წამოდგა და ტანთ ჩაიცვა. ცოლი დაეკითხა: ამ შუა ღამისას სად მიღიხარო?

— ძროხა მყავს ავათ და მინდა დავხედო, — მოკლეთ მიუგო მოხუცმა და კარში გავიდა.

დედაბერმა ყური წაუგდო და რადგან დიდი ხნის მარტოობით ყურთა სმენა მახვილი გახდომოდა, კარგათ გაარჩია, რომ მოხუცს საქონელი გამოჰყავდა და რაღაცაში აბაძლა. ცოტა ხნის შემდეგ ღამის სიჩუმეში მოხუცის ეზოდამ გასვლაც გაიგო. ეს რაღას ნიშნავს? შუა ღამისას ადგენ კაცი და მინდორში სამუშაოთ წავიდეს! იქნება ჰყუაზედ შეიშალა იმისი ქმარი?

ბიუტნერი განთიადისას მოსვრილ-მოთხვრილი და გაოფლიანებული დაბრუნდა, ტანთ გაიხადა, დაწვა და მეორე დღეს დიდი ხანი ეძინა. დედაბერს ამისთანა ამბავი ერთხელაც არ ენახა მთელ თავის ტანჯულ ცხოვრების განმავლობაში.

ამასობაში სამიკიტნოში ხალხი იკრიბებოდა, რადგან გაზეთში მოთავსებული განცხადება ჰმოწმობდა, რომ ბიუტნერი

რიანთ მამული დღეს საჯაროთ უნდა გასყიდულიყო. ამ ორ-შაბათს სამუშაოთ არავინ გავიდოდა გალბენაუში, რადგან თუ ყველას არ შეეძლო ან არ უნდოდა ვაჭრობა, ცქერა მაინც ყველასა სურდა.

დღეს სამოც მორგენამდე მიწა უნდა გასყიდულიყო საჯაროთ. ორმოც მორგენს ტყესა და იმ შენობებს საღაც მოხუცი ცხოვრებდა, გარჩასსოვიცი არა ჰყიდდა. ერთი ათიოდე მორგენი საჯარო ვაჭრობამდის შეეძინა კიშელერნსტსა და, როგორც ამბობდნენ, თითქმის მუქთათ დაენარჩუნებინა თავისთვის. მაგრამ არც საკვირველი იყო, კაშელი ხომ სამუილის შეგობარი იყო!..

ყველა აღელვებული იყო, ყველას უნდოდა თითონაც რამე შეეძინა. ვაჭარი თავის მუშტრებს მშვენიერათ იცნობდა. იმან ჩინებულათ იცოდა, როგორც უნდა ჩათრეულიყო პატარა კაცი მახეში. გალბენაუშიც ისე, როგორც ყველგან გლეხები, რაც კი მიწას შეეხებოდა; გაუმაძლარნი და ხარბნი იყვნენ. ის ღარიბი გლეხნიც-კი, რომელთაც მამულის შესაძენათ უსათუოთ ვალის აღება უნდა დასჭირებოდათ, ისინიც კი სცდილობდნენ შემთხვევა არ დაეკარგათ და მესაკუთრენი გამხდარიყვნენ. ისინი იმასაც კი არ ანგარიშობდნენ: ეს ახლად შეძენილი მიწა იმდენს კი მოგცემს, რომ ვალის სარგებელი მაინც გადვიხადოთო? იმისთანა ხალხს, რომელიც რასაც მოიგებს, თითონვე სჭამს და რომელსაც არაფრის დაკარგვის შიში არა აქვს, რადგან არც არა აბადია-რა, ვაჭრის უნარი და გამჭრჩახობა ვინ მისცა?

ვაჭარს ყველანი მოუთმენლად ელოდნენ, რადგან უიმის-სოდ ვაჭრობას ვერავინ ვერ დაიწყობდა. ბოლოს ნაცნობი ეტლიც ვამოჩნდა, რომელსაც კოფაზედ ვერცხლის ბუზმენ-ტებით მორთული მეტლე შემოსჯდომდა. გარჩასსოვიცათან ახალგაზდა ვექილი როზენტალიც მოიყვანა, რომელსაც აქვე უნდა შეედგინა საჭირო ქალალდები.

სამუილმა სიამოვნების თვალით ვადახედა თავის მუშტრებს.

— სწორედ გაგიუებულა, ამოდენა ხალხი! — წასჩურჩულა კაშელერნსტმა თავის მეგობარს, ხელის ჩამოსართმევათ რომ მიუახლოვდა.

ცოტა ხნის შემდეგ ცველანი „ბიუტნერიანთ“ მამული-საკენ გაემართნენ, ვაჭრობა ადგილზედ უნდა მომხდარიყო. სამუილს მოსაცლის იმედი ჰქონდა, რადგან იცოდა, რომ მო-საცლის მაცქერალს მამულის შეძენის სურვილი უფრო გაუ-ხოვლდებოდა. ვაჭარი და მიკიტანი ცოტას ჩამორჩნენ გლე-ხებს, ალბად რამის მოსალაპარაკებლად თუ, მაგრამ უცბათ შენიშნეს, რომ წინ წასულნი განცვიფრებულნი გაჩერდნენ და ერთ წერტილს ჩამორჩნენ: მალე ხმაურობაც გაისმა. როგორც ეტყობოდა, ზოგს უკვირდა რაღაც ამბავი და ზოგს სიცილათაც კი არა ჰყოფნიდა.

— რა ამბავია? — დაეკითხა გარჩასსოვიცი.

ხალხმა ახლად გადახნულ მინდორზედ მიუთითა გარჩა-სსოვიცს.

კაშელმა გაკუირვებით თუ შიშის წყალობით შეჰკივლა კიდეც და რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა. და როგორც გუშინ ტრაუგოტტ ბიუტნერი, ეხლა ესეც ისე წამოჭარხლებული და ხახა. დაღებული გაშეშდა. ის ეშმაკური ლიმილი, რომელიც არასოდეს არა სტოვებდა ხოლმე კაშელის სახეს, ეხლა უკვა-ლოდ გაჰქრა.

ხალხი ნიშნის მოგებით ილიმებოდა და ერთმანეთს თვალს უშვრებოდა. ახია კაშელზედ!

ის მინდორი, რომელსაც გუშინ მწვანე ჭვავი ამშვენებდა, დღეს შავი ბელტებით იყო სავსე. ბიუტნერს ამოდენა მინდორი ერთ ლამეში სულ მთლათ გადაეხნა.

III

გალბენაუელ გლეხების სამუშაოც იწურებოდა საქსონია-ში. ჭარხალს აგერ სამჯერ ჩამოუარეს და თუ რამე საზრუ-ნავი ჰქონდა, არა დაივიწყეს-რა: ზაფხულის, არაჩვეულებრი-

ვი, სიცხეების წყალობით პურიც მაღლ მომწიფდა; ჯერ ისევ თიბათვე იყო, მაგრამ ყანებს ყვითელ თავთავზედ ეტუობოდა, რომ მკასაც მაღლ შეუდეგებოდნენ.

მკის მოახლოვებამ გლეხების სამუშაოშიც ცვლილება შეიტანა. დღევანდლამდის ვინც რას მოასწრობდა და გააკეთებდა, სასყიდელიც იმის დაკვალობაზედ ეძლეოდა. როცა უნდოდათ მუშებს, მაშინ იწყებდნენ და როცა მოისურვებდნენ, მაშინ გაათავებდნენ მუშაობას. მეტი რომ მოეგოთ, სამუშაოთ განთიადისას გადიოდნენ და კარგა შეღამებამდის საქმეს თავს არ ანებებდნენ; თუ პატარ-პატარა შესვენებას არ მივიღებთ მხედველობაში — საუზმისა, სადილისა და ვახშმის დროს — მთელი დღე თითქმის შეუსვენებლივ მუშაობდნენ. ამ გვარად, თავიანთ მეცადინეობის წყალობით ცოტაც არ მოაგროვეს ფული. მაგრამ სიჩქარით არც არა გაუფუჭებიათ-რა, რადგან ყოველ მათ ნაბიჯს ზედამხედველი — გუსტავ ბიუტნერი, თვალყურს ადვინებდა. გუსტავი არავის ათქმევინებდა — შენმა მუშებმა კარგათ ვერ გააკეთეს საქმეო. ბ. მოურავი ერთხელ და ორჯერ არ მივიდა მინდორზედ მოულოდნელად, უნდოდა რამე მიზეზი ეპოვნა, რომ ლანძლვა-გინების შემდეგ კუთვნილი ფულიდან რამე გამოებარა, მაგრამ ტყუილად ირჯებოდა. მიზეზს ვერაფერს უპოვნიდა გუსტავს. აქნობამდის კი ვერც ერთხელ ვერ იპოვნა ამგვარი შემთხვევა და შემდეგში რა იქნებოდა, ვერავინ იტუოდა.

მკის დრო კი რომ მოახლოვდა-სულ ერთიანად გამოიცვალა გარემოება. ეხლა კი გალბენაუელ გლეხებს დღიურად უნდა ემუშავნათ. გლეხებმა გეშკეს წყალობით გამოიანგარიშეს და მაღლ გაიგეს, რომ ეხლა უწინდელზე ბევრით ნაკლებს აიღებდნენ ფულსა. ამ საგანმა ცოტა ლაპარაკი და კამათი არ გამოიწვია იმათში და ბოლოს გუსტავსაც მიჰმართეს: სთხოვე პატრონს, ხელშეკრულობის ეს მუხლი შესცვალოს და ხელის ფასი დღიურათ არ გვაძლიოსო. მაგრამ გუსტავმა მამაპაპურათ მიუგო: „რაც ერთხელ კალმით დაწერილა, იმას ცულითაც ველარ ამოშლიო“ და დასძინა ხელშეკრულობის გამოცვლა.

უოვლად შეუძლებელი არისო. ამან დიდი უსიამოვნობა და მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ზოგიერთებმა პირდაპირ გამო-უცხადეს: თუ დღიურად გვამუშავებენ, ვიზარმაცებთ და სა-მუშაოზედ დროზედ ალარ გავალთ ხოლმეო.

აქ გეშკესაც შემთხვევა მიეცა, რომ ნათლათ გამოეთქვა თავისი ხასიათი და შეხედულობანი. კარლი ბატონისაც და იმის მხლებლებსაც საშინლათ ლანძღავდა და პრტყელ-პრტყელ სიტყვებსაც ხმარობდა, როგორც, მაგალიად, „სასყიდლით დაყმობა“, „მუშების ექსპლოატაცია“. გუსტავმა უსაყველურა და „წითელი“ უწოდა. გეშკემ მოისმინა მეგობრის საყვე-დური, მაგრამ ეშმაკურის ღიმილით უპასუხა: რაც უნდა ცუ-დები იყვნენ „წითლები“, „ოქროსას“ მაინც ბევრით აჯო-შებენო.

ერთხელ, როგორლაც, შეგროვილ მუშებს მოურავი ცხენ-და-ცხენ მიუახლოვდა და ამაყურის კილოთი გამოუცხა-და—ხვალ ჭვავის მკას უნდა შეუდგეთ და, მაშასადამე, ხელ-შეკრულობის ის მუხლი, რომელშიაც დღიურ სამუშაოზედ არის ლაპარაკი, ძალაში უნდა შევიდესო. მე დარწმუნებული ვარ, მუშები მზის ამოსელასთან ერთად გავლენ სამუშაოთ და გულმოდგინეთაც იმუშავებენო. ბოლოს დაემუქრა კიდეც—სიზარმაცეს არ მოვითმენ და არა თუ ფულს დაგი-ჭერთ ხოლმე, სულაც გაგრევავთ და უადგილოთ დაგყრითო. ამ სიტყვებზედ ცხენს დეზები ამოჰკრა და ისე გააჭენა, რომ მუშებს მტვერი და ქვიშა შიგ თვალებში მიაყარა.

გეშკემ რაღაც მნიშვნელოვანი ღიმილით გააცილა ახალ-გაზდა მოურავი და დამცინავი კილოთი მიაყოლა:

— ფრთხილად, ჩემო გვრიტო, ფეხი არაფერს წამოჰკ-რა! თუ ხუთ საათზედ აღრე ავდგებით—ესეც ჩვენი სურვილი და ნებაყოფლობა იქნება; მაგრამ თუ კანონით დადებულ დროზედ მეტს გვამუშავებ, ცოტა წელში მოიხარე! ასე გახ-ლავთ საქმე, მაშ!

მეორე დღეს მუშების ერთი ნაწილი გათენების ხუთი საათისთვის ვერას გზით ვერ წამოაყენეს ფეხზედ. გუსტავის

ვერც მუქარამ გასჭრა და ვერც მუღარამ. გაჯიუტებულ მუშებს მეთაურათ კარლ გეშკე ჰყავდათ. ხელშეკრულობაში არაფერია ამაზედ ნათქვამი, რომ კანონით დადებულ დროზედ მეტი უნდა იმუშაონო. მუშაობა დღე სუთ საათზედ იწყება და საღამოს შეიღზედ თავდება და თუ ძლიერ არ შეგვეხვეწებიან, ერთ წუთსაც არ ვიმუშავებთ მეტსაო.

გუსტავი მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა. ერთის მხრივ ვერც არა ეთქვა-რა გეშკეს წინააღმდეგ და მეორეს მხრივ, როგორც ზედამხედველი, ბატონის წინააღმდეგობასაც ვერა ჰგედავდა. ამდენი ხალხის პასუხისება ეხლა უფრო მძიმედ დააწვა გუსტავს ზურგზედ. ბოლოს დაპირდა ამხანაგებს, მოურავს მოველაპარაკებიო და ამითი აბობოქრებული მუშები, ცოტა არ იყოს, დამშვიდა.

სადილობის დროს ბიუტნერი მოურავისკენ წავიდა, მაგამ მოჭკრა თუ არა მოურავმა უდროო დროს მოსულ ზედამხედველს თვალი, გაკვირვებით თვალები დააჭყიტა და წვეულობის მიზეზი რომ გაიგო, მაშინ ხომ პირიდამ ცოფები გაღმოჰყარა.

— როგორ? თქვენ მიწერთ მე პირობებს და თქვენა ბრძანებლობთ? ხელშეკრულობაში რა სწერია? მე შემიღლიან ყველანი დაგრეკოთ, იცით ესა თუ არა? მეტი დროო! ერთ კაპეისაც არ მოგიმატებთ. ვინც ოთხ საათზედ სამუშაოდ არ გავა, სამი მარკით დავაჯარიმებ! მაშ აჯანყებულხართ, რაღა? თქვენ ოხტში მალე მოვალთ, ნუ გეშინიანთ!

გუსტავმა ბოლომდის აღარ მოუსმინა გააფთრებულ მოურავს ლანძლვა-გინება, მიბრუნდა, ხმა ამოულებლივ, და ამხანაგებისკენ წავიდა.

პირველად გუსტავი ეჭვის თვალით უყურებდა ამხანაგების მოთხოვნილებას, მაგრამ ეხლა კი გადასწყვიტა იმათი მხარი დაეჭრა და თავწასული მოურავისთვის ჭკუა ესწავლებინა. ამხანაგებს რომ დაუბრუნდა და დაწვრილებით გადასცა მოურავის სიტყვა-პასუხი, დიდი ხნის შეკავებულმა ბრაზმა ამოხეთქა და თავი იჩინა. მართალია, მარტო გეშკემ

სთქვა — მაგისთანა ქცევის პასუხათ უსათუოთ უნდა მოვსპოთ მუშაობაო, მაგრამ ამ აზრისა ყველა იყო.

გუსტავი თუმცა თითონაც კარგათა ჰერძნობდა შმართველობის მხრივ უსამართლობას; მაგრამ მუშაობის შეწყვეტისა კი მაინც ეშინოდა. ერთის მხრით, გეშე მართალი იყო, ლვთის წინაშე, როცა ეუბნებოდა, „როგორც გეტუობა, სალდათური შიშისთვის ჯერ თავი ვერ დაგიხწევიაო“. მუშაობის შეწყვეტის სურვილი საზარლად მიაჩნდა გუსტავს; იმას არ უნდოდა ამგვარ საქმეში მიეღო მონაწილეობა.

მაგრამ გეშე ერთხელ კიდევ აუსხნა საქმის ვითარება და დაუმტკიცა, ჩვენ არა დაგვიშავებია-რა და ხელშეკრულობის დარღვევას მოურავი ჰლამობს და არა ჩვენაო. თუ ეხლა დავემორჩილეთ, კვლავ უფრო ძნელ რამეს მოგვთხოვენ. აქ იმ გროშებს კი არა აქვთ მნიშვნელობა, რომელზედაც ვლაპარაკობთ და რაც მოვიმიზებთ, აქ თვით არსებითი მხარეა მხედველობაში მისაღები. სხვა რომ არა იყოს-რა, თავმოყვარეობით მაინც არ უნდა დამორჩილდნენ, თორემ დაგვცინებენ კიდეც — შევაშინეთო. ზედამხედველი კი პირველი უნდა წავიდეს ამ საქმეში და მუშების უფლებები დაიცვას. ამოდენა ხალხი თუ აიყარა თავის სამშობლოში და უცხო ქვეყანაში გადმოიხვეწა, ისიც გუსტავის იმედით გაპბედეს და ნუ თუ ეხლა, გაჭირების დროს, თავის თანამოძმებს მხარს ირ დაუჭირს?

ამგვარი ლაპარაკით, რომელიც გუსტავის თავმოყვარეობის გასაღვიძებლათ იყო დაწყებული, გეშე მალე მიაღწია თავის მიზანს. ზედამხედველმა გამოუცხადა თავის მოძმებს, რომ გაჭირებაში ლვთის ანაბარათ არ დაგტოვებთ, ძალიანაც რომ მინდოდეს, უსამართლობას და ძალმომრეობას ვერ მოვითმენო.

— ვაშა, ვაშა! აბა ეხლა კი გავითვიცებით! — შესძახა გახარებულმა გეშემ.

აღტაცებული გეშე ყველას არწმუნებდა, შე კარგათ ვიცი როგორც უნდა გაფიცვა. მუშებმა თუ შეაგნეს, რაც

უჭირთ და ერთმანეთის გატანას თუ შეეჩევივნენ, ბოლოს უმ-
ჭელად ისინი გაიმარჯვებენ. მაშინ თითონ მუშა დაუწერდა
სამუშაოს მომცემს პირობებსაო. გეშკემ იღუმალის კილოთი
ამგვარ გაფიცვას „ბოიკოტი“ უწოდა.

კარლმა სიტყვით მიმართა ამხანაგებს, რომელიც გაზეთე-
ბიდან დასწავლილი სიტყვებითა და წინადადებებით იყო გა-
უღენთილი. ზოგიერთა სიტყვის მნიშვნელობა თითონაც ნა-
კლებათ ესმოდა, არა თუ მსმენელებს. მაგრამ სწორედ ამ გაუ-
გებარი აზრებით და სიტყვებით მოიპოვა გეშკემ მსემენელთა
პატივისცემა. რაც უფრო ნაკლებათ ესმოდათ გლეხებს ამგვა-
რი სიტყვები, მით უფრო მართლები ეგონათ თავიანთი თავი.
გოგოებსაც გეშკეს მხარე ეჭირათ, რადგან ყოველ იმათგანს
გაგიჟებით უყვარდა ეს გიუმაუი ბიჭი. ფხიზელმა და გონიერმა
ერნესტინაშაც კი მოისურვა მუშაობის შეწყვეტა.

ყველა ამ მოლაპარაკების შედეგი კი ის იყო, რომ მუ-
შებმა მინდორს თავი დაანებეს და მომკული პურიც კი აღარ
შეჰქრეს ხელეულებათ. გაფიცულნი ყაზარმისკენ წავიდნენ.

ვაჟკაცნი იქვე, სახლის წინ, ბალაზზედ გაგორდნენ და
სიგარები ააბოლეს, გოგოები კი ზეით სართულში, თავიანთ
საწოლში ავიდნენ და რაღაცების ჯღანვასა და კერვას შეუ-
დგნენ. მალე ღია ფანჯრებიდან ქალების სიმღერა მოისმა. ხოროს
ერნესტინა ლოტბარობდა. ცოტა ხნის შემდეგ, ველ-
ზედ სასიამოვნო მოძახილიც გაისმა. ვაჟების გუნდში გეშკე
იყო ავან-ჩავანი. ერთ სიმღერას მეორე მოსდევდა; გოგოები
იწყებდნენ და ვაჟები ბანს ეუბნებოდნენ.

უცბათ ეზოს მხრივ ფანჯრებში ვიღაცის თავები გამო-
ჩნდნენ—ცელქი ბიჭები წყლის მიღებზედ აცოცებულიყვ-
ნენ და ეხლა ღია ფანჯრებში იჭიყიტებოდნენ. გოგოები ერ-
თი ვაივაგლახით და წივილ-კივილით გაიფანტნენ. უნარი და
გულადობა მარტო ერნესტინამ გამოიჩინა, რომელმაც ფიცხ-
ლავ ყველა ფანჯარები მოხურა და დაჰკეტა. გეშკე და იმისი
ამხანაგები ერთი ხანი ელრიჯებოდნენ და აბრაზებდნენ ფან-
ჯრებიდან, მაგრამ კმაყოფილნი, რომ გოგოების შეშინება-

მოახერხეს, ისევ დაეშვნენ მილებზედ და კვლავ ძველი აღგი-
ლი მოსძებნეს. აქ ფეხი ფეხზედ შემოსდეს, მკლავები თავ
ქვეშ შეიწყეს და, გულალმა გაწოლილნი, მზის სხივებზედ
თბებოლნენ.

უცბათ ამ ზანტ ყმაწვილებს ზეიდამ, თათქოს კოკიდა-
ნაო, წყალი დაესხათ. ბიჭები წამოხტნენ და ფანჯრებში გო-
გოები შენიშვნეს.

ამის გარდა სხვა სისულელეც ბევრი ჩაიდინეს. რაკი
მეტად საეჭვო და სახითათო საქმეს მოჰკიდეს ხელი, როგორ-
ლაც თავგამეტებულნი და უზომოთ მხიარულნი შეიქმნენ, რად-
გან ყველა მათგანი ჰეთიქრობდა — თუ დალუპვაა, ხომ მაინც
დავილუპებით და ეს ცელქობა და მხიარულობა მაინც შეგვ-
რჩებაო.

მარტო გუსტავი იყო, რომ სიცილისთვისა და ხუმრო-
ბისთვის როგორლაც ვერ მოეცალა. ახალგაზღა ბიჭები რასა
ჰყარგავდნენ: იმათ არავითარი ჰასუხისგება არ აწუხებდათ.
უპუროთაც რომ დარჩენილიყვნენ — ბევრს არაფერს ინალვ-
ლიდნენ. მაგრამ გუსტავს კი ცოლი და შვილიცა ჰყავდა,
თავის-თავის გარდა საფიქრებელი. ბინდისას მოურავს კაცი
გამოეგზავნა — ზედამხედველის ნახვა მინდაო. გუსტავი იმავე
წუთს წავიდა მოურავისკენ, მაგრამ გეშკემ კიდევ მოასწრო
რამდენიმე სიტყვის გადაგდება და ამხანაგის გამხნევება.

მოურავმა დილანდებურად უზრდელად აღარ მიიღო
ზედამხედველი. დილანდელებული ყოყოჩაბის ნიშან-წყალიც
კი აღარ დარჩომოდა და, პირიქით, ლაპარაკის კილოც კი
როგორლაც მეგობრულად შესცვლოდა. იმან სკამიც კი მისთა-
ვაზა ბიუტნერს, რაიც ჯერ არასოდეს არ ექნა თავგასულ
მოურავსა.

იმის ეჭვი აღარ იყო, რომ მუშების გაფიცვა მეტად არა-
სასურველი მოვლენა იყო მისთვის. ბ. გალშტედტის მამუ-
ლებში სამუშაოდ ამისთანა გუნდი ძალიან ბევრი იყო დაქი-
რავებული და რაღა ეშველებოდა ამოდენა მამულს, ამათის მი-
ხედვით სხვებიც რომ გაფიცულიყვნენ მერე ისიც იმისთანა

დროს, როცა პური მომწიფედა და ყველგან მკას მოითხოვდა! სხვაგან სადღა იშოვნიდა მუშებს? ისეც ყველგან მუშა ხელის სიმცირეს ლონიბდნენ და ნალვლობდნენ.

მოურავმა სთხოვა—ერთხელ კიდევ გამიმეორეთ რა სურთ თქვენ მუშებს, დილას გართული ვიყავ და ვერა გავიგე-რაო.

ზედამხედველმა თავიანთი პირობები გაუმეორა.

მოურავმა ყური მოიფხანა. ეგ რომ მარტო ჩემზედ იყოს დამოკიდებული, კრინტსაც არ დავძრავდი და დიდის სიამოვანებით აგისრულებდით სურვილს, მაგრამ რა ვქნა, რომ ეგ საქმე მე არ შემეხება? ბ. გალშტედტი თავისებურად უყურებს საგანს და, რაღა თქმა უნდა, არასგზით არ დაგთანხმდებათ დღიური მუშაობის დროს გადამეტებული საათის ფასი ცალკე გაძლიოთო.

გუსტავმა მიუგო, მაგ შემთხვევაში ველცლებენში წავალ და თვით ბ. გალშტედტს ვინახულებო.

მაგრამ მოურავმა სულ შეუძლებლად დასახა ეს საქმე. რომ წახვიდეთ კიდეც, მაინც ვერას გახდებით, რადგან თვით გალშტედტს მაინც ვერასგზით ვერ ინახულებთ. იმას ერთხელ და უკანასკნელად ნაბრძანები აქვს, მუშები არ მოუშვათ ხოლ-მე ჩემთანაო.

— თქვენ ხომ გონიერი კაცი ხართ, ბიუტნერ! — დასძინა მოურავმა. — ნუ მიიყვანთ ამ საქმეს უკიდურეს მდგომარეობამდე. ერთხელ კიდევ მოელაპარაკეთ მუშებს. თქვენ სხვა ღონისძიებაცა გაქვთ ხელში... მე იმის თქმა მინდა, რომ თქვენ როგორც ზედამხედველს, მეტი გავლენა გაქვთ მეთქი იმათ-ზედ. მოურავი და ზედამხედველი თუ შეთანხმდნენ, მუშებს ყოველთვის მოუვლენ ახტში. ბ. გალშტედტს კი ამ საქმეში სრულებით ნუ ჩავრევთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ღა-მეთანხმებით და მე კი ჩემის მხრივ ვეცდები მუშაობის დასას-რულს კარგი საჩუქარი მოგცენ თქვენა.

მაგრამ გუსტავის გადაბირება ადვილი არ იყო. იმას იმო-ლენი განჭრიახობაც რომ არა ჰქონოდა, რომ აშკარად და-ნახა — მოწინააღმდეგე რა სუსტ მდგომარეობაში იყო, ბუნებ-

რივი პატიოსნებაც ნებას არ მისცემდა, რომ იმგვარ წინადაღებას დასთანხმებოდა, რომელიც პირადათ იმას თუ სარგებლობას მოუტანდა, იმის მუშებს კი აზარალებდა.

მამისგან მეტყვიდრეობით მიღებული ჯიუტობის წყალობით გუსტავი ულმობელი იყო და მოურავის ვერც ერთმა სიტყვამ და ხერხმა ვერავითარი გავლენა ვერ იქონიეს მაზედ. მოურავი მოთმინებიდან გამოდიოდა, თავს იხეთქდა, მაგრამ ვერას აწყობდა. ვერც ერთმა მისმა სიტყვამ გუსტავის ჯიუტთავში ვერ გაატანა.

ასე შეუთანხმებლივ განშორდნენ ერთი მეორეს. მეორე დღეს მუშებს კაი ხანი ეძინათ — ისე რომ დილით, ურმები რომ ჩაარახახეს ფანჯრების წინ, იმათ მხოლოდ გვერდი იცვალეს და ისევ ძილს მიეცნენ.

გეშკე მეტად მხიარულად იყო. საქმე ძალიან კარგად შიდიოდა. „მოურავი მეტად ცუდ გუნებაზედ არისო“ ახალ ამბად მოიტანა გეშკემ. ვიღა მოუმკის ეხლა პურსა? თუ ამათ არ იმუშავეს, პურს სულ მთლად დაულპება ძირი. გეშკეს ძალიან უნდოდა ამ შემთხვევით ესარგებლნა და სხვა პირობებიც გამოეცვლევინებინა. თუ ღმერთი გწამთ, ნურაფერში მოერიდებით. ჩვენ უნდა ვუწერდეთ მაგ ვაუბატონებს პირობებს და არა ეგენი ჩვენაო. უნდა დავუმტკიცოთ მაგ ჯიბე სქელებსა, რომ მეოცე საუკუნეში მუშები ყმები აღარ არიან. დროა, წვრილმა ხალხმაც შეიგნოს თავის მნიშვნელობა და საჭიროებანი; დღევანდლამდის მარტო მდიდრები სარგებლობდნენ კველაფრით, დღეს ჩვენი ჯერიც მოვიდა.

მაგრამ ამ ზომამდის კი ვერ მიიყვანდა გუსტავი საქმეს. ის მხოლოდ იმას თხოულობდა, რის უფლებაც ჰქონდა და იმ პოლიტიკურ პრინციპებს კი, რომელსაც გეშკე ეტრფოდა, გუსტავი სრულიად გულ-გრილად ეკიდებოდა. შარა გზაზე მოკრეფილი აზრები საშიშნი იყვნენ და, გუსტავის აზრით, მათი თავიდან არიდება სჯობდა. გლეხის შვილი ინსტიკტიურად იცავდა კონსერვატიულ მიმართულებას იმ მაწანწალა შარა გზის შვილისაგან, რომელსაც ასეთი დამაქცევარი და

გამანადგურებელი აზრები ქარხნებში და სხვა და სხვა ყრი-
ლობებში ჰქონდა მოკრეფილი.

დღეს მოურავი თითონ მობრძანდა ყაზარმაში და ზედა-
მხელველი იკითხა. ეხლა კი ბევრი ლაპარაკი და ბაასი არ
დასჭირებიათ. მუშების მოთხოვნილებანი დააკმაყოფილეს და
ერთ საათს შემდეგ მუშაობა გაჩალდა.

იგ. ბოლუმორდვინოვი.

(შემდეგი იქნება)

ს ა მ შ ო გ ლ ი

ოთხ მოქმედებიანი დრამა

ოსმალურიდან ნათარგმნი სანჯაღ ბეგის შეიღილის აბაშიძისა.

მოქმედება მესამე

სურათი პირველი

(ფარდა აიხდება. გამოჩენდება მშვენიერად მოწყობილი ეჭო რთა-
ხი, რომელშიც ისლამბეგს საწოლზედ სძინავს).

(ზექი და ისლამ-ბეგი)

ზექი (თავისთვის). სძინავს. ისევა სძინავს. როგორ კარგად
აუსრულებია ალთქმა! შეპხედეთ, რამდენი სასახე-
ლო ორდენითა აქვს შემკული გულ-მკერდი! ექიმმა,—
რაო? აშ ღამესაც თუ გაუძლო, სახვალიოდ შიში
აღარა აქვსო. მაგრამ, ღმერთმა ნუ ჰქნას! საშიშო
რო რამ იყოს, გული-გონება ასე წყნარადა და
მშვიდობინად მექმნებოდა! როგორ ტკბილათა სძი-
ნავს! ნეტავი, ერთწუთს ძილიც არის მიემატოს!
წელიწადიც რომ მომაკლდეს შენთვის, თანახმა ვარ.
(გაცინებს) რა სულელური და გიშური ოცნებები
მოუვა ფიქრად ადამიანსა! ნეტავი... ერთჯერაც
არის... ოპ! ჩემგან რომ წავიდა, მისს გონებაში ხსოვ-

*) იხ. „მოამბე“ № V .

ნა ჩემისურათისა მევე მეხარბებოდა, მეშურვებოდა. ეხლა „ერთს ღამეს დაესიზმრეო“ რომ გითხრას ვინმემ, სამახარობლოდ სიცოცხლეს მთალად არ გა-სწირავდი? სძინავს; რა მშვენიერათა სძინავს. ანგე-ლოზიც რომ იყოს, ასე არ დაიძინებს! რა მშვენიე-რათ დაუფენია მუთაქაზედ თმები... ნეტავი, მუთა-ქათ ჩემი გულ-მკერდი ქცეულიყო... ნეტავი, სახურ-საბანად ჩემი თმები დაჰუენოდა. ამგვარ რამეებს ლაპარაკობს ადამიანი და მერმე-კი ველარ უძლებს.

გულზედ რო შივისვენე, მაშინ მეგონა, ჭკუამ, გულმა და გონებამ ერთად გულმკერდში ჩაიკრეს. (შორიდან ზარბაზნის ხმა მოჟესმის). ოჯ, ღმერთმა წა-გწყმილოს! არც ავადმყოფი იცის, არც დაჭრილზე ჰფიქრობს... სიცოცხლის მისანიჭებლათაც რომ ყო-ფილიყო ხალხისათვის ზარბაზნები გამოგონილი, იქ-ნება ასე თავისს დროზედ და რიგზედ მაშინაც არ დაიწყებდნენ სროლასა! იმიტომა ხართ მოსული, რომ სამშობლოს გულისათვის შესწიროთ თავი? აბა, მაშ, რათ გამოხვედით სამშობლოდგანა! თუ გამო-ხვედით, მოკვდით კიდეცა... თორემ სიკვდილი რომ მოგელანდებათ, შევარდნის დამნას წეროსავით მთ-ლად დაიბნევით, ხოლო თუ შეიძელით ვისიმე მო-კვლა, სწრატლ-მავალ ღრუბლებთან სირბილის დამ-ჩემ ვეფხვივით დაედევნებით უკან, რაა? თითქოს თქვენგნით დახოცილთა სულნი თქვენ შთაგბერდე-ბოდეთ! თითქოს თქვენგნით დახოცილთა დღენი თქვენ შეგემატებოდეთ! (ზარბაზნის ხმა: თან-და-თან იმატებს. ისლამ-ბეგს გამოედგიძება, თასის ერთს კუთ-ხეში მიიმაღება).

ისლამ-ბეგი. გაისროლეთ! გაისროლეთ! მძინარე ლომები დაა-ლვიძეთ: ახლავე მათი სახე წინ დაგიხვდებათ, კლან-ჭები მკერდს შეეგებება.

ჩემს მკერდზედ რაღაც ეს? ჰო! დაჭრილი ვიყავი... ვაი, რომ ჩემგან მოგებული ომი... ხმლები, დარ-

ლვეული და დაბნეული ჩემგან რაზმები... ყველა
ეს სიზმარი ყოფილა! ყოვლად მოწყალე ღმერთო,
რა გოლე, ნეტავ!.. ბურანშიაც-კი ზექიეს სახე მე-
ლანდებოდა, ამესილებოდა, ისევ ზექიეს სახე მელან-
დებოდა... ადამიანი ჯოჯოხეთში იმყოფებოდეს და
სამოთხე ში-კი ეგონოს თავი, შენს სამართლიანს მო-
ქმედებას ვით ეკადრება?.. (ზარბაზნის ხმა გახშირდე-
ბა, გულ-მოსულად) ოპ! მტერს ბრძოლის ველზედ
მოწინაალმდეგე ვერ უპოვნია და ზარბაზნები სალის
კლდისა და მინდვრებისათვის მიუმართნია. ჩვენ რომ
უიხეში ვართ, აშითი ხომ ვაჟკაცობასა და მამაცობას
ვერ წარმოიდგენენ... ჯერ ერთზე ორი, ორზე
ხუთნიწყამოვიდნენ... მათს ტყვიას რომ მუდამ მკერ
დითა და შუბს კიდევ გულ-გონებით მხნედ დავუხვ-
დეთ, მზადა ვართ. მაგრამ ჩვენს აზგვარს გულმოდ-
გინებასა და მამაცობას რიცხვმრავლობითა სკდი-
ლობს აჯობოს; ჩვენც მაშინ უთუოდ ფარად ქვასა
და რკინას გავიხდით. (უფრო იმატებს ზარბაზნის ხმა)
გასკდი! გასკდი! არამც თუ შენის ხმისაგან, შიგ მყ-
ოფმა ცეცხლმა დედამიწაც რომ ამოხეთქოს, გაანა-
დგუროს, იმის ხმისაგან შეშინებულს ერთს დედა-
კაცს, ერთს ბავშვსაც-კი ვერ მოიპოვნი ჩვენთაგანს
ამ ციხეში.

რა შემცდარი აზრისა ვყოფილვარ! მეგონა, სამ
შობლოს გულისათვის სიკვდილი რომ შესძლოს,
ორმოც კაციც არ იპოვება-მეთქი. სჩანს, მტერსაც
ჩემსავით გაუცვნია ოსმალო!.. დიახ საზრგადოდ ის-
მალები სამშობლოს არად აგდებენ, გეგონებათ, მარ-
თლაც არაფრად იმჩნევდნენ. მაგრამ, აბა, მტერი აჩ-
ვენე! აბა გაიგოს, სამშობლოს წმინდა ადგილები
უცხოსა და მტრის მურტალი ფეხებით უნდა იჭმნას
გათელილიო, ჰნახე მაშინ ხალხს როგორ სხვა ელ-
ფერი ედება. მაშინ ადამიანი უბრალო სოფლის კაც-

სა და ჩემ შორის ვერასფერს განსხვავებას ვერ ჰნა-
ხავს. აი, უღელში წყვილის გამორჩევას რომ ვერ
ახერხებენ, ის საბრალო ფეხ-ქალამნიანი, ტკბილ-
ენიანი და სახე-მშვიდობიანი სოფლელები სრულებით
სხვავდებიან და ოსმალეთის სიმხნე-სიუხვე იხატება მა-
თში. მთლად უძლურიც-კი კბილით ხმალსა და ხელით
ტყვიას ეკვეთება. სასაზღვარო ციხის ერთი ქვის — უბ-
რალო ერთი ქვის ზრუნვაში თავისს ლეკვების დამცველ
ძულომისა და ღვიძლ დედის ნამუსის დამცველ მა-
მაც ვაუ-კაცისაგან არ ირჩევიან. შეჰქნედე, აბა წინად,
სანამ ბრძოლის ველზე ჯარს გამოიყვანდნენ, იძუ-
ლებულნი იყვნენ, როზგი ეხმარათ ხოლმე, ახლა-კი
ეს არის მტერი გამოჩნდა და ის როზგითა და ძალ-
დატანებით გამოყვანილი ჯარი ბრძოლის ველზედ
მტრის წინააღმდეგ დევნისაგან ჩვენვე ჩვენის ხმლი-
თა და შუბით ვეღარ შეგვიჩერებია. (გუდშასული
ზეწამდგება) დიდება ღმერთს! ეს ციხე თქვენი ნას
როლი ზარბაზნებით არ აიღება. პირველად ყველი
სული ამოგვართვი და მერმედ იქნებ... მტერიცა
ჰქედავს, რომ თუ ხუთმა მაინც არის სისხლით არ
მორწყო ჩვენი მამული, ჩვენგანი ერთის სააქაოს
ისე არ გამოესაო. მება!

ზექაე

(თავისთვის). ღმერთო! სადღა წავიდე ახლა? დღეს
მეთორმეტე დღეა, ძლივს გონს მოვიდა. მეც რა
მშვენიერად ვინახავდი თავსა. დღეს-კი ვეღარ უნდა
მოვახერხო.

ისლამ-ბეგი (ისლამ-ბეგს უფრო მოუვა გული). გაისროლეთ, გაი-
სროლეთ, თქვენის მთავარის ძალის წინააღმდეგვე,
თუნდ მარტოშაც რომ დავიხიო, ოსმალს ნუ დამი-
ძახებთ. ერთის დამტვრეული ხმლით თქვენის ჯა-
რიდგან რვას რომ ვდევნიდი ნახევარ საათს, იმათ-
ზედ უფრო ლაჩარი ვიყო! (ისევე საწლზედ და-
შვება).

- ზექია** (ამ სიტუაციას რომ გაიგონებს, ზექიე შიმალულ ადგი-
ლიდგან წამოდგება). ისევე უნდა ავნოს თავის
თავსა...)
- ისლამ-ბეგი** (წამოდგება). ვინ არის ეს?
- ზექია** (სახის ჩვენება არ უნდა, ემალება). არავინ... თქვენი
მსახური... აბდულა-ჩაუში და მე თქვენის სამსახუ-
რისათვის ვიყავით დანიშნული...
- ისლამ-ბეგი.** თითქოს ეს ხმა... ეი, გამიგონეთ, რამდენი ხა-
ნია, რაც ვწევარ?
- ზექია** (ნელის ხმით და გულ-აშოსკენით). განა მე-კი ვიცი?..
მუდამ ღამ თქვენთან ვიყავი... დიდი ხანია...
- ისლამ-ბეგი.** აქ მოდი..., აქა... მომიახლოვდით, თქვენ ვინა
ხართ?
- ზექია** (თავის დაფარგვსა სცდილობს). ვინა?.. მე?.. პოლ-
კოვნიკმა თქვენის სამსახურისათვის...
- ისლამ-ბეგი.** ოჟ! ეს შეუძლებელია... ორს ზექიეს ღმერთი
ვერ გააჩენდა. როგორ უნდა იქცეს ორად ჩემს თვა-
ლებში ეგ შენი სახე, ჯერაც კიდევ ამასა ვკვირვობ.
(ზექებზედ ხელს მოჭეიდებს). სთქვი... სთქვი, ღვთის
გულისათვის! სთქვი... ჭრილობისაგან რომ დავიბ-
ნიდე, შენს მკერდზედ მივესვენე, მაშინ ბურანშიაც
რომ თვალთ-წინ მიტრიალებდი, შენ იყავი? ზექიე
ხარ შენა, არა? ღვთის გულისათვის, თავს ნუ დაიმა-
ლავ!.. ვფიცავ ღმერთს, ზექიე ხარ. არა და, მე ჩავ-
რიცხულვარ, მაშ წამებულ წმიდანათა და ღმერთს
ჩამთვის ზექიეს მზგავსი ანგელოზი მოუვლენა.
სთქვი! თუ გიყვარს ვინმე, იმის გულისათვისაც არის,
სთქვი. ქვეყნათა ვარ, თუ სამოთხეში?
- ზექია.** ქვეყნიერობაზედ მხოლოდ ერთად-ერთი ვინმე მი-
ყვარს, ეს შენ ხარ. ვფიცავ შენს თავს, ზექიე ვარ.
შენი ზექიე!.. მონასტრიდგან წამოსვლის დროს რა
სთქვი: „ვისაც ვუყვარვარ, არ დაიხევს, გამომყვე-

ბაო“, დაგავიწყდა? შენი ხმა ჯერაც ყურაში მაქვს,
ნამოქმედარი-კი გულ-გონებაში.

ისლამ-ბეგი. მერე, რომ მიგატოვე და წამოველ, ამისათვის
ხომ არ დამძრახავ? შენს ნეტარებას, სიპალლეს, სიუ-
ხვესა და სიმღიდრეს ჩემის გულისათვის თავი მია-
ნებე. დღეში რომ რამდენსამე ლარიბ-ლატაკს მუ-
ცელს უძლობდი, ჩემის გულისათვის ლუკმა-პურის
შოვნასაც იჭირვებ? თავს რამდენიმე მოსამსახურე
გადგა და დაგტრიალებდა, დღეს-კი ჩემის გული-
სათვის ვინმე დაჭრილს კაცს ემსახურები. აბა, რო-
გორ მოვიქცე და არარაობისაგან ჩემის შემქნელის
გულისათვის შენ არ მიგატოვო. ოცი? სამშობლო და
სარწმუნოება ჩემთვის ორივე ერთია. ვისაც სამშობ-
ლო არ უყვარს, იმას არც ღმერთი უყვარს...

ზექიე. ოჰ, სამშობლოზედ ლაპარაკსა და ფიქრს რომ დაი-
წყებ, როგორა მალლდები. შენზედ რომ ვუიქრობ,
გულ-გონებაში მეც იმდენსავე სივრცე-სიმაღლეს
ვპოულობ... ისეთი სიტყვები მითხარი, რომ მგო-
ნია, თითქოს სიცოცხლე მემატებოდეს. მემატება და
სხეულ არსებაში აღარ მეტევა. გულ-გონებას თით-
ქოს ვარდები ეშლება. ამომავალი მზე და მთვარე
ფიქრს მინათლებენ. შენმა სიტყვებმა მეც თითქოს
ვაჟად მაქცია. გულ-გონება უფრო მეტის გამბედი
არის. ხვალ ბრძოლის ველზედ უნდა გახვიდე. ჯარს
მუდამ წინ უნდა უძლოდე. მეც უეჭველად შენ-
თან ვიქნები ყველაზედ ახლო. ყოველგვარს გან-
წირულებას ვიკისრებ. შენთან ერთად იქნებ სიკვ-
დილს ვერ გავიზიარებთ!... ისევ შენშია დიდე-
ბა... ისევ შენშია გმირობა... შენ სამშობლოსა-
თვის ჰზრუნავ, მე-კი—შენთვის. შენ შენის მარჯვე-
ნითა ხარ მაგარი და მძლე, მე—შენის წყალობით.
(ხმაურთა შეიქნება).

ისლამ-ბეგი. რა .მბავია?

ზექიე. არ ვიცი.

სურათი მეორე.

იგინივე, სიღვი-ბეგი და რამდენიმე აფიცერი შემოვლენ.

სიღვი-ბეგი. ყველანი აქ შევიკრიბნეთ, აქ ვითათბიროთ.

შოდშოლგოგნივე, ნუ თუ ისევ სათათბიროთ გაგვიხდა საჭმე? ციხეს ვინ უნდა მოჰქედოს? ხვანთქარს ხომ ფაშაზე ჰქონდა მინდობილი და აგერ ერთმა ყუმბარამ ფაშაც თან წაიტჩნა. უთავოდ ჯარი როგორ იომებს? აქ დავრჩეთ და...

ახლულა-ჩაუში. მერე ფაშის სიკვდილით ქვეყანა ხომ არ დაილუპება?

შოდშოლგოგნივე. გაჩუმდი, კაცო... საბრალო ციხეში მყოფნი შეიბრალეთ! აქაურობა რომ ხვანთქარს ჰნდომოდა, საშველად სპასალარს გამოგზავნიდა (მთელს აფიცრებს და ჯარის კაცებს ყველას ერთად პასუხის გაცემა რომ უნდათ).

ისლამ-ბეგი (გულ-მარტული წამოგარდება). კაცო, ეშმაკი ხომ არა ხარ! ან ეშმაკზე უფრო საძაგელი რამ? მაგრამ ეშმაკზე საძაგელი რაღა იქნება? ჯაშუში... უსათუოდ ჯაშუშია... ეს გაუტანელი... უსინდისო! ხვანთქარმა თუ ციხე ფაშას მიანდო, მე და შენ აქ რაღა მოხელენი ვართ? სპასალარისგან ელი შველას? მტრის ყუმბარები ხომ მთლიად ახალ-მოსულებს არ დაჰსრესავს და დაპულეტს? ხომ არ გაგიუებულხარ? ვსთქვათ, ეს მოთათბირენი დაიხოცნენ, მერე? მაშველი რომ მოვა, რა იქნება? სამშობლოს პურ-მარილი არ გიქამია! სამშობლოს წყალობით არა სცხოვრობ! ყოვლად ულირს ამ ჩინამდე მიგილწევია. ნუ თუ შენი ხვანთქარისადმი პირველი სამსახური მისივე საუკეთესო ციხე-დარბაზის მტრის ხელში ჩაგდება უნდა იყოს.

იქნება გგონია, ეგ ხმალიც იმიტომ ჩამოგვიდეს, რომ
ვისაც შეგხვდეს, გადაულოცო? რას გაჩერებულხართ?
რისთვის არ დაახვრეტინებთ ამ საძაგელსა? მტერს
„დავნებდეთო“, განა ამ სიტყვას უნდა გავუძლოთ?
სისხლი გაგიშრათ? გულმა ძერა შეგიწყვიტათ? რას
გაოცებულხართ, გაჩერებულხართ? ნუ თუ ჩემს გარდა
სხვა ოსმალო აღარ არის აქ? (იყრიშის მიტანას მთ-
ინდომებს, მაგრამ აფიცერები ჩაერევიან).

სიდგოდეგნიგია. შენ გაჩერდი და თუ რამე სათქმელი აქვთ,
ამ აფიცერებმა ილაპარაკონ.

ასლამ-ბეგი (რასტამ-ბეგი). შეპხედეთ, როგორ თავს იგდებს,
ნუ თუ თქვენც გაჩერებულხართ?

რასტამ-ბეგი. მე? ვისი პირიდანაც-კი გავიგონებ დავნებ-
დეთო, თოფის პირით პასუხს გავცემ.

სიდგი-ბეგი. კრარათ! ვინც ამას შემდეგ „დავნებდეთს“ გაი-
მეორებს, იცოდეთ, დავახვრეტინებ.

1-ლი აფიცერი. მერე ამ ცბიერ ბოროტს რალასთვის აცო-
ცხლებთ?

2-რე აფიცერი. ომში ვართ, ბატონებო, ტყვია-წამალი ბრა-
ლი არაა?

ასლამ-ბეგი. ერთი ხმალის დაქნევითაც კარგად გავაპობ ორადა.
მევ- აფიცერი. რათ გინდათ, რომ მაგ მუხთალის სისხლი დაპ-
ლვაროთ!

1-ლი აფიცერი. კარგად დაფიქრდით! საშიში არ არის, რომ
ცოცხალი დარჩეს?

სიდგი-ბეგი (აბდუჭა-ჩაუში). წაიყვანე და ქვეშ მიწაში რომ
ოთახებია, იქ დაატუსაღე და დარაჯი დაუყენდ.

ასლამ-ბეგი. მერე, ბატონო, განსაცდელზე რისთვის არ ფიქ-
რობთ?

სიდგი-ბეგი. მოითმინეთ, სატუსალო სასაცლაოსავით მოულებს
ბოლოს გულის ძერასა.

სურათი მესამე

იგინივე და სხვა აფიციურები.

აფიციურები (შემოკლენ). მტერი მარჯვენა ფრთიდგან მოდის. აბა ამხედრდით! (ბრძოლის ტრამპეთი დაიკვრება, ყველანი საჩქაროდ გარეთ გავლენ).

სურათი მეოთხე

სიდეი-ბეგი, ისლამ-ბეგი და ზექი.

სიდეი-ბეგი (ისლამ-ბეგს წინ გადუდება). პატარა ხანს მოიკა. ამ გვარს თავს-დასხმას იგინიც მისცემენ პასუხს. იცი, რომ მართლაც ციხე განსაცემლშია? არც საშველი გვაქვს, არც სურსათი, არც ფული და აღარც აფიციურები გვყავს. ნამდვილი ღმერთმა იცის, მაგრამ, როგორც სჩანს, ხვანთქარს ციხე გულიდგან ამოულია.

ისლამ-ბეგი. ბატონო, აბა, ეგ რა სათქმელი არის. როგორ იქნება ხვანთქარმა თავისი ციხე-დარბაზი გულიდგან ამოილოს? სპასალარმა მაშ რაღა მოიქმედოს? ალბად, ჩვენი იმედი აქვთ და იმიტომ თავიანთს გეგმას არა სცვლიან. ნეტავი პირველადვე მონახვედრს ტყვიას მოვეკალი და შენგან-კი ეს სიტყვები არ გამეგონა.

სადეი-ბეგი. შვილო, ციხის დანებებაზედ მე არაფერს ვფაქრობ. განთავისუფლებისათვის-კი ვეძებ საშუალებას. ციხის დანებების მსურველი შენთან როდი ითათბირებს.

ისლამ-ბეგი. განთავისუფლებისათვის საშუალებაო... ვიომებთ...
დავიხოცებით... დანებება-კი შეუძლებელია.

სიდერ-ბეგი. ციხის განთავისუფლებისათვის ერთი საშუალება-
ლაა. კაცია საჭირო, რომ მოკვდეს.

ისლამ-ბეგი. მერე, მე ხომ ჯერ არ მომკვდარვარ.

სიდერ-ბეგი. არ მომკვდარხარ, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანზედ არა
ხარ.

ისლამ-ბეგი. დიდება ღმერთს! მერე, განა უჯანო კაცი სიკვ-
დილს ვერ შესძლებს? ბატონო, თქვენ თქვენი აზ-
რი განაგრძეთ... ჩემის სამშობლოსათვის, ავალაც
ვიყო, მაინც მოკვდები. კარგათ მყოფი ხომ, რაღა
თქმა უნდა, ერთხელ ხომ უნდა მოკვდე.

სიდერ-ბეგი. შეგიძლიან ამაღამ მტრის ბანაკში შეხვიდე და
ტყვია-წამლის საწყობი ააფეთქო?

ისლამ-ბეგი. შეგიძლიან, ავაფეთქებ. საჭირო რომ გახდეს,
ზედ შევსდგები და ისე მივსცემ ცეცხლსა, მაგრამ
ბანაკში შესკვლა-კი შესაძლებელია, განა? ეს არ ვი-
ცი სწორედ.

სიდერ-ბეგი. საჭმეც ეჭა! ჩემი განზრახვა, მართალია, სულე-
ლურია თითქოს, რაღვან ასში ერთხელ არ გამარ-
ლდება ხოლმე ასეთი იმედი... სხვა ტყუილ-
უბრალოდ მტრის ხელში ჩავარდნა და თავისა ჩაკვ-
ლაა... ხელის მოკიდვით მიყვანა და ტყვია-წამლის
საწყობზედ დასმა რომ შესაძლებელი იყოს, ამ ცი-
ხეში ათას კაცს ვიპოვნიდი მაშინ მსურველსა, რომ
ყო ველგვარი განსაცდელი ეკისრნა... მაგრამ ამ
გვარს საშიშსა და განსაცდელს ხანებშია ხოლმე სწო-
რედ საჭირო, რომ შეუძლებელი შესაძლებელი გახ-
დეს. ეს ერთი მიზანი ჩემის ჭეშმარიტებისა! კიდე-
ვაც გარდავსწყვიტე: დღეს, საღამო-ჟამს, მტრის ბა-
ნაკში უნდა შევიდე, მაგრამ ამხანავია ჩემთვის სა-
ჭირო.

ისლამ-ბეგი. მერე, ამ საქმეს, განა, მარტო მე არ ვეყოფოდი? სიდგი-ბეგი. ერთი კაცი რომ ჰქმარებოდა, როგორ გვინია, განა, დღევანდლამდის-კი არ შევუდგებოდი საქმის აღსრულებასა?

ისლამ-ბეგი. ბატონო, აბა. ეჯ რა მოსაზრებაა! ციხე-დარბაზი შენით არის უშიშრად მდგარი და რაღაცა ვაჟკა-ცური საქმისათვის მიზანი უნდა გააქარწყლო.

სიდგი-ბეგი. ისლამ-ბეგ! გეტუობა, წელანდელ უსინიდისოს სიტყვებს აქცევ ყურადღებას. მაღლობა ღმერთს, ციხეში სამხედრო სკოლაში მომზადებული და ყოველის ჯილდოთი ბრძოლის ველზედ დასაჩუქრებული მამაცი აფიცერი და ჯარის-კაცი მრავლადა გვყავს, რომლებიც სიკვდილთან ბრძოლას არ გაექცევიან. ოჟ! უნდომალო! არ გინახავს, რა ვაჟკაცობა გამოვიჩინეთ. მტერი ყოველდღე ორმოც-ორმოცი ათასი კაცით თავს გვესხმოდა, ჩვენ-კი ორ-ორი, სამ-სამი ათასი კაცი რომ შევიყრიდით თავსა, ციხე-დარბაზის დაცვასაც აღარ ვკადრულობდით, ერთი ხმალი ათ-თხუთმეტს შებს ეკვეთებოდა. კბილები და ფრჩი-ლებიც-კი იარაღად გვქონდა გაღაქცეული. ღმერთია მოწამე, ჩვენი თარეშობა რომ გენახა, ბრძოლის ველზედ შაპინამას მოთხრობებს კეშმარიტად ერწმუნებოდი. იმედი გქონდეს, ჩვენის ჯარის-კაცს რომ ათასი სული ჰქონდეს, ყველას შესწარავს და ციხის ერთ ქვასაც-კი მტერს არ დაანებებს.

ისლამ-ბეგი (ცრემლებს მჰაწმენდს). გიგდებ ყურსა და ბავშვი-ვით ვსტირი სიხარულისაგან! ვიცი, ჯარი ციხეს არ დაანებებს, მაგრამ მტერი ძალით აიღებს; ფაშა გარდაიცვალა. შენც რომ თავი შესწირო, ომიანობის მოქმედებას ვინდა უფროსობდეს? თავი უნდა შესწირო? მერე, შენგან რჩევის მიუღებლად ვინ რას გააკეთებს? კიდევ უნდა შესწირო თავი? თავი მხედრობისა? მოჭირო ტვინი და მოქმედება მკლა-

ვებს, ფეხებს მიანდო?.. გაჩერდი, ლვთის გულისა-
თვის, სამშობლო შეიბრალე!

სიდგი-ბეგი. რა ვუყო შვილო? უკანასკნელი საშუალება და
ღონისძიება ერთს კაცს როგორ მივანდო? საქმეშ რომ
დასახმარებელად სხვა ვინმე მოითხოვოს?.. ვინ იცის,
რა მოხდება და რა არა.

ჭექია (კუთხიდგან წამოდგება). რადგანაც ორი კაცია საჭი-
რო, მეორე მე ვიქნები.

სიდგი-ბეგი. ვინ არის ეს? საბრალო ბავშვი! იყავი შენთვის.

ისლამ-ბეგი (ზექიენ). რას ლაპარაკობ?

ჭექია (ისლამ-ბეგს). ოჯ, შეუბრალებელო, შენი საფლავის
პატია კუთხეც-კი გშურს ჩემთვისა? (სიდგი-ბეგს).
კეთილი ინებეთ, ბატონო! სასიკვდილოდ კაცს ეძებ
დით. თუ სხვისა მოკვლა არ შემიძლიან, თავისა
ხომ კარგად შევიძლებ... წინადაც მქონდა მოხსე-
ნებული, რომ თქვენზედ ადვილად მოვკვდები.
მტრის ბანაკში ფარულად უნდა შესვლაო, ამას
ბრძანებდით. მაკედონელი გახლავართ, ცოტა არ
იყოს ენაც ვიცი. ჩემთვის ფარულად შესვლა
თქვენზედ უფრო ადვილია. საღაც უნდა შევიდე,
თავს ისე ადვილად არ ვაკრიბიებ. თუ არა გჯერათ,
ისლამ-ბეგს ჰყითხეთ.

ისლამ-ბეგი (შეჩერებით). ბავშვი ჰქვიანი სჩანს.

სურათი მეწუთე

იგინიშე და აბდულა-ჩაუში

აბდულა-ჩაუში (შემოდის). გალმა ისეკ ჯარი იყრის თავსა. იქ-
ნება იერიში მიაქვთ? ციხეში გთხოვენ.

სიდგი-ბეგი. აბდულა-ჩაუშ.

აბდულა-ჩაუში. ბატონო!

სიდგი-ბეგი. აქ მო, შეგიძლიან ციხის გულისათვის თავი გასწირო?

აბდულა-ჩაუში. შემიძლიან. ქვეყანა ხომ არ დაიღუპება?

სიდგი-ბეგი. ისლამ-ბეგ ამაღამ ერთს ალაგას უნდა წავიდეს;

შეგიძლიან თან გაჰყვე? მაგრამ საშიში-კია: იქ წამ-სვლელი ასში ოთხმოცდა ცხრამეტი ტყვიით იქნება დახვრეტილი.

აბდულა-ჩაუში. მერე, რა არის, რომ დავიხვრიტო! ქვეყანა დაიღუპება თუ?

სიდგი-ბეგი. ყოჩალ, აბდულა! აბა, მაშ ციხეში წავიდეთ, ვნახოთ დღევანდელი ჩვენი ქორწინება როგორ ჩაივლის! საქმეზედაც იქ მოვილაპარაკებთ.

ჭეშიქ (სიდგი-ბეგი). ბატონი პოლკოვნიკო! მორჩილი მონა თქვენი ამდენად რათ დაიწუნეთ?

სიდგი-ბეგი. არა, შვილო, შენც წახვალ. სამნი რო იქნებით, საქმე უფრო კარგად წავა... აბრულა-ჩაუშმაც ენა იცის.

სურათი მეექვსე

სიდგი-ბეგი, აბდულა-ჩაუში და ისლამ-ბეგი გავლენა.

ჭეშიქ. (თოახში თავისთვის). ძლივს, ბოლოს შავი. მიწა გულ-მკერდს გაუხსნის. ღმერთს თურმე სადედოფლო გვირგვინით ჩემი შემკობა ჩემივე სისხლით უნებებია! სიკვდილამდე თურმე ერთი მეორისათვის გადახვევაც აღარ ყოფილა. (მცირე დუმილის შემდეგ) წუხანდელი ჩემი სიზმარი რა იყო? საყვარელთან ვიყავი. მკერდზე მესვენა. ამომავალი მთვარე ფოთლებიდან იყურებოდა და თავისი ალმასივით სხივები ჩვენთვის გადმოეფინა... ხელი მისს გულ-მკერდზედ მედო და ვუსმენდი... ისიც ჩემის თმებით იფარავდა ბირის სახესა... მე ნელად გულ-ამოსკვნით ესტი-

როდი... ის-კი ჩუმ-ჩუმად იღიმებოდა... თვალზედ
რომ ცრემლი გადმომკიდებოდა, თითქოს სახეზედ
ახალი ვარდი გაეშალაო. გარშემო ბულბულნი ჰგა-
ლობდნენ, წყლები მოჩუხჩუხებდნენ, ყველა თით-
ქოს ჩვენ გვეხარბებოდა... გადავხედავდი თუ არა
მისს პირის სახეს, მეგონა, სული გამყრია და უბე-
ში ჩამსვენებია, სამშობლოში ვარ, ბალში დიდი
ჭანდრის ქვეშ-მეთქი. მაგრამ ვაი რომ სიზმარი იყო...
მაგრამ არც სიზმარის სიცხადია შეუძლებელი. ნე-
ტავი, მთელი სიცოცხლე იმ გვარს სიზმრებში გა-
მატარებინა. (ფანჯრიდგან ზარბაზნის ადა გამოჩინდება.
თრთოლებით.) ამ ალისაგანაც თოვლი სთოვს ადა-
მიანის გულში! რა საუცხოვოდ ამოსულა მზე!
ღრუბლები ათას ნაირად შეუღებია, თითქო სამო-
თხის ბალებსა ჰქატავსო. სიცოცხლის უკანასკნელ
დღესაც-კი არ მაცდის ზარბაზნის ბოლი, რომ დი-
ლის მშვენიერება ვნახო... (შცირე დაფიქრების შემდეგ)
სიცოცხლისაგან მცირედ თავ-მოძულებულთათვის
სიკვდილი თურმე საშიში აღარ ყოფილა! მაშ, ასე:
სიკვდილის წინ, რაც უნდა მეღგრად მეკვეთოს იგი,
უკან არ უნდა დავიხიო!..

სურათი მეშვიდე

ზექია და ისლამ-ბეგი

ისლამ-ბეგი. (თავახში შემოვა), ზექია ჩემო!

ზექია (ალექსით). ბატონო!

ისლამ-ბეგი. უბედური კაცი ვყოფილვარ: შენ რომ ჩემთანა
გხედავ, მგონია ანგელოზს ჩემის გულისათვის ზე-
ცა მიუტოვებია და დედა მიწაზედ ჩამოსულა-მეთქი.
ჩემი თავი მევე ეშმაკზედ უარესად მიშაჩნია. ვფი-
ქრობდი: ეშმაკი კაცს შეაცდენს მეთქი, მე-კი ან-

გელოზი შევაცდინე! ჩემის გულისათვის ამ მდგო-
მარეობაში რადა ვარდები, რად გინდა, ერთი მშვე-
ნიერი არსება მიწად აქციო ჩემის გულისათვის?

ზექია. ოჟ! გინდა, რომ გული-გონება ჩემი საიქიოდ ნაკუწ-
ნაკუწად გაასალმო. რა მოვიქმედე, განა, შენის გუ-
ლისათვის, რომ ანგელოზი გვინივარ? მაგრამ მარ-
თლაც რომ ანგელოზი ვიყო, ზეცას მივანებებდი
ისევ და შენ-კი არ დაგანებებდი თავსა, ქვეყნად
მარტოდ ვიყავი. უძლური ვიყავ, ჭკუა-გონებაში
დაკარგულის მამის სურათის გარდა საოცნებო აღარა
მქონდა რა. ისიც როგორ წყვდიადით მოცული...
არარაობა იყო ეს ოცნება. გონებაში ათას გვარ
სურათებს წარმოვიდგენდი და მერე ისევ დავშლიდი.
ვერც ერთს ვერ შევიყვარებდი. სიცოცხლეში...
მაგალითად პოლკოვნიკს გარდა, მამათ რომ ვინმე
შემფეროდეს, ვერ წარმოვიდგენდი.

ჩემს გულსა და ჩემს გონებას ცხონებული დედა-
ჩემის ძმის გარდა საფიქრებლად გასართობი სხვა არა
ჰქონდა-რა. მერე, ისიც როგორ გასართობად! ერთ-
ზე რომ მეფიქრნა, თვალშინ მაშინვე ის წარმომი-
დგებოდა, ჩემს გულზედ მისვენებულმა როგორ და-
ლია სული მეორემ. მეორეზე მეფიქრნა, წარმომი-
დგებოდა, როგორ მესვენა გულზედ და როგორ ებრ-
ძოდა სულს პირველი...

შენ დანახვამდის გული-გონება ჩემი მუდამ-უამს
დაკარგულთა და საფლავთა შორის ტრიალებდა. და-
გინახე შენ, მეჩვენა, ეს არის ეხლა დავიბადე-მეგაქი.
რა არის სიცოცხლე, მაშინ გავიგე. რა არის კაცი,
გაგება მაშინ დავიწყე. რა იყო ცხოვრება წინად,
არ ვიცოდი. სიცოცხლე ისევ ყველაზედ მეტად მი-
ყვარდა. შენის გულისათვის სიკვდილი სიცოცხლეს
მირჩევნია. უსამართლოვ, თუ შენ გირჩევნია სიკვდი-
ლი, მერატომ არ უნდა მერჩივნოს? დაუნდობელო!

უნდა მიგეტოვებინე, საფლავად აპირებდი მისვენებასა. მე ხომ ამ ქვეყნად შენს გარდა სული არ მიღვას, იცი; არ მოგაგონდა განა, რომ შენი დამკარგველი ზექიე ფეხზედ მდგომ მიცვალებულივით დარჩებოდა; (ტირიფით) ხან ჯარში წახვალ, მიმატოვებ,— ხან სასიკვდილოდ, ისევე ჩემი მიტოვება გსურს. უთუოდ ჩემგან მოშორება და გაყრა გინდა. ამაზედ მეტს უთუოდ არასა ჰფიქრობ.

ისლამ-ბეგი: ღვთის გულისათვის, დაჩუმდი. უდედმამო ობოლ-სავით არ ამატირო. გინდა, რაც-კი გულ-გონებაში მაქვს, ფიანდაზად გადმომაშლევინო; ჩემი გულის თქმა და საიდუმლო შენ არ გიამბო, მაშ, აბა, ვის უნდა ვუთხრა? ჩემო ზექიე, ვიცი ქუჩის მაწანწალა ბაცაცათ არ მიგაჩნივარ. პოლკოვნიკს რომ სიტყვა მივეცი, პირველად სამშობლო და მერმედ კი შენი ჩემთან ერთად წამოსვლა ვიფიქრე. შენი ჩემთან წამოსვლა რომ არ მეფიქრა, არც ისე მღელვარებითა და აღტაცებით მივცემდი სიტყვას... სიტყვა მივეცი, მოვალეობა ჩემი აღვასრულე იმიტომ რომ ეს სამშობლოს, სამშობლოს სამსახურის მონდობილობა იყო...

ოჰ, ზექიე, იყავი ფრთხილად და გახსოვდეს, რომ ჩემს გულსა და გონებაში სამშობლოსა და შენის სიყვარულის მეტი სხვა პრა არის-რა. მაშ არც გამოცდა უნდა ამასა, იმიტომ რომ მაგვარი გამოცდა უთუოდ მომკლავს, მაგრამ მომკლავს სამშობლოს გულისათვის, იმიტომ რომ მონდობილობა სამშობლოს სამსახურის გულისათვის იყო. უსათუოდ წავიდოდი, მაგრამ ისე დაღონებული-კი, რომ მაყურებლებს ეგონებოდათ, იქნებ სამშობლო არ უყვარსო. იქნება შენც დააკვირდი, სიტყვა რო მივეცი, ისე თავის ადგილას იყო ჩემი სურვილი, რომ პოლკოვნიკი

გაოცებული დარჩა; მივეცი იმიტომ, რომ ვიცოდი, შენც ჩემთან წამოხვიდოდი. არც სიკვდილი, არც სიცოცხლე უშენოდ არ მინდა...

ჩემი რწმენა ხომ იცი: არ უნდა მოვკვდეთ. შეიძლება მტრის იარაღმა ძვალი და რბალი მთლად აგვირიოს, მაგრამ სულს სხეულ არსებისაგან ვერ მოაშორებს. შეიძლება დროთა ვითარებამ შეკავშირებული ქვები, ერთის კვერცხისაგან გამოჩიკულნი მეზობელი სამთავროები და მახლობელი ქვეყნები მთლად დაარღვიოს, გააბნიოს, მაგრამ ჩვენ ისევ ერთად უნდა ვიქნეთ. სამშობლოსათვის ყოველ წუთს სიკვდილს ვეშურებით, მაგრამ არ ვკვდებით; სჩანს, მაშ, სამშობლოს ასაყვავებლათა ვყოფილვართ გაჩენილნი.

ზექაე.

ბატონო ჩემო! ნუ გეეჭვება, მოსაკვდომი რომ ყოფილიყავით, ამდენს ჭრილობას ვერ გადურჩებოდით, შენს ჭრილობებს რომ ვუყურებდი, აუტანელ ტანჯვა-წვალებისაგან სული მეხუთებოდა ოჟ! არ იცი... არ იცი, რა მდგომარეობაში იყავი! არ იცი, რა ტანჯვა გადავიტანე!.. ცოტას გასწყდა, სიკვდილმა არ გამომტეხა, მთელი თვეები შენს საწოლს ვუტრიალებდი, გემსახურებორი. შენ ველარ მიცანი, ექიმებმა იმედი დაჰკარგეს... ყველამ იმედი დაჰკარგა, მარტო მე-ლა დავრჩი... მაგრამ ბეჭისწერა მძლავრია. გულმოსულად ნათქვამი შენი სიტყვები გონებაში მაქვს ჩარჩენილი... ერთწამსაც ყურთა სმენას არ მოსცილებია, არ დამვიწყებია. ექიმებმა როგორდასწყვიტეს: „ავადმყოფი საიმედო აღარ არისო“, მე სულ სხვას ვიმეორებდი: უნდა უთუოდ მოკეთდეს... ჩემმა ბატონმა უთუოდ სამშობლოს უნდა გაუწიოს მეთქი სამსახური. და მართლაც სასწაული ინება ღმერთმა, იმედი არ გამიცრუა. ღმერთი სასწა-

ულს უბრალოდ არ მოახდენს. ღვთის ნებით, ამ
საქმიდანაც ცოცხლები დავბრუნდებით.

ისლამ-ბეგი. ვინ იცის?

ზექია. ნუ-თუ არ შეუძლიან კვალად სასწაული მოახდი-
ნოს? ღვთის სამართლიან მოქმედებისა და სამშობ-
ლოს დიდებისა რწმენა აღარ გაქვს, დავიწყე,
განა?

ისლამ-ბეგი. ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ერთ წამსაც არის და-
მავიწყდეს! ღმერთი ლილია, სამშობლო—ყოვლად
უმანკო, უბიწო!

სურათი მერვე

იგინივე და აბდულა-ჩაუში

აბდულა-ჩაუში (შემოვა თთახში). აბა, წავიდეთ, ბატონო!

ისლამ-ბეგი. საღა?

აბდულა-ჩაუში. ახლავე უნდა გავიდეთ ციხიდგან, სამ-ოთხს
საათს გზაში მოუნდებით. ტანთსაცმელები მზად
არის.

ისლამ-ბეგი. რომელი მხრიდგან უნდა წავიდეთ?

აბდულა-ჩაუში. გზა ნანახი მაქვს.

ისლამ-ბეგი. არ იქნებოდა პოლკოვნიკი გვენახა?

აბდულა-ჩაუში. თვითონ მოვა სანახავათ.

ისლამ-ბეგი. სჯობდა, ჩვენ მივსულიყვავთ.

აბდულა-ჩაუში. იმე, ერხელაც, რომ იმან იყადროს ჩვენთან
მოსვლა, ქვეყანა ხომ არ დაიღუპება?

სურათი მეცნიერები

აგინივე და სიდენი-ბეგი

სიდენი-ბეგი (თახში შემოვა). მზათა ხართ, ყმაწვილებო?

აბდულა-ჩაუში. მივდივართ, მაგრამ თუ რამდენსამე დღეს ჩვენს
ამბავს ვერ გაიგებთ, ნუ გეფიქრებათ.

სიდენი-ბეგი. რამდენიმე დღეო?.. რას ნიშნავს, აბა?

აბდულა-ჩაუში. რამდენიმე დღე რამდენსამე დღეს პნიშნავს,
იმიტომ რომ მალულად უნდა ვიყოთ, დრო მოვუ-
ნახოთ, დავუფიქრდეთ და მტრის ბანაკში ისე შევი-
დეთ. სტუმრათ ხომ არ მივდივართ?

ასლამ-ბეგი. აბდულა-ჩაუშის ნათქვამი საქმე. უფრო იმე-
დიანია.

სიდენი-ბეგი. მე-კი მსურდა, ჩეარა როგორმე შეგვესრულებინა
ჩვენი განზრახვა.

ასლამ-ბეგი. ნება თქვენია! ერთის დღით წინ ყოფილა სიკვ-
დილი თუ უკან, ჩემთვის ერთია.

აბდულა-ჩაუში. ერთორს დღეს რომ შეგვიანდეს საქმე, ქვე-
ყანა დაიღუპება თუ? (ჯარის ასამხედრებლად ტრამპე-
ტი დაიგვრება).

სიდენი-ბეგი. იერიშია ისევ? სიკვდილი არა პბეზრდება ამ
ხალხსა?

აბდულა-ჩაუში. აბა, წავიდეთ, ბატონო! ზარბაზნების ყუმბარებს
შუა უნდა გავიარო. ამაზედ უფრო სასახელო გზა-
ომში არ არის.

ისლამ-ბეგი. წავიდეთ! სიკვდილი მიგველის, სამშობლოს გაუ-
მარჯოს!!! (ისლამ-ბეგი, აბდულა და ზექი გავლენ).

სიდეი-ბეგი (დაკვირვებით დაცემულება ზექის). ჩემი შვილი საფ-
ლავშია...

(ფარდა ჩამოეშვება)



ნ ა ლ ა ტ ი

დრამა ა. სუმბათაშვილისა

თუმცა ბევრისაგან ბევრგან იყო წარმოდგენილი „დაჭატი“ და ბევრგანაც იქმნება კიდევ, მაინც შესაძლოა, რომ იყოს ჩვენს მკითხველებში იმისთანა პირი, რომელსაც არც წაეკითხოს და არც დადგმული ენახოს ხსენებული ღრამა, ამისთვის ვცანით სამჯობინრად განხილვის წინეთ მოვიყვანოთ მისი შინარჩსი.

მოქმედება იწყება ტფილისიდან, სადაც მდიდრულად მორთულს ტახტზედ ზის მოკეცილი საქართველოს მტარვალი სულეიმანი; მუხლებზედ უდევს ოქროს ხმალი და ხელში კრიალოსანი. მტარვალი ცოტად აღელვებულია იმ ამბით, რომ ირანის შაჰი მასზედ გამწყრალა ერევნის სის ენატანიაობით. ჯავრს ჰყრილობს თოარ-ბეგზედ — ქართლის ერისთავზედ, რომელსაც უმიზეზოდ ჰგვემავს და მწარედ უსაყველურებს, რომ ენით ტკბილად მოსაუბრობს და გულში კა დაჭატს ჭიათავს. ოთარ-ბეგი გულუბრყვილოდ არწმუნებს, რომ რაც მან მუსულმანობა მიიღო, მას შემდეგ იგი გარდიქცა სისხლის მსმელად თვისს პოძმეთა, ნათესავთა, მახლობელთა და შორეულთა; ყველას-თვის, ვინც კი ქრისტიანობის სახელს ატარებს. ოთარ-ბეგმა დაანელა თვრამეტის წლის განმავლობაში მთლად საქართველო: დაანგრია ოცდა სამი ეკკლესია და 11 მონასტერი, რომელთა მღვდელ-მონაზონნი ჯვართ აცვა. უკანასკნელად, თუ ინებებს, იმერეთის მეფეს და ახალციხის ფაშასაც შებოჭილებს მოჰვე-

რის. თვით ერევნის ხანის თავსაც გუდაში გამოხვეულს მოართმევს. სულეიმანი ამ მლიქვნელობით სტკება და წყნარდება. შეძლევ უბრძანებს: წარა ქართლში, შეჭკრიბე ერთი საპალნე ფქრო, სამი საპალნე ვერცხლა, თორმეტი ცხენი და ექვსიც ბანავანი-გუგლუცი. საჩქაროდ გამოგზავნე ესენი ტფილისში, რომ იგინი მივუძღვნათ შაპინ-შავს ჩვენდამი გულის მოსაბრუნებლადო. ოთარ-ბეგი გასვლას აპირებს, რომ დედოფალი ზეინაბი გამოჩნდება პირბადე ახდილი და ოთარის თაღლითობას სულეი-მანს უმხელს, თვით ოთარ-ბეგს კი ანჩხლი ქორივით სწვდება და კლანჭებს უტარებს გულში. ადარებს მას მგელს, მელას და მხოხავს ძალლს. სცდილობს ჩახედოს გულში, აგრძნობინოს თუ სადამდის დაცემულა, რამდენად ჩაფლულა სულით და ხორცით ტალახში. უწოდს უსინიდისო კაცად, რომელმაც სჯული დასთმო ჰარამხანისთვის და ღვინოს კი ვერა სთვობს. დასცინის. ბოლოს მკაცრად მოსთხოვს, რომ ოთარ-ბეგი ნუ ცულლუტობს, მოიყვანოს თავისი ქალი გააჩნე. იმაზედ უძვირ-ფასესს ვერას უძღვნის საქართველო ირანის მფლობელს. ოთა რი გადის დაფიქრებული. მოისმის ზარის ხმა. სულეიმანი უუ-რებს სცევეტავს. ბრძანებს: ამიერიდან ადარ ესმოდეს. ოთარი მობრუნდება და მოახსენებს: ზარებს თუ ინებებთ, ხვალ ერთს ალაგს მოვაჭრებ ზარბაზნების ჩამასასხმეულა. დედოფალი გვერდი-დან უმწვიტინებს —იქნება, ღთარ-ბეგ, ზარების ხშა შეწრ გაშფრ-იას და გილვიძებს იმას, რის დავიწევსასც ქსე სცდილობ? (ე. ი. რომ ოდესმე ულალატე სჯულს). თანაც დაცინვით ეკითხება, ხამ არ იუავ დღეს მიწვეული რთხელიანის ნადიმზედ? ოთარ-ბეგი ვერას მიუხვდა, უარს ჰყოფს წმიდის გულით და არწმუნებს, რომ მისს გულში არავითარა მზაკვრობა არ ითარვის, იგი მე-ტად ერთგულია და კეთილის მოსურნეა დედოფლისა, რის-გამოც არ მოიყვანა აქამომდის გაიანე და არ აჩვენა სულეი-მანს, რათა მას გული არ შესცვლოდა დედოფალზედ. აქ კი დედოფალი პირდაპირ მახვილს სცემს გულში — „შეგონე ცოტა რამე სანადასისა კადევ გექნებოდა შერჩენილი და იმასთვის არ მო-გუვანდა შენი შეიალი გააჩნე აშ სარცსკიზოში... შაგრამ აქაც მფუს-

რეუკიდი შენშა. შენს დოთბას სრულად შთაუნთქავს შენი კაცის. კახსოვს მევე თემიშროას სიტყვები: შენი ქალი ჩემს ვას უდი ჟერთოვო.“ ნეტი როშელი გიჯაბა? მოუკა, მოუკა საჩქარდ, შენ დაგვისმარე საქართველოს კასტესში, შენ უნდა იქმნე ეხვად დაჭალ დავუზუდი, შენა ქალი უნდა შაჰინ-შაჰის ეჯდას ჭარამსნაში და შენ იყო მისი სიმამრი.“ თანაც უცნაურათ შეეკათხება. ამ- დენა კაცი ვრავს გორის ციხეში და ვინ არანოდი—ხეთი ათასი, უპა- სუხებს. ზეინაბი ანებებს თავს ოთარს და მიუბრუნდება ისახას — ესეც თემიშროის მარჯვენა ხელი, საქართველოს დომა, უძლევე- დი მხედარი! გაშირდება ზარებს ჩამოყალიბი ჩამოყალი- ბისათო; ამ ზარებს, საბაც დაცულადა, ჯვარი დაიწერა. თანხშ- დება, ჩემს ქალს ჭარამსნაში მოვიუვანთ. მეტია იქნება დაცემა? განადა არის რამე მასში ძველებური? განა შესაძლოა ამ კაცს დავენ- დოთ? ამ დოთს; გარეუნიდს, ფაზარს და მდიდებლებსა? ისახარ ანუკეშებს: ოთარი ჯერ შეკვდარი არ არას, საპანლით არის დაქინ- დოველი, თუ ღრმა მიეცა და მოიგდებინა, ნახავა რომ ისევ ისრბო- ლებს. ხალხიც ზღვავდება, ახლად დაწყობილს მეჩეთს სეიდ- აბადაში ანგრევს. ულეტა. ამის მნახავს და გამოინს ზეინაბს აღარ შეუძლიან მოთმენა, უნდა იწყოს საქმე; რაც მოსახლო- ბია, მოხდეს! ისახარს უბრძანებს: შეატყიდინ ანანიას, მშმგან- რას ჩემი გიორგი გარში ათართან. ღრთა! ღრთა! ისახარ, ზარშა დაჭერა! სულეიმანი ცალკეა ამ ხანად და რაღაცას შფოთავს, ვერ ისვენებს, აღარავისი ნდობა აქვს, მოიხმობს ზეინაბს და ურჩევს გორში წავიდეს და ოთარს ყური უგდოს; ზეინაბს კიდევ მეორე მეთვალყურეს „რუქაის“ ატანს, ამას აღრიცხავს და იმას კიდევ სხვას. კიდევ მოისმის ზარის ხმა და იძლევა ბრ- ძანებ: მოეკვეთოს თავი ქათალიკოზ. ესეც სრულდება. შე- მოაქვთ მისი თავი. სულეიმანი მაინც ავ გუნებად არის. თითონაც არ იცის რა ემართება. ოთარბეგი გორშია. წამოწოლილია ტახტზედ კაკლის ჩრდილში და ღვინოს შეექცევა. თან ახლავს ენა მჭევრი და გონება მახვილი მოსამსახურე ბესო. რაც ზეინაბმა დაკლო, იმას ბესო უსრულებს თავის მახვილავობით. ოთარი თხოულობს ქუდის

მოხდას, ბესო მასხარაობს. ბატონი, სულ აშრიე! დვინოს ჭირო—
ქუდს მახდეინებ; შილეშინებ—მასურინებ. ოფეროდა მოგიქცე არ ვი-
ცი? თუ ერთი ზარის ჩამოვარისათვის ქათაფიკზე თავს მოჭიკვეთდით,
ბარე უველა ზარები ერთი მაგრავ მაინც დაერევა, ხომ ისევ ეგ იქნე-
ბოდა... ან სად უნდა იშვით მაგდენი დერი? სამჯერ ხომ არ
გააძრობთ ტეატრის იმ საცოდავთ სურამელ ურიებს. ან თქვენი ხომ
რავან უწევალებიათ? ან სადღა უნდა იშვით გეგლუცნი? ხომ რაც
სპასერების გადარჩათ, ის შენმა ჩაფრებმა ირგუნება! ამ ლაპარა-
კის ღროს შემოიჭრება გაიანე და მამას შესჩივლებს, ვიღაც
მაიმუნი დამდევს დასაჭრათ და მაიკოც ამტეხია პირბადე უნ-
და ჩამოიფაროვო, შინ უნდა იჯდე, შენ ჩეარა შაჰინ-შაჰის
ცოლი იქნებიო. ოთარბეგიც კვერსა სცემს მაიკოს მოქმედე-
ბის და ურჩევს სწორედ ისე მოიქცეს, აღარ იაროს სანადი-
როდ, ეს იმას აღარ შეჰქერის. გაიანეც თუმც ამ უამაღ უარს
აცხადებს, მაგრამ უემდევგში კი ასრულებს მამის რჩევას, მიჰ-
ყვება თფილისს და წარუდგება სულეიმანს. გაიანე, სხვათა შო-
რის, ორის სრტყვით მამას ესაუბრება საბა სალოსზედ, რო-
გორც კეშმარიტს ქრისტიანზედ. მოვიდა ოქრო-ვერცხლიც,
მოიყვანა ცხენები ანანაურის მამასახლისმა ანანიამ და თან ორი
თავისი ტალიკი ბიჭიც. ბესომ შემოიყვანა ანანია თავისის შვი-
ლებით ოთარბეგთან. აქაც ისმის ბესოსებური დაცინება ანა-
ნიას პირისაგან. ანანია დაიცინება, შზად არის არამც თუ შეი-
დეს, თვითონც ისლაში მიიღოს, რომ არ ეშანოდეს, დიდის ბა-
ტონისა, რომელიც უკეთებია მარჯვენა თვალში შიაფურთხებს და
ეტევის, მარცხენაშიაც მოგაფურთხებდა, რომ სპარსელებისაგან არა
გქონდეს ჩაშრეტილია. ან როგორ ჰყადრებს დიდ ბატონს, რომ
იკი როგორც ქრისტიანე ჯაჭვობეთიდამ უცქენოდეს თავის ერთ-
გუდს უმას, ანანიას, სჯულ გამოცვლილს სამოთხეში. ანანია სულ
აშკარად დაიცინება. „გიუებო, ბრიუებო (თავის შვილებს) კაუ-
გონეთ ბატონს, მაგან უველავერი უგეთ იცის! სულეიმანის სასია-
მოვნოდ თავის ბაზა ნიკოლოზი ციკლა, ბიძაშვილებიც ციხეში ჩა-
აფით, სიმამრი იმერეთში გადაჭარგა.“ გაათავეს საუბარი, შოჰ-
შორდნენ ერთმანეროს. დათა წავიდა მარჯვნივ კოშკისკენ,

ირაკლი მარცხნივ. აქ დათას შეხვდა ოთარბეგის ქალი, რო-
მელიც საიდალმაც ქურუკივით გამოხტა. გაიანებ თავისის სი-
ლამაზით დათა მთლად მოაჯაფოვა, თვითონაც მოიხიბლა. და-
თავდა საქმე მითი, რომ ერთ ურთს შეეხნენ და დათამ ფი-
ცი მისცა: — იხსნის გაიანეს ირანში წაყვანისაგან, რადაც უნ-
და დაუჯდეს ეს. დედოფალიც მოპრძნდა თავისის ამალით და
სხვათა შორის მხევალის რექსიათი. ჩქარა დედოფალი ინახუ-
ლებს ოთარს, ანანიას, დათას და ირაკლის. რუქაიაც თან ახ-
ლავს. რაღაც უნებურად რუქაიას თვალი და ირაკლისა ერთ-
შანერთს შეხვდებიან, ვნებით აღტყინდებიან, მოკლეს დროს
კიდეც ერთმანეთს ინახულებენ, გამოეარშიყებიან, უთხრობენ
ერთ-ურთს თვისს არშიყობას, ბაგეს ბაგეთ შეაწებებენ, ყელს
გადიჭდებიან და როცა გაჭხლეჩენ, ირაკლი შეპფიცავს, რომ
დედმიშას, ჰატიონებას, სჯულს და მამულს უდაფატებს, ხოლო რუ-
ქაიას კი არა. ფიცი ვაჟყაცისა მტკიცეა, სწორედ ასეც მოიქცა.
კიდეც ულალატა ყოველისფერს, მხოლოდ და მხოლოდ რუ-
ქაიას გულისათვის. პირველად კი საჭურისი ალრაზაყი ამსხვერ-
პლა და მამალივით თავი გააგდებინა, რისგამოც ანანია და
ირაკლი იქნენ შებორკილნი და თფილისს გამგზავრებულნი.
დათა კი გაიქცა და თვითონ იკისრა მკვლელობა. მეორე დღეს
აღდგომა თენდება, საბა სალოსიც იქა ჩნდება, ჩადის ერთად
ბესოსთან და სხვებთან სარდაფის ხერელში, იქ უხდის ხალხს
პასექს, შემდეგ მოდის და დედოფალს მიესალმება: „!რისტე
აღსდგი!“ აქ საბა სალოსი დედოფალს ანანიას დანდობით გა-
დასცემს, ხალხი შზადა, ედისდა მეთაურს. დედოფალს ალარ შე-
უძლიან დაჭთაროს ცეცხლები, რაც იმის გულში ანთია, და
ოთარს უტყდება, რომ იგი ოცი წელია იწვის აუტანელის
აღით შვილის უნახაობისა და დღეს მას ჰედავს ბორკილებ
გაყრილს. ავედრებს თვისის გაიანეს სახელით, ყოველისფრით,
რაც კი მოეპოვება ოთარს — მოირტყას ხმალი, გაუძლვეს თვისს
ჯარს და დაანგრიოს საქართველოს მტარვალის ბუნავი. ეს
ხმა სწვდება ოთარის გულს და იქიდან აღმოხდება, „დინიი
არ ვარ შენდობისა, ბრძნე, დედოფალა, რას უწიოთ“? შზად ვარ

თავი დაგსძლ! პასუხი დედოფლისა: გაუძედ შენის ჯარს. დაუშატებს საბა სალოსი—მთელ საქართველოსაც. ტყვეთა და ოქროვერცხლის მზიდავთა კიდეც მიატანეს თფილის. ოთარბეგი და დედოფალი დასწვდნენ შათ, დაჭხსნეს მორკილები. აქ დედოფალმა საჯაროდ გადმოშალა თავისი გულის ნადები, ამცნო ყველას და თვით ირაკლისაც, რომ იგი შვილია თეიშურაზ მეფისა და მის მემკედრის თამარისა, აწ უბადრუკის მტარვალის სულეიმანის ხასის მხევალის ზეინაბისა. აქვე იქმნა სამხედრო თათბირი—თუ ვინ რას სწეოდა. ირაკლის და ანანიას წილად ჰქვდათ ციხის აფეთქება, დედოფალი და ოთარი კი თფილის მიეშურნენ, რომ საქმისთვის ყოვლის მხრივ ხელი შეეწყოთ, მტარვალი მოეცდუნებინათ, ვიდრე ამბოხება მიზანს მიაღწევდა. ანანია და ირაკლიც თფილის მივიღნენ. მხოლოდ ირაკლის წინ აღუჩნდა ბოროტი სული რუქაიას სახიათ, შამეექნა ყელს და დაჯერა, რომ „დალატია“; ჰსურთ მისი დალუპვა და მის საფლავზედ თვისი ბედნიერების ტახტის დადგომა. ირაკლის სჯერა და ორნივ ერთად მირჩიან სასახლისკენ. ანანია ველარ ჰქედავს ირაკლის, უსტვენს უნაყოფოდ, არა გამოდის-რა; მაშინ თვით ავარდება ხვრელით მეტების ციხეში და მისცემს წამლის საწყობს ცეცხლს. —ციხე იფეთქებს, სლელვარებაც იფეთქებს; შემოვარდებიან ამ ნიშანზედ სუმბათი, ორბეჭდიანი, დათა, ოთარბეგი და სხვა გმირნი თვისის ჯარებით თფილისში და მთლად დაიჭერენ არე-მარეს. დათა პირველი შეიკრება სულეიმანის სამყოფელში, შეებრძოლება ხმლით, მოიგდებს ფეხქვეშ, უნდა გველივით თავი გაუსრისოს, ძმის სისხლი აშოანთხევინოს, რომ საბა-სალოშშია არ შეაჩეროს. შემოდიან სუმბათი და ორბეჭდიანი, აჰყრიან სამეფო სამკაულს სულეიმანს და დედოფალს სთხოვენ დასდოს მსჯავრი. დედოფალი სიცოცხლეს აჩუქებს. შემოაქვთ უსულო გვამი ირაკლისა. დედოფალი ჰქედავს, რომ ყოველივე აღსრულდა. დაიცემს გულში ნანჯალს და მიეტოლება თავის შვილს. შემოდის საბა-სალოსი, ჯვარს გადასწერს და ეტყვით: განისვენეთ სიგვდილითა ცდვისა დამთრგუნელსთა. და ფარდა დაეშვება.

როგორც ვიცით და მიღებულია ყოველს სიტყვა-მხატვრულს სასცენო ნაწარმოებში, უნდა იყოს გამოყვანილი მომქმედი პირი, რომლის გარშემო და თუ გავლენის ქვეშ უნდა ტრიალებდნენ დანაშთენი მთასპარეზენი, ისე როგორც მხის-გარშემო ცდომილნი ვარსკვლავნი. ბატ. სუმბათაშვილს ამ გვარადვე ჰყავს გამოყვანილი უმთავრეს მომქმედად დედოფალი, თამარი ანუ ზეინაბი. დანაშთენი ხელკვევითნი იყოფებიან თვისის ხასიათით და მონაწილეობით სამს ჯგუფად. პირველს ჯგუფს შეადგენენ თოარ-ბეკი და სულეიმანი თვისის პამ-პულებით ალ-რაზაუით და ყარა-უსუფით: მეორეს —ისახარ, გაიანე და შაიგ, თუნდ რუქიათ.

ჩვენ სრულიად არ გვაქვს აზრად შევეხნეთ ნაწარმოებს სცენის მხრივ, ეს ჩვენთვის არც საინტერესოა ბევრად და არც გვეხერხება. დრამას, ეჭვი არ არის, სცენაზედ მეტად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, როგორც თვისს სამშობლოში, ეგრევე ჩვენში და დიდს-ხანსაც ეჭირება. ბ. ს-ლის თხ-ზულებას აქვს ორი დიდი ღირსება. პირველი ისა, რომ იგი იცავს იმ დიალს იდეიას, რომ ჩაგრული და ტყვეთ ქმნილი ხალხი უნდა განთავისუფლდეს რა საშუალებითაც უნდა იყოს, თუ სამეტნაოდ იმ ხალხს აქვს წარსული, კულტურა, და მისწრაფება თვისისუფლებისადმი. ამ აზრისაა დღეს უმეტესი ნაწილი განათლებულ კაცობრიობისა (გარდა იმათი, ვისაც ეს ძვალი ყელზედ დაადგება). ესევე იყო მიზეზი, რომ მთელი ევროპა და ამერიკა საყვედურს უცხადებდა ლობიერებით სახელ განთქმულს ინგლისს, როცა მან ბურების დამონება ფიზიკურ ძალაზედ დამყარა: ესევეა მთელის ბალკანეთის ერთა საქმე და ყველა იმათი, ვინც იწოდნენ და იწვიან ტყვეობის ტაფაში. ვიმეორებ, ბ. ს. დრამის დედა აზრი მე-19 საუკუნის მიერ წამოყენებულ ხალხოსნობის იდეიაა, რომელიც ითვლება პროგრესის ისტორიის ლოლიკურ უკანასკნელ დაკვნად. ე. ი, რომ მტარვალობა უნდა ყოველგან და ყოველგვარი გაუქმდეს. ყოველს ერს მიენიჭოს თავისუფალი გზა თავისუფლად მსვლელობისა. უნდა დაიგმოს შეხედულება, რო-

ერთი ხალხი უნდა იყოს მჭამელი მეორე ხალხისა ისე, როგორც დაგმობილია მცნება — კაცი-კაცის მგელი უნდა იყოს. უამისოდ შეუძლებელია ევოლუცუა, განვითარება სოციალურის თუ ეკონომიკურის წეს-წყობილებისა, როგორც კერძოთ ხალხთა შორის, აგრეთვე მსოფლიოდ. აი, ამ მხრივ არის ეს თხუზულება სიმპატიური, ამისთვის იზიდავს იგი ერთნაირად ყოველგვარის ეროვნების წარმომადგენელთ. ყველა ჰქედავს, რომ დრამაში არის გატარებული არა ოჯახობრივი, კლასიური იდეია, არამედ მსოფლიო კაცობრიული, გუმანიტარული. ავტორი თხოულობს, — ერთი ხალხის სარჩო-საბადებული და ძალ-ლონე მეორისაგან არ ჩაინთქმებოდეს; ყველას თავისა მოჰქმარდეს; ყველას თავისა მიეზღოს.

მეორე ამ გვარივე დიდი ლირსება „დაჭაუტისა“ არის შისი განწყობილება და შემტკბარი მოქმედება ყველა მსახიობთა. დრამის სურათები, გულის და სულის წარმტაცი საუბრები და მონოლოგები ვის არ აუტოკებს გულსა?! გაიხსენეთ ზეინაბის ოცის წლის თავ-გადასავალი თავისისავე სიტყვით მოთხრობილი, ოთარბერგის სულის შემხუთვეველი გულ-უბრყვილო საჯარო აღსარება, ბესოს მახვილაკობა, ანანიას სარჩულ-ნადები თხუნჯობა. გაიხსენეთ ის სურათი, როდესაც ანანია ძუძუდამ აჰგლეჯავს დედოფალს შვილს, მიუგდებს თავისას ბადლად და გაექანება კანჯარივით მთიულეთისკენ და მითხარით, რომელს მამულისშვილს და მერქნობიარე აღამიანს არ გაღმოაყრევინებს ცრემლებს. ამას თქვენც დამეთანხმებით, რომ ეს ასეა. მხოლოდ თუ გვინდა კარგად გავითვალისწინოთ ლირსებია ამ დრამისა. და ნაკლიც, სჯობია გამოვაცალკევოთ თითოობით მომქმედნი პირნი, გავიცნოთ მათი ვინაობა, გავატაროთ იგინი კალმის ანალიზში და შემდეგ დავასკვნათ, რა არის „დალატი“?

პირველი პირი დრამისა ვიტით ზეინაბია. ეს დედოფალი, ჯერეთ ისევ ვარდ-უშლელი ოცის წლისა, სრულად უმწიფო და თვალ-შეუსვლელი აზროვნობის ჰასაკში საპოლიტიკო თუ საეროვნო ცხოვრებისათვის, ულმობელმა ბეღმა მთაშორა

თვისს ქმარს თეიმურაზს, რომელსაც მტერმა ზრძოლის ველზედ გაუყარა გულში ხანჯალი. დაქვრივებული დედოფალი იმავე დღეს ავაზაკების წყალობით (რას უწოდთ სხვას?) მტარვალს მიეცა სამხედრო დავლად და ჰარამხანის სატრიუმფოდ. ზეინაბი ჰედავს, თუ რა უბედურება დაატყდა მისს სამეფოს, ჰედავს, რომ ქმარი აღარა ჰყავს, პატრონი აღარავინ უჩანს; ჰედავს, რომ ძალით ნამუსიც აჰხადეს, მაგრამ ვერას გამხდარა თავისით, ან რას უნდა გახდეს ოცის წლის ქალი? რა იფიქროს, რა გზას დაადგეს? გაიანეც არის ოცის წლისა, მაგრამ იმის თავში კოვზი რომ მოურიოთ, ვერას იპოვით კაცობრიობისთვის, მამულისთვის და სჯულისთვის სასარგებლოს. ტყუილად უთითებენ წამებულს ქეთევანზედ და უსაყვედურებენ ზეინაბს, რატომ შენც ქეთევანისავით არ იწამე მაშინვეო. ქეთევანის და ზეინაბის ჰასაკოვნება სხვა და სხვა იყო, მომზადებაც სხვა და სხვა, დროს მოთხოვნილებაც სხვა და სხვა. ყველას რომ წამების გვირგვინი მიეღოთ სარწმუნოებისთვის, ვიღას ეხსნა ერი პოლიტიკურად?... დედოფალი დიახ. რომ ჩავარდა უბედურებაში, მაგრამ ღმერთმა მაინც უნუგეშოდ არ დასტოვა—შვილი გადურჩინა სიკვდილს. ეს ცოტა რამე არ არის. ზეინაბს ეს რაღაც იმედს ულვიძებს, რომელიც არ აძლევს ნებას თავი სიკვდილს მისცეს, ე. ი. როგორც ზოგიერთს ჰსურთ—ეწამოს. ზეინაბი მომავალს უყურებს. ზეინაბისვე გადარჩენას ემსახურებიან მისნი ჭირისუფალნი და ჩემებურად კი ავაზაკნი, რომელნიც ნებას არ აძლევენ შეჩერდეს წამს, იდარდოს, გამოისახოს რამე აზრი გონებაში და დაადგეს გარკვეულს გზას. ზეინაბი თავისუფალი არ არის; იმას თავისი თავი თავის ხელთ არა აქვს. აი აქ არის დიდი ბოროტება ჩადენილი და ვისგნით? რატომ ამას ყურადღებას არ აქცევენ ზეინაბის ჯალათნი? რად მაღავენ, ხომ არის აგონებთ, ისე როგორც ოთარ-ბეგს ზარის რეკა რაღაცას აგონებდა? ზეინაბი იმის ბადლად, რომ ძაძით შემოსილი, წაეყვანათ და გვირგვინოსან ქმრის საფლავზედ ცრემლით ეტირებინათ, მიჰყავო (კიდევ ვიმეორებ) ძალად პორტირითა და ბისონით შემურვი-

ლი მტარვალთან და პირველსავე დღეს ამრუშებენ. რათ დაეც
ზეინაბი? — აი რად დაეცა. თქვენ რად დაეცით, რად მიიყვა-
ნეთ, რად დაუწვინეთ ტახტზედ მტარვალს? ვინ უნდა ვის
უსაყველუროს და ვინ საყველურობს?! აი სად არის ზეინაბის
დაცემის სათავე! აი ავაზაკობა სად არის ჩადენილი! დაუფიქ-
რით, ოცის წლის ქალი, ნამუს-ახლილი, რა გზას დაადგებო-ი
და. აი აქედან იწყება ის ცდომილი ცხოვრება, რომელსაც
ატარებდა დედოფალი მთელის ოცის წლის განმავლობაში.
კიდევ გეკითხებით, ვისი ბრალია ეს, ზეინაბისა თუ იმ ავაზაკია,
რომელნიც, ვინ იცის, იქნება ეშმაკურის ხარხარით კიდეც
დასცინოდნენ თვისს ბოროტების მსხვერპლს, როგორც ზოგ-
ჯერ დღესაც ვხედავთ? რა უნდა მოჰყოლოდა პირველს ნა-
ბიჯს თუ არ მეორე და მეორეს კიდევ მესამე. ამას ხომ ყვე-
ლა ვხედავთ ხოლმე, მაშ რა ბრალი მიუძლვის ზეინაბს? აი მა-
გალითიც. ი—მ ს. ბ—ს უძღვნა. ბ—მ ვ—ს., ვ—მ პ—ს, ეს
ი—მ დაინახა და ს. ჯოხი დაარტყა. ვისთვის უნდა დაერტყათ
ჯოხი, თუ სამართალი იყო? იტყვით რატომ თავი არ მოიკლა
ზეინაბმა, ან არ გაიქცა, ან მტარვალი არ მოჰყლაო. სათქმე-
ლად ადვილია, მაგრამ საქმით კი ასე ადვილი არ არის. პსიხო-
ლოგიურად ზეინაბისთვის პირველი და უკანასკნელი შეუძლე-
ბელიც იყო, — ხოლო საშუალო — უიმედო და უაზრო. რომ
თავი მოეკლა, შვილი რაღას ნუგეშად უნდოდა? ან როგორ
უნდა მისცემოდა სასოწარკვეთილებას, ოცის წლის ივედებით
ავსილი ქალი? ან რა უნდა ეფიქრა, ჩემი სიკვდილი ვის რამედ
ეპიტნავებაო, ვის რამე — სიკვეთეს მისცემს? მტარვალის სიკ-
დილი ხომ სრულიად მნიშვნელობას მოკლებული იყო საქმის-
თვის; ის არ იქნებოდა, სხვა იქნებოდა; სულეიმანს მოჰყლავდ-
ნენ, ყარა-უსუფი გამეფდებოდა და საქართველოს უარესი დღე-
დაადგებოდა. აქ ბოროტება ღრმად იყო ნახული და მის ამო-
საგდებლად სხვა აზარმაცი უნდა გაჭედილიყო. იქნება ამას
ზეინაბიც ჰედავდა. გაქცევა ხომ მთლად სულელობა იქნებო-
და. საქართველო მთლად ჸელში ეჭირა მტარვალს; იმერეთის
და ახალციხის პატრიონთ თავებსაც ოთარ-ბეგი პპირდებოდა

მოკლეს ხანში სულეიმანს და სადღა უნდა გაქცეულიყო? ან განა ერთი არ იყო სპარსელის ხელში იქნებოდა თუ ოსმალო-საში? მთაში თუ ნადირივით იწრიოლებდა, ეგ სხვა არის. იმ ავაზაკებთან, რომელთაც ის მისცეს სულეიმანს, არ გაიქცეო-და და, ხომ იცით, იმ ხანად მხოლოდ ესენილა ფართაშობდნენ გავერანებულს მამულში. მაშ, აბა, ახლა თქვენ მიბრძანეთ, სადღა უნდა გაქცეულიყო?

ჩვენ ვხედავთ, რომ თამარს უნებურად ახადეს ლეჩაქი და ჩამოაფარეს პირბადე; შეუგინეს სარეცელი და ჩააყენეს ჰარამ-ხანაში. ამიერიდან თამარი მოკვდა როგორც ზნეობითი არსება. ხვალიდან მისთვის სულ ერთილა იყო რაც უნდა შეურაც-ხება მიეყენებინათ. ეს ყოველისფერი მისს სულს აღარ მიეხ-ლებოდა, სხეული კი მისი შეეძლოთ მეეთრივნათ, იგი აღარ აღემატებოდა პირუტყვთა სხეულს. აი ამისთვის გვამტყუებს თვალი, ვითომ ზეინაბი დაემონა თვისს ხვედრს, თითქოს კიდეც კარი გაულო სიყვარულს, სიამოვნებასაც მიეცა, ნამეტნავად მის შემდეგ, როცა მოიკითხა იღუმალ თვისი შვილი და გაიგო მისი კარგად ყოფნა (ნუ თუ ზეინაბს არაფერი აზრი ჰქონდა?), თითქოს სულეიმანს მუშქა და სუმბულსაც აყნოსებს, მტარ-ვალს თვის გულზედ იყრდნობს. კიდეც უმღერის, მაგრამ ზეინაბის გულში თუ ჩაიხედავთ, დაინახავთ თუ რა სახმილი ანთია, დაინახავთ, რომ ის გველად არის გადაქცეული და მხო-ლოდ სცოცხლობს იმ იმედით, სულს ითქვამს მითი, რომ შვი-ლი ცოცხალი ჰყავს, დღე მუდამ მატულობს და დღეს იქნება-თუ ხვალ, შურს იძიებს და დედის ნამუსის ახდას ინაზღაურებს. ზეინაბის საქმეა გაჩუმდეს, გაკმირ დოს ხმა და რაც შეიძლება და დედაკაცს შეუძლიან ჰარამხანაში თუ გარეთ ყველგან მტე-რი გაუჩინოს მტარვალს. ზეინაპმა მაგრად ჩაიხვია გულში შუ-რის ძიება იმ დღიდან, როდესაც შის ლეჩაქი აეხადა და ძალით მტარვალის საწოლში იქმნა მიყვანილი. მაშ ნურც გავამტყუე-ნებთ ზეინაბს—თუ იგი თავს არ იკლავს, არ გარბის და არცა ჰკლავს ამ ხანად. ის უცდის დროს, ელის უაშს. მოვა ეს წა-მიც და მაშინ არაფრისოვის ხელი აღარ აუკანკალდება. გადის-

დრო, მოდის ახალი ი: აობაც. ზეინაბიც, ეს ლეჩაქ-ახდილი, ფეხშიშველა, სულ მკვდარივით მძინარი, ჩუჩუნს იწყებს, აზრს ეძლევა, შედის ჰასაკში, საქმეს უკვირდება და ბოლოს არკვევს კიდეც—დროა! დრო! ისახარ! თუ ზეინაბი არ იყო გამსჭვალული მამულის სიყვარულით, სარწმუნოებით და შურის ძიებით, მაშ, რად უნდოდა შვილი გიორგი ქრისტიანად ნადირივით ეზარდნა ანანაურის მთებში გლეხის სახლში? თავისთან ჰყოლოდა, ან დიდი ირანში გაეგზავნა და ისლამი მიეღებინებინა, უფრო ფუფუნებით არ იცხოვრებდა და დიდი კაციც არ შეიქნებოდა? თუ ზეინაბს, რაცა ვსთქვით, ის არ ჰქონდა სახეში, მაშ უაზროდ მოქცეულა იგი, პსიხოლოგის წინააღმდეგ. უაზრობას ვერ დავსწამებთ. დიახ, დედოფალი მოვიდა აზროვნების ჰასაკში თანაც ესმის რაღაც ჩონჩქოლი ხალხშა, უკმაყოფილება. ხალხი გამოვიდა თავზარ დაცემიდამ, ამ გამოფხიზლებას თუ გონზედ მოსვლას და სისხლის ამღვრევას ხელიც შეუწყეს სულეიმანის და ოთარის მათრახებმა. ზეინაბსაც სწორედ ეს უნდოდა, რომ ხალხი გამწვავებულიყო. ბევრჯელ ამ მიზნით იქნება კიდეც აჩხვლეტინა ხალხისთვის და მხარიც მისცა მტარვალებს. ზეინაბმა იცის, რომ ერთი უკიდურესობა—მცორეს გამოიწვევს და ეს ხომ სწორეთ მისთვის იყო საჭირო. თუ კვესი არ დაჰყარი ტალს, ცეცხლი არ გაჩნდება. ყოველთვის ასეა, მონობამ შეჩვევა იცის, თუ ბატონმა მონას სადგისი არ უჩხვლიტა, ის თითქოს თავის თავს კმაყოფილად ჰქადის. ამას გარდა ხალხიც შეიმსო ახალთაობით. მაინცა და მაინც მიემატა იმდენი, რაც გაიჟლიტა. ეს მათი ავაზაკებიც (ნახმარია არა პირველის მნიშვნელობით) სუშბათი და ოთარ-ბეგი მთებში ოჩხარს მართავენ და ხალხს უქახიან; საბა სალოსიც, ეს საქართველოს უხილავი სულიც, ზედ დასტრიალებთ და გზას ულოცავსთ საომრად. ზეინაბმა ყველა ეს იცის, ამისთვისაც არ ეუცხოვება საბა საფარის მისალმება „ქრისტე აღდგა“-თ! სხვაფრივ როგორ გაუბედავდა მართლ-მორწმუნე მოსლემინს ზეინაბს და ის როგორ მოითმენდა ვინმე მათხოვარასაგან (საბას მათხოვრულად აცვია) ამ გვარს შეურაცხყოფას, მაგრამ

ზეინაბი პასუხს უგებს:— მამათ წმიდათ! სწორედ იმ საათიდამ, როდესაც ჰკვეთავენ ქათალიკოზს თავს, ზეინაბი წელში სწორდება და ამბობს: „ეს უქნასკნელი-და უნდა იყოს“; იმსება სიმძულვარით მტარვალისადმი; იწყებს ოთარის შეჩვენებას, ლანძძივს, თითქმის აღრჩიბს, ეგების როგორმე მისს გულში სისხლი აძმოძრაოს. იცის, რომ თუ არ ამ გვარის მკაცრის დაცინვით, გულის საკლავის სიტყვებით, ოთარს სხვაფრივ ვერ გამოაწვიდებს. ოთარს ღრმად ჩაუძინია, მისი გამოღვიძება საჭიროა. ოთარი დედოფალმა უთუოდ ხელში უნდა ჩაიგდოს, გადიბიროს, აღალატებინოს. თუ ოთარმა ერთხელ საქართველოს და რჯულს ულალატა, შესაძლოა დღეს ირანსა და ისლამსაც უღალატოს. ეს საჭიროა მეთქი ზეინაბისთვის იმიტომ, რომ ოთარბეგი ძალაა და ძალა კი ესაჭიროება მას. ეს იქნება თვით სუმბათმა და ორბელიანმაც დაავალეს დედოფალს. ოთარ-ბეგი ქართლის დიდებული ერისთავია, მისი ბრძანება მთიულებსაც სწვდება; ოთარ-ბეგი მემეორე სულეიმანია. ის სახუმარი არ არის, სხვა რომ არა, იყოს რა, ოთარს შეუძლიან თავი შეურაცხყოფილად იკნოს, რატომ მაგისთანა მძიმე საქმე იმის განაპირებით უნდა ჰქინილეს. ნუ თუ ამას კაცად აღარ სთვლიან? ნუ თუ ის სამსახურს ვეღარ გაუწევს მამულს? ნუ თუ ის სხვაზედ ნაკლებ ნაკენია მამულისათვის? ოთარბეგი თავმოყვარე თავადია, ჩქარა იწყენს. შეუძლიან ოთარბეგმა შურიც იძიოს. შფოთიც ასტეხოს, მსვლელობა საჭიროა შეაჩეროს, ან გააბრუდოს, შინაური ომი გააჩინოს, ძმათა სისხლი დაანთხიოს, ყველა ეს ხელიდამ გამოუა ოთარბეგს. ზეინაბი მოაზრე დედაკაცია. ხომ იცით ზეინაბი აღრევე ეშვაკობით ეკითხება: რამდენი გუავს გრძის ფასეში ჯარი? და ვინ არან. ოთარბეგიც ალალგულად უპასუხებს, 5 ათასი მყავს, სულ ქართველებიო. ხუთი ათასიც აუცალია სხვა ციხეებში ეყოლება გორს გარეთ და მაშ არ იფიქროს ზეინაბმა, ვისთან აქვს საქმე? დიახ, რომ ოთარბეგი პირდაპირი ძალაა და აუცალათ დაწყობილი საქმე ამას შეეჯახება, თუ როგორმე გზა არ აუქცია ზეინაბმა ან თვისკენ არ.

მიიზიდა იგი, ამ სად არის კვანძი, სად არის საბუთი, პსნა იმ საკითხისა, თითქოს იმ უაზრობისაც, რომელსაც ზეინაბსა სწა-შებენ, რად უზიარებს დიდებულს აზრს საქართველოს ხსნისას იმისთანა სულით დაცემულს და ლოთს კაცს, როგორიც არის ოთარბეგიო? ზეინაბი კიდეც დაარწმუნა ისახარმა (ისახარს სიჭ-ყვა დაეჯერება, იცის ყოველი საძროში და ყველას გულის ნადები, იცის ვისგან რა შეიძლება), რომ ის კაცი, რომელ-საც მტარვალის ჭრილობა შუბლზედ აკერია, რომელსაც ცუ-ლის ჩაკუწვა აქვს ჩახსომილი, რომელიც ოდესმე იყო სია-მაყე თვისის ერისა და დღეს კი მლოკავი ძალლია, ერთხელაც არის ფხიზელი შექცვდება თავის ვონებას, ჩაიხედავს გულში, გაიბერტყავს, მოიშორებს ზუნზლს, აიკრეფს ფრთებს და ისევ გამოვა სარბოლად. ის დღეს თემც დატვირთეჭია და სიარუჭი უშძიშს, შაგრამ, თუ ხეალ მთიგდებინა ეს ტვიართი, ისევ გაჭქრთ-ავას. თუნდ ესეც არ იყოს, თუნდ თვით ოთა-რბეგი გროშა-დაც არ უღირდეს ზეინაბს, კიდეც ეზიზლებოდეს (მოიგონეთ მისი ზიზლი გაიანეს მოყვანაზედ), მაინც იგი უნდა შეურიგ-დეს ამ კაცს და მისს საზიზლრობას, უნდა ისარგებლოს ამ კა-ცით, თუ უნდა, რომ პრძოლიდამ გამარჯვებული გამოვიდეს, მტერს სძლიოს, ძმათა სისხლი არ დაანთხიოს. ან რაა აქ ზეი-ნაბისთვის სათაკილო? თუ იგი ოცი წელიწადი უძლებდა მტა-რვალის ყროლას მიზნის მისაღწევად, განა, ამავე მიზნით ნება არა აქვს ოთარ-ბეგსაც კომპრომისი გაუკეთოს? რომელ ზნეო-ბითი ალსავს პირებს ჰედავს მტრის ბანაკში, რომ მან ამ გვა-რივე უმანყო მებრძოლნი მოსძებნოს? როცა მტერი უზნეო-ბის ბერდანით არის შეიარაღებული, მაშინ კაჯის თოფები და მისი მხმარებელნი ვერას გააწყობენ. მაშინ მელინიტის ხმარე-ბაც არ აეკრძალებათ თავისუფლებისათვის მებრძოლთ. როგორც უსთქვით, ზეინაბი გაიმსჭვილა დიადის აზრით, შეიგნო თვისი მოვალეობა; იეცა სრულიად ახალს ფიქრს დღეიდამ, ახალს ოცნებას. ის მზეინაბი აღარ არის, ოცის წლისა რომ იყო, დღეს იმას სულ ახალი მიზანი აქვს თავის ცხოვრებისათვის, იგი ამას არც უდალატებს. იმისი მიზანია, რომ ტანჯული ერი-

ուսնաս, Մյուրո օճռոս. ու արու ամ ուղիղը ծու ցարաւանու լա ալարագ օհնեց սոմպալլես թբարզալուսաս. ցուլն ուղարաց լարջս, սաեւ ուղարցեծ, տալլեծ ութմեծ, տուշու այ արա- ցերուա. կուցը երթու ուշ-կո Շեուլլեց բրդուն; լուլցը կուցը; մացրամ, մացրամ ու, հոմ պայլա յս տալտ-մայլունա, տալլեծիս ամսա, հոմելու յևաչուրուց սայմուտուուս. ամուրուում նցոնած սրդլուագ ալար ալոնցեծ, հոյքաս դաշտալուզը սուլուց մանս, ուշ հոյքաս. յս սուլ յրտու մուտուու. կուցը պա խո- ծու. նցոնած ամլուց սուլու Շելացատս մյուլացնեց և ցուլնեց ալար մույսանու մոմսունտքաց լորուն յալու, ու մեցու, հոմել- սաւ լուց ուշ եցալ տացու պնդա ցանացուս, այսամու ուց, հո- չորց տացուոն և մուսու յրու ութամա. այ ցանմարցեծ, ուշ հոյ- քաս հաց ութեր դեղուուուս աջգուլս սուլուց մանուս ցաւը դու, տա- ցուտ դեղուուու հաց լուլցը ամ ամիսա՞ դեղուուուս արուց ար էպարցեծ ցուլու թբարզալու, արց ալցերուու մեՇուրնցուն հոյքասաւու. Ծպուուու սթամեծու դեղուուու հալաւ մայնյուլո- ծաս. դեղուուուս ցունց սուլ սեցան էպիս, սեցաս յութուու. մուսու ցուլս մուցունցեծ սացան մուսու յրու, ամ սացաննեց պայ- լուս Շեյչունուց, սեցաս պայլուս մնունցուու այց մուտուու դայարցուու. դեղուուուս սթամուան յրտագ-յրտու սայմեց, սթպու- հուան մարցու տացու յրու ենսա, մուսուտուու ու միսա արու պա- ցուուուտյուրու մումույթեցուս և ցարեց ամուս արացերու. պայ- լուուուու, հաւ մուս մինան յմսանցուց և մուսու ցունց սպնու- ծաս սասարցեծլու, նց դարտուլու. նցոնած դեղայաւու, ու մուսու մու- լու սպայրու, ման մուսու մունցունցուց և մուսու ցունց սպնու- ծաս սպայրու. տացու լոյիսայու, ման մուսու, ոյեսապմելու, սարցպելու, սեցուու, սուլու և եռհու, սուպայլուացերու մուսու Շեյցուուու- ծուու պնդա յմսեցը իլլուս սայմեց ուշ յու ոց մուտեռց. սած ցոնածաց թբարզալուսաց սութմուուս լուց, հոմ մունցունց ման սուպայլուաց սութմուուս? եռմ ցացունուա, մշլութուն մայնուուրցեծլուց. մշլուրու յմպուու մարտցեծտու. ան ցոն մուսու նցոնած լոյիսայու և նամուսու, յսցոն եռմ գուցու ենսա, հաւ աչեաց մաս. յարցու, տյացե-

მა მზემ, მოსთხოვოთ ზნეობის მოძღვრება იმას, ვისაც პირველს ოქვენვე წართვით ზნეობა!! ზეინაბის სულის კვეთებაა მიაღწიოს მიზანს, შური იძიოს და რას უქვიან ზნეობა და სულის სიფაქიზე?! ან ვისლა სწამს და რის გამოსადევია ეს განყენებული მცნებები, როცა მისს ქვეყანას ლეჩაჭიც აჭხადეს და ღაფშიაც ამოლაფეს, როცა მისი ქვეყანა ძირიანად ირყევა, როცა მას მთლად ჩანთქმას უპირებს ირანის ვეშაპი. არასლა სხვა გზა ხსნისა, თუ არ თვალებში ვეშაპისთვის ნაცრის შეყრა, რომ ვეღარ დაინახოს თვისი მსხვერპლი და იგი ტალღას ეცეს და გაცურდეს. ვთქვათ ზეინაბი აღიარებს იმ დედა აზრს ანუ მწამსს, რომ მაზანი წმიდა ჰუდოს საშუალებასათ სამეტნაოდ მაშინ, თუ ეს მიზანი წმიდა და ემსახურება დიდს აზრს ბორკილების დამტვრევისას და ტანჯულია ხსნას. რა არის აქ უზნეო და სათაკილო? როგორ უნდა უშველოს ტყვემ თავის-თავს, თუ არ მოაცდენა მტარვალი? განა ეს ტყვეს უნდა ეზრახოდეს? როგორ უნდა იხსნას ერი გაჭირვებისაგან თუ მონობისაგან თუ მტარვალს არ მოსწამლის, ასე ჰფიქრობს ზეინაბი. ზეინაბის მიზანი წმიდა და მაღალია, მაშასადამე მისგნით ნახმარნი საშუალებანი ამ მიზნის მისაღწევად უნდა იყვნენ ზეინაბისთვის ნება დართულნი, ე. ი. თვით ზეინაბი უნდა იყოს გამართლებული იმ ბრალდებიდამ, რომ იგი ლეჩაჭების, სარწმუნოებას იცვლის და მტარვალს გულზედ იყრდნობს ისიც ძალდატანებით. დაჰგმეთ ზეინაბი, გეუბნებათ თავისის პირით, თუ იგი ყველა ამას მოიმოქმედებს თავისის ნებით, თვისის ხორცის საფუფუნოდ. რას ერჩით, როცა ის ყოველისფრით თქვენთვის არის შემოწირული? ზეინაბი დროის შვილია და ბ. ს. შემცდარია იმაში, რომ დროთი არ განსაზღვრა ზეინაბის აღმოცენება და იგი ზოგად ტიპად გამოიყვანა ჩვენის ისტორიულის ქალისა. ზეინაბის ეკუთნოდა თავის დროის მამულიშვილთაგან „ვაშას“ შეძახვა და ჩვენებით კიდევ გამართლება, როგორც შავ-დროთა შვილს შავის საწამლავის მხმარებლს მხეცის მოსაკვდინებლად.

მეორეც, განა პოლიტიკამ, ერთ დაპყრობამ სამართალი იცის. პოლიტიკა სისხლის მსმელი ნადირია, ძალმომრეობის მაყარი. მასთან კანონს, ზეობას აღვილი არა აქვს და არ ჰქონია. მისი უსაშაროლობა შეიარაღებულია მაგარის ძვლიანის კანით, იარაღიც მაგარი უნდა მოეძიოს: უნდა მელის შეუბოლოს, მევლს კეტი დაეთხლოშოს, ცოფიანს სასიკვდინე წამალი მიეცეს, მტარვალს გზა შეელობოს, თვალები დაეთხაროს, რომ გზა ველარ გაიგნოს და შესვერპლმა თავს უშველოს. ზეინაბმა თვალები დასთხარა სულეიმანს, მისს მტარვალობას და მისს ბატონობას საქართველოზედ. თუ ზეინაბს სიტყვას უჯერებთ, როცა ამბობს ნამუსი ავიხადე ანუ ამხადესო, რატომ იმას-კი აღარ უჯერებთ, რომ ოცი წელიწადია ერთს მიზანს მივსდევ და ყოველისფერი ისე მოვაწყე, რომ ის უნდა გამოსულიყო, რასაც დღესა ჰქედავთო? ეგ თქვენი ლოლიკბა კოჭლობს. როცა ცუდს ვაშბობ ჩემზედ, გჯერათ და როცა კარგს, მაშინ კი არა. გაიძახით: არა, ეგ შენ არ გაგიკუთხებია, სხვამ გააკეთაო. საქართველო ალ-რაზაყმა იხსნაო... მთელი ზეინაბის ბრალი შეიძლება ის იყოს, რომ იგი იბრძვის იმავე საშუალებით, რომლითაც მტერი მძლავრობს. სხვა არაფერი.

წაიკითხეთ ვოლტერის მოთხრობა — „ჰარა ბოროტება დიდის სიკეთისათვის,“ — სადაც და აძლევს ნებას შეეხნენ იმის სხეულს და იხსნის საპყრობილიდამ და გილიოტინიდამ თავის ძმას; წაიკითხეთ ფრანგების ქალების ამბავი — თუ რა საშუალებით დააბრუნეს საფრანგეთში ნემეცებისგან მიღებული მილიარდები; წაიკითხეთ რუსეთის არხივის ქალალები იმ დროისა, როდესაც ნაპოლეონი შემოესია, რა საშუალებას ხმარობდნენ პატრიოტი ქალები, ასე რომ, საეჭვოა, ვინ სძლია ნაპოლეონს სიცივეშ თუ ქალებმა! წაიკითხეთ მეცნიერული გამოკვლევა უურნალს „ზნა! იე!“-ში, ვინ იყო დღეს წმიდად აღიარებული „ორლეანის ქალწული“ და მაშინ დაჰგმეთ ასე უსაზღვროდ ზეინაბი. მაშინ უსაყვედურეთ, რომ მან შესწირა თვისი ხორციელი და სულიერი თვითმყოფობა თვისს მაღალს მიზანს. ვინ არ ვიცით. კარგია პლატონიური

ზნეობა, მაგრამ რას იზამ, როცა საქმე თხოულობს, რომ ძირს უნდა ჩამოხვიდე მაღლის ფარდებიდამ. ზეინაბს არ ესმოდა სარწმუნოება, ზნეობა და სხვა ფილოსოფიური და რელიგიური დოლმატები განყენებულად, უხალხოდ. იგი თავსაც არ შესწირავდა ამ განყენებულს საგნებს, თუ ვერ დაინახავდა ხალხს დახსნილად. ზეინაბი ბჭობდა, რომ თუ ხალხი შეიქნებოდა თავისუფალი პოლიტიკურად, მაშინ სარწმუნოებაც გაიღვიძებდა და აღსდგებოდა, თუ არა ყოველივე დაღუბული იყო და მათ შორის სარწმუნოებაცა და აზროვნებაც. აქ კერძოდ ერთისა და ორის კაცის წამება და თავის შეწირვა საქმეს ვერ გამოაბრუნებდა. ზეინაბმა თავი არ იწამა სარწმუნოებისათვის, მან თავი გადასდო ხალხის პოლიტიკურად ხსნისათვის. იქნება ვინმემ სთქვას, ზეინაბს წამებისა ან სიკვდილისა ეშინოდა. ის მხოლოდ დროს, წამს, საქმეს ელოდდა. საქმე მთავრდება, ზეინაბი აღწევს მიზანს, ანთავისუფლებს ხალხს, იკლავს წყურვილს შურის ძიებისას, უხდის ვალს სამშობლოს მტარვალს, რომელსაც ათქმევინებს „ზეინაბთ, დღეს შენია ბრძოლის გული“ და შემდეგ თვითონაც გაივლებს მახვილს გულში და გადავარდება. ეტყობა, არ ჰშინებია სიკვლისა! იტყვით, რად მოიკლა თავი მაშინ, როდესაც დადგა დიდებული წამი, ხალხმა ბორკილი დაამსხვრიაო და საბა-სალოსმაც ერთად ქრისტეს აღდგომასთან საქართველოს აღდგომაც მოულოცაო? ეს ფსიხოლოგიას ეწინააღმდეგებაო. სრულებით არა, სამაგიეროდ სწორედ ამას მოითხოვდა ზეინაბის მთელი ცხოვრება, მისი წარსული, რწმენა და საქმის გარებოება. ზეინაბი ოცი წელიწადი იმას ატარებდა გულში, სიზრით სტკებოდა, რომ მისი შვილი დავაუკაციდებოდა, ხმალს მოირტყამდა, მამის ტახტზედ ავიდოდა, შურს იძიებდა და მით დედას კვლავ ლეჩაქს დაჰსურავდა. ზეინაბი იმედოვნებდა, რომ ქმართან გაუხარელი შვილის ბედნიერებით მაინც გაიხარებდა. ზეინაბი ამითი სუნთქვდა, ამითი სულცხლობდა და ამანაც უმტყუნა. იგი ყველას სწვდა, სავსებით შეასრულა თავისი როლი როგორც

შსახიობმა, მხოლოდ თავისთვის კი სრულიად ვეღარაუერი. შეოფლისთვის თუ თავის მამულისთვის ის ამიერიდან უვარებისი იყო, თავისთვის კიდევ ფსიხიურად მკვდარი. მაშა რაღა დარჩენილა? ეტარებინა ქვეყნად მძორი? ეს არ ეწერა მისის ცხოვრების კაბადონზედ. იტყვიან მონაზვნად წავიდოდაო? ამას კიდევ ტვირთის ზიდვა უნდა, მას კი გამოლეული ჰქონდა ძალ-ლონე. ზეინაბი ოცი წელიწადი იწამა, ეს საკმარისი იყო, რომ მოუძლურებულიყო. სასიკუდიდოდ განწევებული კაცი ერთს დღეს ბერდება და ზეინაბის თავზედ კი ჯალათის ხმალი ოწი წელიწადი ტრიალებდა. ნუ თუ არავის მიგიქცევიათ ყურადღება, რომ ვინმე მტრისაგან თუ საქმისაგან დევნული ყოფილა შენედ იმ წამამდის, სანამ სამშევიდობოს არ გასულა და მაშინ უცბად ჩაუკეცნია და გული წასვლია. ჩვენ გვითქვამს, რა დაემართა ამ კაცს, თითქოს ჯანით და სულით მაგარი იყო და რამ მოულო ბოლოვო. კაცის ბუნება ასეთია, გაჭირებაში იკრებს ძალებს და როცა გადის ფონს და მიგა წავოსაყუდელს, მაშინ ხდება რეაქცია და ეშვება ძირს. ეს ბუნების კანონია. ზეინაბიც ამას ექვემდებარება. იგიც მოიღალა სულით და ხორცით; მაშასადამე, რა საკვირველია, რომ ზეინაბმა თავისი ხელით მიიღო საუკუნოდ დასაძინებელი მორფი? უანა ზოგს ჩვენგანს არა მართებს ესევე მოიქცეს, როცა ჰევ-დავს, რომ იგი მარტოდ შემაწუხებელი წყლული-და გამხდარა თავისთვის და საზოგადოებისთვის, ნურას ვიტყვით მისის ოჯახის შესახებ. თქვენი რა ვიცი და მე კი ამ გვარს კაცს ხელს მოვუმართავდი. ან არსად ამოგიკითხავთ, განა, ასევე არ მოქცეულა რომელიმე გამოჩენილი ვინმე დოქტორი მეცნიერი, როცა დარწმუნებულა, რომ მისი სენი უკურნებელია, და ტყუილად იტანჯვის და სტანჯავს თანამოძმეთ? განა სხვა სფერაში კი არ გამეორებულა ეს? კიდევ იტყვით, რად უნდა მოეკლა თავიო, იგი დღეს, როგორც ხალხის მხსნელი, ტახტზედ ავიდოდაო? სწორედ ასეც იქნებოდა, ხალხი იმას მოითხოვდა, ზეინაბმა ეს დაიმსახურა, კიდეც გასძახოდნენ, „დადთვალს შიგ-შეუდევ“, არა დაუშავდეს რაო. ეტყობა, გულ-ხელ-დაკრეფილი

არ იდგა ბრძოლის დროს, თორემ რა მიშველება მოუნდებოდა—
მაგრამ ზეინაბი, ვიტყვით, სრულებითაც იმ ანგარებით არ მო-
ქმედებდა, რომ ტახტზედ ავიდეო, იმას სრულებით არ ჰქონ-
და ეს ლტოლვილება. ის უანგაროდ იქცეოდა. ზეინაბი რომ
ტახტზედ ასულიყო, ან შინაურებს და ან გარეულებს რა უნდა
ეთქვათ? აუცადია, თუ დღეს უსაყვედურებენ იმას, რომ მტა-
რვალს თვალებში ნაცარი ჩააყარა სიყვარულათო, ხვალ იმას
უსაყვედურებდნენ, რომ ეს საქმე მოიმოქმედა პირადის ინტე-
რესით—განდიდების ავადმყოფობითათ. გარეშენიც უსაყვედუ-
რებდნენ ქართველებს სულეიმანის ხასა დედოფლად უზითო-
ზეინაბი ჭკვიანი დედაკაცი იყო, ის სულ სხვა თვალით უცქერო-
და საქმეს. იმან იცოდა, რომ ვეღარ შესძლებდა მეტის ატანას-
ის გრძნობდა, რომ ის იყო ლეჩაქ-ახდილი, ის იყო მტარვა-
ლის მხევალი. იგი თავის თავს ნებას აღარ მისცემდა შეე-
ბილწნა სამეუფო ტახტი საქართველოსი. ზეინაბი მოიქცა აქ
სწორედ ისე, როგორც მოიქცა მოისეი ებრაელთა წინამდლოლი,
რომელმაც მიიყვანა აღთქმის ქვეყნის კარს ხალხი, უჩვენა თვა-
ლით და თვითონ კი ფარულად, მხსომარე თავისის ცოდვებისა,
ავიდა ქორების მთაზედ და იქ მიიცვალა. ასევე მოიქცა დი-
დებული თამარი, რომელმაც დაჰუარა თანამედროვეთაგან და
შთამომავლობისაგან თავისი სამარე, რომ კერპთ თაყვანისცემას
არ შესჩვევოდნენ. ასე გონივრულად მოიქცა ზეინაბი, როდე-
საც განშორდა ამიერ სოფელს და დაულოცა ტახტი ლირსე-
ულთ.

ეხლა ვიკითხოთ, ვინ არის ზეინაბი, ქართველია, სპარსია,
ევროპიელია, ძველია თუ ახალი?—ჩვენ ვიტყვით, რომ ზეი-
ნაბი ქართველია სულით და ხორცით, მხოლოდ ნაშობია. შა-
ვის დროისა, იმ დროისა, როდესაც ჩვენს დედებს, რძლებს
და დებს ჩვენივე ძმები ეზიდებოდნენ ისპანს და სტამპოლს.
ზეინაბი ქართველია ბუნებით და მაღალის ხასიათითაც. არის
შემკული. მისთვის სულს და ხორცს მნიშვნელობა. არა აქვს
განყენებულად, ის ორთავეს სწირავს ერთს მაღალს მისწრა-
ფებას. მართალია ჩვენი ისტორია არ გვიჩვენებს პირდაპირ

Ֆեიնաձե, մացրամ զուրոտ կը, հռմ ոյցնեն օմիստաճա Շեմտեզեզանի, რուզեսաւ հիշեն հմալո մուսլուպոս թրարվալուս ծանազնո, ոյ շմռվմելոս վոնամժլուլնել, յլալութեծնոս որանատացու և յեխնաս հիշեն վայեպանա. ամաս գարդա հիշեն լրեազրեծա մտլագ մօմքնարշոնձա առու սասպանոս գանմազլունձա ուրս բալլցեծս Շորնու. գլցես հռմ վրուսքունձա և տացուսպուլցեծա ցվլունց-ծուն, եզալ ուսց որանու և ամալո ցվեաւոնձա, Շեմուշոն-ջատ քարամեանա և մաստաճ Շեմպոնձունո նեց-հրոց. այ ամ մոնց-նու յուրլագ Շեմպուլցելու ոյս, հիշենց ար Շեցազետցունա ու և սպուլունց ուն և եռուցունու մուրքունցեծանո, հռմլուու ոյցնեն Շեմպուլնո հիշեննո ծարոն-քարոննո. Ֆեյնաձու ու ցնեմազտ ասետո ոյս. մասնու ուրուց ծունցեծա—յարտացունու և սպարուցունու մուրքունցեծանո, հռմլուու ոյցնեն Շեցերուն; սմլուս մեռլուգ ալցունունցմա յարտացունմա. Ֆեյնաձու լայնիւնց ուսց տացուս վայեպանաս, յար կու մթարվալունձա, սեսնա յրու և պայլու յը մումուշմեցա յանցարուգ և դաստ չեց ծեպուն տցունու եղլուու—տցունու սուզունու. Սեցա հալա մա- յութեազբուն Ֆեյնաձե՞? Սեցա հալա Շեցելու մույթուշելնա?

Ֆեյնաձու Շեմիջեց մուշմեցու վորու էրու ռտահ-ծեցո. Յորտացուն մյուսաւոնց յրուս սակենցլագ հարտուլու այցս մյուսիս սպու- նունձա, ասց հռմ, ամ կապուս զալայահեծունց մթարվալունձա, արկազեց վայեպուս մթցումարցունձա, ամլուցունց լրամուս մեցլուն- ձաս և տցուու Ֆեյնաձու լցաթլու նատելու քոյեն. հիշեն յեցուատ, հռմ ու ար ռտահ-ծեցու մթարվալու տցունուս մամնեունուտ Շորն յեր թացունուն. Սպուլունմանմա օձուա մուսամյուլու նոհածու և կուրց մռեցուա մուռ, հալ մուսակցուու ոյս. օձուա սպուլու և ցուլուու սակմուս յապու. և մուս Շեմպոնձուու յիւս մթարվալունձա. յը կապու ոյս ռտահ-ծեցու յարտացունու յրուստացո, ուցեսնու սակելունց տցումյահունու սահրալու. յոն ոյս ռտահ-ծեցու սոնամձունուու?

ռտահու ոյս յրուու ոմ զատամամյեծուլ գուրցեծուլուացանո, հռ- մյուլնու սատամա մուռ, բույանագ քեզունց նայարտացունուս մյոյցս, պայունիունց նեց, մյուլունց նամանց, սորպաց լալութակցնց և ար յմոհիունց նեց. ռտահ-ծեցու արլ կը ոյս ուրքունցեծա, հռմ տացուս մարլու գաօանց մյոյցս մուս գուրշատացունուս մոյցը պալագ,

ტუჩს აუბრეცდა. ეხლა? ეხლაც დიდი კაცია ოთარ-ბეგი, შვა-
შის ზარსა სცემს მთელს ქართლსა; ჩქარა ირანის მბრძანებლის
სიმამრიც შეიქნება, ხომ ამზადებს თავის ქალს ჰარამხანისთვის.
რით დაიმსახურა ოთარ-ბეგმა ეს დიდი წყალობა? — მით რომ
ყოველისფერი მოსწო-მოდაგა და იავარი გაპხადა და მით ასია-
მოენა სულეიმანს. ასეთია ოთარ-ბეგი. იგი მოქმედებაში არსად
არ ჰდალატობს თავის ჰიროვნულს სარგებლობას. ოთარ-ბეგმა
რაკი მიიღო ისლამი, კიდეც მიიღო გულით; კიდეც უმსხვერპ-
ლა ყოველისფერი: ოცდა სამი ეკულესია, თერთმეტი მონასა
ტერი, მღვდლები და ბერები. დარჩა-და ხელშეუხებელი უხი-
ლავი სული საქართველოსი საბა-საჭარი, ამისთვისაც ყურებს.
სცევეტს, როცა თავის ქალის ჰირისაგან გაიგონებს საბას ხე-
ნებას — „ეგ ვიდა გაჩენილათ?“ ეროვნისტური მოსახულის
რაინდია, მღვრიე წყალში თევზს დაიჭერს, ჰარამხანის გამარ-
თავს თავისის კეკლუც-ბანოვანებით და ღვინოთი გაუღენთილი-
ქებინს გაიღდებს. სხვა რაღა გინდათ? ოთარ-ბეგს ჩვენი ქვეყა-
ნა არ აცხელებს და ჩვენი საქართველოს თავიდან მოშორე-
ბული აქვს. ოთარ-ბეგი თავიო-ფეხამდის შექმნილა გარუცნილი-
მოსლემინი და მიუღია საზიზლარი სახე. ის იქამდის დაეცა სუ-
ლით, რომ ფეხებს ულოკავს იმ კაცს, რომლის დაღი ზედ
შუბლზედ აკრავს. გაამტკუცნეთ ამის შემდეგ ზეინაბი! მერე
რა საბუთით იმართლებს თავს, არ იკითხავთ? დედოფალო, მე-
შენს კვალს გამოვყეო! ბარაქალა ვაჟკაცო, ომებში გამოშრა-
რო, დიდებულო ოთარ, ოცის წლის ქალის ფეხის ხმას აჰე-
ვი! ბატონიშვილი ერეკლეც შენსავით არ მოიქცა ნადირშავის
წინ? ოთარ-ბეგი ფანტაზია არ გეგონოთ, რეალური ტიპია-
ეს ერთი იმ გვარ ჰირთაგანია, რომელსაც არა აქვს ღრმად
გატარებული ძვალსა და რბილში უმაღლესი ადამიანის მისწრა-
ფება, დანიშნულება თუ მოვალეობა. ოთარ-ბეგი არ არის,
მუკლედ რომ ვსთქვათ, ზეგარდმო მაღლით ცხებული და მის-
სხივითვე გაბრწყინებული. სამაგიეროდ ის არის რკინის ხასია-
თით შექედილი. ამითია ოთარ-ბეგი საშიში. იმას შეუძლიან
თავისი ხასიათი მოიხმაროს სასიკეთოდ და საბოროტოდ და

დიდი კვალიც გაავლოს ცხოვრებაში. ოთარ-ბეგს აკლია სწორედ ზნეობის იმპერატივი და უამისოდ მისი ხასიათი მუდამ საშძშია. ისტორიაშიაც ბევრი ჰყავს მაგალითი.

ახლა ვიკითხოთ, შესაძლოა თუ არა, კაცმა მაგ გვარად უღალატოს სჯულს, მამულს, ხალხს, მოყვასს და გარდაიქცეს სისხლის მსმელად იმისა, რასაც წინეთ თაყვანსა სცემდა? დიახ, რომ შესაძლოა და ბევრისაგან ბევრიც არის მაგალითები ჩვენშიაც და სხვაგანაც. ამ გვარი საქმე, როგორიც ჩაიდინა ოთარბეგმა, ბევრს ჩაუდენია ძველად და ახლაც არ აკლებენ. არის მაგალითები ჩვენს ძველს ცხოვრებაში ოთარისა? — ბევრი. მოიკონეთ ერისავების ბრძოლა ქსანზედ, ლიახვზედ, არაგვზედ, იორზედ, კახეთში, მთიულეთში, ხევსურეთში (ქვაბებში ხარშვა ხევსურებისა); მოიგონეთ ჩვენის ქვეყნის ნაწილების ერთმანეთთან ბრძოლა, ჩვენის დიდებულთ ქროლვა ხან ოსმალოსკენ, ხან ირანისკენ, ხან რუსეთისკენ, ხან დალისტნისკენ და ხან რომისკენ, ხან უკუღა და ხან წალმა და მაშინ გულზედ ხელ დადებით სთქვით, გვყვანდნენ თუ არა ოთარ-ბეგები? განა ჩვენი და უცხო მწერლები ერთხმად არ აღიარებენ, რომ საქართველოს ისტორია შიგნით და გარეთ სისხლით იყო შეღებილი, რომ იგი იყო მარტიროლოგია? ვისგნით და რისგნით, ნუ თუ თქვენ გინდათ მომატყუოთ, რომ შინაური კი არავინ ერია ამ ფერხულში?! მოიგონეთ დუბროვინის აწერა რანაირად იყო აწეწილი საქართველო. მოიგონეთ დ. გურამიშვილის ტირილი „ქართველების აღმა ხნული, კახელებმა დაღმა დახნესო, ლექს-დიდომ კიდევ დახრეხთ“ და მაშინ მითხარით, გვყავდნენ ოთარ-ბეგები თუ არა? დიახ რომ გვყავდნენ და ტყუილად ვიტკიცებთ ამას. დღესაც მდიდარი ვართ მათით. მართალია დღევანდველი ოთარ-ბეგები ხმლით არ მოქმედებენ თავიანთ მოძმეთა წინააღმდეგ, მაგრამ ღვაწლით კი არ ჩამოუვარდებიან მოლალატე ოთარს. დიახ, იმგვარს საქმეს, როგორიც

ჩაიდინა ოთარ-ბეგმა, დღესაც ბევრნი არ ერიდებიან ჩვენში. და ეს მოსდით არა უვიცობით და უგუნურებით, არამედ პირა-დის სარგებლობით. იმათ რომ ჰკითხოთ, ეს პოლიტიკაა, განუგეშებენ. დავუბრუნდეთ საგანს.

შეიძლო შეჭრებით, რომ პირველნი სისხლის მსველნი ფანატიკოსნი ხდებიან სჯულ-გამოცვლილნი; მაგალითად ცნო-ბილია, რომ სჯულ გამოცვლილი ბოლგარი, სერბი, მაკე-დონელი, რუმინი და მაჭახელა, უფრო მეტს ფანატიკოსობას იჩენს, ვინემ მართლ-მორწმუნე ოსმალო. ეს ასეა. ამას ეტყობა კაცის ბუნება მოითხოვს. ეს ჭეშმარიტება შეგნებული ჰქონ-დათ ძველათ და ზოგს ეხლაც; ამისთვისაც სცლილობდნენ. და ცლილობენ დამონავებულის ხალხისთვის მიეღებინებინათ და მია-ღებინონ თვისი სარწმუნოება და მასთან შესისხლ-ხორცებული თვისი ენა, ხასიათი, ზნე და ჩვეულება. ოთარბეგიც ასე იყო იმან გამოიცვალა სარწმუნოებასთან ტანისამოსი კი არა, თვით გული. დღეიდამ ის მოთხოვნილებისამებრ გარდაიქცა სისხლის მსელ მტერად ქართველთ თავად-აზნაურთა, მღვდელთა, ერთა და ბერთა. იმან აღარ დასტოვა აუკარებელი აღარც მამული და აღარც ოჯახი; თვით თავის სახლსაც მზად არის ნამუსი წართვას. თვისს ერთად-ერთს შვილს პარმხანაში ჰგზავნის, ამაზედ მეტიღა იქნება? და ეს რად მოჰქმდა? — იმად რომ ოთარ-ბეგი უბრალო მომაკვდავი არ არის, ის პირველის ხარისხის ანუ მტკიცის ხასიათის ქართველია. რასაც ის ერთხელ გამო-ისახავს გულში, მორჩა. კლოუნი ვინმე არ გეგონოთ. ოთარბეგს კომპრომისები არ ესმის, არ შეუძლიან დათმო-ბა, არ შეუძლიან ეჭიახუროს ღმერთს და მამონს იგი ორში ერთი უნდა იყოს — ან ქრისტიანი და ან არა ქრისტი-ანი, ორსავე ვერ მოათავსებს თავის ბუნებაში. ოთარბეგს არ მიეღო მაჰმადის სარწმუნოება და იჩანის ტახტს. არ მიჰყედ-ლებოდა, კარგი იყო, მიიღო და უნდა სდიოს ბოლომდის, უნ-და ანთხიოს სისხლი ურწმუნოთა, როგორც მართლ-მორწმუნე

მოსლემინის მხედარმა. ოთარბეგს სხვა არა აქვს. ის ისეთივე გატაცებული კაცია თავის ბუნებით, როგორათაც პავლე მოცი- ქული, იულიანე უარის მყოფელი და სხვანი. ეს ასეა და ტყუილად ნუ ავუხირდებით და ნუ ვიტყვით ოთარ-ბეგი ქარ- თველი არ არისო. არა, ქართველი კი არის, მაგრამ საქებარი კი არ არის და ორცარავინ აქებს. ოჯახი უმახინჯოა არ იქ- ნებაო, ხომ ვიცით. ჩა ვუყოთ, რომ შავ-ბნელია ოთარბეგის საქციელი. დიახ, რომ კარგი იქნებოდა, ოთარბეგი ყოფილი- ყო სულითაც მაღალი, როგორიც იყო ხასიათით, მაშინ იგი შეიქმნებოდა. სალ კლდედ, რომელსაც შეელეწებოდა სულეი- მანის ძლიერება, მაგრამ ღმერთმა არ მისცა ეს სულის სიმ- დიდრე და მით მისი ბუნება ბოროტად წარემართა. სამაგიე- როდ ჩვენდა ნუგეშად ვხედავთ მისს ბადლად სუმბათს, ორ- ბელიანს, საპა-სალოსსა და სხვებს. ჩვენც ვიკმართ ეს. რომ ყვე- ლანი კარგები გვყოლოდნენ, ამ ცეცხლში რაღად ჩავვარდე- ბოდით?

შესამე შიმექმედი ჰირი დრამისა არის სულეიმანი. ეს ტიპი არის ხელუენურად დახატული და სინამდვილით წარმოადგენს აღმოსავლეთის ქვეყნის ძლევა მოსილს მტარვალს, მართლ- ზორწმუნე მოსლემინს, რომელსაც პირზედ აკერია—ცეცხლი. და მახვილი, ირანი და მაჭმალი. მისთვის ხალხის ჟლეტა — მეჯლიშია. სულეიმანი ამ ჟლეტას ისე აღუშფოთებლად ასრულებს, თითქოს ჭადრაკის კოჭებსა ჰკლავსო. იმას გარ- ჩევა არ აქვს ვისა ჰკლავს, დიდსა თუ პატარას, ბრალიანსა თუ უბრალოს. ერთნაირი ღირსება აქვთ იმის თვალში ქათალიკოზსა და უბრალო მონას, დედოფალსა და რუქაის. სულეიმანი საზოგადო ტიპია ველურის მტარვალისა (კულტუ- რული მტარვალი თქვენც იცით სხვა არას). სულეიმანს ეჩ- ნევა, რომ გულში რაღაცა დარდი აქვს, ცაში თითქოს ვარს- კვლავი უქჩება, ღამეც ყურებში რაღაც ხმაურობა ესმის. რა ემართება, თვითონაც არ იცის. ეჩვენება ვითომ ერევნის ხან- იმას ჰლალატობს, იმერეთის ბეჭედი, ხალციხის ფაშაც, ოთარ- ბეგიც, ზეინაბიც, ყარა-უსუფიც და ყველანი. ერთი სიტყვით,

სულეიმანი არის ნამდვილი შეილი ირანისა, ეჭვებით და ღალატით სავსე. იმას ეს ბოროტი სული მტარვალობისა თან დასდევს და ღროს უცდის, რომ ბეღნიერება მოუპოს. მას თავისი კოდვები უფრთხობენ ძილს და საშველად ედება ღობე-ყორეს, ცდილობს რუქაიას სიმშვენით გულს კაეშანი მოიფონოს; მაგრამ ამაოდ, ზარი დაკრულია, კოდვებმა უწიეს, მოთმინების ფიალა აივსო, უნდა სულეიმანი გამოესალმოს თვისის დიდებას, როგორც კუველა მისს გზაზედ მოსიარულე მართლმორწმუნე მოსლემინი. სულეიმანი ამასა გრძნობს, იცის თითქმის, ჰედავს; მხოლოდ არ იცის, ვინ იქნება მისი სულის ამომხდელი, ამის—თვისაც იგი ხან ვის წასწვდება და ხან ვისა. ეს არის აზის პოლიტიკურის მოღვაწის ბოლო, ამას ვერავინ წასვლია და ვერც სულეიმანი წაუვიდა. მოვიდა დრო და იგი მიეცა ღირსეულს სასჯელს.

მეოთხე შაშქმედი შირი არის ასანია. ეს ვინდა არის? — ეს არის ანანურელი გლეხი ანანია და არა გლახა. ეს შეცდომაა სახელები: ანანია, გლახა, არიან საკუთრებითი სახელები, როგორც გიორგი და დიმიტრი. უნდა იყოს ან ერთი, ან მეორე — ან გლახა ან ანანია. სახელი: ანანია-გლახა (გლახის ტანისამოსია არა სცმია) უაზრობაა. თვითონ როგორც უჩვენებს ანანია, იგი გლეხია და არის ანანურის მამასახლისი. საქმიდამ კიდევ როგორც სჩანს, იგი დიდბატონის თუ მეფის შინაყმა. იგიც და მისი ცოლიკ მეფე თეიმურაზის და მისს ოჯახს ხელზედ ემსახურებიან, ამნაირნი პირნი, ზოგჯერ მზითევშიაც მიყოლილნი, იყვნენ განუშორებელი მოსამსახურენი თავის ბატონის და ქალბატონისა, ისინი დიდის გაჭირვების დროსაც არა სტოვებდნენ და გვერდიდგან მოუშორებელნი ჰყავდნენ; ისინი უხუკავდნენ თვალებს და მიჰყვებოდნენ თავში ცემით სამარის კარამდე. სწორედ ასეთი იყო ანანიაც. როცა კუველამ უღალატა სამეფო ოჯახს, მაშინ უმწეო დედოფალს მხსნელად თუ რაღაც სულის მომაბრუნებელ არსებად მოევლინა ანანია და უძღვნაფას-დაუდებელი ძღვენი. ანანიამ ბევრის ლექციების მოუსმენლად, ბევრის ბჭობის და რყევის მიუხედავად, სწრაფად მოი-

საზრა თუ რა უუმძიშეს ვალსა სთხოვდა მასული და სამეფო ტახტი; მოიფიქრა და გადასწყვიტა წამს, ცოლსაც კი არ დაეკითხა; მიიქრა დედოფალთან უსიტყვოდ, აგრძნობინა, რომ სულეიმანი დაეძებს სულსა სამეფო ყრმისასა, აპგლიჯა იგო ძუძუდამ დედოფალს, დაუტოვა თავისი შვილი (დედოფალი თვით უნდა მიხვედრილიყო რისთვის?) და გაექანა კანჯარივით მთიულეთისკენ. ვიცით რაც მოხდა შემდეგ. დიდებულია ეს წამი, დიდია ანანიან მსხვერპლი და ვეონებ არ იყოს ისეთი გრძნობა ჩლუნგი კუკი, რომელსაც ამ სანახაობაში ცრემლი არ მოჰვაროს თვალზედ. შემდეგ აღარა ვიცით ანანიაზედ, ის სრულიად გადის ასპარეზიდამ, სანამ მისი ნაშვილობი არ ხდება ოცის წლისა და დედოფალი არ იბარებს გორში. ანანია მოდის გორში და მიესალმება ოთარს. აქ მისი ლაპარაკი გაგვაცნობს მის ვინაობას. აქ ვტყობილობთ, რომ ანანია დიდათ შეგნებული გლეხკაცია, ცხოვრებაში ჩახედული, ათას ქარცეცხლში გავლილი, როგორც თუმშურაზ მეფის სამსახურში, ისე ოთარ-ბეგის მამისა და თვეთ ოთარისა. იმას არა ერთი ომი გადაჰქვდია, მაგრამ მისი ანდამატიური გული არ შედრეკილა და ის იგივე მხერვალე მამულიშვილია, რაც ყოფილა თვისს ვაჟკაცობაში. მისი ლაპარაკი ოთართან სულ უკულმა გასაგონია და მიმართულია რენეგატის გონზედ მოსაყვანად. ყოველი მისი სიტყვა-პასუხი მჩხვლეტავი შუბია, რომელსაც გულში უტარებს ოთარსა. სასაცილოდ დასკინის სჯულის გაზუკვლას, მამულის ლალატს, ზნეობის დაკარგვას. ოთარის რჩევას—შვილებს ისლამი მიაღებინოს—სიცილად არ ჰყმარობს და ათქმევინებს: „როგორ ჭიედავთ თქვე ბრიუვებთ, (თითონ ბრიუვო) უარი უთხრათ, ბატონმა უფრო კარგად არ იცის, რომელი სჯული ცვლობია? თუ თვით უარ ჭიეთ მამა-პაპათა და სამშობლოს რწმენა,—მაშ სინიდისს ასე უმხილებია (ე. ი. უსინდისობას)! გეს-მათ თუ არა, როგორის სინიდისას (ე. ი. უსინდისობას) პატრონია პატრონი! მაგან თუ ისჯული გამოიცვალა და არ იცის, რომელი სჯობია და თქვენ კი იცია? თუ ინებებთ, მეც მაჭმალიანობას მიჟი-დებდი, რომ არ შეშინდეს ვაი. თუ დიდ ბატონმა მომაფურახოს

შავვენა თეატრში და მითხოას, მარცხენაშიც მოგაფურთხებდი, რომ
სპარსელებისაგან არა გქონდეს დაშრეტილით, ან მე როგორ გავძე-
დო, რომ დიდი ბატონი, როგორც ქრისტიანი ჯოჯოსეთში იყოს და
მე იმისა ერთგული უმა გამოჭმადიანებული სამოთხეში გამოვიწიმო».
სავსეა ამ გვარის მარილიანის დაცინვით ანანიას სიტყვა-პასუხი.
აიღეთ ის უბნობა, როცა ანანია აგონებს ოთარ-ბეგს კოლის
აკუწივას სულეიმანისაგან. ან კიდევ ეს ადგილი: ისწავლეთ თქვე
სულელებრ ჭება თავარიეგისაკან, მნ უფრო კარგად იცის რა სჯობა.
ოთარი ან იყო, სულეიმანის სასიამოვნოდ თავისი ბიძა ზიკოლაზა
მთავრევინა, ორი ბიძაშვილი ციხეში ჩააფილ, ზიმაში იმერეთში
გადაჭერგა! ყველა ეს დაცინვით მხილება არის იმ მიზნით,
რომ ოთარ-ბეგს გული აუმღვრის აწმუობრედ და კიდევაც სწვ-
დება მიზანს ანანია, როცა ოთარი უცხადებს: განა ვერ მავა-
სკდი, ბებურო, რომ დამცინათ! შემდეგ ანანია კშორდება ოთარ-
ბეგს და ეგებება საბა-სალოსს კახეთით მოსულს. ესენი, რომ
იტყვიან — სული სული იცნობს და გული გულსაო — ისინი
არიან. მოიკითხავენ ერთ ურთს და სალოსი ამცნებს, რომ
მთელი არე-მარე ქართლ-კახეთისა შემოიარა, იყო მთებშიც
და ხალხიც მოამზადა თუ მომზადდა, აკლიათ-ლა წინამდლოლი.
შემდეგ ანანიას კიდევ ვხედავთ ციხის აფეთქებაში. ის აქაც
ოჩენს ისევე მსწრაფლ მოსაზრებას, როგორც გამოიჩინა ოცის
წლის წინეთ. ანანია, რომ ჰელვეტის ირაკლი აღარსად არის,
საჩქაროდ მოისაზრებს, როგორ მოიქცეს, მარტიკა ავარდება
მეტებში ხვრელით, აძლევს წამლის საწყიბს ცეცხლს და
ციხეს ააფეთქებს. შემდეგ აღარ ვიცით, დარჩა ცუცხალი თუ
თვითონც შეეწირა. ვიცით მხოლოდ, რომ ანანია არის სულით.
განათლებული ძველი გლეხი, რომელიც არავითარს განსაც-
დელს არ ერიდებოდა. მამულის, სარწმუნოების და ტახტის
დასაცველად. ამისთანა გლეხები გვყვანდნენ წარსულში, იმედი
ვიქონიოთ, რომ მომავალშიაც გვეყოლებიან.... ანანიას
მუსდევენ დათო და ირაკლი. ესენიც ქართველები არიან —
მხოლოდ მამულის სამსახურით ორივენი თუ არა, ირა-
კლი მაინც დიდად ჩამორჩება მამასა. ესენი არიან ერთ

გარემოებაში აღზრდილნი და აქვთ ერთნაირი მიღრეკილებანი. დიდად წაგავან ერთმანეთს ქალების სიყვარულით. მხოლოდ ერთი უფრო თავის დავიწყებამდის ელტივის, ვინემ მეორე. როცა დათო ახასიათებს თავისს სიყვარულს ამ გვარად: ამ წამიდან შენში გსედავ სამშობლას, დმერთს, თავისუფლებას.—შენი ხმა ჩემთვის საომარ საუკირის ხმად გადიქცა და მომძახის: გასწი, ითქე, იხსენ სარწმუნოება, თავისუფლება, სამშობლა და შეც შენი გართ“ მაშინ ირაკლი ასე გამოპხატავს რუქაიასადმი თავისს სიყვარულს: მიძახანე და მზად ვარ შენის გულისთვის დავივიწყო გველავე: დედ-შამა, ჰატიასნება, სჭული და სამშობლო“. სწორედ ასეც არიან მომართულნი. ორივენი მტკიცედ ასრულებენ თავიანთ პრინციპებს. დათა, როდესაც ჰედავს, რომ მამულს ესაჭიროება მისი თავი, სტოვებს უყურადღებოდ სატრფოს და ეტევება მტარვალს, პირველი შევარდება სულეიმანის სახლში და ხმალ-და-ხმალ შეებრძოლებაა, მოიგდებს მუხლის ქვეშ და ის არის, რომ სასხლი უნდა იზღვიოს თავის უმანკო ძმისა, საბა-სალოსშა რომ არ შეაჩეროს. ირაკლი?—ირაკლიც ბედის ვარსკვლავს მისდევს, რომელიც თან სდევნის „რუქაიას“ სახით, აცლუნებს და აღალატებინებს მას დედისთვის და მამულისთვის, როცა მისი თავი საჭიროა ორთავესთვის. თქმა არ უნდა, ირაკლი თავს ვერ გაიმართლებს მით, რომ ჯერ ისევ ოცის წლისა იყო და მეორედ— რუქაია შეტად ლამაზი იყო. მართალია რუქაიას სილამაზეს თვით დედოფალი ჰმოწმობს, როცა ურჩევს—„დამის ნამე არ აკონტა მისი სიტურფე“, თვით სულეიმანიც ჰპოვებს კურნებას რუქაიას სიტურფეში, მაგრამ განა გაიანე კი ლამაზი არ იყო, რომ მისმა მიჯნურმა მამულს არ უღალატა დიდებულს წამს. ირაკლის მამის. სიტყვები—შეთქვენ საქეიფოთ კი არა, დიდის საქმისთვის შიმუეგხართ—მაინც უნდა ჩარჩენოდნენ გულში. ირაკლი და ყაზიბეგის. შეადა და ონისიმე ერთის წრის კაცები არ არიან და მათის მაგალითით ირაკლის ვერვინ გაამართლებს მაჭულის ღალატისთვის; მეორეც, არც ერთს იმათგანს მამულისთვის არ უღალატნია. ერთად ერთი და უტყუარი საბუთი ირაკლის გამართლებისა არის ის,

რომ იგი დარჩა ანანურის მთებში აღუზრდელი და მისის სულიერის საზრდოსთვის არავინ ზრუნავდა. ანანია გლეხის გაზრდილი მამულს არ გამოადგებოდა და არც გამოადგა. ისიც არავინ უთხრა თავის დროს, თუ ვინ იყო იგი, რა დანიშნულება ჰქონდა და რას უნდა სწეოდა. მისი ტახტის მემკვიდრეობის დამალვა იყო საჭირო სულეიმანისთვის და იმის დამქაშებისთვის და არა თვით ირაკლისთვის. ამისთვისაც უცეფი წმა დედოფლისა: შენ ჩემი შვილი ხართ, უნდა დღესვე შეტეხა ააფეთქო და სამეფო ტახტზე ასკიდეთ, ცოტა არ იყოს „თილისმის ხანს“ მოგვაგონებს. დედის სიტყვები ირაკლის გულს ვერა სწვდებიან, ისინი ქარის მობერილნი არიან და ისევ ქარი წაიღებო. ასეც არის. ოცის წლის ყამირში გადაყრილი ხორბლის მარცვალი ბოროტმა ბალახმა შეაშთო. ირაკლის გამოუჩნდა თავისის წრის წარმომადგენელი სულიერი არსება, თანაც მომზიბლავის ქალის სილამაზით, და მან ბევრად ადვილად ჩააწვდინა თავისი ხმა ირაკლის გულში. საქმარისი იყო, რუქაიას ეთქო, რა მოსაფიქრია, რომ მაგისთანა მძიმე საქმეს, როგორიც არის ფიხის აფეთქება, განდობება შენ, გამოუდევეს მეფის ქეს, რომ ირაკლი მაშინვე მიმხვდარიყო გულის ყურს და ეთქო, სწორედ რუქაია მართალიაო. ან მართლაც რა ჭკუაში მოსასვლელი იყო, ამ მძიმე საქმის მინდობა იმ ოცის წლის ბიჭისთვის, რომელიც პირველად შემოდის ტფილისის ქუჩებში? ეს ნაკლია დრამისა, რასაკვირველია.

კიდევ ვიტყვით, რომ ირაკლისთვის რაც არ ჩაგიბარებიათ, არც ნება გაქვთ მოსთხოვოთ. ირაკლი აღზარდეთ ველურად და ნაყოფიც შესაფერი მოიტანა. ის არ კმარა, რომ შვილი მამას ფიზიკურადა ჰგვანდეს. აი აქ სტყუიან ზეინაბი და ანანიაც. ირაკლისთვის რომ თავის დროზედ ემცნოთ ვინ არის ის, რუქაიებთან საქმეს ალარ დაიჭერდა, სამარცხვინოდაც ჩასთვლიდა. ირაკლი უზრდელობის და უვიცობის მსხვერპლია და არა კრეტინი, რომელიც გარყვნილის რუქაიასთვის ჰლალატობს მამულს. იტყვით, რალად ჰკლავს ბ. ს. ასე უდროვოდ ირაკლისაო. ეს სწორედ შეცდომის გასასწორებლად ესაჭიროე-

Ֆա Ծահամօս ազգուրուն. Քաեթից հռմ այսպահա որակլո, ხոթ շոյրոն
Նախարարութեանո ոյն եծուրա դա ոցո մյուրես քըլքազ նյոլ-աթլազ
Համարակացուրա սամբուռ. Իս սաելովուր յասո ու ոյո, հռմ
Ճաշուրտեուրուրա? Վցուրեծ, Շուտանցօս ցեծնուտցուս Քաեթուս
Նամյուրուրուր քուրս մանմունց ցեծնա առ մոյսեցուրուրատ. յելո
Յոյուտեուտ, որակլո հայենու տու սեցուսո? ան ոյզնեն հայենմո որակ-
լուրօ? — Որակլուր սթորուր հայենու սուսելու դա եռուրուս. ոյզնեն
հայենմո որակլուտանա սաթազլուրունո դա սամբուռ մարտցուտցուս
Մոյսեմիացուրուրունո Քաեթուս մյուրուրուրունո, մածուր ցետուս ցենո
Հատոն սաելուրանո, հռմանուրուր տց-սուս յայուրուրօտ, սեցուսուն
յայենու եմուս այուրուտ մամյուր սպահազլուրեն մաշալ. մյուր ցուր-
ցո մյ-ԽII-թ որակլուս ցայուրուրօտու դրուս նյուրցո սյուրու դա ա-
Յոնմօս ոմմու մեսարո առ ժայույնու սեցուսուս հիշեցուտ. այրետցո
Եցուտուս յրտմանց տմուն Շոյլուրուտ դա մոյսեցուրուրօտ ցուրցուս
Շոյլուրօմա Քաեթու Ժաշկարցու. ան սաւ ուրցուրուն հայեննու Քաեթուս
մյուրուրուրուն ցանատլուրօտաս? — Ահսաւ. ամուտցուսաւ ոմատս լուաթլու
Նամմանձլուրուտցուս առ Ֆյունդա ցարտու մնուշենցուրօ, ամուտցու-
մաւ ոմատ յուրուրու ցայուցերու ցամիւ ալզուրուր արուսուրօտցո. արաս
Վուրուր եանց եծուր դա մյուրուր եծուր. ուսոնու ալզուրուր ոչցերց եծուր
պայլուս սուրուրաս, ցոնց յու թյալուրաս Ֆյուրուրօտուր սայահուրց-
լուրուս, դա յարս յուրուր եծուր — մոնմանց ուրուրուրուր.

Իս Շյոյենու օմ սյուրուս սոմճաձլուս, հռմ մամյուրուտցուս
յուլալաթուրուս Ֆահամեսանուս մեյզլուս ցոյլուտցուս հայենս զումյ գուց-
Ցոյլուս, ուսուր Քաեթուս մյուրուրուրուս, յց արասուրուս առ մոմեճարա
հայենմո; արասուրուս հայենմո մաշնարու ցաւըմա նյուրօտուս առ յո-
ւուրուր. Շյուրուր յելու յու ոյուս կյուրմո մամյուրուս մյուրաթրոնու-
սացան. յուրուր ցամուցուրուս, հռմ մամա-Ֆայուրուր յուսեցեր-
Ցլուրուս զումյ հոյիուրաստցուս. Իսաւ ազգուրու հայենս Շահուրուր
Ցրալուս սցեծս որակլուտ, ցուրուս Շամյենա. մաց մերուց հայենու
Շահուրուր միուրուր Շյոյենցուրուս դա առ վուրու, Իս յութաւ ազ-
Գուրուս որակլուս ցամուցուրուտ դա հոյիաս ցոյլուտցուս լալա-
թուրուս ցամուսանց ուրուր?

დათა ხომ ყოჩალია და ყოჩალი, ამას ლაპარაკი არ უნდა. ის საითაც უნდა გადააგდო, აღზუ დაჯდება, ფეხზედ დადგება. თქმა არ უნდა, ქალიც უყვარს, მამულიც, სჯულიც და ხმალიც. ნამდვილი მთიელია. ცოტა ტრაბახაა. ისე ჰეოცავს ჟაზებს, როგორც კურდლლებს. ჯერ ყმაწვილია და 11 ავაზა მოუკლავს. თოთქოს არ ვიკით, საიდან იპარება ეს ცხოველი და რა იშვიათი ნადირია იგი ჩვენში.

გაიანესი კი რა მოგახსენოთ. გაიანე ტიკინია და არა ნამდვილი ქალი. იგი არც დიდებულის თავადის ქალია, არც გლეხისა. არც სპარსია, არც ქართველი და არც დროის შესაფერი. ის რაღაც ზღაპრული ქმნილებაა და ვინც ჩვენის დიდებულთ ოჯახების ქალებს წარსულში გაიანეს სახით წარმოიდგენს, დიდად შესცდება. გაიანე ქალა-ბიჭა და წააგავს კავკასიელ ამორძლებს (ამაზონკებს), რომელნიც, სტრაბონის თქმულებით, სცხოვრობდნენ კავკასიონის მთებში ლეკების ქვეყანაში, იარაღს ისხამდნენ, ისხდნენ ცხენებზედ და მხედრობდნენ (რასაკვირველია, უბელობზედ. იქნება გაიანეც ასე ჯდებოდა?!). გაიანეც ასე იქცევა. ახტება ცხენს და ქოფაკებით გარეულ ტახებზედ ნადირობს. სად, როდის და ვის გაგიგონიათ, რომ ჩვიდეტ-თვრამეტის წლის ქალი პირველის ოჯახისა საქართველოში იმასა სჩადიოდეს, რასაც გაიანე სჩადის? მემრე იმ დროს, როდესაც ირანელნი დათარეშობენ ჩვენს არე-მარეზედ და ყოველის ჯაგის ძირს სანგლები აქვთ დამართული. აი სად გამოსჭვივის ავტორის სისუსტე ჩვენის წარსულის ცოდნისა, ჩვენის ცხოვრების. ჭკუითაც რაღაც გონჯია გაიანე. არ იცის ანანური, ირანი, შაჰინ-შაჰი, არამხანა. არ იცის თავისა უინაობა, ვის ემსახურება იმისი მამა, ვინ იყო მისი დედა. ირანში წასასვლელად პირველად უარს აცხადებს, არც პირბადეს ჰკადრულობს, მაგრამ საჩქაროდ თანხმობას იჩენს, თფილის მიღის და სულეიმანს პირბადით წარუდგება. ვისაც რა გინდათ — სთქვით და მე კი იმას ვიტყვი, რომ ეს ტიპი სულ ტყუილია, არც ძველია, არც ახალი, არც ჩვენია და არც სხვისა. მაშ რა არის? — ავტორის ფანტაზია.

Գյոնճիս ցամթշրջելո օևսեարօց թօնիա հիզենիս լալոցնիս. და გաმზღელებնիս. օմիս უცხოობას და უნიადაგობას ვერავინ იტ- պვის. հիզեნ ბევრი გვყოლია օևսեաრისთანა სულათ განათლე- ბულნი მანდილოსანნი, რომელნიც თავიანთ ძუძუთ ნაწოვთ არ სტოვებდნენ სამარის კარამდის. მხოლოდ მათი ნატერა ის იყო, რომ საფლავის მიწა მიჭყროდა თავის გაზრდილის ხელით და გულზედ მისი ცრემლი დასცემოდა. ამათში ბევრი ჭივიანი და გონიერი დედაკაცები მოიპოვებოდნენ, როგორიც იყო օևսեარი. օևսეარიც შურის მაძიებელია, დათას ეუბნება,—ჩა- ეცი ხანჯალი სულეიმანիს, სისხლი აიღე ქმასაჲ. მაგრამ ეს ნაკლად არ ჩაეთვლება, ეს საყოველთაო ბუნებაა მტრისაგან გულ დამ- წვარ დედაკაცისა და კავკასიელისა ხომ უზეტესად.

რუქააზედ დაპარაკი შეტია. ის მონების შვილია, პარამხანის შევალია, ყველამ ვიცით იმათი გზა და კვალი. ესენი სცხო- ვრობენ მარტო პირუტყულის აღტყინებით და მათთვის სულ ერთია, აღია იქნება თუ მუსია.

ბესთ ხომ დოთი-ფოთია. სწორედ უდარდელი ხუმარაა თა- ვისის მახვილი ენით. უკუკურ და უვიცი კი არავის გეგონოთ— ბესო ყველაზედ წინ პხედავს საქმეს მოგებულად, ნამეტნავად მისს შემდეგ, როცა საბა-სალოსმა გადუშალა თავის მოგზაუ- რობის მატიანე. ამისთვისაც ბესო დაჭმლერის:

მთა, ტყე, ღრეში, ხვრელ და ბნელში
გაფანტულა ყველა ჩვენში,
ორბელიანს ვჩედავ სამხრით
და სუმბათსა სოღანლულით.

ჩვენ ეხლა დაგვრჩნენ საბა-სალოსი; ფრბელიანი და სუმბათი. ვინ არიან ეს კეთილშობილნი პირნი? მეტად ცოტას რასმე გვეუბნება ავტორი ამათ ვინაობისას. ვხედავთ მხოლოდ, რომ საბა-სალოსი არის წარმომადგენელი ჩვენის სასულიერო წო- დებისა. ორბელიანი და სუმბათი კიდევ იმ თავადთა და წარ- ჩინებულთა, „რომ ელთა დასდვეს სიცოცხლე მამულის ასამალ- ლებლად“. საბა-სალოსზედ კიდევ გვეუბნება რასმე, რომ ის

ყოფილა კახეთში, ხევსურეთში, გერგეთზედ და ბორჯომში, გაუვლია გარდი-გარდმო საქართველო და საქმე იქამდის მიუ- ყვანია, რომ დარწმუნებულა წმ. ჯვანს სისხლში ამოვლებულს, ჭელის გაიტანს, არა გვიან, მალე, რადგანაც ათასობათ და ათა- ათასობით ნახა თუ მოამზადა მეომარნი, მთელი საქართველოც. თანაც დაიქუჩებს: ქრისტე აღსდგათ და დედოფალს გადულო- ცას: აღადგინე საქართველო! შემდეგ საბას ვხდეთ ამბოხე- ბის დროს თფილისში, მხოლოდ არა სჩანს საბა შემოსილია ჯვრით ხელში, თუ თავისის გლახის ტანისამოსით არის ისევ, როცა უსულო გვამებს —ირაკლის და ზეინაბისას ჯვარსა სწე- რავს — ვნისეგნეთ შშეიდაბით სიკედილითა წოდგათა დამთრგუნელ- ნო. — ავტორი საბას რაღაც იარაღს ასხამს, ეს მისთვის მეტია. საბას ყოველი იარაღზედ ძრიელი მახვილი უკავია ხელში — ჯვარი და სიღუპა მაცხოვრისა. კიდევ ვიტყვით, რომ საბა- ლოსი თითქმის ისტორიული პირია, რომელზედაც არის ცნო- ბები და უფრო მეტად ეკუთნოდა დახასიათება.

რაც შეეხება სუმბათს და ორბელიანს, ესენი სულ ჩრდილ- ში ჰყავს გახვეული ავტორს და ამოქმედებს უკანასკნელ ტრაგი- კულ მომენტამდის ფარულად. საქმე კი აუცადად მათი დაწყე- ბულია და გასისხლხორცებული. საქართველოს რომ სუმბათი, ორბელიანი და საბა არ გამოსჩენოდა, ზეანაბი, ცხრა თვალებიან სულეიმანის ცხრა კლიტულს სახლში მყოფი, იქნება ვერას გახდებოდა თავის გულის შემწვავ ალებით და თილისმით. საქმე ის იყო, რომ რამწამს დამყარდა საქართველოში მტარვა- ლობა, სუმბათი, ორბელიანი და საბა განს გადგნენ და როცა პირველები ნადიმებს პმართავდენ მთებში და ხალხს აღელვებდ- ნენ, საბა კიდევ ხმალს ულოცავდათ საომრად. სამართლი მო- ითხოვდა სუმბათის და ორბელიანისთვის. მეტი მოქმედება მიეცა, იმდენი მაინც, რაც ოთარს მისცა და სხვებს. თუ დრამას და- უჯერეთ, ძალიან ცოტა მონაწილეობა მიუძღვით ჩვენთ დიდე- ბულთ ჩვენს წარსულს თავგანწირულს ბრძოლაში მამული, დასაცავად. ეს კი სიმართლეს მოკლებულია.

ვგონებ, რომ ავტორს უნდოდა უფრო ეჩვენებინა ჩვენის ცხოვრების სუსტი მხარეები, ამისთვისაც მოღალატე აწერვას

უფრო პათადომა მეტი მელანი, ვინემ შსხნელთ, და თვის
თხუზულებასაც ამავე მიზნით უწოდა „ლალატი“. რომ ასე
არ მოქცეულიყო და თეთრი შავზედ გადაეჭარბებინა, მაშინ
უნდა დრამის დედა აზრიც შეეცვალა, სათაურიც შეეც
ვალა და „ლალატის“ ბადლად ეწოდებინა „სხივი“ ან სხვა
რამ ამგვარი. ავტორს აქვს დახატული ბრძოლა ბოროტსა და
კეთილის შორის, სადაც ბოროტი სჭარბობს, რის გამო ჩვენი
ქვეყანა იხრწნება და ნიავდება, თუმც ბოლოს მაინც კეთილი
სძლევს და ქვეყანა ფენიქსებრ განახლებული ხელ-ახლავ
სდგება.

ჩვენ დავათავეთ მთელის დრამის განხილვა და ახლა ური-
გო არ იქნება ვიკიტხოო, რა არის დალატი თ. სუმბათაშვი-
ლის? ჩვენია თუ სხვისი? პასუხი ჩემი მოკლეა. სუმბათაშვი-
ლის „დალატი“ ჩვენი სულია, ჩვენი ისტორია, ჩვენის ცხოვრე-
ბის ფილისოფია, ჩვენი აწმყოა და ნულარა ჰქმნას ჩვენს. მო-
მავალად. ღალატი მით არის ჩვენი სული, რომ ქართველმა
თუ ქართველს არ უდალატა, არ უკინა, არ შეიძლება. ეს
ცოდვა განსაკუთრებით ბუნებითი ნაკლია. ჩვენის ქართველე-
ბის მოწინავე წრისა და ზედა პირის. ღალატი ისტორიაა. ჩვე-
ნი მით, რომ წარსულში სულ ვდალატობდით ერთმანეთს და
ერთობა ოზისებივით მოსჩანს ჩვენს. საზარის შავ-ბნელით და
ქვიშით მოსილს უდაბნოში. მარტო გაიხსენეთ ჩვენნი გადა-
ზეწილნი უცხოეთში და იმათგან აშენებული მთელი სოფლე-
ბი და ვოლოსტები. რა მიაჩენინებდათ? აქ არ უჭირდა იმათი
თავი სამშობლოს? განა ღალატი არ იყო რიცხვით შემცირე-
ბა მცხოვრებთა? ღალატი ჩვენი ცხოვრების ფილოსოფიაა მით,
რომ მასში გამოკრეფილია მთელი ჩვენის ცხოვრება, გაბნე-
ული ბრძოლა შინ და გარეთ, იგი მინიატიურული სურათია
იმისა, თუ ვინ ვიყავით? დალატი სარკეა ჩვენის დღევანდელის
ცხოვრებისა, როდესაც დღე მუდამ ვდალატობთ ერთმანეთს
ოჯახში, სკოლაში, სასულიერო უწყებაში და სამოქალაქო
მოქმედებაში, რჯულში და ენაში. მაგალითებს არ ჩამოგით-
ვლით. ეს ყველამ იცით და ვინც არ იცის, იმან აიღოს თი-

თის დადებით რომელიც უნდა ჩვენი გაზეთი, გადაფურცლოს და იქ ნახავს მაგალითებს. მე მხოლოდ გაგახსენებთ ლექსის იანხარს და მის სიტყვებს — „რაო, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს, შენს ოსმალოს?“.

დრამას აქვს სხვათაშორის წვრილმანი ნაკლულევანებანიც. მაგ. გახვევა დიდებულის თამარისა და „სარდალის“ ირაკლისა ზეინაბის და დაუშტვინე ირაკლის ტყავში. ეს აუცადად იმით მოუვიდა ავტორს, რომ უნდოდა რუსის საზოგადოებას მეტი ყურადღება მიექცია ნაწარმოებისთვის, რადგანაც ირაკლის და თამარს რუსეთშიაც იცნობენ და საზღვარ გარედაც.

P. C. სულ სხვა იქნებოდა და სხვა გვეთქმოდა, რომ ავტორს თვისი დრამა ჯერეთ ქართულს ენაზედ გამოექვეყნებინა და მემრე დაედგა რუსეთის სკენაზედ. მაშინ ჩვენც ნება გვჭრ ნდა გვეამაყნა. დღეს-კი იგი ჩვენთვის უცხოურია, ისჯ როგორც იბსენის, სარდუსი, ჰაუპტმანისა და სხვ. დღეს იგი ჩვენის ეროვნულის ლიტერატურისათვის ფუჭია, სამეტნაოდიმ თარგმანით, რომლითაც იგი გაეცნო ჩვენს თეატრს. მართლაც, არ ვიცით, რა ვსთქვათ ამ თარგმანზედ, რამ ააშურა, რამ დაატანა ძალა, რომ ასე სუსტი თარგმანი მოგვცა თუ ენის მხრივ, თუ გრამატიკის და თუ ორთოგრაფიისა, დაუტეოთლოლიკა. ბ-ნ „მოამბის“ რედაქტირიამ რად დაპტეკდა, ან დრამატიულმა საზოგადოებამ რად დართო ნება ამ თარგმანით წარმოდგენა, კიდევ არ ვიცით! არც ის ვიცით, რატომ აქამდის ეს ნაკლი არავინ გაასწორა. ხომ ვიცით, ჩვენი შინ გამომცხვარის მსახიობნიც მოინდომებენ ამ დრამის დადგმას სოფლებში და მაშინ ნახავთ სადამდის მივა დამახინჯება. საჭიროა ხელ ახალი რიგიანი თარგმანი და მისი წიგნად დაბეჭდვა.

o. ხატიაშვილი.

ცხოვრება და ღვაწლი

თაღის გრიგოლ იუბალიანისა

XVI

ორი უკანასკნელი ევროპიული ომი—საფრანგეთისა პრუსიასთან და რუსეთისა თსმალეთთან—დიდად აღელვებდენ მოხუც პოეტს. პირველს ომში ის იყო პრუსიელების მომხრე, რადგანაც საფრანგეთი როგორც მთესველი ურწმუნოებისა, იმის ჰაზრით, უნდა დასჯილიყო ზეგარდმო და ნაპოლეონისათვისაც მხვედრს უნდა მიეზღო ნაცვალი სიკეთე; მეორეში პოეტი არ დასჯერდა მარტო თანაგრძნობას,—იმან იტვირთა დაჭრილთა მოვლის კამიტეტში მონაწილეობა და შეძლების დაგვარად დიდად და დიდად იშრომა ჩვენი ჯარების სასარგებლოდ.

„...ამ ზაფხულს ხშირად ავდიოდი მირსკისთან კოჯორზე, სწერს პოეტი თ. ლევან მელიქოვს.—ყოველ დღე ვბოსტნობდით და ვბაასობდით პრუსია-საფრანგეთის ბრძოლაზედ. კოჯორი იყო ორ-ნაწილად გაყოფილი: მე, მირსკი, გიორგი მუხრანსკი და იოსებ ყორლანოვი ვიყავით პრუსიელები; ირაკლი, აგლობეიონ, ამიროვი, ივანოვი და ლოლობერიძე ჭრანცის მხარე. ამათთან ზოგჯერ ქალებიც ჩამოერეთდნენ ჩვენს ბაასში და ასეთი ჩხუბა იმართებოდა, რომ ხან და ხან გავებუტებოდით ერთმანერთს.“ *)

*) წერილი 14 სექტ. 1870 წ.

უქმდეგ, როცა საფრანგეთის ჯარები დაამარტეს, პოეტი სწერდა ბარბარე თრბელიანისას:

„... Болѣе мѣсяца мы не имѣли извѣстій изъ Россіи и именно въ то время—не досадно-ли?—когда рѣщалась судьба Франціи и Европа принимаетъ иное положеніе, иной видъ, когда правитель Европы, отвергнутый даже друзьями, ищетъ пріюта въ маленькомъ замкѣ гостепріемной Швейцаріи, гдѣ какъ въ монастырѣ, всѣ гонимые міромъ могутъ вздохнуть свободно. Этотъ случай напоминаетъ мнѣ изрѣченіе Шамиръ-Хана, который неожиданно увидѣвъ въ Тифлісѣ Алишаха Персидскаго въ бѣдности, изгнаннаго изъ Персіи, воскликнулъ въ изумленіи: „О, превратность міра! Я видѣль этого человѣка, торжественно выѣзжавшаго въ Испагань на слонѣ и придворные осипали его жемчугомъ за славную побѣду его надъ Авганцами!“ Не то-же ли самое теперь съ Наполеономъ, котораго даже мадамъ Карпеко, пріѣхавшая изъ Тулы, называетъ глупымъ. Какъ не сказать: О, превратность міра!“ *)

„... მთელს თვეზე მეტი გავიდა, რუსეთიდან ცნობები არ მიგველო, მერე არც იმ დროს—გულმოსასელელი არ არის, განა?—როდესაც საფრანგეთის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო და ევროპას სხვა სახე მცედლა; როდესაც მცობრებისაგანაც-კი უახ-უოფილი მბრძ.ნებელი ევროპისა თავშესაფარს სტუმართ-მოყარე შვეიცარიის პატია ციხე-დარბაზში ეძიებს, სადაც დევნილთა ამა ქვეყნისათ შექ ძლიანთ, ვითა მონასტერებში, თავის უფლება ამოისუნთქონ. ზერთვევა ესე მაგინებს სიტყვებს შამირ-ხანისას რომელმაც სამშობლოდგან განდევნილი ალიზანი სპარსეთისა მოულოდნელად პნ:ხა ტფილისში დიდს სრლარიბეში და განცვიფრებულმა შესხახა: „უჰა, ცვალებადობა ქვეყნისა! მრნ:ხავს ეს კაცი, როგორის დიდებით მპაზნანებულა ისპაპანს, სპილოზე მჯდომარე და კარის-კაცთ ავლანელებზედ გამარჯვებისათვის როგორ შეუმკიათ მარგალიტითა!“ ასრევე არ ემართება, განა, ახლა ნაპოლეონსაც, რომელსაც ტულადამ ჩამოსული ქ-ნი კარგეკაც-კი სულელს ეძახის!“

ერთის კვირით ჭინად, სანამ ოსმალოს ომს გამოუცხადებდა რუსეთი, თრბელიანი სწერდა თ. ნიკო ჭავჭავაძეს:

*) წერილი 4 მარტს 1871 წ.

„...ომიანობა უეჭველია, მაგრამ რათა, რისთვის? განა სლავიანები ლირან იმ სისხლად, რაოდენიცა დაიღვრება რუს-თაგან? იმოდენის ხარჯისა, შრომისა, მეწუხებისა, მოუსვენ-რობისა; ესოდენის ბანკროტობისა, რომელნიცა ზოგნი ეხლა-ვე არიან და აღჩდნებიან შემდეგშიაცა? ან რომელთა სლავია-ნებმა უჩვენეს ძმობა და ერთგულება რუსებსა? ევროპა არ დაარღვევს, არ გააოხრებს არცა ოსმალეთსა და არცა ავსტრი-ასა რუსეთის გულისთვის. მაშა ამის დასასრული რა უნდა იყოს? გულით, სულით ვსწუხვარ, ღამე არ მაძინებს ეს წყეული ჰაზრი და ახრში გამაცია კიდეც გუშინ წინ.—რუსეთსა უნდა არა ომიანობა, არამედ შინაგანის საქმის კეთილად დაწყობა; სჯულსა მიეცეს ძალი კეთილად მოვლისათვის ხალხის ურიც-ხეთა მილიონებთა; განვრცელდეს სწავლა; ვაჭრობა, ხელოუ-ნობა; გზებზე მშვიდობიანობა; საკუთრების შეუხებლობა; ამო-წყვეტა დაჩაგვრისა, უსამართლობისა; აღმოჩევა ღირსეულე-ბისა ხალხის მოვლისათვის და მათის ბეღნიერების და კეთილ-დღეობისათვის; მეტად დაშორებულის სამზღვრების დაახლო-ვება რკინის გზების გახშირებითა და სხვანი და სხვანი მრა-ვალნი, რომელთა რიცხვი მილლიარდი საქმეებია საკეთილ-დღეოდ ვეება იმპერიისა! რათ უნდათ სლავიანები? შინ გა-ძლიერდეს რუსეთი ყოვლითა ამით და სლავიანები თავიანთ-თავად მოვლენ, თუ ენდომება რუსეთსა. თორემ, ეხლა ჯერ მეტად ნაკლულოვანებაშია რუსეთი...“*)

ათი წლის შემდეგ, როგორც დავინახავთ, ბოლგარელები გაამართლებენ პოეტის წინასწარ თქმას სლავიანების ძმობაზე და ერთგულებაზე.—ბრწყინვალე პორტამ უარ-ჰუ ლონდონის პროტოკოლი და რუსის დეკლარცია და 12 აპრილს 1877-ს რუსეთმა გამოსცა მანიჭესტი, რომლითაც გამოუცხადა ომი ოსმალეოს.

„... Слава Богу!—სწერდა პოეტი ნ. კარმალინს—Война началось вступлениемъ нашихъ войскъ въ предѣлы Турции и

*) წერილი 5 აპრილი 1877 წ.

разствались всѣ наши недоумѣнія, изчезла томительная неизвѣстность, удушливое ожиданіе чего-то ужаснаго, такъ долго тяготѣвшія надъ нами, и сердцу сдѣлалось легче, веселѣе, цѣль ясна, мысли ясны!“ *)

„...მადლობა ღმერთი! — სწერდა პოეტი ნ. კარმალინს — ომი ჩვენის ჯარების ოსმალეთის სამფლობელოში შესვლით დაიწყო და გაიბნა ყველა ჩვენი გაურკვეველობა, განკქრა გულგადამლევი უცოდინარობა იმისა, რა მოხდეთდა და მასთან ერთად სულის შემხუთველი მოლოდინიც რალაც-რამ საზარლობისა, ამდენს ხანს რომ არ გვასვენებდა; და გულს მოეფო-ნა, გვახარიან, მიზანი, აზრი ნათლად გვაქვს წარმოდვენილი!“

პოეტის ამხანაგებთა და მეგობრებთ დაირიგეს და გაიყვეს ბრძოლის ველი და პირველსავე კვირაში აგლობუიონ ფეხი მოიდგა მუხა-ესტატეს; დეველმა არღავანთან; ლორის-მელი-ქოვმა სუბოტინთან; ზაქარია ჭავჭავაძემ გააქცია 8 ბატალიო-ნი მტრისა; ტერ-გუյაროვმა აიღო ბაიაზეთი და სხვა და სხვა. პოეტის სიხარულს დასასრული არა ჰქონდა; ის დარწმუნებუ-ლი იყო, რომ ქრისტეს ჯვარს უნდა ეძლივნა მაჰმადიანთა მთვარე და რომ ჩვენ ჯარებს უნდა ამოეგო ათასი და ათი ათა-სი ქრისტეანთა სისხლი, ბალკანზე და მცირე აზიაში დაღვრი-ლი მაჰმადიანთაგან. საცა დრო და კალამი მიუწვდებოდა, პო-ეტი აძლევდა რჩევას და დარიგებას ჯარის კაცებთა და სხვა მოხელეთა, ბრძოლაში წამავალთა ამხანაგებთა, და ლოცვიდა მეტადრე ჩვენს ქართველობასა. ჯერ ომი არ იყო გამოცხა-დებული, რომ პოეტი სწერდა თ. ნიკო ჭავჭავაძეს ამ ქართველ-თა მოლაშქრეებზე:

„... წესისაებრ ჯარები ემზადებიან და ემზადებიან. ჩვენს ქართველობასაც ასწავლიან ჭრონტსა და ზოგჯერ მეტად სა-საცილობა გამოდის სწავლის დროს. „ვა, რა არის ეს ფე-ხი თუ გინდ აქ დავდგა თუ გინდ იქა? მტყუანის დედას რა უთხრა, თუ გლაზა ნაპრავო არ მეთქვას!“ და ამ გვარი ლა-პარაკი ხშირად არის ოსტატსა და შაგირდს შეა.“ *)

*) წერილი 20 აპრ. 1877 წ.

*) წერილი 17 თებერვ. 1877 წ.

მეორეს წიგნში იმავე ჭავჭავაძეს ოჩბელიანი აუწერს ჩვენ თავადობის წასვლას ბრძოლის ველზე:

„ჩვენი თავადობაც წავიდა ალექსანდროპოლისკენ და იყოს ღმერთი მათ მფარველად. ყმაწვილ-კაცობა მოსაწონია, მაგრამ ცხენოსნობა მათი აღარ არის ისა, რაცა მინახავს ადრე, ჯა შევპატუხდი გულითა. ჩვენშა ქალებმა — პატრიოტკებმა — მიიპატიუეს ვახშიად სანსუშში საპახოდოდ განმზადებულნი და იყო იმ ღამეს მართლად დიდი მხიარულება საზანდრებით, სიმღერათა, შუვენიერის ლეკურითა, სადღეგრძელოებისა და ბოლოს, ვახშამზე ნინომ გიგოს ცოლმა — წარმოპსოტქვა დიდად მოსაწონი სიტყვა, რომლითაცა მოაგონა თავ-დადებით სიყვარული მამულისა წინა-პართა ჩვენთაგან და სახელი მათი, განთქმული ვაჟ-კაცობითა. იმას უპასუხა სოსო ჯორჯაძემ და შეიქმნა დიდი ურჩრაა! და ზედ მიაყოლეს ლეკური, რა ლეკური, რომ გამაგიუეს მარუცამ, ბაბუცამ, ალექს. აფხაზის ცოლმა, ია ანდრონიკ. ცოლმა, და სულყველამა! მახლაზ! კარგი რამ იყო ის ღამე, მოდიოდა წვიმაცა, მაგრამ არა დავდიეთ რა და სამს საათზე დავიშალენიო. ნეტავი ეს ლეკური მაინც დარჩეს ჩვენის საბრალო ქართველობისაგან, რომელიცა ასე ადვილად და დაუდევნელად იცვლის თავის ლამაზსა ფერსა.“*)

5 მაისს ჩვენმა ჯარმა არდაგანი აიღო და თბილისმა დიდის-ყოფით იდლესასწაულა ეს გამარჯვება. მაგრამ, საუბედუროდ, ამ გამარჯვებას სხვა გამარჯვება არ დაჰყვა. ციხის-ძირში ჩვენმა ჯარმა იზარალა: დალესტანი აიშალა ჩვენ წინააღმდეგ; ზივინში 800 კაცი მეტი დაიხოცა. მთელი ოთხი თვე ჩვენი ლაშქარი წაგებაში იყო.

ციხის ძირს რომ მოშორდა აგლობუიო, ოჩბელიანი სწერდა იმას თხურგეთში:

„... Искренно радуюсь, мой другъ Иванъ Дмитріевичъ, что вы, наконецъ, вышли съ свѣтлымъ лицемъ (?) изъ трущобъ Кобулети... Объ результатахъ не можетъ-быть

*) წერილი 18 მაისი 1877 წ.

и рѣчи, потому что ихъ нельзя было ожидать даже въ самомъ началѣ составленія плана войны. Эти мѣста еще въ глубокой древности извѣстны своею недоступностью подъ именемъ Каджебисъ-Цихе, крѣпость демоновъ. Геройня грузинской поэмы „Барсова Кожа“, содержалась плѣницею въ цихисъ-дзирѣ. Ни Паскевичъ, ни Муравьевъ не рѣшались вести тамъ наступательную войну. Это древнее грузинское племя, оторванное отъ своей метрополіи и защищенное адскою мѣстностью, не покорится мечу завоевателя. Даже власть турокъ въ теченіи 300 лѣтъ не могла прочно установиться и нынѣ едва-едва признается туземнымъ населеніемъ, которое живетъ своею собственою жизнью, нисколько не сливаясь съ Турками, не смотря на магометанскую религию, насильственно навязанную имъ когда-то. Однакожъ было время, когда это населеніе добровольно желало присоединиться къ Грузіи подъ властью нашего правительства, но мы не воспользовались представшимъ случаемъ. Не даромъ говорятъ: о войнѣ надо думать во времія мира!..

„... При Зивинѣ пострадали наши богатыри Гренадеры. Болѣе 800 человѣкъ пало, по милости героя дня. О, тѣни великихъ Фридриховъ, Наполеоновъ, Густафовъ! Неужели и вы были не болѣе, какъ нашъ герой дня Гейманъ!“ *)

„გულწრფელად მიხარიან, მეგობარო ჩემთ ივანე დიმიტრის ძევ, რომ ქობულეთის ბუნაგებიდამ, როგორც იყო, სახე გაბრწყუინვებული (?) გამოხვედით... შედეგზე აქ არა ითქმის-რა, იმიტომ რომ თვითონ თმის გეგმის შედგენის დროსავე არავის პქონია მოლოდინი გამარჯვებისა-უზველეს დროიდანვე ცნობილია იგი, როგორც მიუვალი ადგილი და ამიტომაც ქწოდება სახელად „ქაჯების ციხე“. ქართულის პოემის „ვეფ-ხის ტყაოსნის“ გმირიც ციხის-ძირში (?) ჰყავდათ ტყვედ შეპყრობილი-ჯერ პასკევიჩმა და ვერც მურავიოვმა ვერ გაპბედეს იქ სატევი თმი დაეწყოთ. საერთო სამშობლოსაგან მომწყველეული და ჯოჯოხეთურის მდებარეობით ბუნებრივიდ გამავრებული უძველესი ქაბოველთა ტომი დამპყრობელებს მახვილს არ დაემორჩილება. ოსმალთა 300 წლის მფლო-ბელომაც-კი მაგრა ვერ მთიყიდა ფეხი და მხოლოდ ახლა-ლა აღიარებენ მცირედიდ მის ადგილობრივნი მცხოვრებნი, რომლებიც სრულიად და-მოუკიდებლადა სცხოვრებენ თავიანთთვის და არ შეპრევიან ოსმალთა,

*) წერილი 26 ივნ. 1877 წ.

თუმცა მაჰმადიანობა ძალით იყო ოდესაც მათ შორის გაერცელებული. მანც ცყო დრო, როდესაც ქოჯულეოლებს თავიანთის ნებით უნდოდათ ჩვენის მთავრობის მართველობის ქვეშ საქართველოსთან შემორჩება, მაგრამ ამ შემთხვევით ჩვენ ვერ ვისარგვდლოთ. ტყვილად-კი არ არის ნათქვაში: მშვიდობიანობას დროსვე უნდა ომზე ფიქრიო!..

„ზიგინასთან დაიღუპნენ ჩვენი გმირი გრენადირები. 800 შეტი კაცი დაიხოცა ამ დღისა გმირის წყალობით. ოჟ, აჩრდილნო დიდის ფრიდრიხებისა, ნაპოლეონებისა და გუსტავებისა! ნუ-სუ-ლა მხოლოთ თქვენც ის იყავით, რაიცა დღევანდელი გმირი გეიშანია!“

მაჰმადიანმა დაღესტანმაც წამოჰყო თავი მართლ-მადიდებელ რუსეთის წინააღმდეგ. პოეტს დიდად ეწყინა ეს გარემოება, როგორც ძველს დაღესტნის მშართველს და როგორც ქართველს, რაღაც ეშინოდა, რომ ლეკი არ გადმოსულიყო კახეთში. ამ შიშით ის სწერდა ნიკო ჭავჭავაძეს, როგორც განჯის გუბერნატორს:

„...ლევან მწერს, რომ დაღისტანში თითქმის პოვსემესტნოე სურიოზნოე ვოზსტანიეა; მოველი ჯარებსა, რომ წავიდეო მთებისაკენ ხალხის დასამშვიდებლად!“ აი როგორმა მოუფიქრებელმა მიზეზმა ჩაშალა ესოდენის წლის შრომა-მეცადინეობა, ხალხის დამორჩილება და ზრუნვა მათის კეთილ-დღეობისათვის! წახდა ყოველივე და ახლა უნდა კიდევ ანბანიდამ დავიწყოთ და როდისღა ჩავალთ ც-მდის. ვინ არის დამნაშავე ესრეთის გაძნელებულის მდგომარეობისა და უბედურებისა, რომელშიაც ჩავარდა ეს ვეება მხარე? საქართველო დაიღუპება, თორემ თათრებსა, ან რუსებსა რა უჭირთ.

„შენ ძალიან სიფრთხილე გმართებს შენის ღუბერნიისათვის, რომელიცა ესამზღვრება ჭარის ხალხსა, თუ ჭარი აღსდგა, ძნელს მდგომარეობაში იქნება ნუხა და ამ მიზეზისა გამო შენ უნდა მოსთხოვო პირდაპირ ველიკის კნიაზსა, ანუ მირსკის, ჩასასას, რომ რამდენიმე ბატალიონი ეხლავ მოგაშველონ, თორემ მაგისთანა ვაჭარი ქალაქი გაოხრდება და მასუკან კორპუსიც ველარ აღადგენს. ნუხა რომ წახდეს, მინა გაჩაურის პერეპრავაც შეიკვრის და შედგება ეს ვეება ტრანსპორტებით მოზიდვა ჯარებისათვის პურისა და მასთან ყო-

ველივე ვაჭრობა, ფოშტები და სხვანი. ჩაც შეგეძლოს მან-გაჩაური გაამაგრე და შეინახე, თორებ დიდად ძნელს მდგომა-რეობაში აღმოჩნდება ეს მხარე და მასთან ეს ვეება ჯარე-ბიცა!“*)

ზიკინისა და ქიზილ-თაფის სისხლი ჩვენმა ჯარმა აიღო სეკდემბრის თვეში ავლიართან და დევე-ბოინუს. რუსის-ჯარმა ამ აღგიღებში სულ მთლად დაამარცხა მუქთარ-ფაშის ჯარი.

„... Трудно представить—сказало პოეტу ბარბარე თბელია-ნове—какая искренняя радость разлилась по всей Христіанской Грузии при известии о уничтожении армии Мухтара-Паши, когда послѣ долгихъ томительныхъ ожиданий, съ арсенальскихъ высотъ раздались пушечные выстрелы, возвѣстившіе Тифлису о блестящей побѣдѣ нашей славной Кавказской арміи! Загудѣли колокола въ церквяхъ; крыши домовъ покрылись женщинами; амкары со значками, генералитетъ, чины гражданскіе, дамы, народъ, повалили къ Сионскому собору, гдѣ Экзархъ торжественно совершилъ молебствіе и тяжелое бревно тоскливой неизвѣстности свалилось съ груди нашей. Полетѣли телеграммы отъ меня во всѣ концы Кавказа и вездѣ заликовалъ православный народъ. Богу единому благодареніе! Еще одна такая побѣда подъ Плевною и миръ желанный предстанетъ съ своимъ свѣтлымъ, все успокаивающимъ лицемъ“.*)

„ძნელია წარმოსადვერა გაო, — სწერს პოეტი ბარბარე თბელიანისან, — მუხთარ-ფაშის მხედრობის დამარცხებისა და გაწყვეტის ამბავმა რა გულწრფელი სიხარული მოჰყინა მთელს საქრისტიანო საქართველოსა, როდესაც დიდის წნის გულგადამლევ ლადინის შემდგომ აზენალის სიმაღლეებიდამ ზარბაზნის წმა გაისმა და ტფილის ჩვენის კავკასიის მხედრობის ბრწყინვალე გამარჯვება ეუწყა! საყდრებში ზარებმა მორთეს გუგუნი; სახლის ბანები დეჭაკაცებით გაივსო; ამქრები თავისის დრო-ზებით, გენერლობა, სამოქალაქო სამსახურისანი, მანდილოსნები და ზალხი ცველდა სიონის ტაძარისაკენ გაეშურა, სადაც ექსარხოსმა სადღესა-წაულო პარაკლისი გარდაიხდა და მოკვეშვა ცველას გულიდგან მძიმე

*) წერილი 1877. რიცხვი არ არის.

*) წერილი 8 თებ. 1877 წ.

ლოდიფით ნაწოლი რაღაც რამ მოსაწყენი გაურკვეველობა. ვაჭრონე კაფ-
კასიის ყველა მხარეს დეპტეპი და მართლ მაღილებელი ერი უველგან
სიხარულსა და შევებას მიეცა. მაღლი ლმერთსა მხოლოდ ერთსა. ერთი
ასეთი გამარჯვება კიდევ პლევნასთანა და სასურველი მშვიდობიანობა
თავისის ნათლით შოთოლის, დამამშვიდებელის სახით წინ დაგვიდგინა.„

პლევნაც დაეცა 28 ნოემბერს. პლევნაზე აღრე დაეცა
მცირე-აზიის ბურჯი და იმედი ყარსი. მალე დამარცხდა სუ-
ლეიმან ფაშის ჯარიც ფილლიპოპოლთან და ჩვენნი ლაშქარ-
ნი დაუახლოვდენ სტამბოლს. მეტი საშველი არ იყო: ან უნ-
და სტამბოლი აეღო რუსის მხედრობას, ან უნდა ზავი ეთხოვა
ოსმალს. ინგლისის გავლენამ საქმე ზავზე მოაგდო. თებერ-
ვლის თვეში, 1878-ს, სან-სტეფანოს პირობით ომი შესწყდა
და ბერლინის ტრაკტატმა, სხვათა შეძენათა შორის, შემოუერ-
თა რუსეთს... არდაგანი, ყარსი, ბათუმი, ე. ი. თითქმის ყვე-
ლა ის ადგილები, საცა ესახლა ოსმალოს ქართველობა. ძვე-
ლი თამარის სამეფო ხელ-ახლა ერთს სკიპტრას ქვეშ შეაერ-
თა გზა-შეუგნებელმა მსოფლიო ისტორიამ!

„ასე, ჩემო სოფიო—სწერდა პოეტი სოფიო ორბელიანი-
საცა:—უკეთილ-მსახურესის დიდის იმპერატორის ძლიერებაშ დაპ-
სცა საუკუნოდ მაჰმადიანობა, დაუძინებელი მტერი ქრისტია-
ნობისა და ჩვენნი ძმანი, ძველი ქართველნი, აჭარა, ლივანა,
ქობულეთი ბათუმით განათავისუფლა ოთხ-ასის წლის ტყვეო-
ბიდამ და შეაერთა დედა-საქართველოსა, და აღსრულდა იგი
სასწაული, რაცა არა გვეგონა! აღსრულდა დიდი საისტორიო
საქმე სახსოვრად საუკუნეთათვის, რომლისა შემდეგსა ეხლა
ვერ მიხვდება გონება კაცისა და არის ხილული მხოლოდ მის-
თვის, ვისისა ნებითა ჰბრუნავს სოფელი ესე, და ყოველი მას-
შინა მსოფლიო მიღის დანიშნულ მისგანვე გზაზე! მილლიონ-
ნი ქრისტიანენი განთავისუფლდნენ! გაოცებას შეუპყრივარ
და ვამბობ მხოლოდ ეს რა ამბავია? დიდება მაღალთა შინა
ლმერთსა, დიდება მართლ-მაღილებელსა, მსახურსა მისსა, ჩვენ-
სა კელმწიფესა“ *).

*) წერილი 24 აგვ. 1878 წ.

ძლეულთა და ჩაგრულთა მოსაჩილე ნემეზიდამ აიღო სა-
ქართველოს სისხლი! რაც მაჰმადიანთა უწყალებიათ მართლ-
მადიდებელნი, ქართველნი მაგიერი ეხლა ემართებოდათ ცრუ-
წინასწარმეტყველის თაყვანის-მცემელთა. მუქთარ-ფაშის დამარ-
ცხების შემდეგ პოეტი სწერდა პრინცესსა სალომე მიურატს:

„... ყოვლად მოწყალემან ღმერმან... მისცა ძლევა ჩვენს
ჯარსა და შეიმუსრა მტერი ქრისტიანობისა და საკუთრივ ჩვე-
ნი, ჩვენის საქართველოსი, რომლისა სისხლი ჯერ კიდევ ბევ-
რი აძევს ოსმალსა და მარტო ამ დამარცხებით ვერ გადაიხდის
ჩვენს სისხლის ვალსა! ათასი წელიწადი ებრძოდნენ მაჰმადიან-
ნი პატარას საქართველოს. რათა? რას ვართმევდით? მართა-
ლია, ჩვენ გაგვაოხრეს, მაგრამ არცა თუ თვითონ გაიხარეს!
ჩვენ ვიყავით მიზეზნი, რომ რუსეთმა წაართვა სპარსეთსა ერე-
ვანი, ნახევანი, ყარაბაღი, თალიშის სახანი, შაქი-შირვანი,
ბაქუ-დერბენდი და ყუბა; ოსმალებსა—ახალ-ქალაქი და ახალ-
ციხე და ახლა მესამედ ართმევენ ყარსსა. აქედამ დაინახვთ,
რომ ჯერ ოსმალო არის კიდევ მოვალე ჩვენი! აი, როგორ
ძირდასია ქართველების წმინდა სისხლი“**)

როდესაც, ომის შემდეგ, ოსმალოს საქართველოდამ მოვი-
და ქალაქს დიდ-მთავართან დეპუტაცია—ხიმშიევნი, აბაშიძე-
ნი, ბეჭანიშვილები—და ჩვენმა თავად-აზნაურობაშ სადილი
გაუმართა იმათ, პოეტმა შემდეგის სიტყვებით მიმართა სადილ-
ზე მყოფ ქათველ საზოგადოებას:

„ბატონებო!

„რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხა-
რიან? რასა ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოგვიდგენს სა-
სიხარულოს მას სანახავსა, როდესაც ერთის დედისა შვილნი,
შავის ბედისა გამო განუორებულნი, დიდს ხანს ერთმანეთისა-
თვის დაკარგულნი, ანაზღეულად, მოულოდნელად შეხვდენ,
იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადის სიყვარულითა.

„ჩვენც ეგრეთვე—საქართველოს შვილნი—ვიყავით და-
კარგულნი ერთმანეთისათვის საუკუნოების განმავლობაში; ბევ-

**) წერილი 12 ოქტ. 1877 წ.

რი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, მაგამ მაინც-კი არ დაგვიწყებია დაშორებულნი ჩვენი ძმები. თვალი, გული გვეჭირა ოქვენკენ, ბატონებო, და ვინატრი-დით, როდეს აღმოვა ჩვენი მზე შეერთებისა!! (გაცხარებული ფაშის ქერქა).

„და გვისმინა ღმერთმაცა და დღეს ჩვენ შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმებთა. მოხარულნი, ვმაღლობთ უფალსა და ვევედრებით, რათა შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნიოთი უკუნისამდე შეურყეველად! და დღეს იქით ლხინშიაც, ჭირშიაც უნდა ვიყვნეთ ჩვენ ერთად, ვითარცა შვილნი დედა საქართველოისა!!.“ *).

პოეტს იმედიც დიდი ჰქონდა, რომ რუსეთს ვერავინ წაარმევდა შეერთებულს საქართველოს, მხოლოდ შიშობდა, რომ ახალი პროვინციის მმართველებს ვერ ეპატრონათ კარგად ხალხისთვის და ამისგამო ხალხი თითონ არ აყრილიყო და არ წასულიყო თსმალეთს, რაზედაც იმას ჰქონდა უფლება პერლინის ტრაკტატის ძალით.

„ დიდად მეშინიან — სწერდა პოეტი თ. ლევან მელიქოვს, — რომ აჭარაში არ დააფუძნონ ჩვენი მიროვოის სუდები და არ აღჩნდეს ახალს შეუჩვეველს ხალხში მეუფება ჩინოვნიკობისა, როგორც აფხაზეთში, სადაც დაამტკიცეს, რომ მიწა ეკუთვნის გუშინდელს იქ შესულს ხაზინას და არა იმ ხალხსა, რომელიცა იქა მკვიდრობს ნოეს დაბადებიდამ! ნეტავი დაღესტნის ჭორმა უპრავლენისა იქ შეიტანონ, თუ უნდათ ხალხის დამშვიდება და კეთილ-დღეობა“ **).

მოხუცი პატრიოტის შიში, საუბედუროდ, მალე განხორციელდა. თითქმის მთელი ყარსის მაზრა წავიდა თსმალეთს.

„... Въ настоящее время — сწერდа პოეტი დ. ი. მიხეკის — Карсская область представляет печальную картину опустѣнія. Болѣе 200 т. душъ выселились въ Турцію. Стыдно, отъ насть, какъ отъ зачумленныхъ, бѣгутъ народы! Зачѣмъ-же

*) „დროება“ № 1878 წ.

**) წერილი 5 სეպ. 1878 წ.

проливаемъ столько крови, покоряя ихъ! Гдѣ-же та прославленная Русско-гуманная цивилизациѣ и, еще болѣе, русская наука, о которыхъ такъ много глагольствуютъ наши публицисты? Къ пустынѣ они не примѣнимы а жителей мы изгоняемъ! Въ Аджаріи также сильное броженіе умовъ, и все это приписывается фанатизму. Какое ослѣпленіе. Причина очень видима. Старикъ Эристовъ говоривалъ: „не умѣніе и не желаніе соединена.“ *)

„ამ ფამანუ—სწერდა პოეტი დ. ი. გირსის, —ყარსის ოლქი წარმოადგენს სამწუხარო სურათს მოთხებისას. 200 ათას სულზედ მეტი თვემათ ლეთში გადასახლდა. სირცვილია ჩვენთვის, რომ, ვთ გირიანებს, ვაგვირბის ხალხი! მაშ, ამდენს სისხლს რაღასთვისა ვდგრით, რად ვიმორჩილებთ! სადღა ის სახელ-განთქმული რუსული ჰუმანიური ცივილიზაცია, ან რუსული მეცნიერება, რომლების უესახებაც ჩვენი ჰუბლიცისტები ასე ბევრს ლაპარაკობენ. უდაბნოებს, აბა, რაზი გამოადგებათ და ხალხს-კი ველალებით! აჭარაშიაც დიდი უკმაყოფილებაა და ყოველსავე ამას ფანატიზმს ამინებენ. რა სიბერეა. მიწეზი თვალითა სჩანს კარგათა. შობუცი ერთსთავი იტყოდა ხოლმე: „არ ცოდნა და უნდობლობაა ერთად შეერთებულით“.

ყარსის მაზრას შივუვა აჭარაც.

.... Князь Леванъ уѣхалъ—სწერდა გრიგოლი ბაზარე მხედველინისა—для обозрѣнія батумской области, откуда выселяется почти все населеніе. Такъ, отъ нашего управлениѣ бѣгутъ всѣ народы: Крымъ давно опустѣлъ; Абхазія также; опустѣла Карсская область; теперь очередь доходитъ до Аджаріи, древней коренной Грузіи, въ которой досихъ-поръ остался грузинскій языкъ въ своей чистотѣ, гдѣ досихъ-поръ продолжается не прерываемая связь родства, со-сѣдства, дружбы съ жителями Гуріи и Имеретіи; существуютъ тѣ-же древнія грузинскія фамиліи; существуетъ глубочайшее уваженіе къ древнимъ церквамъ, въ которыхъ по-коятся многіе изъ нашихъ царей, не взирая на то, что жители давно приняли магометанскую религию. Грустно, но факты на лицо“ **).

*) წერილი 25 ივნ. 1880 წ.

**) წერილი ნოემბრ. 1880 წ.

„... თავადი ლევანი ბათუმის თლქის დასახედავად წავიდა, საიდგანაც თითქმის მთელი ხალხი აპირებს გადასახლებასაო,—სწერდა გრიგოლი ბარბარე ირბელიანისას.—ასე გაურბიან ჩვენს მართვა-გამგეობას ყველანი: ყირიმი დიდიხანია დაუალიერდა; ასახეთიც აგრძვე; დაუალიერდა ა გატიელდა ყარსის თლქი; რიგი ახლა აკარაზე მიდგა, ამ უძველესს საქართველოს ნაწილზე, რომელზიაც დღემდის არის წმინდაც ქართული ენა შენახული, სადაც დღემდის არ მოსპობილა ნათესაობრივი, მეზობლური და მეგობრული კავშირი საქართველოსა და იმერეთის მცხოვრებლებთანა; ძველი ქართული გვარები ისევე მოიპოვება, ძველს ეკკლესიებს, სადაც განისვენებენ ჩვენი მრავალი მეური, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია მაჰმადის სარწმუნოება მიიღეს, ხალხი ლრმად პატივს სცემს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტი-კი უტყუარია“.

პოეტის სამუდამო საჩივარს თავად-აზნაურობის დაცემაზე ამას შემდეგ დაერთო ეს ხალხის აყრაც ახალ შემოერთებულ პროექტიციებიდამ. ვერ მოხერხდა სრულად დროებისგან გან-შორებულთ ძმათა ქართველთა ერთად შეყრა! მაგრამ ოამარ-მფის სამეფო ხომ შეერთდა, ერთი წილი მოსახლობისა ხომ. ედარჩა? ესეც დიდი ნუგეში იყო მისის მოხუცებულობისთვის ამას შემდეგ მხცოვანი პატრიოტიც მზად იყო ეთქვა ქვეყნის-თვის თვისი „აწ განმიტევე მონა შენი...“ მაგრამ მხველრი არ უჩქარიდა პოეტის სიკოცხლეს.

o. მეუნარგზა.

შინაური მიმოხილვა

ნადელების საგალდებულო გამოსყიდვა.—ხალხის განათლება და სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველოები.—ქართველი, ვითარება თავის დედა-ენის მოყვარე და ჭირისუფალი.

უკანასკნელ თვეებში ამ ჩვენს თვიურ „მიმოხილვა“-ს ერთი თვალსაჩინო ნაკლი დასჩემდა: მან უფრო გამოკვლევის ხასიათი მიიღო და თანამედროვე მიმდინარე ცხოვრებას დაშორდა. ამ მოვლენას, მართალია, თავისი გასამართლებელი მაზეზი აქვს: ჩვენი ცხოვრება მეტად ლარიბია „მოვლენებით“ და ისეთ საყურადღებო ამბებით, რომლებიც ღირსი იყოს „მიმოხილვა“-ში აღნიშვნის და განმარტებისა. მაგრამ, მეორე მხრით, ეს გარემოება საკმაო საბუთი არაა მომდინარე ცხოვ- რების დასავიწყებლად და უყურადღებოდ დასატოვებლად. რაც უნდა ლარიბი იყოს ჩვენი ცხოვრება, მასში, დროგამო- შვებით მაინც, ადგილი აქვს ისეთ ამბებს და მოვლენათ, რო- მლებიც კალმოსანმა მეთვალყურემ უეჭველად უნდა შენი- შნოს და ერთად აკინძული გააცნოს მკითხველ საზოგადოებას. ამ სახით, ჩვენ გვესმის ჩვენი დანაშაული... და რომ იგი კიდევ უფრო არ გავზარდოთ და დიდად არ გავხადოთ, გვინდა ეხ- ლა მაინც გავიხსენოთ მიმდინარე ცხოვრების მსვლელობა და ზოგიერთ მნიშვნელოვან ფაქტებზე მივაქციოთ მკითხვე- ლის ყურადღება.

წარსულ თვეში მთავარ-მართებლის საბჭოს ერთ ფრიად საყურადღებო საგანზე ჰქონდა მსჯელობა და თაობირი გამარ-

თული. ეს საგანია დროებით ვალდებულ გლეხთა სანადელო მიწების გამოსყიდვის მოწყობა და ძველ ბატონ-ყმურ ურთი ერთობის მოსპობა. მთავრობას განუზრახავს, საბოლოოვოდ მო- აწყოს ჩვენში ნადელების გამოსყიდვის საქმე. მთავარ-მართე- ბლის საბჭოში მიწვეულნი იყვნენ მაშინ, გარდა სხვა და სხვა დაწესებულებათა მოხელეებისა, ჩვენი მემამულენიც. ბჭობა, რომელსაც უფრო აღმინისტრატიულ-ფარული ხასიათი ჰქონ- და და გარეშე, არა მიწვეულნი, პირი არ დასწრებიან, ორ კვირამდის გაგრძელდა. აქ შეგროვებული მასალა და ადგი- ლობრივ მთავრობისაგან მიღებული გადაწყვეტილება წარდგე- ნილია პეტერბურგში უმაღლეს მთავრობასთან დასამტკაცებ- ლად. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვიცით, თუ რა გადაწყვეტი- ლება მიიღო კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭომ და არც ის, თუ როგორ შექვედავს და როგორ მოაწყობს ამ საგანს უმაღ- ლესი ინსტანცია. ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ამ უამად მთავრობა ჩვენი გლეხობისთვის ერთ მეტად დიდმნი შვნელოვან საკითხს ეხება და რომ ამ საკითხის ასე თუ ისე გადაჭრა და გადაწყვეტა მოკლე ხანში მოხდება.

თუმცა ორმოცი წელიწადია, რაც ჩვენში ბატონ-ყმობა მოისპო, მაგრამ დღესაც გლეხების ნადელება გამოუსყიდველია და ყმობისგან განთავისუფლებულ გლეხთა უმრავლესობა თავ- დაუხსნელია. განსაკუთრებით ტფილისის გუბერნიაში გლეხე- ბის სულ მცირე ნაწილს აქვს თავისი ნადელები გამოსყიდუ- ლი, — უმრავლესობას ისევ ძველებურად „ბატონი“ ჰყავს და მას აძლევს მიწის განსაზღვრულ მოსავალს. ბატონ-ყმობის გა- დავარდნის შემდეგ „უსტავნი ღრამოტები“ დაურიგდა აქ 14506 კომლ (59626 სულს) გლეხს. ნადელად მიეცა მათ 56210 დესეტ. მიწა. აქედან 1865—1890 წლებში გლეხებმა გამოისყიდეს, ზოგი თავისი ძალ-ლონით (1304 დესეტ.) და ზო- გიც სახელმწიფოსაგან აღებულ სესხის საშუალებით (12266 დესეტ.), სულ 13570 დესეტ. ზოგიერთ შემთხვევაში გლე- ხები მებატონეს მამულს უყოფლენენ და ამ სახით, ნაცვლად ფულისა, ბატონს ნადელის წილს აძლევდნენ. 1890 წელს

ტფილისის გუბერნიის დროებით ვალდებულ გლეხებს 12014 დესეტ. ანუ სულ მთლიად სანადელო მიწების 73% ჰქონდათ გამოუსყიდველი (იხ. ცნობი. სტატისტ. დანი. ი. მ. ტ. დ.). სხვა წყაროში გლეხების ნადელი უფრო მცირე სივრცისად არის ნაჩვენები. სახელდობ ტფილისის კომიტეტი, შემდგარი შარშან სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა გამოსაკვლევად, ამ გუბერნიის გლეხებისათვის ნადელიად მიცემულ მიწების სივრცეს 52483 დესეტინით აღნიშნავს და ამბობს, რომ 1901 წლამდის მხოლოდ 3475 კომლმა გლეხმა გამოისყიდა ნადელი სივრცით 15124 დესეტინათ (29%) და გამოუსყიდველი დარჩა 37363 დესეტინათ (71% იხ. ტრუდი მწესობლივ კომიტეტის, კავკაზის კრაი, გვ. 461). როგორც ხედავთ, დროებით ვალდებულ გლეხთა დიდალი უმრავლესობა თავდაუხსნელია ტფილისის გუბერნიაში.—მართალია, ქუთაისის გუბერნიაში დროებით ვალდებულ გლეხთა უმრავლესობამ უკვე გამოისყიდა საკუთარის ძალ-დონით, მთავრობის დაუხმარებლიდ, ნადელები და გახდა მესაკუთრე, მაგრამ აქაცია დღეს თვალსაჩინო რიცხვი გლეხებისა, რომლებიც ჯერ კიდევ თავდაუხსნელნი არიან. 1901 წლის დამდეგს ამ გუბერნიაში იყო 22 ათასი კომლი ვალდებული გლეხი, რომლებსაც დაახლოვებით 70 ათასი დესეტინა მიწა ჰქონდათ მებატონეებისაგან გამოსასყიდავი (ტრუდი, გვ. 221).

ამ გვარად, 40 წლის განმავლობაში ქართველმა გლეხთბამ ვერ მოახერხა ნადელების შესყიდვა, მებატონეებისაგან. თავის დახსნა და ბატონყმურ ურთიერთობისგან განთავისუფლება. ეს გარემოება, რასაკვირველია, დიდად აფერხებს საერთოდ სასოფლო მეურნეობის განვითარებას და კერძოდ გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებას. ყველამ იცის, რომ მშრომელი მხოლოდ მაშინ მოეკიდება წარმოებას მუყაითად და ეცდება წარმოების განკარგებას, როცა დარწმუნებულია, რომ შრომის გადიდებული ნაყოფი მასვე დარჩება და არა სხვას. დღეს კი გლეხი სანადელო მიწაში მეოთხედს აძლევს მებატონეს და იცის, რომ რამდენადაც მეტად გააჩაუთვიერებს იგი მიწას და

შეტოვლს ჩაღვრის ნიადაგში, იმდენადვე შეტი მოსავალი უნდა ერგოს ბატონს თავის მეოთხედში. ადვილი გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში იგი არ ეცდება ნიადაგის გაპოხიერებას და კულტურის გაუმჯობესებას. ეს აზრი ნათლად და გარკვევით გამოსთქვეს შარშან ტფილის-ქუთაისის კომიტეტებმაც. „ერთ დაბრკოლებად ზოგადი ხასიათისა,—სწერს ტფილისის კომიტეტი, —რომელიც ხელს უშლის სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებას ტფილისის გუბერნიაში, უნდა ჩაითვალოს დროებით სავალდებულო ურთიერთობა, რომელიც არსებობს მემამულეებსა და გლეხებს შორის“ (Труды, გვ. 461). „ნადელის სიმცირე, —სწერია ქუთაისის კომიტეტის მოხსენებაში (გვ. 231), — სრული დამოკიდებულება მებატონისაგან, რომლის ნება დაურთველად დროებით ვალდებულ გლეხს არ შეუძლია მოსავლის მოგროვება, და ძალიან დიდი გადასახადი შემამულის სასარგებლოდ ისეთ პირობებში აყნებენ ამ კატეგორიის გლეხთა შრომა-მოქმედებას, რომ მეურნეობაში რაიმე თვალსაჩინო გაუმჯობესების შეტანა არა თუ შეუძლებელია, არამედ საზარელოცაა. იმ ვითარებაში, როგორმიაც იმყოფება ამ ჩვენს გუბერნიაში სანადელო მიწების გამოსყიდვის საქმე, ასეთი გაუმჯობესება, რომელსაც დროებით ვალდებულმა გლეხმა უნდა მოახმაროს თავისი დაზოგვილი ფული და ენერგია, მემამული-საგან სრულიად მონაწილეობის მიუღებლად, გამოიწვევს შესამჩნევად გამოუსყიდველ სანადელო მიწებზე ფასების აწევას და ამით გააძნელებს ნადელების გამოსყიდვას. იმის გამო, რომ ამ უკანასკნელ წლებში მიწა შესამჩნევად გაძვირდა და მეორე მხრით ნიადაგი გამოიფიტა და ვენახები ფილოქსერისაგან განადგურდა, ნადელების გამოსყიდვა ყოველ წლობით უფრო და უფრო მცირდება. 1897 წლამდის საშუალო რიცხვით ყოველ წელიწადს თავს იხსნიდა 1100 კომლი გლეხი, მას შემდეგ კი თავისუფლდება მხოლოდ 558 კომლი. სულ 30 წლის განმავლობაში ნადელები გამოისყიდა დაახლოვებით გლეხების 50%-მა, რომელიც უფრო შეძლებულოთ. წრეს ეკუთვნიან, და, უკველია, სხვები, თუ მთავრობა არ დაეხმარა მათ, კიდევ

დიღხანს დარჩებიან ნახევრად ყმების მდგომარეობაში, რომელიც აღუნებს და აღამბლავებს აღამიანის საეკონომიო ენერგია-თვითმოქმედებას“. ამიტომ თავიანთ მოხსენებებში ორივე კომიტეტმა ის აზრი გამოსთქვა, რომ მთავრობამ დაადგინოს ნადელების სავალდებულო გამოსყიდვა და მისცეს გლეხებს ამისთვის საჭირო სესხი და დახმარება.

და წარსულ თვეში სწორედ ამ საგნის შესახებ ჰქონდა მთავარ-მართებლის საბჭოს მსჯელობა, რომ ეხლა არსებული დამოკიდებულება დროებით ვალდებულ გლეხებისა მებატონეებისაგან მოისპოს და გლეხები გახდნენ მესაკუთრეებად. მთავრობას გადაუწყვეტია მოახდინოს ნადელების სავალდებულო გამოსყიდვა, მისცეს მემამულებს ნადელის ფასი და გლეხები თვითონ გაიხადოს განსაზღვრულის ხნით მოვალეებად. ეს იქნება სესხი, მიცემული გლეხებისთვის მებატონეების გასასტუმრებლად. მთავრობა ჩააბარებს მემამულეს მიწის ფასს და ამ ფულს გლეხს დაწერს ვალად. გლეხმა, რომელიც ამის შემდეგ „მესაკუთრე“ გახდება, ეს ვალი უნდა იხადოს წლიურად და 49 წლის განმავლობაში თავნიც და სარგებელიც უნდა გაასწოროს მთლად.

ნადელების სავალდებულო გამოსყიდვის დადგენის დროს მთავარ საგანს შეადგენს მამულის დაფასება და ამ დაფასების კვალობაზე „განთავისუფლებულ“ გლეხების დავალიანება. ამ რეფორმის მოწეს-რიგებაში უაღრესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ რა ლირებულობისად იქნება დესეტინა მიწა ცნობილი და, მაშასადამე, რა ვალი ექნებათ განთავისუფლებულ და მესაკუთრეებად გამხდარ გლეხებს გადასახდელი. ცხადია, მამულზე დადებული ფასი უნდა შეესაბამებოდეს მიწის ნამდვილ შემოსავლიანობას, რომ გლეხმა შესძლოს ამ შემოსავლით წარმოებაზე გაწეულ ხარჯების დაფარვა და მებატონის გასასტუმრებლად აღებულ სესხის სარგებლის გასწორებაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ნადელების სავალდებულო გამოსყიდვის დაწესება მას არავითარ სარგებლობას არ მოუტანს,—

პირ-იქით, ხაზინიდან აღებული სესხი აუტანელ ტვირთად და-აწვება და მისი გალატაკების მიზეზად გახდება.

სამწუხაროდ, ბევრი მემამულე ამ გარემოებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მებატონე დაინტერესებულია, მიწაში, რაც შეიძლება, მეტი ფასი შიიღოს და იმას-კი აღარ დაეძებს, თუ რა შედეგი მოჰყვება ამ გარემოებას დავალიანებულ გლე-ხებისათვის. ამ ტენდენციამ იჩინა თავი შარშან როგორც ტფი-ლისის, ისე ქუთაისის კომიტეტში, სადაც მემამულებს და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებს ბჭომა და მსჯელობა ჰქონდათ გამართული სასოფლო მეურნეობის სა-კიროებათა შესახებ. „მთავრობას,—სწერს ტფილისის კომი-ტეტი,—ძალიან მცირე სესხი აქვს დანიშნული გამოსასყიდ მამულზე მისაცემად,—15 მან. ურწყავ დღიურზე და 30 მან — სარწყავზე. ეს ნორმა, რომელიც დაწესებულია 40 წლის წი-ნად, არ შეესაბამება მიწის ეხლანდელ ფასებს... ამიტომ სექ-ცია აუცილებელ საჭიროებად უთვლის, გადიდებულ იქნას ნადელების გამოსასყიდად მთავრობისაგან ასაღებ სესხის ნორ-მა, თანახმად მიწის გადიდებულ ლირებულობისა“ (გვ. 461). ასეთივე აზრი გამოსთქვეს ქუთაისის გუბერნიის მემამულეთა წარმომადგენლებმა თავის მოხსენებაში, რომელიც მათ ქუთა-ისის კომიტეტში შეიტანეს. „ნადელების გამოსყიდვის დროს,— სწერენ ისინი (გვ. 249),—მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს სანადელო მიწებზე არსებული ადგილობრივი ფასები... მიწების დაფასების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ არა იმ სარგებლობით, რომელსაც მიწა დღეს იძლევა, არამედ იმ შე-მოსავლით, რომლის მოცემა მას შეუძლია, თუ მხედველობაში მივიღებთ საზოგადოდ მიწის სიმუირეს და ჰავის პრობებს“ და სხვა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მემამულენი თხოულობენ: სავალდებულო გამოსყიდვა ნადელებისა მოახდინეთ, მხოლოდ გამოსასყიდი შიწა დღევანდელ საბაზრო ლირებულობის კვა-ლობაზე შეაფასეთ და ფასიც ამის თანახმად მოგვეცითო. მკითხველი, იმედია, მიმხდარია, რომ ასეთი მოთხოვნა მხო-

ლოდ მემამულეთა ვიწრო ეკონომიურ ინტერესს შეეთანხმება და სრულებით მხედველობაში არ იღებს გლეხებისას. საქმე ისაა, რომ დღეს ჩვენში, ხალხის გამრავლებისა და მიწის სიმცირის გამო, ძალიან დიდად ფასობს მიწა. ხშირად ერთი ქცევა მიწის ფასი იმარეთში 500 განეთს აღემატება. ეს ისეთი ფასია, რომელიც სრულებით არ შეეფერება მიწის მოსავალს და სარგებლიანობას. ცხადია, თუ მემამულეთა ასეთი მოთხოვნა მართლა დაკმაყოფილებულ იქმნა და ნადელი დღევანდელ საბაზრო ღირებულობის კვალობაზე შეფასდა, გლეხები სამუდამო ვალში ჩაცვივიან, აღებულ სესხს ვერ გადაიხდიან და ამიტომ ამგვარ პირობით თავის დახსნას მათი სრული გაპროლეტარება და სოფლიდან აყრა მოჰყვება შედეგად.

ჩვენ არ გვაკვირვებს, რომ იმერეთის მარშლებმა მარტო მემამულების ანტერესი გაიხსენეს და ქუთაისის კომიტეტში მარტო აზნაურთა სასარგებლოდ იღაპარაკეს. გვაკვირვებს უფრო ის, რომ თავ. ადრია ერისთავიც, რომელიც უფრო დემოკრატიულ იდეების მომხრე გვეგონა, ხსენებულ მარშლებსავით ვიწრო წოდებრივ მოთხოვნილებათა ქომაგი ყოფილა. იმ კერძო მოხსენებაში, რომელიც მას მთავარ-მართებლის საბჭოში შეუტანია და ამ დღეებში გაზ. „Нов. Оნозр.“-ში (№6747) იყო დაბეჭდილი, იგი ამბობს, სხვათა შორის: ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ დროებით ვალდებულ გლეხებს სასახლ-კარო მიწაში ქცევაზე ვ მანეთის გადახდა დაევალათ მებატონის სასარგებლოდ. თუ ეხლა ამ მიწებისაც სავალდებულო გამოსყიდვა დაწესდა და მემამულეს მიწის ფასად ვ მანეთის 6%-იან კაპიტალიზაციის კვალობაზე მიეცა ფული, წაგებული იქნება, რადგან ვ მანეთი ქცევა სასახლ-კარო მიწაზე ძალიან ცოტა არისო. ვ მანეთის რენტის მიხედვით დესეტინას უწევს ფასად 122 მან. ეს ფასი თავ. ან. ერისთავს მცირედ მიაჩნია იმ მიწაში, რომელიც გლეხის სამუდამო ნადელს შეადგენს და რომლისთვისაც ეს უკანასკნელი, გარდა რენტის გადახდისა, საუკუნეების განმავლობაში მებატონეს ემსახურებოდა. მეორე ადგილას მოხსენების ავტორი ამბობს,

რომ ნადელების შესაფასებელად ზოგიერთ შემთხვევებში შეიძლება ვიხელმძღვანელოთ მიწის ეხლიანდელ საიჯარო და საბაზრო ფასებით. ეს იხას ნიშნავს, რომ მთავრობამ ისეთ დიდ ფასებში შეაფასოს მიწა, რომელიც დაფუძნებული არაა მამულის მოსავლიანობასა და საეკონომიო წარმოების საფუძველზე, მაშასადამე, გლეხებს მებატონების გასასტუმრებლად დიდი სესხი მისცეს და შეუფერებლად დაავალიანოს...

სამართლიანად შენიშნავს ამის გამო თავ. ან. ერისთავი „HOB. 0603р.“-ს რედაქცია: „ჩვენ გვგონია, —სწერს იგი, —რომ საგლეხო ნადელების შეფასება ამ წესით არ შეიძლება. ნადელების გამოსყიდვა გადაწყვეტილია 40 წლის წინად, როცა მოხდა გლეხების განთავისუფლება. მაშინვე განსაზღვრულ იქმნა გამოსყიდვის საფუძველი, წესი შეფასებისა და აგრეთვე თვით ფასი მიწისა. საკუთრების უფლება სანადელო მიზებზე, ასე ვთქვათ, მხოლოდ სახელიად შერჩა მემამულების. მხოლოდ შემთხვევით, მომრიგებელ შუამავლებისა და საგლეხო ცენტრალურ დაწესებულებათა უნაყოფო მოქმედების წყალობით, ნადელების გამოსყიდვა გაგრძელდა დიღხანს. ამსთან საბაზრო ფასები და საიჯარო გადასახადი ამ 40 წლის განმავლობაში გაიზარდა საარაკო ზომამდის. საჭიროა ისეთი ფასები იქმნას დადგენილი, რომლის გადახდასაც შესძლებენ გლეხები. არა თუ გადიდება, ის მიწებიც კი, რომლებიც შეიძინეს გლეხებმა 20—30 წლის წინად გამოსყიდვის „ნაკაზით“ დადგენილ დაბალ ფასებში, დაყურულია ნედოიმკებით და ძლივს-ძლივობით ახერხებენ გლეხები მათს შენარჩუნებას. საჭიროა, გამოსყიდვის ისეთი ფასი იქმნეს დაწესებული, რომ გლეხისთვის რაიმე სარგებლობას შეადგენდეს გამოსყიდულ მიწის შენარჩუნება. რას მოიგებს მეტამულე, რომ გლეხი მიატოვებს თავის მიწას და სოფლიდან გაიქცევა საგარეო სამუშაოზე?“

ერთის სიტყვით, ნადელების ლირებულობის გამოთვლისა და ფასების დადგენის დროს დიდი სითრთხილეა საჭირო, რათა შეფასება მიწის ნამდვილ სარგებლიანობასთან იყოს შეთანხმებული და აღებული სესხი გლეხებს სამუდამო და უძ-

ლეველ ვალად არ დააწვეს კისერზე. აქ მომხდარი შეცდომა გაუსწორებელი შეცდომა იქნება, — გლეხი ვერ მოახერხებს ვერც მიწის დაბრუნებას მემამულესათვის და ვერც შეუფერებელ ვალისაგან განთავისუფლებას. თუ მიწის მოსავალმა ვერ გაასწორა სესხის სარგებელი, მას თან და თან ნედოიმკები და ამ ნედოიმკების გაზრდილი სარგებელი დაეწერება. და ბოლოს, ვინ იცის, იქნება მან სულაც ვერ შესძლოს ვალის გადახდა, — „გამოსყიდული“ მამული ხაზინის ხელში გადავიდეს და თვითონ გლეხი გაპროლეტარდეს, — დარჩეს უმამულოდ და თავის კარიელ მკლავის ანაბარად. ხაზინა კი თავის მიწაზე იმას დაასახლებს, ვინც მას მოესურვება და ვისი დასახლებაც მის მიზანს შე-ეთანხმება...

თუ რა ცუდი შედეგი მოჰყვება გლეხებისათვის, თუ ნა-დელი დიდ, მიწის მოსავლიანობასთან შეუთანხმებელ ფასებში იქმნა შეფასებული, ამის მაგალითს გვიჩვენებს რუსეთი, სადაც აგერ ოც წელიწადზე მეტია, რაც ნადელების სავალდებულო გამოსყიდვა არის დაწესებული. რეფორმის შემოღების დროს მთავრობამ მიწას, მემამულეთა სასარგებლოდ, დიდი ფასი და-ადვა და გლეხები შეუფერებლად დაავალიანა. გლეხებმა ვე-ლარ შესძლეს აღებულ სესხის სარგებლის გადახდა და ნედო-იმკებით დაიტვირთნენ. ამის გამო მთავრობამ რამდენჯერმე შეამცირა სარგებელი და გლეხებს შელავათი მისცა. მიუხედა-ვად ამისა, რუსის გლეხებს დღესაც დიდი ნედოიმკები აწევთ და დიდი ვალი აქვთ გადასახდელი. სასოფლო შეურნეობის საჭიროებათა გამოსაკვლევად შემდგარ კომიტეტების უმრავ-სობა ერთხმად აღნიშნავს, რომ გამოსყიდვის ოპერაციის მო-წყობის დროს მიწა დიდ ფასად იქმნა შეფასებული და ამი-ტომ გლეხები ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნენ. მა-გალითად, რუსის სამაზრო კომიტეტის წევრები სწერენ: სა-მართალი მოითხოვს, რომ ნადელების გამოსყიდვის გადასახა-დი სულ მოსპოს, რადგან რუსის მაზრაში ბატონ-ყმობის გა-დავარდნის დროს დესეტინა მიწის საშუალო ფასი იყო 8—10 მან., ხოლო გამოსასყიდი ფასი კი დანგრიული იქმ-

ნა 37 მან., ე. ი. ოთხჯერ მეტი იმ ფასზე, რომელიც მაშენ არსებობდა. ამნაირად გლეხებმა 40 წლის განმავლობაში უკვე გადიხადეს მიწის ფასი სარგებლითურთო (იხ. ტრია, მოსკოვი. გუნ. გვ. 507). ამასვე იმეორებენ ტვერის, სემიონოვისა და ბევრი სხვა კომიტეტები. ტვერის გუბერნიაში, სწერია პირველის მოხსენებაში, მიწა დააფასეს 27 მან., ე. ი. ბევრად მეტად, ვიდრე პლირდა მიწა გლეხების განთავისუფლების დროს. ამიტომ სასურველია, სრულებით მოისპოს გამოსყიდვის ვალი, რომელიც უსამართლო ტვირთად აწევს გლეხობასათ. ამ ვალის მოსპობას დღეს, — დასძენს მოსკოვის კომიტეტი, — როცა ხალხის ეკონომიური ძალლონე ძლიერ შესუსტებულია, მოითხოვს არა მარტო სიბრალულის გრძნობა, არამედ თვით სახელმწიფოს ინტერესიც (Твер., გვ. 225. მოც., გვ. 507). ზოგი კომიტეტი (მაგალ., ნიუეგოროდის, უფის) ნადელების გამოსასყიდად აღებულ ვალის მოსპობას იმით ასაბუთებს, რომ გლეხებისაგან ამ ვალის აღების იმედი აღარ არისო (გვ. 200, 38) „განა შეიძლება, ამბობს მოსკოვის კომიტეტი, ხალხს დავაძლოთ, ყარათი გასწიოს და ვალის გასასწორებლად ფული შემოინახოს, როცა ივი ისეთ შესაბრალის მდგომარეობაში იმყოფება, რომ ხშირად საჭმელი არა აქვს?“. (გვ. 372)

ასე დიდ ტვირთად დაწვა რუსის გლეხობას ნადელების გამოსასყიდად აღებული ვალი. უარესი ბედი მოელის ქართველ გლეხობას, თუ მიწის ფასი ხელოვნურად იქმნა აწეული და ხაზინიდან მოცემული სესხი არ დარჩა მიწის ნამდვილ ღირებულობასთან შეფარდებული. რუსის გლეხობას ბევრი დამცველი ჰყავს... ჩვენი გლეხების სასარგებლოდ კი, თუ განზრახულმა რეფორმამ ასეთი საზარალო შედევი მოიტანა, ვერ ილაპარაკებენ ვერც ერობანი და ვერც სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი... ეს გარემოება ვალად სდებს თავად-აზნაურთა შეგნებულ ნაწილს, დაუფიქრდეს ჩვენს ხალხოსნურ მდგომარეობას და, თუ ნადელების დამფასებელი კომისიები დაარსდა, ეცადოს გვლენა მოიპოვოს შემამულებზე,

რომ გამოსასყიდი მიწები არ იქნეს დადად და გლეხებისთვის საზარალოდ დაფასებული...

* *

იმ ეკონომიურ გარემოებაში, რომელშიაც იმყოფება დღეს საერთოდ ჩვენი სოფლის ხალხი, ნადელების გამოსყიდვის საკითხს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ამ საგანს მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ უნდა მიაქციოს ყურადღება. მიწის ძვირად დაუფასებლად და ზედმეტ გადასახადის დაუდებლადაც ქართველი გლეხობა ისეთ გაჭირვებაშია, რომ ძლიერ ახერხებს საზრდოს მოპოებას. რასაკვირველია, ეხლა, როცა ნადელების სავალდებულო გამოსყიდვაზე ლაპარაკი დაიწყეს, ბევრ მემამულეს მაღა გაეხსნა და უნდა მიწა, რაც შეიძლება, ძვირად გავყიდოს და გლეხებისაგან მეტი ფული აიღოს. სამწუხაროა მხოლოდ, როცა ასეთ მაღის გაღვიძებას კვერს უკრავენ და ბანს აძლევენ თავად-აზნაურთა წოდებიდან ისეთნი პირნი, რომელთაც ჩვენი საერთო ეკონომიურ მდგომარეობის ცოდნა და გაგება უეჭველად მოეთხოვებათ. ისინი ივიწყებენ, რომ ჯერ ეხლაც ქართველ გლეხს სასოფლო მეურნეობა ვერ აძლევს ცხოვრებისთვის საკმაო სახსარს და ამიტომ იგი იძულებულია სოფელს თავი დაანებოს და საღმე სხვაგან ეძიოს სამუშაო და თავის რჩენის საშუალება. და აბა რა ხეირს მისცემს „განთავისუფლებულ“ გლეხს გამოსყიდული ნადელი, თუ მას ეხლანდელ „მეოთხედზე“ მეტი გადასახადი დაედვა და ამ გადასახადის გასწორების სახსარი-კი იმავე მიწამ არ მისცა?

ჩვენს უურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდება ცნობები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ ჩვენი გლეხობა დიდს გაჭირვებაშია და რომ მას ალარ ძალუბს სასოფლო მეურნეობით თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მაგალითად, გაზეთის კორესპონდენტი (პ-ნი სპ. ჭელიძე) შემდეგ ნაირად ასწერს ბათუმში სამუშაოს მძებნელ ხალხის მდგომარეობას: „ამ ნორჩ ქალაქში, — სწერს იგი (ივ. № 176), — რომელსაც სულ ოც-

დახუთი წლის ისტორია აქვს, თავს იყრის ყოველგვარი შრო-
მა-ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელი. გურიიდან კი,
ამ მახლობელ ეკონომიკურად შევიწროებულ კუთხიდან, აქ
მოდის, ქარხნის მომუშავეთა გარდა, დიდალი ნორჩი ახალ-
გაზღობა, ქალი და ვაჟი, რომელნიც ეძებენ მოსამსახურეთა
აღგილებს და სხვა და სხვა სამუშაოს. როცა დაინახავთ ამ სცოდა-
ვებს ქუჩაში მოსიარულეთ, აღგილის მაძებართ, შიმშილისაგან
ქანც-მოწყვეტილ ფერ-მიხდილთ, მაშინ იგრძნობთ, თუ რა სიღა-
რიბესა და სიღატაკეს უნდა განიცდიდნენ მათი მშობელნი, რომ
გულიდან იგლეჯენ ჯერ ისევ ნორჩი, გამოუცდელ არსებათ,—
ღვიძლ შვილებს და პგზავნიან ბათუმში, საღაც ელიო პირ-
ველ ხნობით შიმშილ-წყურვილი და ყოველგვარი გაჭირვება,
მერე ზეობრივი დაცემა და ბოლოს ათასგვარ სენით სიცო-
ცხლის მოწამლვა და მოსპობა... ახალგაზდა ბიჭები აქ, ქარხ-
ნებს გარდა, დგებიან სასტუმრო-რესტორანებში და ღუქნებ-
ყავახანებში, საღაც წლიდან წლობამდე შრომით და უძილო
დამეებით ქანცს იწყვეტენ. რაც შეეხება ახალგაზდა, ნორჩი
ქალებს, იმათ კიდევ უარესი და უსაზარლესი დღე ადგებათ.
ისინი პირველ ხანებში დგებიან ორი-სამი წლით უსასყიდლოდ
სახლებში მოსამსახურებად. მთელ ამ ხნის განმავლობაში ეს
საბრალონი ფეხ-შიშველნი და ტან-შიშველნი ასრულებენ
ყოველგვარ ბრძანებას თავიანთ „ბატონებისას“, ქუჩებიდან
ვედრებით წყლის ზიდვიდან დაწყებული ქვაბების ხეხვამდე.
ამ ვადის გათავების შემდეგ უნიშნავენ თვეში ორს, ბევრი-
ბევრი სამ მანეთს მათის ტანისამოსით. ეს საცოდავი გროშე-
ბი კი ტან-ფეხის სამოსად არ ჰყოფნით. ამ ღროს უკვე შე-
თქვირებულთ და წამოზრდილთ ან „ხაზეინები“ უარშიყდე-
ბიან, ან ვიღაც ბიჭები, ან და შეუჩნდებიან მაჭანკალი ქა-
ლები, რომლებსაც საცოდავები გადაჰყავთ „უკეთეს ადგი-
ლებზე“, ე. ი. თვეში ორი-სამი მანეთის მომატებით უყენე-
ბენ უცოლო კაცებს მოსამსახურებად. ამ „უკეთეს ადგი-
ლებზე“ ისინი ესალმებიან იმას, რაც უძვირფასესი საუნჯე
ქალისთვის, ე. ი. ქალწულობას და უმანკოებას. აქედან იკ

ერთი ნაბიჯი რჩებათ თავი ამოჰყონ იქ, საცა სამუდამოდ ელით მოწყვეტა „საზოგადოებისაგან“. ამ რიგად, საწყალი ქალებს საეჭვო სახლებში შესვლის მეტი გზა არ რჩებათ, რადგან ჯერ ერთი „გარუყვნილ და დაცემულთ“ მოსამსახურედ აღარ იყვანენ „პატიოსანი“ ოჯახები და მერე სოფელ-შიაც ვერ მიღიან შერცხვენილნი და თავ-ლაფ დასხმულნი მშობლების შიშით და იმ აზრით, რომ არ გახდნენ თავიანთ სოფელ-ქვეყნის კიცხვა-დაცინვის საგნად. ან კი რა უნდათ სოფელში? განა სოფელი არ იყო, რომ გამოსტყორუნა ქალაქად ლუკმის საძებრად?!.. არის ისეთი მაგალითებიც, რომ რომელიმე მაჭანკალი და გარუყნილი ქალი გამოიყვანს ალაგიდან ნიშანში ამოღებულ ქალებს, ჯამაგირს უმატებს, ჩემთან დადექი მოსამსახურეთო, და შემდეგ კი მიჰყავს, შეპირებულ მსურველებზე ჰყიდის იმათს ქალწულობას კარგ ფასად. ასეთის გათახსირების მსხვერპლი შეიქმნა ამ ერთის კვირის წინად 14—15 წლის ქალი, საოცარის სილამაზისა. საზოგადოდ ასეთია ხვედრი იმ ნორჩი, ცქრიალა და მკვირცხლ გურულ ქალებისა, რომელთაც სიღარიბისა და შეუძლებლობის გამო, იგლეჯენ გულიდან და ისტუმრებენ ბათუმისაკენ მათი მშობლები თავის სარჩენად და ბედის საძებრად. სამწუხაროა, მეტად სამწუხაროა ასეთი მოვლენა. ვინ იცის, სხვა გარემოებაში, როგორი ცოლები და დედები გამხდარიყვნენ ეს ლამაზი, ნიჭიერი, მკვირცხლი და ცოცხალი არსებანი, რომელნიც ლუკმა პურის ძებნაში ჰლუპავენ თაჯიანთ ახალგაზღობას, სიყმაწვილეს, უმანკოებას და სცვივიან გარუყნილების მორევში, სადაც სტოვებენ თავიანთ სილამაზეს, ჯან-მრთელობას და სიცოცხლეს!..“

აი, ასეთ მდგომარეობაშია სილარიბისაგან შევიწროებული სოფლის ხალხი და ასე გამხრწნელად მოქმედობს მის ზნეობაზე ქალაქი. ამ მოვლენას ღრმა ეკონომიკური მიზეზები აქვს და, რა თქმა უნდა, მას ვერ მოსპობს და ვერც შეაჩერებს ვინმესი გულისტკივილი ან რაიმე ხელოვნური ღონისძიება. რამდენადაც ძეელი კარჩაკეტილი ცხოვრება ირღვევა;

მოთხოვნილებანი მრავლდება და მოქალაქობრივობა ვითარდება, იმდენადვე სოფელს ეკარგება განკერძოებულობა და სოფლის ხალხს უხდება სოფელს გარედ მუშაობა და არსებობისთვის ბრძოლა. ახალი ეკონომიკური ვითარება ძალას ატანს სოფელში როგორც მამა-კაცს, ისე ქალსაც განშორდეს მამა-პაპის კერას და შეეკედლოს ქალაქს და შეეთვისოს ქალაქურ ცხოვრებას. ასე ყოფილა ეს სხვაფან და ასეა ჩვენშიაც.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ქართველი ხალხის ცხოვრების სოციალურობის პირობები და ბევრის სხვა უცხო ერისა ერთნიირი არაა და ამიტომ მოქალაქობრივობის განვითარებას ჩვენში თან სდევს ბევრი ისეთი შედეგი, რომელსაც განსაკუთრებული გავლენა და მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენში, სადაც ათასი ტომისა და ეროვნების ხალხი ირევა და ქართველს (ქალაქში მაინც) ყველაზე ნაკლები ეკონომიკური ძალა აქვს, ღარიბ სოფლელისთვის ადვილი საქმე არაა ქალაქში მკვიდრად ფეხის მოკიდება და თავის ცხოვრების ცოტად თუ ბევრად ნორმალურად მოწყობა. მას არ აქვს ახალ ურთიერთობათა ცოდნა და გამოცდილება. იგი ხშირად ითელება და ისრისება იმ საერთო ჭიდილში, რომელსაც ქალაქური ცხოვრება შეიცავს, — ეცემა ზნეობრივად და ადგება გადაგვარების გზას.

ამ გვარს გარემოებაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლელის გონებრივ მომზადებას და საზოგადოდ ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას. ჯერ ერთი სწავლას და ცოდნას ყოველთვის შედეგად ახლავს აღამიანის შრომის განაყოფიერება ყოველ გვარს წარმოებაში და კერძოდ სასოფლო მეურნეობაშიც. რამდენადაც უფრო გავრცელდება მეურნეებში სწავლა-განათლება, იმდენადვე მეტი წარმატება და ემჩნევა სასოფლო მეურნეობის წარმოებას და იმდენადვე მეტი საზრდოს მოპოება შეეძლება სოფელში სოფლის ხალხს. განათლებულ ქვეყნებში ხშირად მოუხდენიათ იმის გამოკვლევა, თუ რა გავლენა აქვს შრომის ნაყოფიერობაზე მშრომელის გონებრივ განვითარებას, და ყოველთვის

იმ დასკვნამდე მისულან, რომ სწავლა-განათლება აბარაქიანებს ადამიანის შრომას. კერძოდ სასოფლო მეურნეობის შესახებ საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი აზრი, რომელსაც გამოსთქმამს ერთი გერმანელი მწერალი. „დანის სასოფლო მეურნეობა,—სწერს იგი,—რომელიც თითქმის ყველა ქვეყნებისაზე უფრო განვითარებულია, უმთავრესად იმ გარემოების წყალობით წავიდა წინ, რომ იქ ხალხში, შეძლებულიდან დაწყებული უკანასკნელ ღატაკ გლეხსა და დღიურ მოქირავე მუშამდის, სწავლა-განათლება ძალიან არის გავრცელებული. სწავლა-ცოდნის გავრცელებას დადად ხელი შეუწყო ესრედ წოდებულ „სახალხო მაღალ სკოლების“ მრავლად დაარსებამ. თუ რამოდენად დიდი გონიერი ძალა მოიპოვება დანის სოფლის ხალხში, ამას ის სისწრაფეც გვიჩვენებს, როგორადაც იქაური მეურნეობა ეწყობა და ეგუება შეცვლილ ახალ ეკონომიურ ვითარებას. როცა ამ ოციოდე წლის წინად პურის ფასი დაეცა და პურის გარედ გატანა გასაყიდად ხელსაყრელი აღარ იყო, დანის სოფლის ხალხმა ხელად რჩდის წარმოებას მიჰყო ხელი და ეს დარგი ისე გააუმჯობესა, რომ პირველი ხარისხის კარაქის წარმოება იწყო. მეოთხმოცე წლების დამლევს დანის 18,5 მილიონი გირვანქა კარაქი გაპერნდა საზღვარს-გარედ; ათ წელიწადში ეს წარმოება ისე გაიზარდა, რომ გატანილ კარაქის რაოდენობამ 70 მილიონ გირვანქას გადააჭარბა“. (იხ. აგრეთვე წარსული თვის „მოამბე“-ში ქ-ნ ნინო ზურაბიშვილის წერილი დანიაზე, გვ. 59).

მეორე მხრით სწავლა-განათლება და გონების განვითარება დიდად საჭირო და სასარგებლო იარაღია სოფლელის-თვის თვით ქალაქში, როცა იგი იქ ალაგს ეძებს და მოთავსებას კლილობს. ელემენტარული მომზადება ის საფუძველია, ურომლოდაც იგი ვერ მოიპოვებს ვერავითარ ცოდნას და თვით-ცნობიერებას. ამიტომ დიდად მისაჩნევი და დასაფასებელია მოლვაწეობა ყველა იმ პირთა ჩვენში, რომელნიც ცდილობენ ხელი შეუწყონ ქართველ ხალხში ცოდნისა და საზოგადოდ სწავლა-განათლების გავრცელებას.

სწავლა-განათლებისა და ოვით-ცნობიერების გავრცელებისათვის ერთი თვალ-საჩინო საშუალებაა. სახალხო სამკითხველო და ბიბლიოთეკა. ჩვენში, სადაც დაბიო ხალხი ძალიან ღარიბია და ამასთან შედარებით მცირე გონიერივ მოთხოვნილების პატრონია, წიგნები და გაზეთები ძალიან ცოტა იყიდება. სამკითხველო სწორედ ისეთი დაწესებულებაა, რომელიც წიგნის მოთხოვნილებას ხალხში აღიდებს და თვით-ცნობიერებას ავითარებს. ქართულ გაზეთებში ხშირად იბეჭდება სოფლებიდან სასიამოვნო კორესპონდენციები, რომლებიდანაც სჩანს, რომ ქართველ ხალხში თან-და-თან იზრდება წიგნისა და გაზეთის მოთხოვნილება და სახალხო სამკითხველოებს მუდამ ემატება მკითხველი საზოგადოება. მაგალითად ხონიდან იწერებიან, რომ „სამკითხველო კარგად მუშაობს... ახლა სულ ზედ ეტანებიან უურნალ-გაზეთებს. არც კი ჰყოფნით კითხვის მსურველთ, რაც გაზეთებია სამკითხველოშიო“ („ივ.“ № 176). „დიდიც და პატარაც, ერიც და ბერიც მოუთმენლად ელოდება ფოსტის მოსელას,—იწერება კორესპონდენციი გურიიდან. ყველას ჰსურს დროიანად გაიგოს ახალი ამბებით“ და სხვ. („ცნ. ფურც.“ № ۵۷۰). ეს ისეთი ს ნუგეშო მოვლენაა, რომ საჭიროა მას ყურადღება მივაჭუიოთ და ვეცადოთ, რაც შეიძლება, ხელი შევუწყოთ მის განვითარებას. განსაკუთრებით პროვინციაში მცხოვრები ინტელიგენცია ფხიზლად უნდა მოეკიდოს ხალხის გალვიძებულ მოთხოვნილებას და იმეცადინოს, რომ დაბა-სოფლებში გამრავლდეს რიცხვი სამკითხველოებისა.

ზოგიერთებს, ვგონებ, სისწორით ვერ გაუგიათ ტფილისის აღმინისტრაციის განკარგულება, რომელიც ქართულ სამკითხველოებს შეეხება, და ამიტომ, რახან ამავე საგანზეგვაქვს ლაპარაკი, საჭიროა მოვიხსენიოთ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ტფილისში აქვს გახსნილი სამი სამკითხველო, რომელიც იაფეასიანია და ხალხს მცირე სასკიდლით აძლევს. წიგნები და გაზეთებს წასაკითხად. ამ უკანასკენელ ხაცებში „სახოგადოების“ გამცემის გულებრივობის

საგან მოწერილობა მოუვიდა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ეს სამკითხველოები აღმინისტრაციამ უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოების წესდებას დაუქვემდებარა. და რომ გამგეობა ამის შემდეგ ვალდებულია სენატულ წესდების თანახმად მოიქცეს. ეს „დაქვემდებარება“ იმას ნიშნავს, რომ ხენებულ სამკითხველოებში უნდა იყოს მხოლოდ ის წიგნაკები, რომლებიც სამინისტროსაგან არის განსაკუთრებით ნებადართული და ცალკე კატალოგში აღნიშნული. საზოგადოდ რუსეთში უფასო სახალხო სამკითხველოებს, წიგნების მხრით, ასპარეზი ძალიან შეზღუდული აქვთ. აქ მხოლოდ ის წვრილი ბროშურები შეიძლება იქმნიონ, რომლების კითხვა ხალხისთვის თვითონ მთავრობას სასაჩვებლობრივ მიაჩნია. ფასიან სამკითხველოებში ასეთი სასტიკი განსაღვრა არ არსებობს და ცენზურისაგან ნებადართული წიგნები იქ აკრძალული არაა. უფასო სამკითხველოებში დასაწყობად ნება-დართულ წიგნებში დიდი ადგილი უჭირავს ისეთ ნაწერებს, რომლებიც საღვთოწერილის ამბებსა და წმინდანების ცხოვრების აღწერას შეიცავს. ამნაირად, სახალხო სამკითხველო, ხსენებულ წესდების თანახმად, უფრო სარწმუნოებისა და რელიგიურ ზნეობის განმტკიცების დაწესებულებაა... მაგრამ, ამ დანიშნულებასაც რომ თავი დავანებოთ; მთავარი პრაქტიკული საგანი ამ შემთხვევაში ის არის, რომ იმ კატალოგში, რომელიც გამოცემულია რუსეთის უფასო სახალხო სამკითხველოებისათვის, არც ერთი ქართული წიგნი არაა ნაჩვენები და ამ რიგაც ქართულ ფასიან სამკითხველოს უფასოდ გადაქცევა და იმ წესზე დაყენება, რა წესზედაც არსებობენ რუსეთში უფასო სახალხო სამკითხველოები, ნიშნავს ფაქტიურად ქართულ წიგნების გამოდევნას და მარტო რუსულის დატოვებას...

აღმინისტრაციის ეს განკარგულება შეეხება ჯერ-ჯერობით მარტო ტფილისის სამკითხველოებს და ამიტომ პროვინციაში მცხოვრებმა ინტელიგენციამ არ უნდა იფიქროს, რომ ვათომ იქაც ეხლავე ასეთი წესი უყოს შემოლებული... არ

ვიცით, მერმისში როგორ იქნება, ხოლო დღეს-დღეობით-კი არ არის...

* * *

რასაკვრიველია, ყველამ ვიცით, რომ თანამედროვე წყობილებაში ბევრი დაბრკოლება ხვდება წინ ქართულ წიგნს და ქართულ ენას.

მაგრამ, მეორე მხრით, ჩვენ ხშირად გვავიწყდება, რომ ქართული ენის არ დამფარებელი და აბუჩად ამგდები არა იშვიათად ოვითონ ჩეენ, ქართველები, ვართ; გვავიწყდება, რომ იმ განძს, რომელსაც პატრონი არ უვლის და არ ექომაგება, უცხო და გარეშე არ დაუწყებს პატრონის სასარგებლოდ და სახეიროდ ქომაგობას და მფარველობას... ჩვენ გვინდა სხვამ გაგვიკეთოს ის, რასაც თვითონ ჩვენ არ ვაკეთებთ თავისთვის, როცა კი შეგვიძლია და ხელი მიგვიწვდება. აღვილია ყველაფრის სხვის თავზე გადატანა და სხვისთვის დაბრალება; ამ შემთხვევაში ამ გადაბრალებას ბევრი სიმართლე ახლავს. მხოლოდ არ არის სიმართლე, როცა ჩვენ ჩვენი თავი მუდამ უდანაშაულოდ გამოგვყავს და ჩვენს შეუგნებლობას და თვით-ცნობიერების ნაკლებობას „გარეშე მიზეზებით“ ვაფუჩქებთ და ვფარავთ.

ამის დამამტკიცებელ ცხად და ნათელ საბუთს შეიცავს ეხლა ხან დაბეჭდილი „ანგარიში“ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, რომელიც წარსულ წელს შეეხება და არ-სებულ სასწავლებელთა ყოველმხრივს მდგომარეობას ჰქატავს. როგორც მკითხველმა იცის, სახელმწიფო სასწავლებლებში ქართული, სომხური და თათრული ენები სავალდებულო სასწავლ საგნებად არ ითვლება, ე. ი. შეგირდებს არ ევალება მთავრობისაგან, უეჭველად ისწავლონ თავიანთი დედა-ენა. ამასთან ადგილობრივ ენებს ასწავლიან მსურველთ მხოლოდ დაბალ კლასებში. ცხადია, დედა-ენის სწავლება სახელმწიფო სკოლებში ძალიან შეზღუდული და შემცირებულია. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს სწავლება, ავადაა თუ კარგად,

მაინც არსებობს და ქართველ მოწაფეს შეუძლია, თუ ისურვებს, გიმნაზიაშიაც ისწავლოს ქართული წერა-კითხვა. საინტერესოა ვიცოდეთ, რამდენი მოწაფე სარგებლობს ამ უფლებით და ცდილობს შეისწავლოს თავისი დედა-ენა? ამ კითხვაზე ხსენებული „ანგარიში“ ძალიან გარკვეულ პასუხს იძლევა.

წარსულ წელს ტფილისის სამივე ვაჟთა გიმნაზიის დაბალ კლასებში, რომლებშიაც ასწავლიან ქართულ ენას, იყო სულ 369 ქართველი მოსწავლე. ყველა ამათ შეეძლოთ ესწავლათ თავისი დედა-ენა. ნამდვილად-კი ამ 369 მოწაფიდან სწავლობდა მხოლოდ 233 ან 63,1%, ე. ი. ერთ მესამედზე მეტს უარი უთქვაშს და „არა სავალდებულო“ ქართული ენის სწავლა არ უსურვებია.

როგორც ქართველებისთვის ქართული, ისე სომხებისთვისაც სომხური ენა არ არის მთავრობისაგან სავალდებულო საგნად დანიშნული. ამ მხრით ქართველები და სომხები ერთნაირ მდგომარეობაში არიან. დახედეთ ეხლა, თუ სომებ მოწაფეთაგან რამდენი სწავლობდა თავის დედა-ენას. ტფილისის სამსავე გიმნაზიაში 602 სომები მოწაფე იყო იმ კლასებში, რომლებშიაც ასწავლიან სომხურს, ამათგან სომხურს სწავლობდა 512 ანუ 85%, ე. ი. შედარებით ქართველებზე 22%-ით მეტი.

ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც თითქმის სულ ქართველები სწავლობენ და, გარდა ქართულისა, არც ერთ სხვა ადგილობრივ ენას არ ასწავლიან, 334 ქათრველ მოწაფეთაგან მხოლოდ 185 ანუ 55,3% სწავლობდა ქართულ ენას.

ამავე დროს სომხურს სწავლობდნენ: ელისავეტპოლის გიმნაზიაში 144-იდან 142 ანუ 98,6%, ერევნისაში. ყველა 75 ანუ 100%, ბაქოსაში 386-დან 377 ანუ 97,7%.

კავკასიის ყველა გიმნაზიების დაბალ კლასებში იყო სულ მოწაფე: ქართველი 703, ამათგან ქართულის მოსწავლე 418 ანუ 59,4%; სომები 1318, ამათგან სომხურის მოსწავლე

1135 ანუ 86,1%; თათარი 156, ამათგან თათრულის მოწავლე 138 ანუ 88,4%.

ცხადად ვხედავთ, რომ ქართველები შედარებით ყველაზე ნაკლებ ეტანებოდნენ და სწავლობდნენ თავის დედა-ენას. არა თუ სომხებს, თათრებსაც-კი ვერ უტოლდებიან ისინი თავისი პროცენტით.

დავხედოთ რეალურ სასწავლებლებს. ტფილის-ქუთაისის ორსავე რეალურ სასწავლებელში 411 ქართველ მოწაფეთაგან ქართულს სწავლობდა 394 ანუ 94,7%, ხოლო სომხებში-კი სომხურს სწავლობდა 165-დან 162 ანუ 97,6%. კავკასიის ყველა რეალურ სასწავლებლებში დაბალ კლასების სომებ მოწაფეთა 99,3% სწავლობდა სომხურს და თათარ მოწაფეთა 98,1%—თათრულს.

აქაც ქართველები შედარებით ყველაზე უკან დგანან და სხვებზე უფრო არიან დედა-ენას დაშორებულნი.

იმავე „ანგარიშში“ არის ცნობები ქალთა სასწავლებლებლების შესახებაც. ტფილისის ოთხსავე გიმნაზიაში 465 ქართველ ქალთაგან ქართულს სწავლობდა 112 ანუ 24,1%, ე. ი. ერთი მეოთხედი, ხოლო სომხებში სომხურის მოსწავლენი 40%-ს შეადგენდნენ (1050-დან 416). კავკასიის ყველა გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში 1393 ქართველ ქალთაგან ქართულის მოსწავლე იყო 973 ანუ 69,5%, მაშასადამე, ერთი მესამედი სრულიად არ სწავლობდა ქართულს. სრული გადაგვარება ემჩნევა იმ მშობლებს, რომელთა ქალები ტფილისის გიმნაზიებში სწავლობდნ. ამ სასწავლებლებში განსაკუთრებით განირჩევა მეორე გიმნაზია, სადაც ქართველ მოწაფეთა ერთ მეხუთედზე ნაკლები (19,5%) სწავლობს ქართულ ენას.

ეს არის თავის თავად მჭევრმეტყველი ციფრები, რომლებსაც განმარტება აღარ ეჭირვება. ისინი ნათლად გვიჩვენებენ, თუ როგორ სუსტად არის ჩვენში ფეხადგმული ეროვნული თვით-ცნობიერება. ნეტა რას პფიქრობენ ის მშობლები, რომლებიც თავის შვილებს სასწავლებელში დედა-ენის სწავლას არ ავალებენ, იკითხავს ვინშე. არაფერს, მკითხველო

არაფერს არ ჰყიქრობენ, ანუ უკეთ, ჰყიქრობენ ისე, როგორც
ჰყიქრობენ „გარეშე მიზეზების“ წარმომადგენელნი,— რომ
ქართული ენა მეტი ბარგია და მისი შესწავლა საჭირო არ
არისო. და ამავე დროს თქვენ შეხვდებით ამ მშობლებში ისე—
თებს, რომლებიც უზომოდ „პატრიოტობენ“ და კერძო ლაპა-
რაკში ვითომ გულ ამოსკენითაც სტირიან, რომ სახელმწიფო
სასწავლებლებში ქართულ ენას არ აქვს შესაფერი ადგილი
დათმობილი...

ერთი წინანდელი წერილი ჩვენ შემდეგი სიტყვებით და-
ვასრულეთ, და, სამწუხაროდ, აქ აღნიშნულ ფაქტის გამო,
იმავე სიტყვების განმეორებით უნდა გავათავოთ ეს წერილიც:
„ჩვენში არ არის საკუთარის ლირსებისა და ადამიანობის შეგ-
ნება და პატივისცემა. ხშირად ჩვენვე უარვჰყოფთ ჩვენს თავს
და შემდეგ კვიკვირს, რომ სხვები—უცხონი—უარგვყოფენ
და არ გვდებენ არავითარ ფასს. ყოველი სულდგმული, რო-
მელსაც უნდა ცხოვრება, უნდა იცავდეს თავის არსებობას,
და ამ შემთხვევაში სხვის წინ წუწუნი და ბრალიანობის ძებ-
ნა გინდ მოწყალების თხოვნა ნიშნავს მხოლოდ საკუთარს
სისუსტეს და უსუსურობას“...

ფ. გაგიჩაშვილი

უცხოთის მიმოხილვა

1. საფრ. ნგეთი და პაპი.—2. ვალდეკ რუსი.—3. „ყვითელი საფრთხე“.

საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრება აჩქარებულის ტემ-
პით მიღის წინ და ვითარდება. ისტორიული მოვლენა მოვ-
ლენას მოსდევს და არსად ხალხის ცხოვრების მაჯა ისეთის
სიძლიერით არ სუმს, როგორც საფრანგეთში. მართალია,
შორეულ აღმოსავლეთის დიდი ომი მთელი ქვეყნის ჭურად-
ლებას იპყრობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, საფრანგეთის ეხლან-
დელი პოლიტიკური ცხოვრება იმდენად ინტენსიური და
მნიშვნელოვანია, რომ მთელი განათლებული კაცობრიობა
გაფაციცებით ადევნებს მას ოვალ-ყურს.

მთავარი ძარღვი, შინაარსი ამ პოლიტიკურ ცხოვრებისა
არის საფრანგეთისა და პაპის ურთიერთი დამოკიდებულება.
როგორც ვიცით, საფრანგეთის პრეზიდენტის მოგზაურობის
გამო რომში პაპმა პროტესტი განაცხადა ისეთის ფორმით,
რომ რესპუბლიკის მთავრობამ თავისი წარმომადგენელი გაი-
წვია ვატიკანიდან. ელჩის გაწვევა არ ნიშნავს დიპლომატიურ
ურთიერთ დამოკიდებულების სრულ მოსპობას: ვატიკანში
დარჩა საელჩოს სხვა წევრნი, რომელნიც უძლოდნენ მიმდი-
ნარე საქმეებს. რესპუბლიკის ზომიერ ელემენტებს იმედი ჰქონ-
დათ, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ განახლდებოდა წესიე-
რი დიპლომატიური დამოკიდებულება რომის პაპთან: მართა-
ლია, ასეთ დამოკიდებულების აღდგენას ეწინააღმდეგებიან

საფრანგეთის ყველა მოწინავე ელემენტები, მაგრამ საფრანგეთისა და ვატიკანის დამოკიდებულება იმდენად რთულია, იმდენი ინტერესია აქ გადახლართული ერთმანერთში, რომ მთავრობას, სანამ საქმეს საბოლოოდ გადაწყვეტდეს, ასჯერ და ათასჯერ გაზომვა დასჭირდება. და სწორედ საქმის ეს სიძნელე იყო, რომ ზომიერებსა და კონსერვატორებს სასოებას არ უკარგავდა. ვინ იკის, ამათი მოლოდინი შეიძლება კიდეც გამართლებულიყოს; მაგრამ ამ დროს თოფი სწორედ იქიდან გავარდა, საიდანაც არ მოელოდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ახალ პაპის და მის მდივნის უადგილო პროტესტი ლუბეს რომში მოგზაურობის გამო მეგობრებმაც კი მეტად დაიწუნეს.

საფრანგეთის სამღვდელოება ერთგვარი არ არის როგორც თავის შემაღვენელ ნაწილებით, ისე პოლიტიკურ მიმართულებითაც. როგორც ვიცით, ამ სხვა-და-სხვა გვარობამ ძლიერად იჩინა თავი საფრანგეთის (და მთელ კაცობრიობის) ისტორიის უძლიერეს მომენტის დროს: დიდმა რევოლუციამ ნათელ ჰყო ეს სხვა-და-სხვა გვარობა და ერთ მხარეზე მაღალი, წარჩინებული სამღვდელოება დააყენა და მეორე მხარეზე დაბალი, დაჩაგრული. ეს სხვა-და-სხვაობა ეხლაც არსებობს: თუ ეპისკოპოსები და მდიდარ ეკკლესიების და მონასტრების წინამძღვრები გატაცებით ეწევიან პოლიტიკას, რასაკვირველია, დემოკრატიის წინააღმდეგ, უბრალო მღვდლებს. დიდათ არ შესტკივათ თავი ამ პოლიტიკისათვის, და თუ მაინც აქა-იქ იღებენ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეს უფროსების შიშით მოსდით. არის სხვა ტენდენციებიც საფრანგეთის სასულიერო წოდებაში. არა თუ დაბალ სამღვდელოებაში, აქა-იქ დიდხარისხოვან სასულიერო პირებშიაც შეხვდებით ისეთებს, რომელნიც წინააღმდეგი არიან ვატიკანის ბატონობისა და მოწადინებული არიან დაარსდეს დამოუკიდებელი ეროვნული, ეგრედ წოდებული გალიკანური ეკკლესია. გარდა ამისა საფრანგეთში ათი-ათასობით არიან ეგრედწოდებული „ძველი კათოლიკენი“, რომელნიც სრულიად

არ სცნობენ რომის პაპს და ომელიაც რამდენიმე თავისული ეკლესია აქვთ, სრულიად დამოუკიდებელი როგორც ვატიკანისაგან, ისე საფრანგეთის საერო მთავრობისაგან — ამათ უკვე გადაწყვიტეს სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოკიდებულება და სწორედ ისე, როგორც ამას დაწინაურებული დემოკრატია თხოულობს: სახელმწიფო თავისთვისაა და ეკლესია თავისთვის. სარწმუნოება სახელმწიფოს საქმე არ არის.

როგორც გალიკანები, ისე „ქველი კათოლიკუნიც“, რასაკვირველია, ვერ ურიგდებიან პაპის შეუზღუდველ ბატონობას და ამიტომაც მათ შორის ბევრი გულწრფელი მომხ. რეა რესპუბლიკისა, რომელიც მუდამ ებრძვის ხოლმე ვატიკანის პრეტენზიებს. ასეთი მოვლენა მეტად უსიამოენო რამ არის პაპისათვის და ესეც სცდილობს ბოლო მოულოს მას. ეხლა საფრანგეთში რამდენიმე ეპისკოპოსია, რომ რესპუბლიკის მთავრობის მხარეზეა. როცა პარიზის არხი-ეპისკოპოსმა პროტესტი განაცხადა ეხლანდელ სამინისტროს პოლიტიკის წინააღმდეგ, ზოგმა ეპისკოპოსმა უარი სთქვა პროტესტის მიმხრობაზე. ვატიკანი კარგა ხანია სცდილობს თავიდან მოიშოროს ისინი, მაგრამ რა გზით?

საფრანგეთსა და ვატიკანს შუა ჯერ კიდევ ნაპოლეონ პირველის დროს დადებულია ხელშეკრულება, ეგრეთ წოდებული კონკორდატი. ეს კონკორდატი ცხადათ ამბობს, თუ რომელ მხარეს რა უფლება აქვს შესახებ სასულიერო წოდებისა საფრანგეთში. მაგალითად, ეპისკოპოსებს ირჩევს საფრანგეთის საერო მთავრობა და რომის პაპი ამტკიცებს თანამდებობაზე ლოცვა-კურთხევის გამოგზავნით. ცხადია, რომ, რაკი ეპისკოპოსი ორის მთავრობის დანიშნულია, საეროსი და სასულიეროსი, მისი გადაყენებაც იმავ მთავრობათა საქმეა და თუ ერთი მათგანი მოინდომებს ასეთ საქმის ჩადენას, იგი კონკორდატს არღვევს.

ამავ კონკორდატის ძალით, პარიზში იმყოფება პაპის წარმომადგენელი, ნუნკიუსი, და ვატიკანში საფრანგეთის ელჩი. ეს იმას ნიშნავს, რომ ვატიკანი ვერას გზით ვერ ჩაე-

რევა-პირდაპირ საფრანგეთის ეკლესის საქმეებში: მხოლოდ ნუნციუსის პირით შეუძლია გადასცეს საფრანგეთის მთავრობას თავისი განკარგულება თუ სურვილი, და თუ საერო მთავრობა წინააღმდეგი არ იქნება, გამოეცხადება საფრანგეთის სასულიერო პირებსაც. ეს არის კონკორდატის აზრი და შინაარსი; იგი სავალდებულოა ორივე მხრისათვის და თუ ერთი შხარე მას დაარღვევს, მეორესაც უფლება აქვს ისე მოიკცეს, როგორც ამას მისი ინტერესი მოითხოვს.

ახალმა პაპმა პირდაპირ დაარღვია კონკორდატი: ლავალის ეპისკოპოსს ვატიკანიდან წერილი მოუფიდა; შიგ ეწერა, რომ კარგი იქნება თუ ეპისკოპოსი „ეკლესის ინტერესებისათვის“ თანამდებობიდან გადადგება. ამ გვარივე წერილი მოსვლია დიუმნის „ეპისკოპოსსაც. საფრანგეთის სხვა პრელატებსაც მოელის თურმე მზგავსი „რჩევა“ თუ ბრძანება ვატიკანისაგან. ეს ის ექვსი თუ რვა არხიეპისკოპოსია, რომელთა დანაშაული ის არის, რომ უარის სთკვეს ხელი მოეწერათ პარიზის არხიეპისკოპოსის პროტესტზე მთავრობის ანტიკლერიკალურ პოლიტიკის წინააღმდეგ. ჯერ-ჯერობით ამათ რომში მიწვევას ბარათი მისვლიათ (ეგრედ წოდებული *veniat'*); ეს მიწვევა კი იმას ნიშნავს, რომ სამსახურიდან გადაყენება მოელისთ ხსენებულ პრელატებს.

იმ ორ ეპისკოპოსს რომ ზემოთ მოყვანილი რჩევა მოუვიდათ, მაშინვე მთავრობას შეატყობინეს და კომბის სამინისტრომ ფიცხელი ნოტა გაუგზავნა ვატიკანს: კონკორდატის ძალით, უფლება არა გაქვთ ჩვენ დაუკითხავად რაიმე დამოკიდებულება იქმნით საფრანგეთის სამღვდელოებასთანაო და უკანვე წაიღეთ თქვენი „რჩევები“-ო. ვატიკანმა პასუხად მთელი ტრაქტატი გამოგზავნა; აზრი ამ ტრაქტატისა შემდეგია: მართალია, უფლება არა გვაქვს ოფიციალურად ჩავერიოთ საფრანგეთის სასულიერო წოდების საქმეში, მაგრამ ასეთ ფაქტს არც ჰქონია აღილიო: ჩვენ ბრძანება ხომ არ მიგვიცია, მხოლოდ მეგობრულად ვუჩიეთ ეპისკოპოსებს თანამდებობიდან გადამდგარიყვნენო.

ასეთი პასუხი, პასუხი კი არ არის, ადვოკატური მიკიბ-მოკიბვაა, მით უფრო ომგ გარდა კონკორდატისა, ომელ-საც ცხადათ ეწინააღმდეგება. ვატიკანის ეხლანდელი ქცევა, არსებობს რესპუბლიკის მეათე წლის 18 უერმინალის (8 აპ-რილის) კანონი, ვატიკანისაგან ცნობილი და მიღებული. პი-რველი მუხლი ამ კანონისა შემდეგია: „ვერც ერთ ბულლის, წერილს, მოწერილობას, ბრძანებას, ვერც სხვა რამ ამის მზ-გავსს მთავრობის ნება დაურთველად ვერც მიიღებენ, ვერც დაბეჭდავენ და ვერც აღასრულებენ.“

რაც შეეხება იმ პრელატებს, ომელთაც *veniat'ი* მოუ-ვიდათ, იმათი მდგომარეობაც უზრუნველყოფილია, თუ, რა-საკვირველია, თვითონვე არ მოისურვებენ ნებით პაპის და-მორჩილებას: კანონის ძალით, „ეპისკოპოსები უნდა იყვნენ თავიანთ სამწყსოში და მთავრობის ნებადაურთველად ვერსად ვერ წავლენ საეპისკოპოსოს საზღვრებ გარედ“.

რა კი ოსპუბლიკის მთავრობამ დაკმაყოფილება ვერ მიიღო ვატიკანისაგან, მაშინვე საელჩოს მთელი პერსონალი გაიწვია და ამ გვარად შესწყდა ყოველი დიპლომატიური კავ-შირი და დამოკიდებულება საფრანგეთისა რომის პაპთან. ზო-მიერებისა და კონსერვატორების იმედები სრულიად გაქარ-წყლდა და სწორედ პაპისა და მის შეურიგებელ პოლოტი-კის მიზეზით. თვით უზომეირესი რესპუბლიკელებიც კი გა-მოტეხით ამბობენ, რომ საფრანგეთის მთავრობას არ შეეძლო სხვა გვარად მოქცეულიყო.

დემოკრატია ძალიან გახარებულია საქმის ასეთ მიმდინარე-ობით, რადგან სრული იმედი აქვს, რომ საბოლოოთ მოისპო-ბა ყოველივე დამოკიდებულება რომის პაპთან. ასეთ ფაქტს კი, როგორც ნათქვამი გვქონდა, უდიდესი მნიშვნელობა ექ-ნება როგორც საფრანგეთის შინაურ ცხოვრებაში, ისე მის საერთაშორისო მდგომარეობისათვის.

საფრანგეთში, მიუხედავად რესპუბლიკურ წესწყობილე-ბისა და საზოგადოთ დემოკრატიულ ხასიათისა, ეკლესია აქა-მდე მჟიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან. მთგ-

ლი სამღვდელოება საფრანგეთისა სახელმწიფოს მოხელეებია და კარგა დიდ ჯამაგირსაც იღებენ ხაზინიდან. ასეთი მოვლენა თავისუფალ საფრანგეთში მუდამ სამართლიან პროტესტს იწვევდა. მართლაც, იქ არ არსებობს ეგრედ წოდებული სახელმწიფო სარწმუნოება, ე. ი. ისეთი სარწმუნოება რომლის გამოცვლა რაიმე სასჯელს იწვევს: ვისაც როგორი სარწმუნოება უნდა, იმას ირჩევს; ფრანგს შეუძლია არც ერთ ეკლესიას არ ეკუთვნოდეს, თავის თავი ურწმუნოდ ან თავისუფალ მოაზრეთ გამოაცხადოს. ერთის სიტყვით საფრანგეთში არსებითად და პრინციპიალურად სარწმუნოება კერძო პირადი საქმეა და აქ სახელმწიფოსა და მთავრობას ხელი არა აქვს სრულიად. თუ კაცი თავისუფალია სარწმუნოების მხრივ, თუ სარწმუნოება კერძო კაცის სინიდისის საქმეა, არც ხარჯი უნდა იყოს საერთო სასულიერო პირების შესანახად. საფრანგეთი კი ყოველ წელს 23 მილიონ ფრანკზე შეტანარჯავს ამ საქმეზე. ეს აშკარა წინააღმდეგობაა და ამიტომაც იყო, რომ დემოკრატია ყოველთვის თხოულობდა ეგრედ წოდებულ კულტის (სარწმუნოების) ბიუდევტის სრულ გაუქმებას. ვისაც როგორ სურს, ისე მოაწყოს თავის ეკლესიის საქმე და ხარჯსაც თვითონ გაუძლვესო; მე თუ არ მინდა რომელიმე ეკლესიას ვეკუთვნოდე, არც ის მინდა, რომ სახელმწიფო ხაზინა ამოდენა ფულს იღებდეს. კერძო საქმისათვის. გარდა ამისა რესპუბლიკა ფულს აძლევს ისეთ წოდებას, რომელიც სულით და გულით მოწადინებულია ძირი გაუთხაროს ამ წესწყობილებასო.

ლრმად მორწმუნე კათოლიკენიც არიან, რომ ამასვე თხოულობენ: ეკლესია თავისუფალი და დამოუკიდებელი უნდა იყო. სახელმწიფოსაგან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ აასრულებს თავის დანიშნულებასაო; სახელმწიფო ჯამაგირიანი სასულიერო პირი მოხელეა და მოხელე მღვდელი კი ვერასოდეს ვერ შესძლებს პირნათლად, დამოუკიდებლად აასრულოს თავისი მოვალეობა მრევლის წინაშეო.

ის კათოლიკენი კი (დიდი უმრავლესობა), რომელნიც ასე უფროთხიან თავისუფალ ეკლესიას და იმ თავითვე თავგამოდებით ეწინააღმდეგებიან სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევებას ერთი ერთმანეთისაგან, სულ სხვა გვარად მსჯელობენ. ამათის აზრით, თავისუფლება და დამოუკიდებლობა ეკლესიას მოსპობს. მართლაც, რა მოელის კათოლიკე ეკლესიას, როცა მას სახელმწიფო მოიშორებს? ვინ უნდა შეინახოს ის რიცხვმრავალი სამღვდელოება, რომელიც ეხლა ხაზინიდან აღებს ჯამაგირს?

იყო დრო, როცა ეკლესია დიდალ შეწირულებას იღებდა მორწმუნეთაგან, მაგრამ ეს დრო, როგორც ვიცით, კარგა ხანია განპქრა და აღარც დაბრუნდება. ხალხმა დიდიხანია დაჰკარგა „გულუბრყვილო კეთილმორწმუნეობა“, ბერებისა და მღვდლების საუბედუროთ. გლეხი აღარ დადის წირვა-ლოცვაზე. მღვდლის კლიენტება დღეს საფრანგეთის სოფელში თითქმის მხოლოდ ქალებისა და ბავშვებისაგან შესდგება. დღეს გლეხი ნებაყოფლობით ერთ გროშსაც არ გაიღებს ეკლესიისათვის. ქალაქის მუშა ხომ კიდევ უფრო ადრე განთავისუფლდა სამღვდელოების მზრუნველობისაგან; ეხლა მას სულ სხვა სათაყვანო საგანი გაუჩნდა. დარჩა მდიდარი ბურუუაზია და გადაგვარებულ არისტოკრატიის უმნიშვნელონაშთი. თუ ბურუუაზიის ერთი ნაწილი არისტოკრატებთან ერთად თავს იღებს. დღეს კლერიკალისმისათვის, ამისი მიზეზი ერთის მხრივ პოლიტიკაა, მეორე მხრივ მოდა და მიმბაძველობა: დემოკრატიის გაძლიერება ძალიან აფიქრებს მსხვილ ბურუუაზიას და, რაკი კლერიკალები ბუნებით მტრები არიან დემოკრატიულ მოძრაობისა, ამათთან ერთად სცდილობს მომავალ განსაკრელის თავიდან აშორებას. ამ მხრივ არის, რომ ეგრეთ წოდებული „სარწმუნოების დაცემა“ ხალხში სატირალი საგანი გამხდარა მდიდართა და მაძლართათვის. გარდა ამისა გამდიდრებული ბურუუა ყოველთვის იმის ცდაში ყოფილა, რომ ჩამომავლობით არისტოკრატიას არასუერში ჩამო. ჩანგრევა: აუ არისტოკრატი ა აფიქრებული მოაპრენა, ბურ-

უფაც იგივეა; არისტოკრატი მორწმუნე გახდა, პაპის სახელს ფიცულობს, ეკლესიებში და მონასტრებში დაღის, ბურუუაც ფეხის ხმას ჰყება და დიდათ სასახელოდ მიაჩნია, თუ მის შვილებს რომელიმე მონასტერი ზრდის არისტოკრატის შვილებთან ერთად.

აი ეს ელემენტებია, რომ სამღვდელოებას და ვატიკანს მატერიალურ დახმარებას აღმოუჩენს ამ კრიზისის დროს. პირველ ხანებში შაინც სადემონსტრაციოდ, ალბად, დიდ ფულსაც მოაგროვებენ. მაგრამ როდემდის? სასულიერო წოდების შენახვას, როგორც კსოვით, დიდალი ფული უნდა ყოველს წელს ჯა წარმოუდგენელია, რომ ფულის მოყვარე ბურუუაზიამა და გაკოტრებულმა არისტოკრატიამ შეინახონ იგი დიდხანს. ერთის სიტყვით, ეკლესის განთავისუფლება სახელმწიფოსაგან, მისი „დამოუკიდებლობა“, მეტად სასარგებლო და ხელსაყრელი ხალხისათვის, დიდათ და დიდათ საზარალო იქნება თვით ეკლესისათვის. და თუ ახლა ბევრი კლერიკალი გაბედულად გაიძახის – მოხარული ვართ მთავრობის პოლიტიკის გამო, მოშორდეს ეკლესია სახელმწიფოს, ჩვენ შევინახავთ და გავუძღვებით მასო, ეს ან სიბრძმავეა ან პოლიტიკური ხრიკი; სიბრძმავეა, თუ ამის მთქმელი მართლა ჰფაქტობს, რასაც ამბობს, და პოლიტიკური ხრიკია, თუ გულში სხვას ჰფიქტობს და ასეთ გაბედულ სიტყვებით სულილობს მთავრობისა და მის მომხრეთა შეშინებას.

მაგრამ ამ საქმეს აქვს მეორე მხარეც, რომელიც არა კლერიკალებსაც დიდ ზრუნვაში აგდებს.

საფრანგეთი ისტორიულად წმინდა ეკლესის „უფროს ქალად“ ითვლება; საფრანგეთი იყო მთავარი ფაქტორი ჯვაროსანთა ომებისა; აღმოსავლეთელი დღესაც ფრანგის სახელით ნათლავს ყოველს ევროპიელს, იმდენად დიდი იყო საფრანგეთის მონაწილეობა აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრებაში; ფრანგთა ძლიერი სამეფო იყო, რომ დიდალ მისიონერებს გზავნიდა ყოველ მხარეს. ყველა ამის მიზეზით საფრანგეთმა თან და თან შეიძინა განსხვავებული უპირატესობა.

ბიანი მდგომარეობა მთელ აღმოსავლეთში: იგი ოფიციალურად იცნეს ყველა კათოლიკეთა მფარველად მიუხედავათ იმისა, თუ რომელ ეროვნებას და სახელმწიფოს ეკუთვნოდა იგი.

ფრანგი მისიონერები დიდის ენერგიით მუშაობდნენ და მუშაობენ დღეს აღმოსავლეთში, განსაკუთრებით მცირეა ზიაზი, დიდძალი სკოლები და საავადმყოფოები აქვთ გამართული. რა გავლენა ექნება ყველა ამაზე ეკლესის განთავისუფლებას?

საფრანგეთის საერთაშორისო სახელი და მნიშვნელობა საბოლოოდ დაეცემა და აღმოსავლეთში არაეითარი გავლენა აღარ ექნებაო, გაიძახიან ერთნი, რადგან პაპი ჩამოართმევს საფრანგეთს უფლებას ყველა კათოლიკეთა შფარველობისას და რომელსამე სხვა სახელმწიფოს გადასცემსა. სხვა ნაირად მსჯელობენ სახელმწიფოსა და ეკლესის დაშორების მომხრები: დღეს თუ ხვალ ეს უპირატესობა ისედაც ჩამოურთმევოდა საფრანგეთს, რადგან ყოველი სახელმწიფო დღეს თვითონ უწევს მფარველობას ყველა თავის ქვეშევრდომებს. იტალია, გერმანია, აესტრია ფაქტიურად აღარ სცნობენ საფრანგეთის სახელმწიფოს ამ განსხვავებულ მდგომარეობას; კათოლიკე გერმანელი ან იტალიელი იშვიათად, დიდის გაჭივრების დროს თუ მიპმართავს საფრანგეთის ელჩს თავის ინტერესების დასაცველად. ან რამდენად სასარგებლოა საფრანგეთის ინტერესებისათვის ეს უპირატესობა? ვითომ მეტი გავლენა აქვს მას მისის მიზეზით? სრულიადაც არა! საფრანგეთის წარმომადგენელი იძულებულია მფარველობა გაუწიოს ყოველ კათოლიკე მისიონერს აღმოსავლეთში. მისიონერები კი თითქმის ყველგან მკვიდრის მძულვარების საგანია; ამის დასამტკიცებლად ჩინეთის მაგალითიც კმარა. საფრანგეთის რესპუბლიკა მფარველობს და ქომაგობს ასეთ მისიონერს, მის გულისათვის აწერებს და ავიწროვებს მკვიდრს და, რასაკვირველია, თვითონაც მძულვარების ობიექტი ხდება. მისიონერები თავის მოღვაწეობით საჭელს უტეხნ საფრანგეთის რესპუბლიკას და, თუ ეს საგანგებო უფლება. მათის მფარველობისა მოისპობა, საფრანგეთი უფრო მოგვებულიც დარჩებაო.

გარდა ამ უპირატესობის ჩამორთმევისა, ვატიკანი სხვა ლონისძიების მოხმარებასაც ჰფიქრობს საფრანგეთის ოქსპუბლიკის წინააღმდეგ: განზრახვა აქვს საკუთარი საელჩო დაარსოს კონსტანტინეპოლიში. დღემდე თსმალეთის ქვეშევრდომ კათოლიკეთა მფარველობა საფრანგეთის წარმომადგენელის ხელშია, ისე როგორც ჩინეთსა და სხვა არა ქრისტიან სახელმწიფოებში. თუ პაპს საკუთარი წარმომადგენელი ეყოლება, იგი დაიჭირს საფრანგეთის წარმომადგენელის ადგილს და ამ გვარად ოქსპუბლიკას ჩამოეცლება ისეთი კლიენტლა, რომელიც მის გავლენას დიდ ძალას აძლევს. მაგრამ ჯერ პაპის საელჩო არ არსებობს და საფრანგეთის ოქსპუბლიკას შეუძლია ხელი შეუშალოს ვატიკანს: თსმალეთის სულთანის თანხმობაა საჭირო საელჩოს დაარსებისათვის და ოქსპუბლიკის დიპლომატიას შეეძლება მოახერხოს, რომ ეს თანხმობა არ იქნეს. თვითონ ადგილობრივი კათოლიკენიც არ იქნებიან კმაყოფილი ასეთ ცვლილებისა. რა მფარველობა და ქომაგობა უნდა გაუწიოს ვატიკანმა თსმალელ კათოლიკებს? ვთქვათ, ქურთებმა დააწიოკეს რომელიმე სოფელი, კათოლიკებით დასახლებული; პაპის წარმომადგენელი მივა, ვეზირს პროტესტს გამოუცხადებს და დამნაშავეთა დასჯას მოიხხოვს. მერე? ურადღება აო მიაქცია თსმალეთის მთავრობამ ნუნციუსის სიტყვებს. რა უნდა ჰქნას ვატიკანმა? რა ლონისძიებას უნდა მიჰმართოს, რომ პროტესტი ცალიერ პროტესტად არ დარჩეს? ვატიკანს არავითარი ასეთი ლონისძიება არ მოეპოვება და ამიტომაც მისი მფარველობაც ცალიერი სიტყვა იქნება და მეტი არაფერი.

ერთის სიტყვით, რა მხრივაც არ უნდა შევხედოთ ეკლესიის დაშორებას სახელმწიფოსაგან, იგი დიდათ სასარგებლო იქნება ოქსპუბლიკისათვის და მავნებელი ვატიკანისათვის. ეს კარგად ესმის არა მარტო ახლანდელ პარლამენტის უმრავლესობას, არამედ მთელის ერის უდიდეს ნაწილსაც. ამიტომაც არის სრული იმედი, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი კითხვა ამ მოკლე ხანში გადაწყვდება.

გაზეთი „ივერია“ ვატიკანს ექომავება და კომბის სამინისტროს ტუქსავს! ბევრი რამ უცნაური წაგვიკითხავს ამ გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ პაპისმის, კლერიკალისმის ასეთ მხურვალე დაცვას თუ დაიწყებდა უხუცესი ქართული გაზეთი, სწორედ არ გვევონა.

„ცნ. ფურცლის“ პარიზელი კორესპონდენტი, სხვათა შორის, შეეხო პაპისა და რესპუბლიკის ეხლანდელ სამინისტროს ურთიერთ დამოკიდებულებას და, რასაკვირველია, კომბის პოლიტიკის სიმართლესა და სისწორეს ამტკიცებდა. „ივერიის“ კორესპონდენტი ძალიან გაუჯავრებია ამას და ორი დიდი წერილი უძღვნა იმავ საგანს. ამ წერილის დასახასიათებლად მოვიყვანთ ერთ ნიმუშს:

„საფრანგეთი თუ როდისმე ყოფილა სხვა ქვეყნების წინამდლვრად და გზის მაჩვენებლად, იმიტომ კი არ ყოფილა, რომ მას თავი გამოეხსნას კლერიკალისმის ბასრის კლანჭებისაგან. სრულებითაც არა! საფრანგეთმა ბირებული ადგილი დაიჭირა იმიტომ, რომ იგი თითქმის მუდამ ერთგული იყო კედესათა, და, ქრისტიანებრივის პრინციპების ხელ-მძღვანელობით თვით ნათლდებოდა. გარდა ცოტა შემთხვევისა საფრანგეთს თითქმის დაუმსახურებია სახელ-წოდება ეკლესიის პირმშო ასულისა. ამას ათასნაირი ფაქტი მოწმობს და ცხადათ დაღადებს შისი ისტორია, მეტადრე ის, რომლის ტიტულია: Gesta Dei per Ferancos — დგთას მაჭმედებანი ფრანგთა შექ... ამარა, არა, მკითხველოვანი?“

საფრანგეთი მაშინ ყოფილა სხვების გზის მაჩვენებელი, როცა კათოლიკე ეკლესიის მონა-მორჩილი იყო, და ამას ამტკიცებს თურმე „გესტა დეი პერ ფრანკს“!

ნუ თუ „ივერიის“ რედაქტურამ ამ ასამეცნიერო“ წიგნის გარდა (მარტო სათაური რად ლირს!) სხვა ისტორიული გამოკვლევანი არ იცის და არ გაუგონია? audiatur et altera pars' ი კარგი და პატიოსანია, მაგრამ როცა გაზეთი ერთ შენიშვნასაც არ უკეთებს პრინციპიალურ ხასიათის წერილს, ეს

იმის ნიშანია, რომ თვითონაც სავსებით თანახმაა წერილის დედა-აზრისა.

დიდი, ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა წინ საფრანგეთის დემოკრატიამ მოკლე დროის განმავლობაში. ვინ მოიფიქრებდა ამ რამდენიმე წლის წინად, რომ რეაქცია ასე დამარცხდებოდა და შერცხვებოდა? პარლამენტი, ქუჩა, მაღალი აფიც-რობა, მაღალი სამხედრო სკოლები რეაქციის ხელში იყო. დემოკრატიის წარმომადგენლებს შეურაცხყოფას აყენებდნენ და ავიტროვებდნენ, რესპუბლიკის პრეზიდენტს ჯოხით სცე-მეს. ერთის სიტყვით, გალალებული რეაქცია ისე იქცეოდა, როგორც თავის საბრძანებელში და დღეს არა ხვალ რესპუბ-ლიკის დამხობას მოელოდა. შეთქმულება არსებულ წესწყო-ბილების წინააღმდეგ აშკარად, საჯაროდ ხდებოდა, ისე და-რწმუნებული იყვნენ თავის ძალ-ღონესა და სრულ გამარჯვე-ბაში. „ყველაფერი აირ-დაირია, „ნაციონალისტები“, მომა-ვალ ბრწყინვალე გამარჯვების მოლოდინში, მუდამ დღე ომს მართავდა პოლიტიკისთან... ორი სამინისტრო. ორ-სამ თვეში დაეცა; უფრო საშიში პერსპექტივა გაიშალა თვალ წინ“.... მაგრამ ამ დროს პირველი მინისტრობა ჩააბარეს ვალდეკ-რუსოს და სამის წლის განმავლობაში სურათი სრულიად გა-მოიცვალა: „სისტემატიურ აგიტაციას ბოლო მოეღო. გაჩუმ-დნენ მიტინგები, საღაც ხვალინდელ დღის უწესოებანი მზად-დებოდა. ქუჩა ისევ ცოცხალი და მშვიდობიანია, დემონსტრა-ციების ხმაურობა აღარ აშთოთებს მას*)“; ჯარის-კაცები დის-ციპლინას დაუმორჩილეს; ურჩები სასტიკად დასაჯეს; რესპუბ-ლიკა ისევ პატივცემული შეიქნა; რეაქცია სასტიკად და-მარცხდა.

ვინ იყო ვალდეკ-რუსო? ვალდეკ-რუსო დაიბადა 1846 წელს. იგი იყო შვილი ძველ, რომანტიულ სკოლის რესპუბ-ლიკელისა, ასე რომ რესპუბლიკის სიყვარული და პატივის-

*) ვალდეკ-რუსოს სიტყვებიდანა.

ცემა ვალდეკს ბავშვობიდან ჰქონდა გულში ჩანერგილი. იურიდიულ ფაკულტეტის გათავების შემდეგ, იგი აღვოკატობას შეუდგა და მალე დაიმსახურა სახელი მცოდნე იურისტისა და ორატორისა. ვალდეკი ახალგაზდობიდანვე მეტად თავ-დაჭერილი, ეგრე ვთქვათ ცივ-სისხლიანი და შორს გამჭვრეტი პიროვნება იყო. ენტუსიასმი, გატაცება თავდავიწყებამდე მის-თვის სრულიად უცხო მოვლენა იყო; გონება მისი მუდაშ ფხიზელი და დარაჯად მდგომი იყო, რაც აშკარად ეტყობა მის ორატორულ ნიჭს: ვალდეკი ეკუთვნოდა იმ ვექილების ჯგუფს, რომელთაც გააქვთ საქმე არა გრძნობიერ მჭერმეტ-ყველებით და პათოსით, არამედ ლოლიკით და ანალიზით; მას სტულდა ეგრედ წოდებული „მაღალი სტილი“; იგი ყოველ-თვის უბრალოდ, მარტივად ლაპარაკობდა. ერთი თვისება ჰქონდა კიდევ ვალდეკის ლაპარაკს — ირონია. ვალდეკი უეჭ-ველად, შესანიშნავი ირონისტი არისო, სწერს ერთი ბიოგ-რაფი*) და სხვათა შორის მოჰყავს ერთი ნიმუში მისის ირო-ნიისა. 1884-ში, როცა ვალდეკ-რუსო შინაგან საქმეთა მი-ნისტრი იყო, რეაქციონერებმა მოსთხოვეს მას დაეხურა ტუ-ლუზის „ისტორიული მუზეუმი“, სადაც ხალხს ინკვიზიციის საშინელებათ უჩვენებდნენ. მინისტრი მიუბრუნდა კონსერვა-ტორ დეპუტატებს და ჩვეულებრივის ფლეგმატიურის, მაგრამ თან მტკიცე ხმით რამდენიმე სიტყვა უთხრა, მწარე ირონიით აღსავს:

„ყოველ დღე, განსაკუთრებით თეორეტიულ მსჯელობის დროს, თქვენ გამოდიხართ თავისუფლების მხერვალე მომხრე-ებად; პრაქტიკაშიაც მოიხმარეთ ეს დოკტრინა. ბალაგანის პატრონი უჩვენებს ხალხს წამების იარაღს, რომელიც მოწ-მობს ინკვიზიციის შეურიგებელ რწმენას და ბოროტ-მოქმე-დებას; თქვენ ვინდა გიშლისთ გვიჩვენოთ მისი კეთილი მოქ-მედება (დიდი სიცილი და ტაშის ცემა მემარცხეთა და ცენტ-რისა). სრულის გულწრფელობით უნდა დავუმატო, რომ არ

*) კულტინ, „რუსსკოე ბაზარსტენში“.

შემიძლია ვუბრძანო მუზეუმის პატრონს გამოსცვალოს თავის კოლექციის ნამდვილი საგნები, რომელიც საშუალო საუკუნოების წამებას ეკუთვნიან, და მის მაგიერ დააწყოს ისეთი ემბლემები, რომელიც ჩვენ სულ სხვას გვასწავლიდეს; მაგალითად, არ შემიძლია ისე შორს წავიდე, რომ ვაიძულო ის კაცი და ვათქმევინო საჯაროდ — ინკვიზიციამ შემოიღო თავისუფალ კრიტიკის დოკტრინა, და გალილეი იყო, რომ აწამა თავისი მსაჯულები საპატიმროში (საერთო სიცილი და ხანგრძლივი ტაშის ცემა)“:

პოლიტიკურ ასპარეზზე ვალდეკ-რუსო პირველად 1879 წელს გამოვიდა; იგი აირჩიეს რენის დეპუტატად. გამბეჭამ მაშინვე დააფასა ახალგაზდა დეპუტატის ღირსებანი და, როცა 1881 წელს მიანდეს სამინისტროს შედგენა, შინაგან საქმეთა მინისტრად ვალდეკი მიიწვია. სამინისტრომ მხოლოდ ორთვე ნახევარი გასტანა. მაგრამ მალე ისევ მინისტრად ვხედავთ უიულ ფერის კაბინეტში. აშ სამინისტროში იყო, რომ მან დაიმსახურა სახელი „პროფესიონალურ სინდიკატების მამისა“. ვალდეკი დიდის ენერგიით და მოხერხებით იცავდა პროფესიონალურ ორგანიზაციებს მუშებისას და საფრანგეთის დემოკრატები მისი მაღლიერი უნდა იყვნენ, რომ გაიმარჯვეს რეაქციონერებზე და მუშათა კავშირების არსებობა. დაკანონდა.

1885 წლიდან ვალდეკი ნაკლებ მონაწილეობას იღებს საფრანგეთის საპარლამენტო ცხოვრებაში; 1889-იდან დეპუტატობასაც თავს ანებებს და მთელის თავის ენერგიით საადვოკატო მოღვაწეობას ეწევა.

1893 წლის არჩევნებზე დიდათ გაიმარჯვეს სოციალისტებმა. საფრანგეთის ბურჟუაზია შეშინდა და შეუდგა ძალთა მოკრებას საშიშ მტრის წინააღმდეგ. ვალდეკი მეგობრების თხოვნით, ისევ გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე. 1894 წელს იგი სენატორად აირჩიეს. ზომიერებს სრული იმედი აქვთ იმისი, დარწმუნებული არიან, რომ ვალდეკი მთელის თავის ძალობრივი შეებრძოლება ბურჟუაზის მტერს; და საბუთიც

ჰერნდათ ასეთ იმედისა: ვალდეკი ზომიერი ოქსპუბლიკელი იყო თავის საზოგადო მიმართულებით, სოციალისმთან მას საერთო არ ჰერნდარა. მაგრამ მისი ზომიერება და სოციალისმის მტრობა სხვა ზომიერ რესპუბლიკელებისას არ ჰგავდა.

მაშინ, როდესაც სოციალისმით შეშინებული მსხვილი ბურჯუაზია მზად იყო ეღალატნა ყველა თავის იდეალებისათვის, კავშირით შეკვროდა რესპუბლიკის შეურიგებელ მტრებს—არისტოკრატისა და კლირს, ვალდეკი ნამდვილი რესპუბლიკელი იყო და როგორც ეგეთი, თავის დღეში ვერ მოურიგდებოდა რეაქციონერებს. ერთ თავის სიტყვაში (ნაწყვეტი ამ სიტყვისა ზევით გვქონდა მოყვანილი) ვალდეკმა სთქვა: „არის მომენტები, როცა კაცი პარტიის წევრობამდე რესპუბლიკელი უნდა იყოს“—ო. დიახ, ვალდეკი ზომიერების პარტიის ეკუთვნოდა, მაგრამ პირველად ყოვლისა ის რესპუბლიკელი იყო. და როცა რესპუბლიკა საფრთხეში ჩავარდა, როცა გალადებული რეაქცია გამარჯვებას ლამობდა, ვალდეკმა პირდაპირ გაწყვიტა კავშირი თავის პოლიტიკურ თანამოაზრებთან, ზომიერებთან, ხელი მისცა დაწინაურებულ დემოკრატის წარმომადგენლებს და შეერთებულის ძალით იერიში მიიტანა რესპუბლიკის მტრებზე. დრეიფუსის საქმე, რომელმაც ჩირქი მოსცხო საფრანგეთს, განაახლა, მიუხედავათ რეაქციონერების საშინელ წინააღედევობისა, და სასახლელოდ დამთავრა; ბერების და შონაზენების კონგრეგაციები, ეს მთავარი ბუდე და ძალა მთელის რეაქციისა, მოსპო და განახლებული და გაძლიერებული რესპუბლიკა საფრანგეთისა პატივცემული გახდა მოყვრებისა და მტრებისაგან.

ვალდეკ რუსო ბურჯუა იყო თავის სოციალურის პროგრამით, მაგრამ ბურჯუა პრინცების აღმსარებელი და პატივ-მცემელი, ბურჯუა, რომელმაც დაუვიწყარი სამსახური გაუწია საფრანგეთის დემოკრატიას.

ბიოგრაფი ასე ახასიათებს ვალდეკ რუსოს: „მიუხედავათ ვალდეკის ყველა ნაკლულევანებისა (სოციალ-ეკონომიურ პროგრამის მხრივ), იმათ, ვისთვისაც ძვირფასია საერთო

დემოკრატიული პროგრესი, არ შეუძლიანთ სიმპატია არ იგრძნონ ამ მაღალ სკოლის სახელმწიფო მოღვაწისადმი. „რესპუბლიკის დაცვის“ სამინისტროს დროიდან (1899—1902) ვალდეკის სახელი განთქმული იყო ხალხში, და როცა ეხლანან გავრცელდა ხმა, რომ მას სერიოზული ოპერაცია უნდა გაუკეთონო, ყოველი შეგნებული ფრანგი ინტერესით კითხულობდა იმის ამბავს, რომელსაც „ბურჟუაზიის არისტოკრატის“ ეძახდნენ და რომელმაც ასეთი სამსახური გაუწია რესპუბლიკის დემოკრატიას და ამ გზით მთელ საკაცობრიო პროგრესსაც. ეს ამაყი და გულჩახვეული კაცი კრიტიკულ მომენტების დროს იყო რესპუბლიკის ის შორს გამსჭვრეტი და ენერგიული მრჩეველი, რომლის ტიპს რომაელები ასე ახასიათებდნენ—*homo multi consilii et optimi.*“

ასეთ კაცის უდროო სიკვდილი დიდი დასაკლისია საფრანგეთისათვის.

რაც დრო მიღის, იაპონიის ძალ-ღონე უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება ყველასათვის, მეტი და მეტი წერილები და წიგნები იბეჭდება იაპონელების შესახებ. რუსები, რომელნიც დარწმუნდნენ, რომ სრულიად არ იცნობდნენ „ამომავალ მზის ქვეყანას“, ეხლა დიდ ყურადღებას აქცევენ მტრის ცხოვრების ყოველ მხარეს და ეურნალ-გაზეთებში მეტად საინტერესო წერილები იბეჭდება. სხვათა შორის, „რუსკია ვედომოსტი“-ს 210 ნომერში დაბეჭდილია დ. ანუჩინის წერილი „იაპონელების დასახასიათებლად“. ამ წერილში ავტორს შოჰკავს თვით იაპონელ მწერლების აზრი და შეხედულება თავიანთ ქვეყნის მდგომარეობისა და მომავალის შესახებ:

„იაპონია თან-და-თან ითვისებდა ევროპის კულტურას და მთავრობაც და ინტელიგენციაც ამტკიცებდა, რომ მათი ქვეყანა განათლებულია და რომ, როგორც აგეთს, უფლება აქვს მოსთხოვოს სხვა განათლებულ სახელმწიფოებს შესაფერ. რად მოეპყრან მას. 1898 წელს გამოიცა ახალი დებულება, შემუშავებული ევროპის დებულებათა მიხედვით; ამას მოჰკვდა

ახალი სავაჭრო ხელშეკრულებანი ევროპის სახელმწიფოებთან და საკონსულო იურისდიქციის მოსპობა (იაპონიაში მცხოვრები უცხოელები და ექვემდებარებ იაპონიის მთავრობასა და სასამართლოს). მაგრამ იაპონიის ინტელიგენცია არ დაკმაყოფილდა მარტო იმის დამტკიცებით, რომ იაპონია პოლიტიკურად არ ჩამოუვარდება ევროპის სახელმწიფოებს; გარდა ამისა იგი ამბობდა და ამბობს, რომ, როგორც აზიის მოწინავე სახელმწიფოს, მას შეუძლია დაიწყოს აზიის განვითარების ახალი ხანა და რომ იაპონიის ერს აქვს ისეთი სულიერი ძალები, რომელთა საშუალებით მას შეუძლია წინ გაუსწროს დასავლეთელ მოწინავე ერებს და შექმნას კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა.

უურნალ „კოკუმინ-ნო-ტომო“-ს ერთ ნომერში, 1897 წელს, შემდეგი აზრები იყო გამოთქმული: „ცივილიზაცია, რომელიც გაჩნდა მდ. ნილოსის და ეფრატის ნაპირებზე და განვითარდა ხმელთა შუა ზღვის და ატლანტიკის ოკეანეს ნაპირებზე, ეხლა წყნარ ოკეანეს ხალხებზე ვრცელდება. ეგრედ წოდებული დასავლეთელი ცივილიზაცია აქ შეხვდა სხვა რასას და სხვა კულტურას, სრულიად განსხვავებულს ბუნებითა და ჩამომავლობით... განა არის საღმე ქვეყანაზე ისეთი მჩერველი და ამტანი რასა, როგორც ჩინელებისა ან ისეთი პროგრესიული და სულიოთ ძლიერი, როგორც იაპონელებისა? ჩინელებს ეხლა შეხვდებით წყნარ ოკეანეს ყველა ნავსაღვურში და ყველგან მნიშვნელოვან ელემენტს შეაღენენ მოსულებ შორის. ჩინელს შეუძლია იცხოვოს სულ მცირე საკვებით, რომელიც არც ერთ სხვა ერის წარმომადგენელს არ ეყოფა; მას შეუძლია იმუშავოს სულ მცირე საფასურში და ვერც ერთი სხვა ერის წარმომადგენელი ვერ გაუწევს მას კონკურენციას ამ მხრივ. ამერიკამ რომ საგანგებო კანონები გამოსუა აზიელების წინააღმდეგ, ცხადათ გვიჩვენებს, რამდენად ეშინიათ დასავლეთლებს ჩინელის შრომისა. ჩვენ, იაპონელებს, არ შეგვიძლია ჩინელებსავით ღარიბად ცხოვრება, არც მათსავით ბეჯითი მუშაობა, მაგრამ ჩვენ გვაქვს მიღრე-

კილება უკეთესისადმი. თუ საღმე ვნახეთ რამე კარგი და და-
წინაურებული, ჩვენსას ვტოვებთ და ამ კარგს ვითვისებთ.
საკვირველი განვითარება ახალ იაპონიისა ცხადათ ამტკიცებს
ჩვენს ამ ნიჭს. ჩვენ არა თუ დავაფასეთ ლირსებისამებრ და-
სავლეთელი ცივილიზაცია, შევცვალეთ კიდეც ან, უფრო
სწორედ რომ ვთქვათ, ზოგიერთის მხრივ გავაუმჯობესეთ
თანახმად აღმოსავლეთელ იდეებისა. ვაჭრობასა, მრეწველო-
ბასა, ხელოვნებასა და მეცნიერებაში, ერთის სიტყვით
ყოველგვარ ასპარეზზე ჩვენ დავამტკიცეთ, რომ დასავლეთელ
მეგობრებზე ნაკლები ნიჭი არა გვაქვს. გარდა ამისა იაპო-
ნელები სხვაზე უფრო მრავლდებიან. ამიტომ საკვირველი არ
არის, რომ ეხლა ანგარიშს გვიწვევენ, როგორც წყნარ ოკეა-
ნეს ძლიერ სახელმწიფოს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც
ჩინეთთან ომის დროს გამოვიჩინეთ საკვირველი სამხედრო
ინსტინკტი, მთელი ქვეყანა დარწმუნდა, რომ იმ ხელებს,
რომელნიც ასე შეუდარებელი არიან ხელოვნებაში, ზარბაზ-
ნების მოხმარებაც შესძლებიათ შესანიშნავად. განცვიფრების
ადგილი ეხლა შიშმა დაიკავა... ზოგი ჩვენ შეირალებას
უფრთხის, ზოგს ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობა აშინებს, ზო-
გიც უიმედოდ შურის თვალით გვიყურებეს. ანტიიაპონური
მიმართულება ხან ერთის მხრიდან იჩნეს თავს, ხან მეორე
მხრიდან, ხან ერთის მიზეზის გამო, ხან მეორეს. მაგრამ ყო-
ველ ეჭვს გარეშეა, რომ მსოფლიო მარტო თეთრკანიან აკ-
ტიორების სასპარეზო არ არის. შემოქმედს,—თუ იგი არ-
სებობდა,—სხვა რასები მხოლოდ იმიტომ კი არ შეუქნია,
რომ მუდამ თეთრკანიანების მონა-მოსამსახურე ყოფილიყვ-
ნენ. მთავარი მისია „ამომავალ მზის ქვეყნის“ შვილებისა
არის—დამტკიცონ, რომ მსოფლიო ყველასათვისაა შექმნი-
ლი, და არა მხოლოდ რამდენიმე ხალხისათვის“.

პროფესორი უკიტა იმავ უურნალში უჩვენებს ევროპი-
ელ ისტორიკოსების აზრის ცალმხრივობას—მარტო არიელი
ხალხები ჩაითვლება ისტორიულ ხალხებადო და კაცობრიო-
ბის ისტორია არის თეთრკანიანების ისტორია. ისტორიის

საგანიო, ამბობს იაპონელი პროფესორი, არის მთელი კაცობრიობა; არ არის არც ერთი ხალხი, რომლის ისტორია საინტერესო არ იყოს მეცნიერ ისტორიკოსისათვის; დაპირისპირება დასავლეთისა და აღმოსავლეთისა, ქრისტიანობისა და წარმართობისა, ცივილიზაციისა და ბარბაროსობისა თეოლოგიური და არა-მეცნიერული მანერა; ტერმინი „რასა“ ვერაფერს ვერ ახსნის ისტორიაში. თუ აზიელებმა პირველად წასწიეს წინ ცივილიზაცია და გადასცეს იგი ევროპას, თავის რასის უპირატესობით როდი მოსვლიათ; თუ ევროპიელებმა დიდათ განავითარეს აღმოსავლეთიდან გაღმოტანილი ცივილიზაცია, ეს იმიტომ კი არ მომხდარა, რომ ლვის განგვბის წინად გადაწყვეტილებამ არგუნა მათ რასას ასეთი ბედი. კველა ეს მოხდა გარემოებათა და ბუნების საკეთილო პირობათა ზედ-გავლენით...

ეჭვს გარეშეა, რომ ევროპიელები და ამერიკელები, ისე როგორც ძველად ბერძნები და რომელები, დღეს ყველაზე უკეთ მოწყობილი ხალხებია. მაგრამ ახალ ევროპის ხსნა არ მოსულა არც პალესტინიდან, არც საბრძნეთიდან და რომიდან; იგი მოვიდა მათ ცივილიზაციათა ნანგრევებიდან; ამის მზგავსად კაცობრიობის ხსნა იმ ევროპიდან და ამერიკიდან არ მოვა, როგორიც ეხლა არიან... ისტორიკოსები დასკინიან ძველ ბერძნების წვრილმან კინ კლაობას და უნიკობას ბერძნულ ერის შექმნის საქმეში; თანამედროვე ევროპიელები ამაყობენ იმითი, რომ შექმნეს ეროვნული სახელმწიფონი. მაგრამ უსამართლობა იქმნება ვიზუალური, რომ ძველი ბერძნები მოკლებულნი იყვნენ იმ პოლიტიკურ ნიჭს, რომელიც ეხლანდელ ევროპიელების თვისებას შეადგენს. დანიშნულება ძველის საბერძნეთისა და ახალ ევროპისა სხვა-და-სხვა იყო, როგორც სხვა-და-სხვა იყო პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრების პირობები. ძველი ბერძნების დანიშნულება იყო თემ-რესპუბლიკებისა და ყველა ამ თემების კაც-შირის შექმნა. პირველი შეასრულეს, მეორე ვერა. ახალ ევროპიელებს უნდა შექმნათ ეროვნული სახელმწიფო და სა-

ერთო ევროპიული კავშირი. ევროპამ მართლა შექმნა ეროვნული სახელმწიფო, როგორც საბერძნეთმა თემი-რესპუბლიკა, და ამ მხრივ ვერ ვხედავთ განსხვავებას ახალ ევროპისა და ძველ საბერძნეთის პოლიტიკურ გენიოსობას შეა. ის კია, რომ საბერძნეთის მოქმედების ასპარეზი პატარაა, ევროპიელების კი ბევრი უფრო ვრცელი. დღეს ეროვნული ინდივიდუალისმი ნამდვილი ფაქტია. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი არ არის კაცობრიობის უკანასკნელი საფეხური. თუ ახალი ევროპა ვერ შესძლებს საერთო ევროპიულ კავშირის შექმნას, ისტორია მასაც ისეთსავე მსჯავრს დასდებს, როგორც ძველ საბერძნეთს, —იგი განიცდის დიდ ფიასკოს იმ დიად დანიშნულებაში, რომელიც განგებამ არგუნა მას...

ამ მხრივ იაპონია, უეპველად, სწორია ევროპის უგანათლებულებს ერებისა. ინდოეთმა, იდეალისტურმა და პესიმისტურმა, დაკარგა პოლიტიკური არსებობა; ეროვნობის მხრივ იგი ნირგვნაში ჩაეფლა. ჩინეთი, რეალისტური და ოპტიმისტური, მაინცა და მაინც არ ზრუნავს კაცობრიობის მაღალ ინტერესებზე. იაპონია ამ ორ უკიდურესობის შეუსდგას. იგი ყოველთვის მზად იყო ესესნა სხვა ერებისაგან და შეეთვისა ყოველი კარგი მხარე. მან შესძლო საუკეთესო დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოს შექმნა. ევროპასავით მან გაიარა ფეოდალისმი; ევროპასავით ეხლა კონსტიტუცია აქვს... ეჭვს გარეშეა, რომ დღეს იაპონია ეროვნულ და საკონსტიტუციო მთავრობის განვითარების საფეხურზეა. გარვლის რამდენიმე ხანი და იაპონია წინ გაუსწრობს ევროპას მრეწველობაში. ინგლისი, ეხლა რომ გარეშე ვაჭრობითა და მანუფაკტურით ცხოვრობს, მეცხრამეტე საუკუნემდე მეურნეობის ქვეყანა იყო და პურს სხვა სახელმწიფოებში ეზიდებოდა.

როგორც მზე აღმოსავლეთით ამოდის და დასავლეთით ჩადის, ისე ცივილიზაციის სინათლე უბრუნდება თავის გაჩე-


ნის მხარეს. დასავლეთი, რომელიც მეტყვიდრე შეიქნა აღმოსავლეთისა 3000 წლის წინადან და მეორეთ საშუალო საუკუნებში, ეხლა იხდის ამ ვალს დიდის პროცენტით: იმ სამი აღმოჩენის მაგიერ, რომელიც ჩინელებს ეკუთვნის (კომპასი, თოფის წამალი, წიგნის ბეჭდვა), დასავლეთი გვიგზავნის ორთქლმავალს, რკინის გზას, ტელეგრაფს. ფინიკიელების ანბანს, ინდოელების ციფირს, არაბების მეცნიერებას, აბრეშუმს, ქალალდს და მრეწველობისა და ხელოვნების სხვა დასაწყისს, რომელიც აღმოსავლეთიდან არის წასული, დღეს უვროპა იხდის ეხლანდელ ცოდნისა და ხელოვნების დაუფასებელ პროდუქტებით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალში აღმოსავლეთი ისევ მოიპოვებს გავლენას დასავლეთზე და ამით მოამზადებს ახალ ხანას კულტურულ განვითარებისას, რომელიც უფრო სრული მდიდარი და კეთილშობილი იქნება, ვიდრე აქამდე უნახავს კაცობრიობას. ახალი ისტორია ბოლო კი არა, დასაწყისია ახალი ხანისა; კაცობრიობის ამ ხანაში ყოველი ადამიანი ერთი რასის წევრად ჩაითვლება და მასთან შედარებით მთელი ძველი, საშუალო და ახალი ისტორია ნაკლებ მნიშვნელოვანი გამოჩენება».

ამ ახალ ხანის მომზადებისა და შექმნის პროცესში პირველი როლი, რასაკვირველია, იაპონელის იქნება: მან უნდა გააღვიძოს აქამდე მძინარე აღმოსავლეთელი და განათავისუფლოს თეთრკანიანის ბატონობისაგან. „აზია აზიელებისათვის“ არის დევიზი და შინაარსი ამ მისწრაფებისა, რადგან განგებას მსოფლიო მარტო თეთრკანიან ევროპიელებისათვის არ გაუჩენია.

რუსეთთან ომი პირველი ეტაპია ამ დიად აზრის განხორციელებისაკენო, ამბობს დ. ანუჩინი. ამ ომის მიზანია მოაშოროს რუსეთი წყნარ ოკეანეს (კორეაზე გავლენის მოსპობა, პორტ-არტურის წართმევა, მანჯურიიდან განდევნა). „თუ რითი გათავდება ეს ომი, დიდი მნიშვნელობა ექნება აღ-

მოსავლეთ აზიის სახელმწიფოებისა, ხალხებისა და უცელაზედ უწინ, რასაკვირველია, ევროპის კოლონიებისათვის.“

იაპონელები უკვე უეუდგნენ თურმე მუშაობას საფრანგეთის კრიცელ კოლონიებში...



რედაქტორი
ალ. ჭერნია.

გამომცემელი
ალ. ჯაბადაშვილი

მ ი ბ ა ხ

წელი წ' აღ მეთერთმეტე

გამოცის უზველ თხვ

ფასი უკრნალ „მოამბისა“ გაგზავნით:

	რუსეთის და კავკასიის ქალაქებში:	საზღვარ-გარედ:
ერთის წლით	10 მან.	ერთის წლით 13 მან.
ექვსი თვით	6 მან.	ექვსის თვით 7 მან.
სამი თვით	4 მან.	სამი თვით 5 წან.

8060 „მოამბას“ გამოცის უზველი „ცურცელი“ ძვირაში
ორის სურათმაგინის დამატებით უფასოდ დაგთავა

ფასის განაწილება შეიძლება ასე: პირველად 5 მან. 1-ლ შარტაში—
დე—3 მან., და 1-ლ „გვისტომედე—2 მან.

ხელის-მოწერა მიღება ტფილისში, უურნალ „მოამბის“ რედაქციაში,
რომელიც იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაში, № 27.

ქალაქს გარეშე ხელის-მოწერა ერთი მანეთი უნდა წარმოადგინოს
დაგთმებასთა გასაგზავნად.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: თიფლის, რედაქცია „მოამბე“.

უურნალში დასაბეჭდად მიღებულ წერელებს, თუ საჭიროება მოითხოვს,
რედაქცია შეასწორებს და შეამოკლებს. ხელნაწერები, რომლებიც არ
დაიბეჭდება, პატოონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავ-
ლობაში,—მერმე ველარ მოსთხოვნენ რედაქციას; არავითარ მიწერ-ძალებას
დაუბეჭდავ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უეჭვე-
ლად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ
უურნალმა თავისი აზრი წარმოსთქვას, ორ-ორი ეგზემპლიკარო უნდა გა-
მოუგზავნოს რედაქციას.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-
უქმებს გარდა, შუადღიდან ნაშუადღევის თუ საათამდინ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ყველა ხელის-მოწერა, რომელთაც კი
უურნალის ნომერი არ მიუგათ, განცხადებასთან ერთად რედაქციის წარმო-
უგზავნონ აგრძინვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ
ნომერებს, ა მ ნოტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემ-
თხვევაში თეთ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი
ა. ლ. ჭ უ თ ნ ი ა.

გამომცემელი
ა. ლ. ჭ ა ბ ა დ ა რ ი